


0რაპლი მანველიძე

სისტემური საერთაშორისო  
ურთიერთობების გენეზისი  
**და ეპოლუცია**  
▼0860 I



თბილისი 2008

# შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და  
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ირაკლი მანველიძე

სისტემური სამომართო მომსახურების  
გენეზისი და ევოლუცია  
გესტუალის სისტემა

წიგნი I

გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2008



კაცობრიობის ისტორიული განვითარების ახალ პერიოდში ევროპელი ხალხის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, რელიგიურ და კულტურულ სფეროებში განხორციელებულმა რადიკალურმა ცვლილებებმა გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობების და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის არსისა და ხასიათის სრული გარდაქმნა.

საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში სისტემა მნიშვნელოვანი და ცნობილი ფენომენია. 1648 წლის ვესტფალიის ზავმა საფუძველი დაუდო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებას.

ვესტფალიის სისტემა გარდამავალი პერიოდი იყო შუასაუკუნეებისა (ფეოდალური) და ახალი ეპოქის (კაპიტალისტური) საერთაშორისო ურთიერთობებს შორის. იგი იყო სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების პირველი ტლანქი სისტემაც, რომელშიც მოცემული იყო ძველი ეპოქის (მაგ., დინასტიური) და სისტემური საერთაშორისო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი (მაგ., სახელმწიფო ონტერენციის) პრინციპები.

ევროპა XV საუკუნის დასასრულისათვის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ახალ სტადიაში შევიდა. საბოლოოდ, ამ დროისათვის, ჩამოყალიბდა დიდი სახელმწიფოები: ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, პოლონეთი, ავსტრია (ჰაბსბურგების სახლის სამემკვიდრო მიწები), რომლებიც წინათ შედიოდნენ გერმანელი ერის რომის სადვითო იმპერიის საზღვრებში. ასევე თურქეთი, არც ისე დიდი სკანდინავიური ქვეყნები – დანია, შვეცია და ნორვეგია, დასავლეთ გერმანული მცირე სათავადოები, იტალიის ქალაქ-სახელმწიფოები და ევროპის მცირე სახელმწიფოები ავსტრიენგენ კონტინენტის პოლიტიკურ რუკას. ევროპის აღმოსავლეთით თანდათან აძლიერებდა პოზიციებს მოსკოვის სხელმწიფო, რომელიც ევროპის პოლიტიკურ არენაზე გამოვიდა XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ დროიდან მან დაასრულა პოლიტიკური გაერთიანება და ჩამოყალიბდა ცენ-

ტრადიოზებულ სახელმწიფოდ, ხოლო შემდეგ – აბსოლუტურ მონარქიად.

სისტემური საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი სუბი-ექტი გახდა ეროვნული სახელმწიფოები თავიანთი სახელმწიფო-ეროვნული ინტერესებით. სწორედ ეს ინტერესები ხდებოდა მიზეზი მსოფლიო პოლიტიკაში წინააღმდეგობრივი კერების შექმნისა. ევროპაში სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირება დაემთხვა კაპიტალიზმის განვითრებას, ხოლო ეკონომიკაში მერკანტელიზმის წარმოქმნამ კიდევ უფრო გააძლიერა დაპირისპირება ევროპულ სახელმწიფოებს შორის.

დიდი ფრანგული რევოლუციის და ნაპოლეონის ომების ეპოქამ დაასრულა მერყევი ვითარების შესაბამისად მოწყობილი ძალთა ბალანსი ევროპაში, რომელიც ერთჯერადი კოალიციის შექმნის პრინციპს ეფუძნებოდა. თუმცა, ძირი კი გამოუთხარა „ძველ რეჟიმს“ – ევროპული თანასწორობის ძველი სისტემა.

ვერც ლურ მერც და ვერც ნაპოლეონის საფრანგეთმა ვერ შეძლო მიეღწია სრული კონტინენტალური დომინირების ან ხანგრძლივი დროით საკუთარი მფლობელობის უზრუნველყოფისათვის ევროპაში. ხანგრძლივგმა და სისხლისმდვრელმა ომებმა დაასუსტა ძველი კონტინენტი. სისტემაში ვითარების შესაბამისად გამოწვეული წინააღმდეგობების და კონფლიქტების პირობებში ევროპის წამყვანმა დიდმა სახელმწიფოებმა აშკარად გამოამჟღავნეს პოლიტიკური წონასწორობის მიღწევის მისწრაფება საფრანგეთის, პოლანდიის, შვეციის, რუსეთის, პრუსიის, ბრიტანეთის, ავსტრიის და სხვათა ინტერესების განსაზღვრული ბალანსის საფუძველზე.

ევროპის არენაზე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები ტექტონიკურ გეოპოლიტიკურ ძვრებს განიცდიდა. ევროპის წამყვანი დიდი სახელმწიფოები საკუთარი დასუსტების მოწმენიც გახდნენ, რამაც კანონზომიერად ჩამოაყალიბა აზრი საერთო ევროპული თანასწორობის დამყარების აუცილებლობის შესახებ, რომელიც შეუძლებელი იყო თამაშის შემთხვევითობას დაფუძნებოდა.

პირველად, მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში საერთაშორისო წესრიგისათვის დაიწყო სახელმწიფოთა მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება თვითმყოფადი, პოლიტიკური წონასწორობის ინსტიტუციონალისტური მექანიზმების შექმნისათვის, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფდა წამყვანი დიდი ევროპული სახელმწიფოების თანასწორობას და განამტკიცებდა კონკრეტული მომენტისათვის შექმნილ *status quo*. ასეთ მექანიზმად ვესტფალის ზავმა ძალთა ბალანსის პრინციპისათვის შესაფერი ერთჯერადი, ვითარების შესაბამისად მოწყობილი სახელმწიფოთა კოალიციები შექმნა.

ვესტფალის ზავმა სავსებით შეცვალა საგარეო პოლიტიკური სიტუაცია ევროპაში. მან შექმნა სრულიად განსხვავებული ძალთა ბალანსი, ჩამოაყალიბა სხვა პოლიტიკური პრიორიტეტები და ფასეულობები. მთლიანობაში, მან შემოიტანა საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძვლები ევროპული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში და განსაზღვრა მისი ხასიათი შემდგებ საუკუნეებში.

# ნავილი I

სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების  
ფორმირების წინაპირობები

## თავი I

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა

1.1 სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების არსი და  
მნიშვნელობა

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა არსებობის 500 წელს ითვლის. თუმცა, ჯერ კიდევ, უძველეს დროში ხალხი ცხოვრობდა უფრო შერეული ტიპის, ინტეგრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებებში, როგორიცაა: ქალაქ-სახელმწიფოები, იმპერიები და ფეოდალური სამფლობელოები. 1648 წლის ვესტფალიის ზავმა დააფუძნა სუვერენიტეტის ცნება და საფუძველიც დაუდო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებას.

საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში სისტემა მნიშვნელოვანი და ცნობილი ფენომენია. მისი კონცეფცია გამომდინარეობს სისტემური ანალიზიდან. საერთოდ, სისტემას უწოდებენ ელემენტთა სიმრავლეს, რომელიც ერთმანეთთან მიმართებასა და ურთიერთქმედებაში ქმნიან მთლიანობას და ერთიანობას.

ძველი აღმოსავლეთის და კლასიკური ბერძენი ან რომაელი ხელისუფალის ტიპი შეიძლება ჯდებოდეს ვესტფალიის სისტემის ჩარჩოში, მაგრამ იგი აშკარად მოკლებულია სუვერენიტეტს. ვესტფალიის ზავმა ხელი შეუწყო ერი-სახელმწიფოს აღმავლობას, დიპლომატიის და არმიის ინსტიტუციონალიზაციას. კოლონიზაციის შედეგად, ეს განსაკუთრებული ევროპული სისტემა გავრცელდა სხვა კონტინებზეც. თანამედროვე საერთაშორისო სისტემა კი, საბოლოოდ, ჩამოყალიბდა დეკოლონიზაციის შემ-

დებ, ცივი ომის პერიოდში. ძირითადად, ეს სისტემა შედგება სუვერენული პოლიტიკური ერთეულებისაგან, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ სხვადასხვა სისტემით და სიმძაფრით საერთაშორისო ურთიერთობათა რამდენადმე მოწესრიგებული პროცესების ჩარჩოებში.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა მოიცავს გარკვეულ ელემენტებსა და კავშირებს. საერთაშორისო ურთიერთობებში უმნიშვნელოვანეს როლს სახელმწიფოები თამაშობენ. ისინი იურიდიულად თანასწორნი არიან, ე.ი საერთაშორისო სამართლის წინაშე ყველა თანაბარია.

როგორც ცნობილია, თანამედროვე საერთაშორისო სამართლში ბატონობს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად ყველა სახელმწიფოს ერთნაირი უფლებები და მოვალეობები აქვს. აქედან გამომდინარე, არც ერთ ძლიერ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, სუსტს თავს მოახვიოს თავისი ბატონობა ან პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩააყენოს საკუთარი თავი. საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკიდან ცნობილია, რომ იურიდიული თანასწორობა სულაც არ ნიშანავს სახელმწიფოთა პოლიტიკურ თანასწორობას. საერთაშორისო სისტემაში შეიძლება გაბატონდეს ერთი რომელიმე სახელმწიფო, ან სახელმწიფოთა ბლოკი, რომლებსაც შეუძლიათ არა მხოლოდ თავს მოახვიონ მთელ სისტემას თამაშის წესები, არამედ გამოიწვიონ მასში გარკვეული სერიოზული ცვლილებებიც.

საერთაშორისო ურთიერთობები თავისი ხასიათის მიხედვით იყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, იდეოლოგიურ, კულტურულ და სამხედრო სფეროებად. პოლიტიკური ურთიერთობები განისაზღვრება, როგორც საერთაშორისო არჯნაზე სახელმწიფოებს შორის ისეთი ურთიერთობები, რომლის დროსაც ხორციელდება მათი ინტერესები. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც არსებობს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში, წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის საგანს, მათ შორის საგარეო პოლიტიკისას. იგი ვლინდება მისი განხორცი-

ელების მექანიზმების შემუშავების პროცესში. ამავე დროს იძენს პოლიტიკურ ხასიათს და ყალიბდება სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ ურთიერთობებში. ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, იდეოლოგიური, კულტურული და სამხედრო ურთიერთობებიც ასევე ზემოქმედებენ საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებზე. ისინი მათი ფორმირების და რეალიზაციის სხვადასხვა საშუალებებით თავისებურ ნიუანსებს აძლევს ამ პროცესს.

ამრიგად, საერთაშორისო სისტემა მოიცავს იმ მოქმედ პირებს-სახელმწიფოებს, რომელთა ქმედებები და საპასუხო ნაბიჯები საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას ანგარიშგასაწევია დანარჩენებისათვის, რადგან საერთაშორისო სისტემა ის ასპარეზია, რომლის ჩარჩოებში ხორციელდება სახელმწიფოთა ურთიერთშეფასება და ურთიერთდამოკიდებული გადაწყვეტილებების მიღება.

ნებისმიერი შიდასახელმწიფოებრივი მოვლენა იმდენად წარმოადგენს სახელმწიფოთაშორის პოლიტიკური ურთიერთობის ობიექტს, რამდენადაც იგი შეესაბამება, ან პასუხობს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ინტერესებს. იგი აისახება საგარეო პოლიტიკურ მიზანსა და მოქმედებებს.

საერთაშორისო სისტემის ძირითად მონაწილეებს შორის ურთიერთობების განსაზღვრული ხასიათი თავსდება ისტორიული განვითარების გარკვეულ ნაწილში. თითოეულ ისტორიულ პერიოდში ეს ურთიერთობები იძენს განსაკუთრებული სტრუქტურის სახეს, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების ანუ საერთაშორისო სისტემის ამა თუ იმ ტიპს.

საერთოდ მიღებული განმარტებით, საერთაშორისო სისტემა არის მსოფლიო სახელმწიფოებს შორის არსებული დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც მოქცეულია გარკვეულ ურთიერთობათა წესების ჩარჩოში. არსებობს ურთიერთობების ექსპლიციტური (პირდაპირი) და იმპლიციტური (კონტექსტუალური) წესები. მათში მოიაზრება ისეთი საკითხები, როგორიცაა, სისტემაში გაწევრიანება, წევრების უფლებები და მოვალეობები და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთაშორისო სისტემა

არის წესების, ნორმებისა და პროცედურების ნაკრები, რის საფუძველზეც ხდება აქტორების მისწრაფებების თანხედრა კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში. საერთაშორისო სისტემაში ჩართულ მხარეებს აქვთ მსგავსი იდეები იმის შესახებ, თუ რა წესებით შეიძლება დარეგულირდეს მათი ერთობლივი მონაწილეობა სისტემაში. თითოეული მათგანი დარწმუნებულია, რომ მონაწილეები მსგავსი წესებით მოქმედებენ. ზოგადად სისტემის შესახებ წარმოდგენა დაკავშირებულია ცნებებთან: ელემენტი, მთლიანობა, სტრუქტურა, კავშირი, იერარქია, ქვესისტემა.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, საერთაშორისო სისტემას სამი თავისებურება ახასიათებს. პირველი, იგი შედგება არა ერთნაირი, „არატოლფასოვანი” ერთეულებისაგან. მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სისტემის შემადგენელი ელემენტები რეგულარულ ურთიერთქმედებაში იმყოფებიან. მესამე თავისებურება მდგომარეობს ამ სისტემის „მართვის” ხასიათში. ეს უკანასკნელი მით უფრო საინტერესოა, ვინაიდან ანარქიულ საერთაშორისო სისტემას და მაშასადამე, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს ახასიათებს წესრიგის საგმარდ მაღალი „დონე” და სისტემა თვითონ „აკონტროლებს” სახელმწიფოთა ქმედებებს უზენაესი მმართველი ორგანოს არარსებობის პირობებში.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სტრუქტურა განსაკუთრებული სქემაა, რომელიც მისი ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესში კანონზომიერად წარმოქმნილი კავშირის საშუალებაა მასში შემაგად სახელმწიფოებსა და სხვა აქტორებს შორის. შესაბამისად, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა ავლენს მის ელემენტებს შორის იმ კავშირებს, რომლებიც უზრუნველყოფს მის სტაბილურობას. ეს კი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სისტემის შემადგენელი ელემენტები ურთიერთდამოკიდებულნი არიან და ფუნქციონირებენ ურთიერთქმედების მეშვეობით. რაც უფრო დიდია ურთიერთდამოკიდებულება, მით უფრო მეტია და ინტენსიურია თანამშრომლობა. ამ შემთხვევაში, სისტემა კიდევ უფრო რთული ხდება, ხოლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იდენტური სისტემაში არსებული კა-

ვშიორების და მოცემულ ისტორიულ პერიოდში ზესახელმწიფო-  
ებს შორის ურთიერთობების ხასიათი.

XX ს-ის მეორე ნახევარში, სარაკეტო-ბირთვული იარაღის  
შექმნის და რეალურ, გლობალურ მასშტაბებამდე საერთაშორი-  
სო ურთიერთობების სისტემის გაფართოებასთან ერთად, საკუთ-  
რივ სისტემის სტრუქტურა განისაზღვრება ზესახელმწიფოების  
არსებული რაოდენობის და მათ შორის ძალთა ურთიერთგავლე-  
ნის მიხედვით. ეს კი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საე-  
რთაშორისო სისტემაში ყოველთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტო-  
რია ძალის და გავლენის განაწილება ცალკეულ სახელმწიფოე-  
ბს, ან მათ კოალიციებს შორის.

საერთაშორისო სისტემაში გაბატონებული, უძლიერესი სა-  
ხელმწიფოები განსაზღვრავენ სისტემის იერარქიულობასა და  
მის შემადგენელ ნაწილებს (სახელმწიფოებს) შორის ურთიერ-  
თობათა ხასიათს. საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა ყოვე-  
ლთვის ოლიგოპოლიური (მცირე პოლუსური) ხასიათისაა. ხოლო  
ყოველ მოცემულ პერიოდში წამყვანი მონაწილეები უფრო მე-  
ტად განსაზღვრავენ სისტემის ხასიათს, ვიდრე თავად სისტემა –  
მათ ქმედებებს. ხოლო საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყო-  
ფად, სისტემაში გაბატონებული სახელმწიფოები ცდილობენ  
მასზე კონტროლი დაამყარონ და შეინარჩუნონ.

პოლიტიკურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ გამოყოფენ საერ-  
თაშორისო სისტემის სტრუქტურის ორ ტიპს – მულტიპოლარუ-  
ლსა და ბიპოლარულს. თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემ-  
დეგ მსოფლიო გახდა პოლალურიც. მისი კლასიფიკაციის საფუ-  
ძველია ამ სტრუქტურაში ზესახელმწიფოების რაოდენობა. სა-  
ერთაშორისო ურთიერთობის სისტემამ დიდი ხანია მიიღო საყო-  
ველთაო, გლობალური ხასიათი, რომელიც აერთიანებს ასობით  
სახელმწიფოს და არც თუ მცირერიცხოვან არასახელმწიფოებ-  
რივ აქტორებს; მასში საფუძვლიანად გამოყოფენ „ქვესისტემებს“  
რეგიონალურ და ლოკალურ დონეებზე. თითოეულ ახალ ქვესის-  
ტემას აქვს საკუთრი სტრუქტურა, რომელიც მთლიანობაში და-  
მოკიდებულია საერთაშორისო ურთიერთობების იმ სისტემაზე,

რომელთანაც მას უხდება ფუნქციონირება. ქვესისტემას, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებლ კომპლექსს, აქვს ორი ურთიერთდაკავშირებული მხარე: საკუთრივ ქვესისტემური და საერთო სისტემური.

ქვესისტემური ურთიერთობების მხარე ხასიათდება მასში შემავალ სახელმწიფოებს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების მაღალი ხარისხის განვითარებითა და მათი საგარეო პოლიტიკის დეტერმინირებით (განსაზღვრებით).

საერთო სისტემურმა ურთიერთობებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის კურსზე. კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის გლობალურ სისტემად გარდაქმნასთან ერთად, ძლიერდება ქვესისტემების ურთიერთობების ფუნქციონალური დამოკიდებულება საერთო სისტემურ ურთიერთობებთან, ანუ გლობალურ დონეზე იგი გავლენას ახდენს ძალთა ურთიერთობებსა და შესაბამისად, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების ხასიათზე.

როგორც ნებისმიერი სხვა სისტემის, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემური ფუნქციონირების ძირითად კანონად გვევლინება დინამიური თანასწორობის დაცვის კანონი.

სახელმწიფოებს, როგორც საერთაშორისო სისტემის ძირითად აქტორებს შორის არსებული პოლიტიკური წონასწორობა წარმოადგენს მთავარ წინაპირობას სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. საერთოდ კი, სისტემა ყოველთვის იმყოფება დინამიკურ (ჭინაგანი მოძრაობით გამოწვეულ) წონასწორობაში, რადგანაც იგი სახელმწიფოებს შორის მუდმივად ირღვევა, შემდეგ კი აღდევება ახალ საფუძველზე, რომ ისევ დაირღვეს და ასე გრძელდება დაუსრულებდად. ეს ხდება იმიტომ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მოქმედებს სხვადასხვა კონფლიქტური ძალები, რომლებიც მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში უთანაბრდებიან ერთმანეთს. საერთაშორისო ურთიერთობების ის სისტემები, რომლებიც დღემდე არსებობდნენ, ეკუთვნის სტიქიურად მარეგულირებული მექანიზმების სისტემის კლასს. ეს განპირობებულია იმით, რომ დღემდე არსებულ

ნებისმიერ საერთაშორისო სისტემაში არ არსებობს ერთიანი მარეგულირებელი ცენტრი.

სისტემის თანასწორობა მიიღწევა სახელმწიფოების პოლიტიკური შეჯახების შედეგად. იგი დევნის იმ სუბიექტების ინტერესებს, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა სხვა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ მიზნებს. ამ შეჯახების არეანაზე გზას იკაფავს დინამიკური თანასწორობის კანონი.

კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, საერთაშორისო სისტემის დინამიკური თანასწორობის კანონი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით. ისტორიულად, ყოველთვის ბევრად უფრო გავრცელებული იყო ძალთა ბალანსის ფორმა. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ძალის ბალანსი საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ერთ-ერთი უნივერსალური კანონზომიერებაა. „ძალები” შეიძლება იყოს მხოლოდ სისტემური ურთიერთობების კატეგორია, რომელიც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ძალთა ურთიერთობები. ძალთა ურთიერთობები კი, ქმნის საერთაშორისო პოლიტიკის ისეთ აუცილებელ ფენომენს, როგორიცაა ძალის ბალანსი.

ძალის ბალანსის პრინციპი, როგორც საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოების მოქმედების დაუწერებლი კანონი, სათავეს იღებს ქველი ეპოქებიდან, როცა, ჯერ კიდევ, სახელმწიფოები ჩაბმული იყვნენ ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვებისათვის ბრძიოლაში. მათ შორის ურთიერთობები მაშინაც აგებული იყო ძალის ბალანსის პრინციპზე. ნებისმიერი სახელმწიფო, თუკი ის არ აწყდებოდა არანაირ წინააღმდეგობას, ბუნებრივია, მიისწოდომა თავისი გავლენის გაფართოებისათვის ვრცელ ტერიტორიებზე. რის შედეგადაც ის ახერხებდა მის დაპყრობასა და მართვას. წინააღმდეგობა აუცილებლად არსებობდა და ეს, უპირველის ყოვლისა, მეორე სახელმწიფო იყო, რომელიც ასევე მიისწოდოდა თავისი გავლენა გაევრცელებინა სხვებზე. ყოველივე ეს კი ქმნიდა სხვადასხვა ინტერესების და მისწრაფებების შეჯახებას, რომელშიც გადამწყვეტ როლს სახელმწიფოთა ძალები თამაშობდა.

რადგანაც სახელმწიფოს სიდიდე შედარებითია, ნებისმიერი ერთი სახელმწიფოს ძალის გაზრდას მივყავართ მისი მოწინააღმდეგე ძალების შესუსტებისაკენ. თვით ძალა არაკანონზომიერად იცვლება დროის სივრცეში, ხოლო ცვლილება დამოკიდებულია ბევრ მიზეზე. ამ მიზეზების მიხედვით, თითოეულ სისტემაში სახელმწიფოები აუცილებლად აყალიბებენ ურთიერთობებს ძალის ბალანსის პრინციპის მოქმედების ჩარჩოებში. თუკი სამი სახელმწიფო მჭიდროდ დაუკავშირდება ერთმანეთს, იმთავითვე შეიქმნება პირობები ამ პრინციპის მოქმედებისათვის.

მკვლევარები ძალთა ბალანსის არსს შემდეგნაირად გამოხატავენ: წარმოვიდგინოთ, რომ არის სამი სახელმწიფოსაგან – A, B, C შემდგარი სისტემა. ერთ-ერთი მათგანის გაძლიერებას აუცილებლად ექნება გავლენა დანარჩენ სახელმწიფოების ძალების მდგომარეობაზე. მაგალითად, A სახელმწიფო დაიპყრობს B სახელმწიფოს ან მხოლოდ მისი ტერიტორიის ნაწილს, მაშინ ამ მოქმედებას იმთავითვე ექნება არასასურველი გავლენა C სახელმწიფოზე. ვინაიდან A სახელმწიფომ თავისი ძალა გაზარდა B სახელმწიფოს ხარჯზე და იმყოფება კარგ მდგომარეობაში, ვიდრე ადრე თუკი C სახელმწიფოს ხელმძღვანელობა ჭკვიანია, მან აუცილებლად უნდა განტკრიტოს და დახმარება გაუწიოს B სახელმწიფოს, არა იმიტომ, რომ მის მიმართ სიმპატიებს განიცდის, ან ზრუნავს მის მომავალზე, არამედ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუშვას მისთვის საშიში A სახელმწიფოს ძალის გაძლიერება. შექმნილ ვითარებაში B და C სახელმწიფოების საერთო ინტერესები წინააღმდეგობაშია A სახელმწიფოსთან, რადგან თითოეული მათგანი ათვითცნობიერებს, რომ A სახელმწიფოს ძალის გაძლიერება ქმნის პოტენციურ საფრთხეს მათი არსებობისა და დამოუკავშირდობისათვის.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოების ამ პიპოთებური სისტემის თითოეული ერთეულიდან ორი მაინც უნდა დაუახლოვდეს ერთმანეთს, თუკი მესამე სახელმწიფოდან საფრთხის ნიშნები გაჩნდება. თუ ამ პრინციპს დაიცავს კველა სამივე სახელმიფო, მაშინ ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს ზიანი

მიაყენოს ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, თავისი ელემენტა-რული ფორმით, ძალა ბალანსი განკუთვნილია არა მხოლოდ იმისათვის, რომ შენარჩუნდეს მშვიდობა, ან ხელი შეუწყოს საერთო შორისო ურთიერთაგაგებას, არამედ ის ასევე ემსახურება დაიცვას თითოეული ერთეულის დამოუკიდებლობა სახელმწიფოთა სისტემაში, არ დაუშვას რომელიმე მათგანის ძალის გაძლიერება იმ დონეზე, რომ მან საფრთხე შეუქმნას სხვებს.

ამრიგად, ძალა ბალანსი გულისხმობს ძალა გაერთიანებით ომის თავიდან აცილებასა და სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებას.

ძალის ბალანსის სისტემაში ძირითადი მოქმედი პირები ეროვნული სახელმწიფოებია. მათ აქვთ ფართო სამსახურო და ეკონომიკური შესაძლებლობები. ამ სისტემაში ანუ ანარქიულ საერთო შორისო გარემოში, რომელშიც არ არსებობს როლების დიფერენციაცია, სუვერენული სახელმწიფოები ცდილობენ მაქსიმალური ძლიერების მიღწევას. მაგრამ, თუკი სისტემაში მოიაზრება ხუთ სახელმწიფოზე ნაკლები, მაშინ სისტემა შეიძლება არამდგრადი აღმოჩნდეს. ხოლო, თუკი არის ხუთი ან მეტი ასეთი სახელმწიფო, მაშინ ისინი იხენენ დაინტერესებას, რომ არ დაუშვან სხვა სახელმწიფოების მოშორება-დაკარგვა, როგორც სისტემის ძირითადი აქტორებისა; ცდილობენ შეინარჩუნონ ისინი, როგორც მომავალი მოკავშირეები. თითოეული აქტორი მიისწრაფვის მაქსიმალურად უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება სისტემაში ფართო შესაძლებლობების მოპოვების გზით. აქედან გამომდინარე, ისინი ქმნიან კავშირებს ან აწარმოებენ ომებს. მაგრამ ამ ომებს აქვს ლოკალური ხასიათი, ხოლო კავშირები სწარაფად იცვლება. შექმნილი კოალიცია იმთავითვე მიმართულია იმ აქტორის (აქტორების) წინააღმდეგ, რომელსაც აქვს პრეტენზია სხვებზე ბატონობისა ან უპირატესობის მოპოვებისა, რაც მას მიანიჭებს გაბატონებულ მდგომარეობას სისტემაში. ამგვარი სისტემა არსებობდა XVII–XIX საუკუნეებში. ძალა ბალანსის სისტემა მოქმედებს თანამედროვე საერთო შორისო ურთიერთობებშიც.

საერთაშორისო სიტუაცია და პოლიტიკური  
თავისებურებები ევროპაში XVI საუკუნესა და XVII  
საუკუნის დამდეგს

2.1. ევროპის პოლიტიკური რუკა XVI საუკუნეში

ახალი ისტორიის პერიოდს კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებული აღგილი უჭირავს. ეს სახელწოდება საგენებით შეესაბამება იმ ახალ ტენდენციებს, რომლებიც ამ დროს განვითარდა ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში. ფაქტობრივად, ამ ცვლილებებმა განსაზღვრა მსოფლიოს შემდგომი განვითარების სახეც.

XVI საუკუნე არის განსაკუთრებული ძვრების პერიოდი, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა შემდეგი ეპოქის ევროპის განვითარება.

სწორედ ამ პერიოდიდან, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის და ურთიერთობების კუთხით მომზადდა ნიადაგი სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის. ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით, აღნიშვნული პერიოდი ჯერ კიდევ არის დინასტიური დიპლომატიის საუკუნე. ამ დრომდე არ არსებობდა სახელმწიფოთა შორის მკვეთრად გამიჯნული საზღვრები. ხოლო ევროპის პოლიტიკურ ერთეულებს შორის მიმდინარეობდა კონფესიური წინააღმდეგობა.

ახალ პერიოდში, სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების წინაპირობებად მოგვევლინა ის საშინაო და საგარეო ცვლილებები, რომელსაც აღგილი პქონდა ევროპის კონტინენტზე. უპირველესად, ეს პროცესები დაკავშირებული იყო კაპიტალიზმის განვითარებასთან, რომელიც ევროპაში დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროიდან იყო შესამჩნევი.

მე-15 საუკუნეში ნაოსნობის განვითარებას მოჰყვა ევროპული იმპერიალიზმის ჩამოყალიბება. გემქბის საშუალებით შესაძლებელი გახდა დიდი ოდენობის ტყიროის გადაზიდვა და მგზავრთა გადაყვანა შორეულ ქვეყნებში. პორტუგალია იყო პირველი ქვეყანა, საიდანაც დაიწყო მსოფლიოს სხვა ქვეყნების აღმოჩენების ეპოქა. მოგვიანებით მსგავსი ინიციატივებით ასპარეზზე გამოვიდნენ ესპანეთი, ბრიტანეთი და საფრანგეთი. თავისი ძლიერი სამხედრო შეიარაღების წყალობით ევროპელებმა დაიმორჩილეს ოკეანის სანაპირო ზოლში განლაგებული ქალაქები და თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ძირითადი სავაჭრო მარშრუტები. ეტაპობრივად ევროპელების ექსპანსია გავრცელდა ლათინური ამერიკის, მოგვიანებით კი ჩრდილოეთ ამერიკის, აზიისა და აფრიკის ტერიტორიაზე.

მე-16 საუკუნეში ესპანეთმა ცენტრალური ამერიკის, ხოლო პორტუგალიამ ბრაზილიის ტერიტორია თავისი იმპერიის ფარგლებში მოაქცია. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა კოლონიები მოიპოვეს ჩრდილოეთ ამერიკასა და კარიბის ზღვის კუნძულებზე. კოლონიებში მოპოვებულ სიმდიდრეებს ევროპის მონარქები ჯარისა და სახელმწიფოს გასაძლიერებლად იყენებდნენ.

ახალი სამყაროს, ინდოეთისაკენ მიმავალი ახალი საზღვაო გზის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ახალი მიწების აღმოჩენამ და სამყაროს გარშემო მოგზაურობებმა არა მარტო ჩამოაყალიბებს ევროპელების წარმოდგენა მთლიანად მსოფლიოზე, არამედ განაპირობებს ევროპული სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესების შეცვლაც. ერთი მხრივ, დაიწყო ევროპის, როგორც ერთი მთლიანი პოლიტიკური ორგანიზმის ფორმირება, რომელიც ცივილიზაციური განვითარების კუთხით წინააღმდეგობაში მოდიოდა დანარჩენ მსოფლიოსთან, ხოლო, მეორე მხრივ, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა სტიმული მისცა აქტიურ საერთაშორისო და ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობებს. მთლიანობაში კი ეს ხელს უწეობდა მსოფლიო მასშტაბით საქონლის ბაზრის გაფართოვების შესაძლებლობას. პროცესების ამგვარი განვითარება, კიდევ უფრო ააქტიურებდა კონტინენტთა

შორის ურთიერთობების, რაც აახლოებდა ევროპას ამერიკასთან, აზიასა და აფრიკასთან.

ევროპის კონტინენტზე მოხდა ქვეყნების შიდა პოლიტიკური კონსოლიდაცია, რომელებიც თანაბათანობით გარდაიქმნენ ცენტრალიზებულ ფეოდალურ-აბსოლუტურ მონარქიებად. ასეთი სახელმწიფოები საქმაოდ დიდხანს, ნიდერლანდების და ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციების შემდეგაც კი, განაგრძობდნენ არსებობას ევროპის კონტინენტზე; მცირე სასენიორებს შორის ფეოდალური ომების შეწყვეტის კვალდაკვალ, რომლებიც დაემორჩილენ ძლიერ სამეფო ხელისუფლებას, შეიქმნა შედარებით მტკიცე შიდა წესრიგი. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობდა ქვეყნების შემდგომ ეკონომიკურ, კერძოდ კი, კაპიტალისტურ განვითრებას.

მართალია, აბსოლუტური მონარქია, როგორც ცენტრალიზებული და ძლიერი სახელმწიფო, დარჩა თავის აზნაურულ-კლასობრივი წარმომავლობის საწყისებზე, თუმცა, მაინც უნარიანად შეძლო თავი დაედწია წინა ეპოქების ფეოდალურ-ყაჩაღური ფუნქციისაგან (მემკვიდრეობისაგან) და დაეცვა მისი ქვეშევრდომების საგარეო პოლიტიკური ინტერესები. სახელმწიფო ხელისუფლებამ ახალ ეპოქაში ბურჟუაზია აღიქვა როგორც წესრიგის საკრდენი და კეთილდღეობის საფუძველი სახელმწიფოში.

ევროპელი ხალხის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, კულტურულ სფეროებში განხორციელებულმა XVI საუკუნის კარდინალურმა ცვლილებებმა საერთაშორისო ურთიერთობები და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ხასიათითა და არსით გარდაქმნა.

როგორც ცნობილია, ევროპა XV საუკუნის დასასრულისათვის, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ახალ სტადიაში შევიდა. საბოლოოდ, ამ დროისათვის ჩამოყალიბდა დიდი სახელმწიფოები: ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, პოლონეთი, ავსტრია (პაპსტურგების სახლის სამემკვიდრო მიწები), რომლებიც წინათ შედიოდნენ გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის საზღვრებში. ასევე თურქეთი, არც ისე დიდი

სკანდინავიური ქვეყნები – დანია, შვეცია და ნორვეგია, დასავლეთი გერმანიული მცირე სათავადოები, იტალიის ქალაქ-სახელმწიფოები და ევროპის მცირე სახელმწიფოები ავსტრიენს კონტინენტის პოლიტიკურ რუკას. ევროპის აღმოსავლეთით თანაბრძაოს აძლიერებდა პოზიციებს მოსკოვის სახელმწიფო, რომელიც ევროპის პოლიტიკურ არენაზე გამოვიდა XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ დროიდან მან დაასრულა პოლიტიკური გაერთიანება და ჩამოყალიბდა ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ, ხოლო შემდეგ – აბსოლუტურ მონარქიად.

ამრიგად, ევროპის კონტინენტზე რამდენიმე ძლიერი და პატარა სახელმწიფო არსებობდა. ყველა ეს სახელმწიფო თავის აქტიური თუ პასიური მოქმედებებით, საკუთარი ინტერესების შესაბამისად ევროპის კონტინენტზე ქმნიდა საერთო პოლიტიკურ კლიმატს XVI–XVIII საუკუნეებში.

2.2. საერთაშორისო ურთიერთობების პერიოდიზაცია XVI–XVIII საუკუნეებში და ევროპის სახელმწიფოების ძირითადი საგარეო პოლიტიკური კურსი

ევროპაში, XVI–XVIII საუკუნეებში, საერთაშორისო წინააღმდეგობის სამი ძირითადი კერა არსებობდა. აღნიშნული კონფლიქტური კვანძები ყოველ წელს შეიძლება გამხდარიყო დიდი ომის მიზეზი.

პირველი, XVI–XVIII ს-ში დასავლეთ ევროპაში ერთმანეთს დაეჯახა კონტინეტის დიდი სახელმწიფოების ესპანეთის, საფრანგეთის, ინგლისის და პოლანდიის (XVII ს-დან) საგაჭრო-კოლონიური ინტერესები.

მეორე, XVI საუკუნეში, ევროპის სამხრეთ აღმოსავლეთ რეგიონში, წარმოიქმნა და საბოლოოდ, XVIII ს-ში, ჩამოყალიბდა ე.წ. „აღმოსავლეთის საკითხი” – ევროპის დიდ სახელმწიფოებს და თურქეთს; რუსეთს და თურქეთს შორის ურთიერთობების პოლიტიკა.

მესამე, ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რეგიონის დიდი სახელმწიფოები სამი საუკუნის მანძილზე აწარმოებდნენ სისხლისძვრელ ომებს ბალტიის ზღვაზე გაბატონებისათვის.

ევროპის საერთაშორისო ურთიერთობებში, დაპირისპირების ეს სამი კვანძი არა მარტო ენაცვლებოდა, არამედ გავლენასაც ახდენდა ერთმანეთზე. მთლიანობაში კი, ქმნიდნენ საქმაოდ მოულოდნელ და რთულ კომბინაციებს საერთაშორისო ურთიერთობებში.

XVI ს-ში, ამერიკის და ინდოეთის საზღვაო გზების გახსნის შემდეგ, დასავლეთის დიდი სახელმწიფოების წინაშე საკმაოდ მწვავე საკითხი წარმოიქმნა კოლონიების დაპყრობის დაზღვისიქთა სამფლობელოების გაფართოების შესახებ. ოუმცა, ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ ერთეულთა დაპირისპირებები ართეულებდა ბრძოლებს კოლონიებში. ხშირად, კონტინენტზე მიმდინარე კონფლიქტები სწორედაც რომ მწვავდებოდა დასავლეთის დიდი სახელმწიფოების კოლონიურ სამფლობელოებში მომხდარი ცვლილებების (გავლენის ახალი სფეროების მოპოვების) კავალდაკვალ.

XVI ს-ში, ყველაზე დიდი ევროპული კოლონიური სახელმწიფოები იყვნენ საფრანგეთი და ესპანეთი. ოუმცა, XVI ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება ინგლისის კოლონიური ძალის გაძლიერება. ამ პერიოდში მოხდა ნიდერლანდების რევოლუციაც და მათი აჯანყება ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ. XVI საუკუნის ბოლოსათვის, ევროპაში შეიქმნა ახალი, დამოუკიდებელი, პირები ბურგუზიული სახელმწიფო - შეერთებული პროვინციების რესპუბლიკა, რომელიც ისტორიაში პოლანდიის რესპუბლიკადაა ცნობილი.

უშუალოდ XVI ს-ში, საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი შინაარსი ევროპის კონტინენტზე იყო ესპანეთსა და საფრანგეთს შორის ბრძოლა ევროპის კონტინენტზე, ინგლისის და ესპანეთის წინააღმდეგობა ზღვაზე ბატონობისათვის. ამ ომების შედეგად დასუსტდა ესპანეთი. მისთვის დამდუპელი აღმოჩნდა ინგლისთან დაპირისპირება და განსაკუთრებით, ნიდერ-

ლანდების განმათავისუფლებელი ბრძოლა მის წინააღმდეგ. მადრიდის გავლენის შესუსტების კვალდაკვალ ევროპაში გაძლიერდა ინგლისი, საფრანგეთი და ჰოლანდია.

ევროპაში, XVII ს-ში, საფრანგეთი გახდა ყველაზე ძლიერი სახელმწიფო და გაუჩნდა კონტინენტზე პეგემონბის პრეტეზზია. ამ პერიოდში საფრანგეთი გადაიქცა დიდ კოლონიურ სახელმწიფოდ, ხოლო ინგლისში განხორციელდა ბურჟუაზიული რევოლუცია. ასევე, დაიწყო ბრძოლა ორ სახლვაო სახელმწიფოს – ინგლისსა და ჰოლანდიას შორის ზღვაზე ბატონობისათვის. ამ ბრძოლაში ინგლისმა მოიპოვა წარმატება. რეალურად, მას ევროპაში, მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგე – საფრანგეთი დარჩა. მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა მთელი XVIII ს-ის მანძილზე. მიუხედავად ამ კონფლიქტში საფრანგეთის დამარცხებისა, მან მაინც შეინარჩუნა ძლიერი სახელმწიფოს სტატუსი კონტინენტზე. თუმცა, მან დაკარგა თავის უკანისგადმა კოლონიური სამფლობელოების დიდი ნაწილი.

ამირგად, XVIII ს-ის ბოლოსათვის ინგლისი გახდა არა მხოლოდ პირველი კოლონიური და საზღვაო სახელმწიფო გვრთავაში, არამედ თანდათან გარდაიქმნა „მსოფლიოს მასტერად”, რომელიც აწარმოებდა საქონელს მთელი მსოფლიოსათვის.

ასეთი იყო საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი სტრუქტურა დასავლეთ ევროპაში XVI–XVIII საუკუნეებში.

მოცემულ პერიოდში სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია შეიძლება დავვორ შემდგა პერიოდებად:

პირველი, ესპანეთის ბატონობის პერიოდი ევროპაში, რომელმაც მთელი XVI ს. მოიცა. ეს იყო სისხლისმდვრელი რელიგიური ომების პერიოდიც, რომელშიც მადრიდის სასახლე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, როგორც ფეოდალურ-კათოლიკური რეაქციის საყრდენი. საქუთრივ დასავლეთ ევროპაში ეს არის ესპანეთ-საფრანგეთის დაპირისპირების და ბრძოლების პერიოდი.

მეორე, ევროპაში საფრანგეთის პეგემონეობის პერიოდია. მისი კულმინაციური მომენტია ვასტიფალის ზავი (1648) და მას-

თან დაკავშირებული ლუი XIV საგარეო პოლიტიკა. ეს ასევე იყო საფრანგეთსა და პოლანდის შორის დაძაბული ბრძოლის, ახალგაზრდა პოლანდის რესპუბლიკის და მისი წარმომადგენლების ბრწყინვალე დიპლომატიური მოქმედების, ინგლისის მნიშვნელოვანი გაძლიერების დრო. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ბურჟუაზიული რევოლუციის და ევროპაში მისი დიპლომატიის როლის გაძლიერების შემდეგ.

მესამე პერიოდი დაახლოებით ემთხვევა XVIII საუკუნეს, როცა ინგლისისა და საფრანგეთს შორის ბრძოლა კოლონიებისა და მსოფლიო პოლიტიკაში პირველი აღგილის მოპოვებისათვის კულმინაციურ წერტილს აღწევს.

აღმოსავლეთ ევროპაში, სწორედ ეს პერიოდი დაემთხვა საერთაშორისო ურთიერთობების მუდმივი მონაწილის სახით ახალგაზრდა რუსეთის იმპერიის გასვლას ასპარეზზე.

ზემოაღნიშვნულმა საერთაშორისო წინააღმდეგობებმა მკაფიო გამოხატულება პპოვეს XVII–XVIII საუკუნეების ოთხ მსხვილ საერთო ევროპულ ომში:

პირველი – ოცდაათწლიანი ომი (1618-1648);

მეორე – ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის (1701-1714);

მესამე – შვიდწლიანი ომი (1756-1763);

მეოთხე – რევოლუციური და ნაპოლეონის ომები (1791-1815), რომელიც ევროპაში მსხვილი და რადიკალური ცვლილებების მომტანი აღმოჩნდა.

### 2.3. საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუცია და თავისებურებები ახალ პერიოდში

XVII საუკუნის შუა ხანებში საერთაშორისო ურთიერთობები განიცდიდა თავისებურ ბიურკაციას (გაყოფას, განაწილებას). XVI ს-ის შუა ხანებში ჩამოყალიბებული პაბსბურგების სამოქმედო პრინციპი – *Cuius region, ejus religio*, რომლის თანახმად ქვეყანაში ბატონობს ის რწმენა, რომელსაც მხარს

უქერს მისი მმართველი – ამ დროიდან არსებით ტრანსფორმაციას განიცდის და ცვლის კონფესიური ფაქტორის როლს მსოფლიო პოლიტიკაში, თუმცა ჯერ კიდევ არ არის მომხდარი საერთაშორისო ურთიერთობების სრული სეკულარიზაცია.

სწორედ, საერთაშორისო პოლიტიკიდან რელიგიის ფაქტორის გამოყოფისაკენ მიღდეკილება გულისხმობს ბიფურკაციას. რელიგია ჯერ კიდევ რჩებოდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ასპექტად, და ეს კარგად გამოჩნდა ოცდათწლიანი ომის მოვლენების დროს.

ევროპის შუასაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, კონტინენტს, ევროპის მონარქების და, განსაკუთრებით, „გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის“ იმპერატორების სახით, ჰქონდა რომის პაპის ხელისუფლებისადმი დაპირისპირების ტენდენცია. ვინაიდან იმპერატორებს, პაპის ხელისუფლების მსაგვსად გააჩნდათ პრეტენზია მსოფლიო ოქონიაზიული მმართველობის სისტემის შექმნისა. ნიშანდობლივია, რომ გერმანიის პროტესტანტი მთავრების და ჩრდილოეთ ევროპის მონარქების ერთობლივი დაპირისპირება პაბსბურგების კათოლიკური უნივერსალიზმის სამეფო სახლის გერმანული წარმოშობის იმპერატორების ექსპლუატაციის წინააღმდეგ რელიგიური ნიშით თავისთავად, წარმოადგენდა ბრძოლის უკანასკნელ აქტის კონტინენტზე ბატონობისათვის.

იმპერატორი ფერდინანდ II, საკუთარ თავს სერიოზულად განიხილავდა როგორც „დმერთის წარმომადგენელს“. იგი ამ სულისკეთებით ხელმძღვანელობდა ჭეშმარიტ ჯვაროსნულ ლაშქრობას გერმანიის პროტესტანტულ ლოკებში, ვინაიდან კონტრრეფორმაციის განხორციელების საფუძველზე განზრახული პქონდა შეექმნა ევროპაში უნივერსალური კათოლიკური იმპერიის მსგავსი გაერთიანება.

კარდინალ რიშელიეს სახით ის შეეჯახა არა მარტო გაბედულ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, არამედ საგარეო პოლიტიკის ახალი პრინციპის შემოქმედსაც. საერთაშორისო ურთიერთობებში რელიგიურად შეფერილი უნივერსალიზმის

სანაცვლოდ შემოვიდა პრინციპი – *raison d'etat* – სახელმწიფო ინტერესები, რომლის არსიც მანამდე არსებული რელიგიური კრედოს გარდაქმნა იყო. ბევრი უკროპელი დიპლომატისა და სახელმწიფო მოღვაწისათვის ეს ახალი პრინციპი გახდა დოგმა და რწმენის სიმბოლო.

ქავლევართა აზრით, ოცდაათწლიანი ომის „ქურაში”, მოვლენების უშეულო მონაწილეების ნებისგან დამოუკიდებლად, შესაძლოა საბოლოოდ „გამოიჭედა” თანამედროვე სახელმწიფო ისეთი ატრიბუტებით, როგორიცაა შიდა და საგარეო სუვერენიტეტი, ბიუროკრატია, რეგულარული არმია, მკვეთრად გამიჯნული და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების არსებობა, ტერიტორიაზე ცენტრალიზირებული კონტროლი და ა.შ. სწორედ, XVIII–XIX სს. მანძილზე, სახელმწიფო, „ეროვნული სახელმწიფოს” ევოლუციური განვითარების, ანუ „ერი-სახელმწიფოს” ჩამოყალიბების შედეგად, საბოლოოდ, გახდა საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი სუბიექტი.

თუკი პაპს და საიმპერატორო ხელისუფლებას შორის, პოლიტიკურ სფეროში შუასაუკუნოვანი კონფლიქტი განპირობებული იყო აღტერნატიული ძალის ცენტრის არსებობის შექმნის შესაძლებლობით და ევროპული კონსტიტუციონალიზმის წარმოქმნით, მაშინ გვრთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დომინირებული ხელშეკრულების საფუძველი ჯერ კიდევ ფეოდალიზმის დროიდან ბევრი რამით ახდენდა გავლენას საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათზე. კერძოდ, ფეოდალური სახელმწიფო (ევროპის ნებიმიერი სახელმწიფო, ასევე იმპერია - რომის საღვთო იმპერია) თავისი არსით, თავისთვავად წარმოადგენდა სხვადასხვა სტატუსის და რანგის სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების რთულ სისტემას. რა თქმა უნდა, შესაბამისი ხელშეკრულების დახმარებით ხდებოდა ვასალიტეტოან ურთიერთობის რეგლამენტაციაც, რომელიც აფიქსირებდა ფეოდალური სამართლის სუბიექტებს (მონარქები, ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები, რაინდები, სასულიერო პირები, მოქალაქეები) შორის ურთიერთვალდებულებებს. იგი

ასევე განამტკიცებდა შესაბამის სავაჭრო და პოლიტიკურ უფლებებს და პრივილეგიებს. ვარაუდობენ, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს იმ თეორიის ფართოდ აღიარება, რომელიც მიიჩნევს ხელისუფლების „ხელშეკრულების პრინციპის“ საფუძველზე. ეს კი შესაძლებელი აღმოჩნდა ახალი ეპოქის გარიურავე, სწორედ ევროპაში და შემთხვევითაც არა. დომინირებული ხელშეკრულების არსებობამ, რომელიც ასახავდა საზოგადოებრივი ორგანიზმის გარევეულ საკითხებს, საფუძველი დაუდო საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებას. ამ უკანასკნელის ფარგლებში შესაძლებელი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმების მიღება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. სწორედ, XVII საუკუნეში, კოლონიებისათვის ბრძოლის და საერთაშორისო ვაჭრობაში მონოპოლიზმის მოპოვების გავლენით, საერთაშორისო სამართლის განვითარებამ მიიღო დამატებითი იმპულსი.

მოცემულ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის თავისებურება იყო საერთაშორისო ურთიერთობის მსოფლიო სისტემაში მისი ცალსახად ევროცენტრისტული მოწყობა. ეს არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების კველა ძირითადი მოვლენა მიმდინარეობდა ევროპაში. რა თქმა უნდა, არა: მაგალითად, ჩინეთში ამ დროს ხდებოდა დინასტიის შეცვლა (მინის იმპერიის დაცემა და ცინების მანჯურიული დინასტიის დამყარება) და იმპერიის ტერიტორიული გაფართოება. კერძოდ, XVII ს-ის დასახრულს და XVIII ს-ის პირველ ნახევარში იმპერიის საზღვრები მიიწევდა ამურამდე ჩრდილოეთის და თანამედროვე ყაზახეთის დასავლეთის მიმართულებით.

ინდოეთის ნახევარქუნძულზე კი პირიქით, XVIII ს. დასაწყისში ხდება დიდი მოგოლის იმპერიის დაცემა, რომელსაც მოპყვა საკმაოდ მძიმე პოლიტიკური შედეგები – შექმნილმა ვითარებამ ხელი შეუწყო ევროპელების შედწევას სუბკონტინენტზე და ა.შ. მაგრამ აღნიშნულ თავისებურებაში საქმე ეხება სხვა რამეს. კერძოდ, ამ პერიოდში, საერთაშორისო ურთიერთობების მსო-

ფლიო სისტემა მოქმედო არა როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ერთი მთლიანი ორგანიზმი, (რეგიონალური სისტემების გაერთიანების შედეგად, როგორც ეს შესაძლებელია რომ ყოფილიყო მოსალოდნელი), არამედ საერთაშორისო ურთიერთობების ევროპული სისტემის აქტიური ექსპანსიის სვლაში ევროპის კონტინენტის გარეთ.

ამრიგად, ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპები და პარამეტრები ჩამოყალიბებული იყო სწორედ XVII საუკუნის შუა ხანებში ეწ ვესტფალიის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფარგლებში.

საერთაშორისო ურთიერთობათა ვესტფალიის  
სისტემის ფორმირება. ოცდაათწლიანი ომი და მისი  
შედეგები

3.1. პაბსბურგების გაძლიერება და საერთაშორისო წინააღმდეგობების ზრდა ევროპაში XVII ს-ის დასაწყისისათვის

XVI–XVII სს. მიჯნაზე ევროპაში საერთაშორისო სიტუაცია მკვეთრად არამდგრადი იყო. იგი შეიცავდა საერთო ევროპული კონფლიქტის ნიშნებს. ევროპის ისეთი ქვეყნები, როგორიც გერმანია და იტალია, იყო კვლავ დანაწევრებული პოლიტიკური ერთეულების სახით რჩებოდნენ. ამგვარი მდგომარეობა ხელს უწყობდა იმ გარემოებას, რომ ისინი წარმოადგენდნენ შიდა და გარე ძალების ბრძოლის არენას.

ე.წ. „რომის საღვთო იმპერია” მისი რთული შემადგენლობით და სადაც საზღვრებით წარმოადგენდა მუდმივი კონფლიქტების კერას. გერმანელი თავადები ებრძოდნენ არა მარტო ერთმანეთს, არამედ ავსტრიის სათავადო სახლს – პაბსბურგჭბსაც. ეს უკანასკნელი უკავ XV საუკუნის ბოლოდან ფლობდნენ როგორც ზემო და ქვემო ავსტრიას და ტიროლს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სლავების მიწებს, ასევე მცირე ტერიტორიებს სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში (რომელიც გადაეცა ავსტრიას) და „ბურგუნდიის მემკვიდრეობას”, ე.ი. საკუთრივ ბურგუნდიას და ნიდერლანდებს.

XV საუკუნის შუასანებიდან აგსტრიელ პაბსბურგებს უცხლელად ირჩევდნენ იმპერიის ტახტზე. საიმპერატორო სასახლე მუდმივად ცდილობდა თავისი გავლენის გავრცელებას სხვა მონათესავე სათავადოებზე, რომ დაქვემდებარებაში მოქმიდი მრავალრიცხვანი მცირე „იმპერიული ჩინები” – პერცოლები, გრაფები, აზნაურები და იმპერიული ქალაქები – მათი სამხედ-

რო და ფინანსური საშუალებების გამოყენების მიზნით, რაც მუდმივი ქიშპობის მიზეზი იყო „იმპერიაში”.

ევროპაში ჰაბსბურგების გაძლიერება საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ მეზობელ ხალხებს, არამედ კონტინენტზე მაშინ არსებულ ეროვნულ სახელმწიფოებსაც. ჰაბსბურგების დამპყრობლური საფრთხე განსაკუთრებით გაიზარდა XVI საუკუნეში, როცა მოხდა ავსტრიული და ესპანური ჰაბსბურგების გვირგვნების გაერთიანება. 1526 წელს მათ დაიქვემდებარეს ჩეხეთი და უნგრეთი.

ორი სამეფო ტახტის გაერთიანება დიდხანს არ გაგრძელებულა. კარლ V გადადგომის შემდეგ, 1556 წელს მისი დიდი სამფლობელო გაიყო ჰაბსბურგების ესპანურ და ავსტრიულ შტოებს შორის. რევოლუციის შედეგად ნიდერლანდებში, სადაც შეიქმნა ბურუჟაზიული რესპუბლიკა ესპანეთმა დაკარგა ბატონობა ამ ტერიტორიაზე.

საკუთრივ იმპერიის შიგნით ჰაბსბურგების დამპყრობლური მისწრაფებები, მათ წინააღმდეგ აძლიერებდა სხვა მსხვილი, როგორც პროტესტანტული, ისე კათოლიკური სათავადოების ბრძოლას. ჰაბსბურგებთან წინააღმდეგობაში იყენებ არა მხოლოდ საქსონიის საერცოგო, ბრანდერბურგის მარკგრაფი და სხვა პროტესტანტული თავადები, არამედ მსხვილი კათოლიკური თავადებიც, უპირველესად, ბავარიის ჰერცოგი.

აღნიშნული წინააღმდეგობების მიუხედავად, ჰაბსბურგები იმედოვნებდნენ, რომ ისინი შემდებდნენ მათი მოწინააღმდეგების პრეტენზიებს ადგვეთას. ამ საქმეში მათ ევროპის ქვეყნების რეაქციული ძალების იმედი ჰქონდათ. კერძოდ, ჰაბსბურგები შეეცადნენ გამოეყენებინათ პოლიტიკური რეაქცია, რომელიც იმპერიაში დაიწყო გლეხთა დიდი ომის დამარცხების შემდეგ და XVI ს-ის 40-იან წლებში პროტესტანტების წინააღმდეგ დაიწყეს კონტრრეფორმაცია საკუთარი პოზიციების გაძლიერებისათვის.

საკუთრივ „იმპერიაში“ არსებული დაპირისპირებებისა, თვით ავსტრიელი და ესპანელი ჰაბსბურგებიც ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს ევროპაში თავიანთი აგრესიული პოლი-

ტიკის გატარებასა და პოლიტიკური ბატონობის მოპოვებისაკენ სწრაფვაში.

მაღრიდის სასახლის მიერ იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაპყრობამ ავსტრიელი ჰაბსბურგების უკმაყოფილება გამოიწვია. იტალიის გარდა, ორივე შტოს ინტერესები ერთმანეთს დაეჯახა სამხრეთ გერმანიაში. თუმცა, ამ წინააღმდეგობებისა, XVI ს-ის მეორე ნახევარსა და XVII ს-ის დამდეგს, ევროპაში შექმნილი ვითარება ორივე სასახლეს აიძულებდა ერთობლივად გამოსულიყვნებ საერთო საფრთხეების წინააღმდეგ.

ესპანეთის ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ „იმპერიაში” ავსტრიელ ჰაბსბურგების გამარჯვება და კათოლიკური რეაქცია გერმანიში, განსაკურებით კი რეინის ოლქში, შექმნიდა სასურველ პირობებს მაღრიდის მიზნების განხორციელებისათვის, რაც ხელს შეუწყობდა ნიდერლანდების დამორჩილებას - ჩრდილოთ პროვინციების ბურჟუაზიული რესპუბლიკა. ეს უკანასკნელი იძულებულით ცნო, ჯერ კიდევ, 1606 წლის დროებითი საზავო ხელშეკრულების საფუძველზე. სხვათაშორის, ამ პერიოდში შემუშავდა სხვადასხვა დინასტიური კომბინაციები ორი ჰაბსბურგული სახლის შეერთებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ესპანეთ-ავსტრიის ერთობლივი მოქმედების პერსპექტივამ, შეა და ქვემო რეინზე და გერმანიაში კათოლიკური რეაქციის გაძლიერებამ გადაფარა საფრანგეთან ჰაბსბურგების კონფლიქტის წინაპირობებიც კი. პენრი IV ატარებდა „ძველი გერმანული თავისუფლების დაცვის” პოლიტიკას, კი. ის უველანირად ცდილობდა გერმანიის პოლიტიკური დაჭუცმაცებულობის შენარჩუნებას და მხარს უჭერდა იმ შიდა ბრძოლებს, რომელიც მიმდინარეობდა გერმანიაში პროტესტანტულ და კათოლიკურ სათავადოებს შორის.

ჰაბსბურგებისაგნ განსხვავებით, საფრანგეთის პოლიტიკა მიმართული იყო არ დაეშვა ავსტრიის ჰაბსბურგების გაძლიერება გერმანიაში. ვერსალის სასახლისათვის არასასურველი იყო დანაწევრებული იტალიის დიდ ნაწილში ესპანეთის ბატონობის დამყარება XVI ს-ის შეა ხანებიდან, კი. იმ ტერიტორიაზე,

რომელიც აკავშირებდა ავსტრიის და ესპანეთის სამფლობელობს. ამ კუთხით მდგომარეობა კიდევ უფრო საორქოფოს ხდიდა სავოის საერცოგოს პოზიციას. ეს უკანასკნელი, ერთ-ერთი დამოუკიდებელი იტალიური სახელმწიფო იყო, რომელიც მერყეობდა საფრანგეთსა და ესპანეთს შორის ორიენტაციის არჩევანში და იჭერდა მხოლოდ მისთვის მომგებიან პოზიციას.

### 3.2. ევროპის სახელმწიფოების პოზიციები ოცდაათწლიანი მინის წინ

#### 3.2.1. საფრანგეთი

ავსტრიელი და ესპანელი ჰაბსბურგების გეგმების განხორციელება გერმანიაში, იტალიასა და ნიდერლანდებში არა მხოლოდ ხელს შეუმლიდა და შეაფერხებდა საფრანგეთის ტერიტორიულ გაფართოებას სამხრეთით პირენეიმდე და აღმოსავლეთით რეინამდე, არამედ მას შეუქმნიდა ალყის საფრთხეს. მოვლენების ასეთი სქემით განვითარება მნიშვნელოვნად განამტკიცებდა მისი მოქიშავების – ვენის და მადრიდის სასახლეების სტრატეგიულ და ეკონომიკურ პოზიციებს რეგიონში.

საფრანგეთის მეფე ანრი IV ენერგიულად მოემზადა ომისათვის ჰაბსბურგებთან. ის შეეცადა დაერწმუნებინა პროტესტანტი გერმანელი თავადები იმაში, რომ მათი სახელმწიფო ინტერესი მოითხოვდა კავშირი დაედოთ საფრანგეთთან საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. თავისი სიკვდილის წინ ანრი IV შეძლო ორგანიზება გაეკეთებინა გერმანელი თავადების კოალიციისათვის, რომელთან ერთადაც ის მოემზადა ჰაბსბურგებთან ომის დასაწყებად.

ჰაბსბურგებთან მომავალ ბრძოლისათვის მზადება, საფრანგეთის მთავრობის მიერ ჯერ კიდევ XVI ს-ში ფრანსუა I დე ვალუა დროს მიმდინარეობდა. ამ საკითხზე პარიზი მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა. მომავალ კონფლიქტში მნიშვნელოვანი იქნა.

ებოდა თურქეთის პოზიცია, ვინაიდან პაბსბურგებსა და ვენეციას შორის ბრძოლები. ეს უკანასკნელები კი საფრანგეთის მტრები იყვნენ. მოლაპარაკების შედეგად, 1535 წელს მხარეებს შორის დაიდო საკავშირო ხელშეკრულება. შეთანხმების საფუძველზე ფრანგულმა მხარემ სულთანისაგან მიიღო კ.წ. კაპიტულაცია, რომელიც საფრანგეთს აძლევდა რიგ სავაჭრო შედაგათებს თურქეთში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსით ეს იყო ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის სამხედრო კავშირის შესახებ. საფრანგეთმა აიღო ვალდებულება მხარი დაქვირა თურქეთისათვის არა მხოლოდ კარლ V (პაბსბურგი), არამედ ვენეციის რესპუბლიკასთან ბრძოლაში. ეს უკანასკნელნი მუდმივად ებრძოდნენ თურქეთს.

საფრანგეთ-თურქეთის ხელშეკრულება დადასტურებულ იქნა ანრი IV მიერაც, რომელიც მას განიხილავდა როგორც ბრძოლის იარაღს იმპერატორსა და ესპანეთის მეფესთან. ამგვარ პოლიტიკას ინარჩუნებდა საფრანგეთის მთავრობა ანრი IV სიკვდილის შემდეგაც.

ამრიგად, ვერსალის სასახლე პაბსბურგებთან მოსალოდნელი კონფლიქტისათვის მზადებას ინტენსიურად ახორციელებდა.

### 3.2.2 ინგლისი

პაბსბურგების გაძლიერების საფრთხემ, რომელიც კათოლიკური რეაქციის მთავარი დასაყრდენი იყო ნიდერლანდებსა და ქვემო რეინის გერმანულ მიწებზე, თითქმის ყველა იმ სახელმწიფოს შეშფოთება გამოიწვია, რომლებიც დაინტრობებული იყვნენ ჩრდილოეთ ზღვებში სავაჭრო გზების დაუფლებით. ინგლისის მთავრობას არ შეეძლო მშვიდად ყოფილიყო ჩრდილოეთ ზღვების სანაპიროზე პაბსბურგების შესაძლო განმტკიცებით წარმოქმნილი საშიშროების წინაშე. ლონდონი დაინტერესებული იყო იმით, რომ ესპანეთის და აგსტრიის ძალების დაწოლა შეჩერებულიყო ნიდერლანდებსა და ქვემო რეინში. ამავე დროს, ინგლისის გაბატონებულ წრეებს და მთავრობას,

რომლებიც თავიანთ პოლიტიკურ დასაყრდენად ინგლისურ ეკლესიას მიიჩნევდნენ, არ შეეძლოთ სრული სოლიდარობით ემოქმედათ ანტიპაპსბურგული პროტესტანტული ლიგის სახელმწიფოებთან მით უფრო, რომ ქვეყანაში მოქმედი რევოლუციური პოლიტიკური ოპოზიცია მხარს უჭერდა კალვინიზმს. საფრანგეთის მეტისმეტი გაძლიერება, რომელიც დაინტერესებული იყო აღმოსავლეთის მიმართულებით პოზიციების განმტკიცებით, ასევე წინააღმდეგობაში მოდიდოდა ინგლისის სავაჭრო ინტერესებთან, მით უფრო, რომ XVI საუკუნის ბოლოს პარიზმა მიიღო უფლება თავისი გემებისათვის შესულიყვნენ თურქეთის პორტები საკუთარი დროშებით.

ამრიგად, ინგლისის პოზიცია ოცდაათწლიანი ომის წინ ისევე, როგორც ომის პირველ ეტაპზე, იყო მერყევი და გადაუწყვეტებელი. თუმცა ლონდონი მოვლენების განვითარებას ელოდებოდა.

### 3.2.3. დანია და შვეცია

გერმანიის ტერიტორიაზე მომწიფებულ კონფლიქტთან დაკავშირებით, ჩრდილოეთ ევროპის სხვა სახელმწიფოების პოზიცია ბევრად გარკვეული იყო. დანია, პოლიტიკურად და კონომიკურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩრდილოეთ გერმანიასთნ, ხოლო დანიის მეფე იმავდროულად იყო გოლშტინის ჰერცოგი და ამრიგად, წარმოადგენდა „რომის საღვთო იმპერიის“ ერთ-ერთ თავადს.

უნდა ითქვას, რომ დანიას პერსპექტივაშიც კი არ შეეძლო წარმოედგინა ჩრდილოეთ გერმანიაში პაპსბურგების ბატონობის დამყარება. პანზას დაცემის პირობებში, დანია საკუთარ თავს მიიჩნევდა მემკვიდრედ საშუალავლო ვაჭრობაში დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიონებს შორის, რომელიც ესაზღვრებოდა ჩრდილოეთის საზღვაო გზებს.

რაც შეეხება შვეციას, მისი მეფე გუსტავ II ადოლფი, რუსეთთან 1617 წლის სტოლბოვის ზაფის დადგების შემდეგ, ცდი-

ლობდა ბალტიის ზღვის აუზში შემდგომ დაპყრობებს, რომელიც უზრუნველყოფდა შვეციის სრულ ბატონობას რეგიონში.

მართალია, შვეცია და დანია ურთიერთშორის მუდმივად ქიშპობდნენ, რისი მიზეზიც ხშირად იყო მათი მისწრაფება ჩრდილოეთის საზღვაო გზებზე გაბატონებისა, მაგრამ ორივე ეს სახელმწიფო კარგად ხედავდა მათვის ყველაზე დიდ საშორებას ესპანელი და ავსტრიელი ჰაბსბურგების მზარდი ექსპანსიის მხრიდან.

### 3.2.4. რუსეთი

რუსეთისათვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა 1617 წლის სტოლბოვის ზავის პირობები. იგი იძულებული იყო კარგა ხნით უარი ეთქვა ბალტიისპირეთში საკუთარი ინტერესების განხორციელებაზე. ამ მიმართულებით განცდილი წარუმატებლობის მიუხედავად, მოსკოვმა თავისი საგარეო პოლიტიკის უპირველეს ამოცანად, მაშინ, ჩათვალა პოლონეთის ინტერვენციის შედეგების სრული ლიკვიდაცია. ეს არ იყო შემთხვევითი. ვინაიდან, ჰაბსბურგების მიერ პოლონეთი, ყოველთვის განიხილებოდა როგორც ავანბოსტი აღმოსავლეთ ევროპაში საკუთარი ინტერესების გატარებისათვის. ევროპაში მოახლოებული გლობალური კონფლიქტის ფონზე რუსეთს უნდა ეზრუნა საკუთარ უსაფრთხოებაზე. მით უფრო, რომ ავსტრია და ესპანეთი, პოლონეთს რუსეთში ინტერვენციის დროს დახმარებას ხშირად უწევდნენ არა მარტო ფულით, არამედ ლიანდსკენებებითაც\*.

რუსეთში, პოლონეთის ინტერვენციის შედეგების ლიკვიდაციის კვალდაკვალ, შეუძლებელია არ გაეთვალისწინებინათ რუსეთის მთავრობასთან უშუალოდ არ დაკავშირებული მზარდი კონფლიქტი ევროპაში. რუსეთი სერიოზულად ემზადებოდა პოლონეთთან ბრძოლისათვის. ასეთ შემთხვევაში რუსეთი გამო-

\* ლანდსკენებტი - [გერმ.Lansknecht]-დასავლეთ ევროპაში (მე-15-17 სს.): დაქირავებული ჯარისკაცი

ვიდოდა როგორც დიდი ძალა ეკროპაში, რომლის ფაქტორი შეუძლებელი იყო არ გაეთვალისწინებინა ეკროპის ორივე დაჯგუფების დიდ სახელმწიფოებს.

მოახლოებულ ოცდაათწლიან ომში რუსეთის მთავრობის პოლიტიკას განსაზღვრავდა მისი დაინტერესება, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვება მოეპოვებინა ანტიპაპსბურგულ ლიგას ვინაიდან, ესპანეთ-პაპსბურგების ბანაკის გამარჯვება წააქეზებდა შლიახტებურ პოლონეთს რუსეთის წინააღმდეგ ახალი აგრესიული ქმედებების განხორციელებისკენ. უფრო მეტიც, რუსული მიწებისათვის შეიქმნებოდა უშუალო საფრთხე გაერთიანებული ესპანეთ-პაპსბურგების-პოლონეთის ძალების მხრიდან.

1617-1618 წწ. პოლონეთის წარუმატებელმა გაჭრამ მოსკოვისკენ შებოჭა რუსეთის ძალები და შეასუსტა მისი პოზიციები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში შვეციასთან ომში.

აღნიშნულმა საგარეო საფრთხეებმა მოჟღლ რიგ შიდა ფაქტორებთან ერთად, იძულებული გახდა რუსეთის მთავრობა წასულიყო შვეციასთან სტოლბოვის მძიმე საზავო პირობებზე.

ამრიგად, ეკროპაში მოახლოებული სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი რუსეთს სჭირდებოდა თავისი პოზიციების გასამყარებლად დასავლეთის მიმართულებით, რათა გადაეწყვიტა პოლონეთის საკითხო.

### 3.2.5. ავსტრია

ავსტრიამ, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკროპაში გაძლიერდა თურქების თავდასხმის საფრთხის პირობებში და წარმოადგენდა მრავალეროვნულ სახელმწიფოს, „იმპერიის” შემადგენლობაში განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა. ავსტრიის ერცჰერცოგი პაპსბურგები იყვნენ ყველაზე გავლენიანი თავადები იმპერიაში. ისინი დაკავშირებული იყვნენ ესპანეთის პაპსბურგებთან. მათ ერთი წუთითაც არ დავიწყებიათ თავიანთი გეგმა „მსოფლიო”, პაპსბურგული მონარქიის შექმნაზე და ამ მიზ-

ნის განხორციელებისათვის ისინი ყოველთვის გამოიყენებდნენ მათ ხელში მყოფ იმპერატორის გვირგვინს.

ავსტრიის ჰაბსბურგების ეს გეგმა, იმპერიის როგორც პრო-ტესტანტი, ასევე კათოლიკური ბანაკის თავადების უკმაყოფი-ლებას იწვევდა, რაც მთლიანობაში მათდამი დაპირისპირებას განაპირობებდა. ასეთ ფონზე, მათ საკუთარ საგვარეულოშიც კი ვერ შეძლეს სასახლის პოლიტიკური ოპოზიციის ლიკვიდაცია და უფრო მეტიც, სლავების და უნგრელების წინააღმდეგობების დაძლევაც კი.

ამრიგად, მოახლოებული ომი ჰაბსბურგებისათვის იყო მთავ-არი მიზნის განხორციელების შესაძლებლობა - ევროპაში შე-ქმნათ ერთიანი კათოლიკური მონარქია.

### 3.2.6. თურქეთი

XVI ს-ის მეორე ნახევარში თურქეთი იმყოფებოდა თავისი ძლიერების ზენიტში. დაპყრობითი ომების შედეგად, დასავლე-თით მისმა საზღვრებმა მიაღწია ვენეციის რესპუბლიკის სამ-ფლობელომდე, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ეგეოსის ზღვაზე, ხოლო აღმოსავლეთით ბაღდადის სახალიფოს და კაფ-ჯასის რეგიონის ჩათვლით. თურქეთმა ასევე მოახერხა განემტ-კიცებინა თავისი უმაღლესი უფლება ტრანსილვანიაზე, მოლდა-ვეთის და ვლახეთის სათავადოებზე.

მართალია, ლეპანთან ბრძოლაში 1571 წელს, თურქეთის ფლოტმა სასტიკი მარცხი განიცადა ესპანეთ-ვენეციის ფლო-ტთან, მაგრამ სტამბოლმა, მარცხის მიუხედავად, მოახერხა კვიპროსის დაპყრობა და ვენეციისათვის სამხედრო კონტრიბუ-ციის გადახდის დაკისრება. ამის შემდეგ, სულ მაღვე, თურქებმა თავიანთი სამფლობელო გააფართოვეს ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც ესპანელებს ტუნისი წაართვეს.

ამრიგად, თურქეთი მოახლოებულ ევროპულ ომში იმთავი-თვე ანტიპაბსბურგულ პოზიციას დაიჭერდა.

ევროპაში პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობის კუთხით  
არსებული ვითარება, გარევეულ გავლენას ახდენდა მახლობელ  
აზიასა და ამიერკავკასიაში ძალთა ურთიერთდამოკიდებულე-  
ბაზე, კერძოდ, ირან-თურქეთის ურთიერთობაზე.

XVII ს-ის დამდგეს სეფიანებმა დაიპყრეს მთელი რიგი  
ტერიტორიები ირანსა და კავკასიაში. მიუხედავად ამისა, XVII ს-ის პირველ ნახევარშიც, თურქეთი კვლავ რჩებოდა საშიშ მო-  
წინააღმდეგებ მის მეზობლად. სწორედ, ამ კუთხით მას თავ-  
ისებურად ხელს უწყობდა ევროპაში არსებული მდგომარეობა.  
საქმე იმაში გახსდათ, რომ ევროპაში მომწიფებული კონფლიქ-  
ტი ორ მტრულად განწყობილ ბანაკს შორის, აძლიერებდა კონ-  
ტინენტის საქმეებში თურქეთის როლს. საფრანგეთმა მიაღწია  
იმას, რომ სულთანი მისი მოკავშირე ყოფილიყო. ვერსალის  
სასახლისათვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო  
პაბსბურგებთან დაპირისპირების პირობებში. თურქებთან ურთი-  
ერთობის განმტკიცებაზე ასევე ზრუნავდა ინგლისის ხელისუ-  
ფლებაც.

ოცდაათწლიანი ომის პირველსავე წლებში თურქეთის სულ-  
თნის კარზე რიგრიგობით ჩადიოდნენ ევროპის სახელმწიფოთა  
ელჩები. საფრანგეთის და პოლანდის, ინგლისის და ვენეციის,  
რუსეთის და პოლონეთის წარმომადგენელები ურთიერთშორის  
აწარმოებდნენ დიპლომატიურ ბრძოლებს კონსტანტინეპოლიში  
თურქეთის მთავრობის პოზიციაზე გავლენის მოხდენისათვის.

თურქები კი, თავის მხრივ, მიიჩნევდნენ, რომ ევროპაში გარ-  
თულებული პოლიტიკური და მასთან დაკავშირებული რელიგიუ-  
რი წინააღმდეგობები დაასუსტებდა პაბსბურგებს და შეარყევდა  
ავსტრიის პოზიციებს. ეს უკანასნელი იმ დროს ევროპაში ითვ-  
ლებოდა „ქრისტიანობის ფორპოსტად“ თურქების წინააღმდეგ  
ბრძოლაში. ასეთ ვითარებაში თურქებს იმედი გაუჩნდათ, რომ  
ევროპაში გართულებული სიტუაცია მათ შანსს მისცემდა, რო-  
გორც სეფიანებთან, ასევე პაბსბურგებთან ბრძოლაში. სწორედ,  
ამ გარემოებების გათვალისწინებით, მურად IV დროს (1623-1640),  
თურქებმა ადადგინეს სამხედრო მოქმედებები ვენეციის და

ირანის წინააღმდეგ. ირანთან ომის შედეგად თურქებმა დაიბრუნეს XVII ს-ის დასაწყისში დაკარგული ტერიტორიები.

ასეთი იყო ევროპის ძირითადი სახელმწიფოების მისწარაფებები მოახლოებული საერთო ევროპული ომის წინ.

### 3.3. ოცდაათწლიანი ომი და ვესტფალიის ზავი

ოცდაათწლიანი ომი იყო პირველი საერთო ევროპული მასშტაბის შეიარაღებული დაპირისპირება ევროპის კონტინენტზე.

პრაქტიკულად, აღნიშნული მრავალწლიანი ომი გახდა წამყვანი ფაქტორი ეველა ევროპული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსისა და პრიორიტეტების განსაზღვრაში.

კონფლიქტში ანტიპაბსბურგული ან პროპაბსბურგული ბლოკების სამხედრო წარმატებებს, მათ ტაქტიკას და სტრატეგიას განსაზღვრავდა და განაპირობებდა თითოეული მისი მონაწილის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგრმარეობა. ადსანიშნავია, რომ სამხედრო მოქმედებები ძირითადად, მიმდინარეობდა დაქირავებული არმიით, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა სახელმწიფო საზინის გამოყენებას ქვეყნის ამოცანის გადაწყვეტისათვის, მათ შორის საკუთარი საზღვრებიდან მოშორებითაც.

ზოგადად, ოცდაათწლიან მეში ერთმანეთს დაეჯახა ევროპის განვითარების ორი პოლიტიკური ხაზი. პირველი, შეუასაუკუნოვანი პოლიტიკური ტრადიცია, რომელიც დატვირთებული იყო ავსტრიელი და ესპანელი ჰაბსბურგების პოლიტიკასთან და გულისხმობდა ერთიანი საერთო ევროპული ქრისტიანული მონარქიის შექმნას, სადაც ცნება „სახელმწიფო“ და „ეროვნული ინტერესი“ არაფრით არ თავსდება. პოლიტიკური განვითარების მეორე პრინციპი დაკავშირებული იყო ინგლისთან, საფრანგეთთან, ჰოლანდიასთან და შვეიცარიასთან. იგი გულისხმობდა ეროვნულ საფუძველზე ძლიერი სახელმწიფოების შექმნას. აღნიშნულ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებში, გარდა საფრანგეთისა, აღიარებული იყო პროტესტანტული აღმსარებლობა.

ასევე განსხვავდულად მიმდინარეობდა დაპირისპირებული ბლოკების ექონომიკური განვითარებაც. ანტიპაპსბურგულ ბლოკში შედიოდა ქვეყნები, სადაც ფართოვდებოდა კაპიტალისტური წყობა.

გერმანიაში, ოცდაათწლიანი ომის დაწყებას წინ უსწრებდა შიდა ბრძოლები. 1608-1614 წწ. აქ კონფესიურ პრინციპზე გერმანული სათავადოების ორი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი წარმოქმნა – ევანგელისტური უნია და კათოლიკური ლიგა. თითოეული მხარე საგარეო მხარდაჭერას ღებულობდა ცალკეული ევროპული სახელმწიფოებისაგან.

საგარეო პოლიტიკური ძალების ჩარევა გერმანიის პოლიტიკური ერთეულების შიდა საქმეებში იმდენად დიდი იყო, რომ აქ წარმოქმნილი ნებისმიერი სამხედრო კონფლიქტი, ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაუარესების პირობებში, შეიძლება გადაქცეულიყო საერთაშორისო მასშტაბის ომად. რეალურად, ეს ასეც მოხდა ევროპაში ოცდაათწლიანო ომის დაწყებით. ამ კონფლიქტმა გერმანია გადააქცია სამხედრო მოქმედებების არენად.

დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში მთავარი წინააღმდეგობის კერა, ძირითადად იყო საფრანგეთსა და ესპანელ და ავსტრიელ ჰაბსბურგებს შორის დაპირისპირება. როგორც ჰაბსბურგები, ასევე საფრანგეთი, რომელიც კარდინალ რიშელიეს მმართველობის დროს გადაიქცა ძლიერ სახელმწიფოდ, ერთმანეთს ექიმებოდნენ ევროპულ პოლიტიკაში ლიდერობისათვის.

ასეთ პირობებში, საფრანგეთი დაინტერესებული იყო შეენარჩუნებინა ჰაბსბურგთა იმპერიის გაყოფა და არ დაეშვა ორი ჰაბსბურგული მონარქიის გაერთიანება. გარდა ამისა, ვერსალის სასახლეს ტერიტორიული ინტერესები ჰქონდა ელზასში, ლოტარენგიაში, სამხედრო ნიდერლანდებში, ჩრდილოეთ იტალიასა და ესპანეთის სასაზღვრო ტერიტორიებთან. ადნიშნული მიწები კი ჰაბსბურგების გავლენის სფეროები იყო.

სახელმწიფო ონტერესებიდან გამომდინარე, საფრანგეთი შზად იყო მხარი დაქვირა ევანგელისტური უნისათვის, მიუხედავად მათ შორის კონფესიური სხვაობისა.

შეერთებული პროვინციების რესპუბლიკამ ევანგელისტურ ლიგაში დაინახა ბუნებრივი მოკავშირე პაბსბურგების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დანია და შვეცია ცდილობდნენ კონკურენციისაგან დაეცვათ საკუთარი თავი ჩრდილოეთის გზებზე.

ინგლისი მუდამ ებრძოდა ესპანეთს ზღვებზე და მისთვის ანტიპაბსბურგული პოლიტიკა ბუნებრივი იყო, მაგრამ ლონდონი საგარეო ვაჭრობაში კონკურენციას უწევდა ანტიპაბსბურგული კოალიციის ქვეყნებსაც.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნების კონკრეტული ინტერესები და საერთო მისწრაფება, აღმავეთათ პაბსბურგების პეგემონისტური მიზნები, განსაზღვრავდა თითოეული მათგანის მონაწილეობას ომში მის სხვადასხვა პეროდში.

ოცდაათწლიანი ომის მიმდინარეობაში გამოიყოფა ოთხი პერიოდი: ჩეხური (1618-1623), დანიური (1625-1629), შვედური (1630-1635) და ფრანგულ-შვედური (1635-1648). პირველ სამ პერიოდში უპირატესობა აღმოჩნდა პაბსბურგების ბლოკის მხარეზე. თუმცა საბოლოოდ, ომი დასრულდა მისი და მისი მოკავშირეების დამარცხებით.

დაპირისპირებული მხარეების დაუძლეურებამ, მებრძოლი მხარეების გამოფიტვამ, არმიის საჭირო სასიცოცხლო მოთხოვნილებებით უზრუნველყოფის პრობლემებმა და ბოლოს, საკუთრივ მებრძოლ ქვეყნებში სოციალური მდგომარეობის გაუარესებამ აიძულა დაპირისპირებული ბლოკები ზავი დაედოთ.

1638 წელს, ომის შეწყვეტის წინადადებით გამოვიდა რომის პაპი და დანიის მეფე. 1640 წლის შემოღვამაზე საზავო მოლაპარაკებების იდეას მხარი დაუჭირა რეისსტაგმაც, რომელიც შეიკრიბა რეგენსბურგში.

მოწოდებების მიუხედავად, მხოლოდ 1644 წელს ვესტფალში, ქალაქ მიუნისტერში, გაიხსნა სამშვიდობო კონგრესი, რომელზეც

განიხილეს საფრანგეთსა და იმპერიას შორის ურთიერთობის საკითხი. ხოლო ვესტფალიის მეორე ქალაქში – ოსნაბრიუკში, 1645 წელს დაიწყო განხილვა შვედურ-გერმანული ურთიერთობებისა.

იმპერიას, ესპანეთს, შვეციას და საფრანგეთს მოლაპარაკებებზე წარმოადგენდნენ იმ ეპოქის დიდი დიპლომატები.

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებები წარმოებდა ომის მიმდინარეობის ფონზე. ამ გარემოების გათვალისწინებით, ავსტრიელი დიპლომატები შევნებულად აჭიანურებდნენ პროცესს იმ იმედით, რომ საფრანგეთში გართულდებოდა შიდა პოლიტიკური მდგრამარეობა და ზავის სასურველ პირობებზე შეთანხმდებოდნენ. მაგრამ მოწინააღმდეგე მხარე პირიქით ფიქრობდა. ანალოგიურად ისიც არ ჩქარობდა და ომის გაგრძელებით ცდილობდა ბევრად უფრო მომგებიან პირობებზე დაედო ზავი მოწინააღმდეგე მხარესთან.

ზავი, რომელიც 1648 წლის 24 ოქტომბერს, ერთდროულად ვესტფალიის ორ ქალაქში – მიუნისტერში და ოსნაბრიუკში დაიდო, ისტორიაში შევიდა როგორც ვესტფალიის ზავი<sup>1</sup>. მან არა მხოლოდ დააფიქსირა კონკრეტული ტერიტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი შეთანხმებები, არამედ დაასრულა ასწლოვანი კონფესიური წინააღმდეგობები ევროპაში და კონტინებზე ძალთა ახალი კონფიგურაცია მოახდინა.

ზავი შეეხო ევროპაში ტერიტორიული ცვლილებების, გერმანიის იმპერიის პოლიტიკური მოწყობის, მის ტერიტორიაზე აღმსარებლობის, საერთაშორისო სამართლით პოლანდიის და შვეციის დამოუკიდებლობის განმტკიცების საკითხებს.

ტერიტორიული პრობლემები შემდგენარიად გადაწყდა. კველაზე მეტად დაკმაყოფილებულ იქნა შვეციის პრეტეზიები. მან მიიღო პომერანიის დასავლეთი მხარე და აღმოსავლეთის ნაწილი.

<sup>1</sup> Peace Treaty between the Holy Roman Emperor and the King of France and their respective Allies (ხელშეკრულების სრული ტექსტი ინგლისურ ენაზე იხ. საიტზე [http://avalon.law.yale.edu/17th\\_century/westphal.asp](http://avalon.law.yale.edu/17th_century/westphal.asp))

ლი საპორტო ქალაქ შტეტინომთან ერთად; კუნძული რიუგენი და ბოლინი; ქალაქი ვისმარი და ვეზერის ორი საეპისკოპოსო – ბრემენის და ვერდენის, რომლებიც გადავიდა საერო მფლობელობაში. ძველი პანზაის ქალაქი, რომელიც გადაეცა შვეციას, შეინარჩუნებდა თავისუფლებას. მაშასადამე, შვეციამ მიიღო მნიშვნელოვანი ნავსაყუდელი ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვების სანაპიროზე.

ამრიგად, მთლიანობაში შვეციის მიერ მიღწეული იქნა დასახული მიზანი - ბალტის ზღვაზე აბსოლუტური ბატონობა. მან, ასევე მიიღო დიდი ფულადი კონტრიბუცია და გაზარდა თავისი საერთაშორისო სტატუსი. ყოველივე ამის შედეგად, იგი გარდაიქმნა ევროპის დიდ და ძლიერ სახელმწიფოდ.

არც ისე დიდი იყო საფრანგეთის ტერიტორიული მონაპოვარი იმპერიასთან დადებული შეთანხმების მიხედვით. მან მიიღო ელზასი, ქ. სტრასბურგი, ზუნდგაის და პაგენის გამოკლებით, ასევე იურიდიულად დაუმტკიცდა უფლება ლოტარენგის სამ საეპისკოპოზე: მეცაზე, ტულასა და ვერდენზე, რომლებიც მას, ჯერ კიდევ, გადაეცა იტალიური ომების შედეგად 1559 წელს დადებული კატო-კამბრეის ზავით. ამის გარდა, ათი იმპერიული ქალაქი მოექცა საფრანგეთის მზრუნველობის ქვეშ.

ტერიტორიული შენაძენის სიმცირის მიუხედავად, მთლიანობაში, ვერსალის სასახლის ინტერიერის შესაბამისად, მოეწყო ამ ომის საერთო პოლიტიკური შედეგებიც. პირველ რიგში, აქ ადსანიშნავია გერმანიის იმპერიის პოლიტიკური პრესტიჟის დაცემა, მისი ტერიტორიული დანაწევრების შენარჩუნება და უკონომიკური დაჭვებითება-განადგურება. მთლიანობაში კი მიაღწია პაბსბურგების დასუსტებას. უნდა ითქვას, რომ ვესტაფლიის ზავის დადების მომენტისათვის საფრანგეთი ებრძოდა ესპანეთსაც.

ტერიტორიული ცვლილებები განიცადა ზოგიერთმა გერმანულმა სათავადომაც. ასე მაგალითად, ბრანდერბურგის კურფურტისტმა მიიღო აღმოსავლეთ პომერანია, მაგდებურსკის საარქიეპისკოპოს შეერთების უფლება მოქმედი ეპისკოპოსის სიკლვილის შემდეგ, ასევე გალბერშტადტის, კამინის, მინდენის საეპი-

სკოპოსოები. ამის შედეგად ბრანდენბურგი გახდა ერთ-ერთი გავლენიანი გერმანული სათავადო. ასევე გაიზარდა მისი ოლიო ევროპის ჩრდილოეთ რეგიონის საერთაშორისო პოლიტიკაში და ის გახდა როგორც იმპერიის, ასევე შვეციის პოტენციური ოპონენტი. მისი ასეთი გაძლიერება პასუხობდა საფრანგეთის ინტერესებს, რომლის დიპლომატიამაც უკელავერი გააქვთა საკითხის ამგვარი გადაწყვეტისათვის.

მექლენბურგმა, თავის მხრივ, დაკარგული ტერიტორიების (რომლებიც შვეციას გადაეცა) საქომპენსაციოდ მიიღო მთელი რიგი საეპისკოპოსოები და მონასტრები. საქსონიამ დაიმტკიცა მისი უფლება ლუჟინის მიწებზე. ბავარიამ შეინარჩუნა ზემო პფ-ალიცი, რომელიც ომის მსვლელობის დროს შეიძინა, ხოლო მისმა თავადმა კი – კურფურსისტობა.

ვესტფალიის ზაფმა იურიდიულად განამტკიცა გერმანიის დანაწევრება კიდევ ორი საკუუნით. ოუმცა, ფაქტობრივად, უზრუნველყო გერმანული სათავადოების სუვერენიტეტი. მათ მიიღეს უფლება დაედოთ საერთაშორისო შეთანხმებები და კავშირები სხვა სახელმწიფოებთან. იმპერიის შემადგენლობაში ფორმალურად შევიდა შვეცია როგორც სუვენერული ერთეული, რომელმაც მიიღო რეიხსტაგში საკუთარი დეპუტატების გაგზავნის უფლება.

იმპერიის რიგ ქალაქებზე მეურვეობა საფრანგეთს უფლებას აძლევდა ჩარეულიყო მის საქმეებში. ხოლო თვით იმპერია დარჩა „იმპერიული ჩინების“ კონგლომერატად, რომელსაც სათავეში ჰყავდა არჩეული იმპერატორი და რეიხსტაგი.

გერმანიის ტერიტორიაზე, რელიგიურ სფეროში ვესტფალიის ზაფმა გაათანაბრა კალვინისტების უფლებები კათოლიკურსა და ლუთერანულ კონფესიათა უფლებებთან. კალვინიზმს მიეცა ოფიციალური აღმსარებლობის სტატუსი. ასევე მოხდა 1624 წლამდე სეკულარიზებული გალესის მიწების დაკანონება, თუმცა ახლის ჩამორთმევა აიკრძალა.

საერთაშორისო აღიარება მიიღო შეერთებული რესპუბლიკების პროვინციამ და შვეციარიის კავშირმა, რომელიც ოფიაცი-

ალურად გამოვიდა იმპერიის შემადგენლობიდან. და. მიუნსტერის ხელშეკრულებამ განსაზღვრა ამ უკანასკნელი სახელმწიფოების ტერიტორიაც. შეთანხმების თანახმად, შელდიის შესართავი დაიხურა საერთაშორისო ვაჭრობისათვის.

ესპანეთმა ვესტფალში მიმდინარე მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობაზე უარი თქვა. მან დადო შეერთებული პროვინციების რესუბლიკასთან ხელშეკრულება, სადაც აღიარა მისი დამოუკიდებლობა.

ესპანეთის ომი საფრანგეთთან, რომელიც დაიწყო ოცდაათწლიანი ომის მსვლელობისას, გაგრძელდა და დასრულდა 1659 წლის 7 ნოემბრის პირენეის საზაფო ხელშეკრულებით. ზავის საფუძველზე აღიარებული იქნა საფრანგეთის მიერ სამხრეთ ნიდერლანდებში მოპოვებული არტილერის პროვინცია და პირენეის საზღვარზე რუსილონი. თუმცა, თავის მხრივ, პარიზმა ვალდებულება აიღო არ დახმარებოდა მადრიდის სასახლის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლ პორტუგალიელებს. შეთანხმების საფუძველზე ასევე აღსდგა სავაჭრო ურთიერთობები ორ ქვეყნას შორის.

პირენეის ზავი, ასევე ეხებოდა ქორწინების წესის შესახებ შეთანხმებას საფრანგეთის მეფის ლუი XIV და ესპანეთის ტახტის მემკიდრეს მარია ტერეზას შორის. სხვათა შორის, ამგვარმა გარიგებამ, შემდეგ, ლუი XIV საფუძველი მისცა პრეტენზია განეცხადებინა ესპანეთის სამფლობელოებზე (ესპანეთის მემკიდრეობაზე).

ამრიგად, პირენეის ზავით გაიზარდა საფრანგეთის საზღვრები და ესპანეთის მხრიდან მოისპო თავდასხმის საფრთხის არსებობა. ვერსალის სასახლის გავლენა მთლიანობაში გააძლიერდა და პრეტენზია გაუჩნდა ევროპაში პეგემონობაზე.

ომი გერმანიისათვის ნამდვილი ტრაგედია აღმოჩნდა, განსაკუთრებით იმ ხალხისათვის, რომელიც დასახლებული იყო ტერიტორიაზე, რომელიც უშეალოდ იყო გადაქცევული საბრძლო მოქმედებების თვატრად. ომმა მოიტანა შიმშილი, გაჭირვება, მთელი რიგი რაიონების დაცარივლება. რამდენჯერმე შემცირდა

მოსახლეობის რაოდენობა (მაგალითად, ჩეხეთში სამჯერ, გერმანის ზოგიერთ რაიონში – ათჯერაც კი), განადგურებულ იქნა მატერიალური და კულტურული ფასეულობები, წარმოების დაცემაში მოიტანა ხანგრძლივი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი გერმანიაში.

საერთოდ კი, ამ ომის შედეგად მოგებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ანტიპაპსბურგული კოალიციის ქვეყნები. საფრანგეთისათვის ოცდაათწლიანი ომის და ესპანეთთან ომის მოგება იყო ევროპაში ჰეგემონობისათვის ბრძოლის დაწყების სტარტი. შვეცია გადაიქცა ევროპის ძლიერ სახელმწიფოდ და მისი პრიორიტეტები ჩრდილოეთ ევროპაში აშკარა გახდა. ესპანეთისაგან დამოუკიდებლობის მიღებამ შექმნა პოლანდიის ეკონომიკური განვითარების, კოლონიებისათვის ბრძოლის და მისი პოლიტიკური წონის პირობები ევროპის საქმეებში.

ოცდაათწლიანი ომის დასრულებისთანავე აშკარა იყო არა მარტო ერთი რომელიმე კონკრეტული მხარის აბსოლუტური გამარჯვება, არამედ სიტუაციიდან კომპლექსური ინტერესების დაკავშირების კველა მხარესთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, ესტოალის ზავი თავისთავში მოიცავდა კომპრომისების ელემენტებსაც.

ოცდაათწლიანი ომის შედეგებმა ბოლო მოუდო ევროპაში ჰაბსბურგების ჰეგემონობას. აშკარა იყო როგორც ერთიანი ზენაციონალური ქრისტიანულ-კათოლიკური მონარქიის შექმნის მცდელობის, ასევე ესპანეთის კათოლიკური დიქტატიის ქრახი. მაგრამ საპუთივ ავსტრიის მონარქიას და გერმანულ სათავადოებს არ წაუგიათ ეს ომი ვინაიდან, როგორც კათოლიკურმა, ასევე პროტესტანტულმა პოლიტიკურმა ერთეულებმა დაიმტკიცეს სრული სუვერენიტეტი.

ამრიგად, ოცდაათწლიანმა ომმა დაასრულა საუკუნოვანი მწვავე კონფესიური დაპირისპირება ევროპაში. რელიგიურმა ფაქტორმა შეწყვიტა თავისი არსებითი როლის თამაში საერთაშორისო ურთიერთობებში. თუმცა, XVII ს-ში ზოგიერთი ევროპული

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში ადგილი პქონდა რელიგიური მოტივით „დასაბუთებულ” რამდენიმე მოქმედებას.

მთლიანობაში, ოცდაათწლიანი ომის შედეგები ადასტურებდა ცენტრალიზირებული, ნაციონალური სახელმწიფოების (საფრანგეთი, ინგლისი, პოლანდია, შვეცია) პოლიტიკური აუვავების პერსპექტივას. მაგრამ ეროვნული სახელმწიფოების შექმნის მნიშვნელოვანი პრობლემა, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე კვლავ გადაუწყვეტელი დარჩა გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის ტერიტორიაზე.

ვესტფალის ზავმა სრულიად შეცვალა საგარეო პოლიტიკური სიტუაცია ევროპაში. მან შექმნა სრულიად განსხვავებული ძალთა ბალანსი, ჩამოაყალიბა სხვა პოლიტიკური პრიორიტეტები და ფასეულობები. მთლიანობაში, მან შემოიტანა საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძვლები ევროპული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში და განსაზღვრა მისი ხასიათი შემდეგ საუკუნეებში.

## ნაწილი II

საერთაშორისო ურთიერთობების ვესტიგალის სისტემა  
(XVII ს-ის 50-იანი წლები – XVIII-XIX სს. მიჯნა)

### თავი IV

საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მოთამაშები  
და მათი ქცევის სპეციფიკა მსოფლიო არენაზე

#### 4.1. ცვლილებები ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში

1648 წლის ვესტფალიის ზავი თავისთავად მოასწავებდა მნიშვნელოვან ეტაპს საერთაშორისო ურთიერთობების ევროლუციაში. XVII ს-ის შუა ხანებში საერთაშორისო ურთიერთობებში მომხდარი ტრანსფორმაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ წარმოიქმნა ურთიერთობების ის სისტემა, რომლის ძირითადი პრინციპები განაგრძობენ არსებობას და ფუნქციონირებას დღემდე, რა თქმა უნდა, არსებითი ცვლილებებით და რამდენადმე შესწორებული ვარიანტით.

საერთაშორისო ურთიერთობების წარმოქმნილი სისტემის მთავარი თავისებურება იყო მასში დომინირებული თანამედროვე „ეროვნული“ სახელმწიფოები (რომელიც ფლობდა სრულ სუვერენიტეტს, ადმინისტრაციული მმართველობის ერთიან მექანიზმს, მუდმივოქმედ პროცესიულ არმიას, ვებერის აზრით რაციონალურ ბიუროკრატიას, განსაზღვრულ და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს და ა.შ).

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი თავისებურება არის ის, რომ მოხდა საერთაშორისო ურთიერთობების თავისებური დეიდეოლოგიზაცია, ე.ი. კონფესიური ფაქტორის გაუქმება, როგორც პოლიტიკის (მათ შორის მსოფლიო) ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის. მნიშვნელოვანი სიახლე იყო საერთაშორისო ურთ-

იერთობებში მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელი ახალი ფენტმენის – ძალა ძალანის (ძალის წონასწორობა) თანდათანობით ჩამოყალიბება ბევრად უფრო ძლიერ ევროპულ სახელმწიფოებს და მათ კოალიციებს შორის.

რაც შეეხება სახელმწიფოს, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, მკელევართა აზრით, მაშინ ყველა აუცილებელი წინაპირობა იყო მისი წარმოქმნისათვის – სრულებით ჩამოყალიბდა ცენტრალიზებული, აბსოლუტური მონარქიული სახელმწიფოების სახით. ჩ. ტილმა, ე. გიდენსმა, ს. როკანმა პირდაპირ დააკავშირეს თანამედროვე ევროპული სახელმწიფოს წარმოქმნა სახელისუფლებო ურთიერთობების იმ ევოლუციასთან, რომელიც მოხდა კონტინენტზე.

ევროპაში აბსოლუტიზმის სტრუქტურის ფორმირებაშ შექმნა სრულიად ახალი საშინაო და საგარეო პოლიტიკური სიტუაცია. დაპირისპირება, პირველ რიგში სამხედრო, სახელმწიფო დინასტიებს შორის და ხელისუფლების სურვილი ამის გამო მობილიზება გაეკეთებინა აუცილებელი რესურსებისათვის, მონარქიულ რეჟიმებს უბიძებებდა მთელი რიგი ეკონომიკური და ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებას. ასეთი რეალობა თავისებურად უწეობდა ხელს თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებას მისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტებით.

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა, კესტფალიის ზავთან ერთად, საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც სახელმწიფო ცენტრისტული სისტემა. ეს ნიშნავდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი სუბიექტები ამ პერიოდიდან იყვნენ სუვერენული სახელმწიფოები. თითეული სახელმწიფო ფლობდა სრულ შიდა სუვერენიტეტს, დამოუკიდებლად განსაზღვრული მმართველობის საკუთარ ფორმას, შიდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის პრინციპებს, ჰქონდა საკუთარი დამოკიდებულება რელიგიური კონფესიებისადმი და ა.შ. და ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება – იგი არ ცნობდა საკუთარ თავზე სხვა რაიმე უმაღლეს ხელისუფლებას.

თანდათანობით სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობა გახდა საყოველთაოდ მიღებული პრინციპი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, რომელიც არეგულირებდა სახელმწიფოთა ურთიერთობებში მათ ქცევას დამოუკიდებლად მათი მმართველობის ფორმისა და კონფესიური აღმსარებლობისა. მოცემული პრინციპი თანდათანობით გარდაიქმნა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან ელემენტად.

თუმცა 1648 წლის ვესტფალიის ზავმა, რომელიც დაიდო ოცდაათწლიანი ომის დასრულებისას, ვერ მოახდინა ვეროპის პოლიტიკური რუკის ძირფესვიანი შეცვლა, მიუხედავად იმისა, რომ ვესტფალიის ზავით დაფიქსირებული იყო დრმა ძვრები მთელ საერთაშორისო ურთიერთობებში.

მართალია, წარუმატებლობა განიცადა ავსტრიელი და ესპანელი ჰაბსბურგების გეგმებმა, რომლის მიხედვით კონტრრეფორმაციის ჩალდის გამოყენებით იყო მორიგი მცდელობა რაღაც უნივერსალური მონარქიის შექმნისა მათი მეთაურობით და ასევე მოხდა საერთაშორისო ურთიერთობების თავისებური „დეიდეოლოგიზაცია”, ე.ი. რელიგია ველარ ითამაშებდა მთავარ და მნიშვნელოვან როლს პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობაში, და მაინც, ევროპის კონტინენტზე ნაციონალური სახელმწიფოების მოწყობის პრობლემა ბოლომდე არ გადაჭრილა.

ჯერ კიდევ 1555 წლის აუგსბურგის ზავმა\* დაადასტურა ევროპაში ახალი პრინციპი პოლიტიკურ და კონფესიურ საკითხებთან მიმართებით. მაგრამ მხოლოდ ვესტფალიის ზავის შემდეგ მოხდა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური მიზნებიდან იდეოლოგიური ამოცანების, რომელიც დაკავშირებული იყო

\* აუგსბურგის რელიგიური ზავი დაიდო 1555 წლის 25 სექტემბერს რეიხსტაგში ქ. აუგსბურგში რომის საღვთო იმპერიის ლუთერანულ და კათოლიკურ სუბიექტებს და იმპერატორ ფერდინანდ I შორის, რომელიც კარლ V სახელით მოდგაწეობდა. ზავის საფუძველზე ოფიციალურად მოხდა ლუთერანიზმის აღიარება და იმპერიის სუბიექტებს მიეცათ კონფესიის არჩევის უფლება.

„ერესების” დათრგუნვის, „სულის გადარჩენის”, და „რწმენის დაცვის” საკითხებთან, საბოლოო გაქრობა.

ევროპაში, ვესტფალიის ზავამდე, რელიგიური ფაქტორის გამოყენება სოციალური და პოლიტიკური რეაქციის ექსპორტისა და უნივერსალური იმპერიის შექმნისათვის, ობიექტურად ფარავდა განსაზღვრული პოლიტიკური წრეების და სოციალური ძალების მისწრაფებას. ცხადია, ერთიანი ევროპული კონტრეფორმაციის ბანაკის დაცემით, ბუნებრივია, გაქრა ამ გეგმის საწინააღმდეგო დონისძიებების უზრუნველყოფის აუცილებლობაც. სახელმწიფოთა მოქმედების განმსაზღვრელი მოტივი საერთაშორისო არქაზე გახდა raison d'etat – სახელმწიფო ინტერესი, რომელიც არ იყო გაჯერებული არანაირი რელიგიური ან რაიმე სხვა იდეოლოგიური ასპექტით.

საკუთრივ დეიდეოლოგიზაციის პროცესი წავიდა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის მონაწილეების არსებითი ტრანსფორმაციის მიმართულებით. აღნიშნული გულისხმობს იმ გარემოებას, რომ, თუკი ვესტფალიის ზავამდე ყოვლისშემძლე კათოლიკური ან პროტესტანტული ლიგა და მასში შემავალი სახელმწიფოები ერთი ცენტრის გარშემო მუდამ ჩაბმულნი იყვნენ ურთიერთშორის გაუთავებელ ომებში, მაშინ, ახალ პორობებში, უკვე, საქმე არ ეხება ევროპაში ერთი სახელმწიფოს აბსოლუტური ბატონობის დამყარების შესახებ საკითხს. ნაციონალური, ცენტრალიზებული სახელმწიფოების ჩამოყალიბებაში ევროპის პოლიტიკური რუკა რამდენიმე პოლიტიკურ ცენტრად გაყო. ასეთ კვალობაზე მხარეების საგარეო პოლიტიკურმა მიზანმა დაკარგა მაქსიმალური ხასიათი ვინაიდან იგი გახდა ბევრად რეალური. ყოველივე ამის შედეგად, უკვე, როგორც რელიგიურად დასაბუთებული პრეტენზიები და არსებული გეგმები მსოფლიო ბატონობაზე, ასევე, ერთი რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს მოჭარბებული სურვილი კონტინენტზე ჰეგემონობის პრეტენზით, მუდამ აწყდებოდა ადრე სხვადსხვა ბანაკებში მყოფი – პროტესტანტული და კათოლიკური სახელმწიფოების მხრიდან ერთიან წინააღმდეგობას. შედეგად, ევროპაში

სრულიად სპონტანურად, ე.ი. არამეარ ნიადაგზე, ან არა ვიღაცის შორს მჭკვრებელური გათვლებით, ან ვიღაცის მიზანმიმართული მოქმედებით, არამედ „ბუნებრივი წესრიგის ფორმით” დაიწყო ჩამოყალიბება/მოქმედება „ძალთა ბალანსის” წესრიგმა/სისტემამ, რომელიც კონტინენტზე, საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის/წესრიგის საფუძვლი.

ამასთან დაკავშირებით მართებულად აღნიშნავს პ. კისინჯერი: „თვით ძალთა წონასწორობა იშვიათად წარმოიქმნება მოფიქრებული გათვლებით. ჩვეულებრივ იგი წარმოიქმნება რომელიმე ცალკე სახელმწიფოს წინააღმდეგობრივი/უკუმედითი პოლიტიკის შედეგად, რომელიც ბატონობს სხვებზე”.

ევროპული ოანასწორობის წარმოქმნის შესახებ, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული დავის საფუძველი გახდა ის პოლიტიკური მემკვიდრეობა, რომელიც დატოვა გამორჩენილმა ფრანგმა სახელმწიფო მოღვაწემ არმან-უან დიუ პლევსიმ, რომელიც ცნობილია კარდინალ რიშელიეს სახელით. სწორედ მისი გულმოდგინებით გერმანია სრულიად დასუსტდა ოცდა-ათწლიან ომში, ხოლო ცენტრალურ ევროპაში ვერ მოხერხდა წარმოქმნილიყო მონოლითური იმპერიული გიგანტი ავსტრიელი პაბსბურგების გეიდით. ამის გარდა, რომის სადვოო იმპერია გაყოფილ იქნა 300-ზე მეტ სრულიად სუვერენულ სამფლობელოდ, რომელთაგან ყველაზე უფრო გამორჩეულები ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში მოგვევლინენ, როგორც მნიშვნელოვანი „სასწორები” „ძალთ ბალანსის” უზრუნველყოფაში კონტინენტზე.

ახალ პირობებში სახელმწიფოთაშორის კავშირები გახდა ბევრად მოქნილი და სიტუაციური\*. საერთოდ, იტერესებიდან გამომდინარე პარტიონორის შეცვლა კოალიციის მიხედვით, არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერთ-

\* ამა თუ იმ სახელმწიფოს ინტერესის და არსებული სიტუაციის შესაბამისად მოწყობილი.

ერთი ძლიერი სახელმწიფოს კიდევ უფრო გაძლიერება, დაქმუქრებოდა მთელ „ევროპულ თანასწორობას”.

ევროპულ საერთაშორისო ურთიერთობებში, საკუთრივ პერმანენტული პოლიტიკური ბრძოლების შესაძლებლობა და სახელმწიფოთაშორის კავშირების უვოლუცია იყო მსოფლიო პოლიტიკის წონასწორობის ნაწილი. მისი არსი მეტყველებს იმაზე, რომ პოლიტიკური, ან დიპლომატიკური მანევრი, ერთ რომელიმე ევროპულ სახელმწიფოს, ან სახელმწიფოთა კოალიციის, საშუალებას აძლევდა ადექვატურად მოქმედინათ ძალების აკუმულირება\* პოტენციური მტრის წინააღმდეგ.

ევროპული თანასწორობის ფორმირების წესის შესახებ, ცნობილი მკვლევარი რაიმონ არონი მიუთითებს: „ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც სურს შეინარჩუნოს თანასწორობა, შედის ერთ კონკრეტულ სახელმწიფოსთან, ან საერთოდ კოალიციასთან კავშირში, რომელსაც, ან რომელსაც იგი მიიჩნევს საშუალებად, რომ უზრუნველყოს საკუთარი თავი სრული უპირატესობით საერთაშორისო პოლიტიკაში.

„ბალთა ბალანსის” კონცეფცია, რომელიც დომინირებდა ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში XVII ს-ის ბოლოდან, მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა ომის და მთლიანად, საერთაშორისო კონფლიქტების ხასიათის შეცვლას კონტინენტზე. ამ პერიოდში, ბევრად უფრო სისხლისმდვრელ და მსხვილ კონფლიქტებშიც, მხარეთა მიზანი რომელიც არ ითვალისწინებდა მოწინააღმდეგის სრულ განადგურებას, ყოველთვის იყო შედარებით შეზღუდული. თუკი ვესტგალიის ზავამდე, სწრაფად განვითარებად პროტესტანტულ ქვეყნებს შორის დაპირისპირების გადრმავებას აფერხებდა ჰაბსბურგების ეგიდით შექმნილი კათოლიკური ბლოკის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის არსებობა, ახლა უკვე, ამ შეცვლილ პირობებში, გამწვავდა სავაჭრო-ეკონომიკური წინააღმდეგობა ინგლისსა და პოლანდიას

\* თავმოყრა, გაერთიანება.

შორის, ხოლო შემდეგ, ანალოგიური მიზეზით ინგლისი და საფრანგეთი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ვესტფალის ზავის შემდეგ მოვიდა ეპოქა, როცა სახელმწიფოებს შორის რელიგიური დავების ნიადაგზე არსებული წინააღმდეგობები საბოლოოდ შეიცვალა. ახლა უკვე მათი ბრძოლის ძირითადი მიზანი და სურვილი გახდა ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის და გავლენის მოპოვება ევროპასა და მთლიანად მსოფლიოში.

უკვე, XVII ს-ში, წამყვანი ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკა სრულიად გარკვეული იყო. იგი არ იყო შეზღუდული მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის ჩარჩოებით. მათი საგარეო პოლიტიკური ოქტივობა გავრცელდა არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

ამ პერიოდში ძირითადი ევროპული სახელმწიფოები გადაღიობნენ დიპლომატიური სამსახურის ორგანიზაციის თანამედროვე სისტემაზე. დიპლომატიის განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ XVII-XVIII სს. ევროპული ომების დიდი ნაწილი იყო კოალიციური. აუცილებლობიდან გამომდინარე, ევროპის ბევრ სახელმწიფოში შეიქმნა საგარეო საქმეების წარმოების უწყება მკაფიო და რთული სტრუქტურით. დიპლომატების გარდა, იგი მოიცავდა მთარგმნელების, გამშიფრელების და არქივისტების საქმიანობასაც. გაიზარდა დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და მისიების რაოდენობა. ეს სტრუქტურები დაკომპლექტებული იყო მაღალკვალიფიციური ქადრებით.

ამრიგად, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ოქტივობის საფუძველი ამიერიდან მის ინტერესებში მდგომარეობდა. თუმცა, თითოეული კონკრეტული მხარის შემთხვევაში, სახელმწიფო ინტერესი მოიცავდა სპეციფიკურ ნიშნებსაც. მათ შორის, ადგილობრივი კულტურულ-ისტორიული თავისებურებების და ტრადიციის კვალს, რომელიც დამახასიათებელი იყო კონკრეტული სახელმწიფოსათვის.

და რას წარმოადგენდა ამ პერიოდში თვით სახელმწიფო? ამ დროს ეგროპაში ქვექნების მმართველობის სხვადასხვა ფორმები გვხდებოდა. კონტინენტზე არსებობდა აბსოლუტური მონარქია (ლუდოვიკო XIV საფრანგეთი და კონტინენტური სახელმწიფოების უმრავლესობა), რესპუბლიკა (შვეიცარიის და პოლანდიის რესპუბლიკები) და ქალაქ-სახელმწიფოები (იტალიის და პანზაის ქალაქების). არცერთ ამ ქვეყანაში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არ მონაწილეობდა მმართველობის პროცესში. ადრეული ნაციონალური სახელმწიფოების საგარეო და საშინაო პოლიტიკა თავისი საფუძვლითა და არსით იყო დინასტიური ან კლასობრივი. ე.ი. სახელმწიფო ინტერესის არსი და შინაარსი საქმაოდ თვითონებურად განისაზღვრებოდა მმართველი მონარქების ან მმართველი სავაჭრო-მწარმოებელი ოლიგარქების მიერ.

კონფესიურისაგან განსხვავებით, დინასტიური ინტერესი ამ ნიშით აგრძელებს თავისი საქმაოდ მნიშვნელოვანი როლის თამაშს XVII–XVIII ს. მანძილზეც.

შესაბუნებებისათვის დამახასიათებელი შეხედულება სახელმწიფოზე, როცა ხელმწიფე-სენიორები საქმის არსის მიხედვით ვერ ხედავდნენ სხვაობას სახელმწიფოს და მამულს, საჯარო სამართლს და კერძო სამართლს შორის, თანდათან წარსულს ბარდებოდა. თუმცა, მოცემულ პერიოდში ევროპის აბსოლუტური მონარქები წარმოადგენდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ისეთ ფორმას, რომლის ფარგლებში უძალდეს ხელისუფლების მატარებელი აბსოლუტური მონარქი ფლობდა ბევრად მეტ ავტონომიურობას საგარეო პოლიტიკური ქურსის განსაზღვრაში ამა თუ იმ ქვექნის მიმართ, ვიდრე ახალ ეპოქაში ან უფრო ადრე. ამ პერიოდში, საფრანგეთში, ისევე როგორც სხვა აბსოლუტურ მონარქებში, სუვერენის ნება იყო კანონი.

სანდახან, მონარქების შეხედულება საკუთარი „დიდების“ და „ლირსების“ შესახებ, ამა თუ იმ სახელმწიფოში ან საერთო

ევროპულ საქმეში მათი ჩარევის საფუძველიც კი ხდებოდა, ვიღრე, ვთქვათ, საგაჭრო ან სხვა სახელმწიფო ინტერესი.

მკვლევართა აზრით, აბსოლუტიზმის პირობებში, XVII–XVIII სს. ევროპაში, ამა თუ იმ ხელისუფლების დინასტიური პრეტენზიები გარკვეული კუთხით კიღეც დებულობდა იდეოლოგიური დასაბუთების და საგარეო პოლიტიკის მოტივაციის ფუნქციას. ხელისუფალის დირსების და პატივის დაცვა და შესაბამისად, სახელმწიფო ინტერესებისაც (ლუ XI ცნობილი გამოთქმა „სახელმწიფო ეს მე ვარ“) ხშირად განსაზღვრავდა ევროპული ქვეყნების დიპლომატიური უწყების მოქმედებას. იგი იწვევდა სახელმწიფოს ჩაბმას კონფლიქტებსა და ომებში, რაც საბოლოოდ დებულობდა „ფუფუნების ომის“ სახელწოდებას.

ისტორიოგრაფიაში ის მიმდინარეობა, რომელიც იწყება XVIII ს-ის განმანათლებლებიდან, ისტორიას განიხილავს როგორც მეფეთა და მასთან დაახლოებული პირების პირადი ამბიციების, პატივის და სასახლის ინტრიგების შედეგს. მსგავს მსჯელებას აქვს განსაზღვრული საფუძვლებიც. საკმარისია გავიხსენოთ ესპანეთის მაგალითი. ამ ქვეყანაში, პრინციპულად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების დროს მონარქები ხშირად ავლენდნენ გულგრილობას და უნიათობას. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი იყო დიდი კოლონიური იმპერია და ჰქონდა გიგანტური შემოსავლები, ესპანეთის მთავრობა ხარჯავდა ბევრად მეტს, ვიდრე შემოსავლები იყო. ნელ-ნელა შეიქმნა ფინანსური დეფიციტი და ქვეყანამ ძალიან მალე დაკარგდა თავისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება. XVI–XVII სს. ესპანეთის მთავრობა არაერთხელ (1557, 1575, 1596, 1607, 1627, 1647, 1653, და 1680 წლ.) გახდა იძულებული გამოეცხადებინა ე.წ. „სამეფო გაკოტრება“, ან დეფოლტი თავის სავალო ვალდებულებებთან მიმართებით. ფაქტობრივად, იგი აღიარებდა თავის უმწეობას.

საერთოდ, მონარქიულ ევროპაში, სადაც ყოველთვის იყო მონარქების კერძო პრეფერენციის\* სახელმწიფო ინტერესების რანგში აყვანის შესაძლებლობა, ობიექტური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობები საკმაოდ მკაცრად ზღუდავდა მათი თვითნებობის შესაძლებლობას საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვარში.

ბურჟუაზიული რევოლუციების გაოქაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეალობის უგულვებელყოფა ხშირად სავალალოდ მთავრდებოდა როგორც ცალქეული მონარქების-ათვის, ასევე მთლიანობაში მონარქიის ინსტიტუტისათვისაც. ამ მხრივ, ბევრის მოქმედია ბრიტანეთისა და საფრანგეთის მაგალითები.

#### 4.2 მერკანტელიზმი და ევროპული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა

XVII ს-ის შუა ხანებიდან, საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში, ახალ მომენტად მოგვევლინა ეპროპის სახელმწიფოების კოლონიური მფლობელობის მზარდი სამეურნეო როლი. მოცემულ პერიოდში ეს სახელმწიფოები იწყებენ კოლოსალურ იმპერიებად გარდაქმნას, რომელთა უკონომიკაში კოლონიის რესურსების რაციონალური ექსპლუატაცია სულ უფრო დიდ როლს თამაშობდა.

კოლონიებისათვის ბრძოლა ჯერ მიმდინარეობდა პორტუგალია-ესპანეთს და პოლანდია-ესპანეთს შორის, ხოლო შემდგებ, მათ სხვა ევროპული სახელმწიფოებიც მიყვნენ. აღსანიშნავია ესპანეთს, პოლანდიას, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიმდინარე ბრძოლები. საქმის არსიდან გამომდინარე, წინააღმდეგობის არენად გახდა მთელი მსოფლიოც.

კოლონიურ ეპოქაში განვითარებული გრძელვადიანი წინააღმდეგობა, რომელიც მჭიდროდ გადაეჯაჭვა ევროპის კონტინენ-

\* ამ შემთხვევაში რაღაცის უპირატესობა, შედავთ.

ტზე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის სისტემას, არც მეტი, არც ნაკლები, საერთო ეკროპულ ძალთა ბალანსის დამცველ ელემენტად მოგვევლინა.

სახელმწიფო ინტერესების დინასტიურ დასაბუთებას არ შე-ეძლო ემუშავა ისეთ ბურჯუაზიულ ქვეყნებში, რომელიც დაფუძნებული იყო კონსტიტუციურ მონარქიაზე (ინგლისი და ნიდერლანდები). ამ პერიოდში სახელმწიფოების ეროვნული სუვერენიული პოლიტიკა დროებით დაეფუძნა ორი ზეამოცანის არსებობას. პირველი, ეს იყო ეკონომიკური ძალის შექმნა, რომელსაც დაეფუძნებოდა ცენტრალურიზაციული სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერება და განმტკიცება, ხოლო მეორე, სახელმწიფო ძალის გამოყენება ერთს კეთილდღეობის და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

XVII ს-ის ბოლოს ამგვარი გაგება ჩამოაყალიბა ცნობილმა ინგლისელმა მოდვაწემ და მწარმოებელმა ჯ. ჩაილდმა: „ეკონომიკური სარგებელი და სახელმწიფო ძალა აუცილებელია განვიხილოთ ერთად”. ცხადია, რომ ეკონომიკური სარგებელი იმ დორის პოლიტიკურმა მოდვაწემ გაიგო, როგორც სახელმწიფო შემოსავლების დამატებითი წყაროს ძიება, რასაც სამომავლოდ ეკონომიკური ზრდის დაჩქარების თვალსაზრისით, ხშირად პქნდა ნებატიური შედეგებიც, ანუ იყო კონფლიქტის წყარო სახელმწიფოებს შორის.

XVII ს-ის დასასრული და XVIII ს. იყო მერკანტელიზმის ეპოქა. მერკანტელიზმის პოლიტიკა წარმოადგენდა ეკონომიკური ნაციონალიზმის რადაც სახესხვაობას, რომელიც მიდიოდა ადმინისტრაციული უნიფიკაციის და თანამედროვე ეკროპული სახელმწიფოების ფორმირებისკენ. ამ პოლიტიკის არსი საკმაოდ მკაფიოდ ჩამოაყალიბა ამერიკელმა მკვლევარმა ჯ. კამერონმა. იგი აღნიშნავდა: „შეა საუკუნეების ეპოქაში ქალაქის მმართველობას და მართვის სხვა ადგილობრივ თრგანოებს ეკონომიკური კონტროლის და რეგულირების სფერში პქნდათ ფართო რწმუნება. ისინი ახდევინებდნენ გადასახადს საქონელით, რომელიც შემოდიოდა და გადიოდა შესაბამისი ტე-

რიტორიიდან. ადგილობრივი ვაჭრები და ხელოსნები აფიქსირებდნენ გასამრჯელოს ფასს და ღირებულების დონეს, არეგულირებდნენ შრომის პირობებს. ხოლო ეკონომიკური ნაციონალიზმის პოლიტიკა ამ ფუნქციას უთანხმებდა საერთო ეროვნულ დონეს, რომლის შედეგად ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა სახელმწიფოს უნიფიცირებას როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ურთიერთობებში. ევროპის ქვეყნების მმართველები, თავისი ქვეშევრდომების (ტერიტორიული ერთეულების) ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანების პოლიტიკის პარალელურად, საკუთრივ ერთმანეთს აქტიურ კონკურენციას უწევდნენ ტერიტორიების გაფართოებისა და ტრანსოკეანური სამფლობელოების და მსოფლიო ვაჭრობის კონტროლის საქმეში. ეს განპირობებული იყო იმის სურვილით რომ ომის შემთხვევაში სახელმწიფო ბევრად უზრუნველყოფილიყო. მაგრამ სხვების ხარჯზე ტერიტორიების და ვაჭრობის გაფართოების პოლიტიკა თავად მთავრდებოდა ომებით”.

საგარეო პოლიტიკურ სფეროში სახელმწიფო ინტერესები აღიქმებოდა როგორც საფუძველი საგარეო ეკონომიკური მოქმედებისათვის.

ამრიგად, ეკონომიკური ნაციონალიზმი წავიდა წინააღმდეგობების გადღმავების სკენ. მანვე წარმოშვა დინასტიური დაპირისპირებები და რელიგიური მტრობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი მიზნების განხორციელებისას ცალკეული სუბიექტები, რომლებიც აყალიბებდნენ სახელმწიფო პოლიტიკას, საბოლოოდ მივიღენ დასკვნამდე, რომ გაეთვალისწებინათ საკუთარი ქვეშევრდომების (ტერიტორიული ერთეულების) მისწრაფებებიც.

მერკანტელისტური დოქტრინები არ წარმოადგენდა სოციალურ-ეკონომიკური თეორიების ერთობლიობას. იგი იყო პრაქტიკული რეალმენდაციების ნაკრები, რომელიც დაფუძნებული იყო მტკიცებაზე, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნის მთავარი სფერო საერთაშორისო ვაჭრობაა. იმ დროის სახელმწიფო მოღვაწეებმა და მწარმოებელებმა გამოიგონეს ეწ.

„ხელსაყრელი ვაჭრობის ბალანსის თეორია”, რომლის თანახმად ნებისმიერმა ქვეყანამ აუცილებელია რაც შეიძლება მეტი გაყიდოს საზღვარგარეთ და ნაკლები იყიდოს.

საკუთარი ქვეყნისათვის, ბევრად უფრო სასურველი საგარეო ვაჭრობის პირობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტის საფუძვლად მოგვევლინა სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკა. ნაციონალური წარმოების სტიმულირებისათვის უცხოური საქონლის იმპორტი იქრძალებოდა, ან კიდევ იბეგრებოდა საკმაოდ მაღალი ტარიფებით. მთელი სახელმწიფო მანქანა, კანონები, რეგლამენტირებული მოთხოვნები, ორიენტირებული იყო უცხოური საქონლის შემოსვლის შეზღუდვასა და ადგილობრივ წარმოებაზე მოთხოვნილების გაზრდისაკენ.

მნიშვნელოვან უპირატესობად განიხილებოდა სავაჭრო ფლოტის არსებობა, რადგან იგი აიაფებდა საკუთარ საექსპორტო საქონელს. იგი საშუალებას იძლეოდა ფული გაპეტებულიყო არაფრისაგან (თანამედროვეების წარმოდგენით) – უცხოური საქონლის ტრანზიტისაგან. ამავე დროს, მთავრობა სტიმულს აძლევდა მეთევზეობის დარგის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფდა მეზღვაურების მომზადებას. ეს კი, თავისთავად აყენებდა მოთხოვნილებას გემთმშენებლობის პროდუქციაზე. ის ხელს უწეობდა ქვეყნის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფასაც და საექსპორტო პოტენციალის გაფართოებას.

მერკანტელისტური დოქტრინის კონფლიქტური პოტენციალის არსი მდგომარეობდა იმ გარემოებაში, რომ მსოფლიო ვაჭრობის ადებ-მიცემობა მთლიანობაში განიხილებოდა დიდ უცხლელობად. ანუ მსოფლიო ბაზარზე მონაწილეობის საკუთარი წილის გაზრდისათვის ან მოპოვებისათვის ერთადერთ გზად განიხილებოდა არა ბაზრის ახალი სეგმენტის შექმნა, არამედ სწორედ მისი დაპყრობა ე.ი. ომის წარმოება.

ლუ XIV პირველი მინისტრის კოლებრას ერთ ერთი მთავარი მიზანი იყო საფრანგეთი გადაექცია ეკონომიკურად დამოუკიდებელ ქვეყანად, რომელიც საკუთარ თავს თვითონ უზრუნველყოფდა ცალკეული მოთხოვნილებებით. ამისათვის მან შემ

ოიდო საბაჟო პროტექციონისტული საგადასახდო სისტემა, რომელიც ძირითადად პოლანდიის წინააღმდეგ იყო მიმართული. თუმცა, ამ ლონისძებამ არ მოიტანა ქვეყნის სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება და 1667 წელს მან შემოიღო ახალი, ფაქტოურად ამკრძალავი ტარიფები. პოლანდიამ, სადაც მიღიოდა ფრანგული საქონლის დიდი ნაწილი, საფრანგეთის ამ ნაბიჯს უპასუხა ანალოგიური დისკრიმინაციული ლონისძებებით. კოლებრის მონაცემების მიხედვთ, მთელ ევროპულ საქონელს ემსახურებოდა 20 000-მდე გემი, რომელთაგან სამი მეოთხედი პოლანდიას ეკუთვნოდა. კოლებრი მიიჩნევდა, რომ საფრანგეთს შეეძლო გაეზარდა საკუთარი წილი მხოლოდ პოლანდიის წილის შემცირების გზით. აღნიშნული მიზანი კი, მხოლოდ ომის შედეგად შეიძლება მიღწეულიყო.

სავაჭრო ომის მსგავსმა შედეგებმა, ზემოთ მოყვანილი რაციონალური კალკულაციის მონაცემებმა და მერკანტელურმა მოსაზრებამ არსებითი წელიდი შეიტანა 1672 წელს საფრანგეთსა და პოლანდიას შორის ომის დაწყებაში.

მსგავსი ლოგიკით ხელმძღვანელობდა ინგლისის პარლამენტიც, როცა მიიღო ნავიგაციური აქტი და მოიწონა გადაწყვეტილება „ინგლისურ წელებში“ პოლანდიური სათვაზაო რეწვის შეზღუდვის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება გახდა ინგლის-პოლანდიის ომის საფუძველი XVII ს-ის მეორე ნახევარში.

სწორედ ეს რაციონალური ანგარიში, დინასტიური ინტერესები, შორსმჭვრებელური თეორიული შეხედულებები, მერკანტელური მოსაზრებები და აქტიური სავაჭრო ექსპანსია განსაზღვრავდა მოცემულ პერიოდში წამყვანი ევროპული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ პურსს, რომელიც აყალიბებდა საერთაშორისო ურთიერთობებში ძალთა თავისებურ კონფიგურაციას.

### 4.3 საერთაშორის ურთიერთობების ძირითადი მოთამაშები ევროპაში

როგორც ცნობილია, XVII ს-ის შუა ხანებმა საერთაშორისო ურთიერთობის ახალ ეპოქას მისცა ევროპაში დასაბამი.

ამ პერიოდში, ევროპის კონტინენტზე ზესახელმწიფოს სტატუსს ფლობდა ისეთი სახელმწიფოები, როგორიცა საფრანგეთი, ინგლისი, პოლანდია, პაპსბურგების აგსტრიის იმპერია (XVII–XVIII ს-ების მიჯნაზე ამ სახელმწიფოს ძირითად შემადგნელ ნაწილებს შეადგენდა ავსტრია, ჩეხეთი, უნგრეთი. მასში ასევე შედიოდა მორავია, სილეზია, შტირინა, ტიროლი, კარინგია, ხორვატია, სლოვენია, ტრანსლიგანია და სხვა მიწები. მისი მეთაური ფლობდა გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის გვირგვინს. მაგრამ პაპსბურგების ყველა სამფლობელო როდი შედიოდა იმპერიის შემადგენლობაში, მხოლოდ მათი ტერიტორიის ერთი მესამედი იყო მის შემადგენლობაში მოქცეული), შვეცია და ესპანეთი.

ევროპის პოლიტიკურ რუპაზე არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ასევე სუვერენული გერმანული სახელმწიფოები – ბავარია, ბრანდენბურგი და საქსონია, ხოლო ჩრდილოვათში – დანია, დასავლეთით – პორტუგალია და სამხრეთში – ვენეცია.

რუსეთი XVII ს-ში იმყოფებოდა ევროპული სისტემის პერიფერიაში და ინარჩუნებდა ურთიერთობებს თავის ძირითად მეზობლებთან.

ამ პერიოდში ევროპულ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტი სრულიად თავისუფალია კლერიკალიზმის\* გავლენისაგან და ძირითად დაფუძნებულია მხარეთა საგაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობებზე.

\* კლერიკალიზმი [ლათ.clericalis საეკლესიო]რეაქციული პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ცდილობს გააძლიეროს ეკლესის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

აღმოსავლეთ ევროპაში წამყვანი მდგომარეობა ეჭირა რუსეთის სახელმწიფოს და აქ სიტუაციას განსაზღვრავდა რუსეთის, შვეციის, პოლონეთის და პაბსბურგების სახელმწიფოების ურთიერთობები.

კონტინენტის სამხრეთში კვლავ ბატონობდა თურქეთი.

XVII ს-ის მეორე ნახევარში ინგლისი, საფრანგეთი და ნიდერლანდები გადაიქცნენ კოლონიურ იმპერიებად და შესაბამისად, გაიზარდა კოლონიების სამეურნეო როლიც.

ვესტფალის სისტემაში უველაზე მეტად საფრანგეთის მდგომარეობა განამტკიცა. საფრანგეთი თამაშობდა გადამწყვეტ როლს მაშინდელ ევროპულ ურთიერთობებში. საფრანგეთის განსაკუთრებული გაძლიერება დაკავშირებულია ლუ XIV სახელთან. მის დროს საფრანგეთმა საერთაშორისო ურთიერთობებში დაიკავა გაბატონებული მდგომარეობა. თუმცა საფრანგეთის რეალური მმართველი კი ამ დროს იყო კარდინალი რიშელიე. ხოლო საფრანგეთის მთავარი მოწინადმდებელი ავსტრიის და ესპანეთის პაბსბურგები უკვე დასტერებული იყვნენ ოცდაათწლიანი ომით და ვესტფალიის ზავის დამამცირებელი პირობებით.

**საერთაშორისო ურთიერთობები ევროპაში XVII ს-ის  
მეორე ნახევარსა და XVIII ს-ის დამდეგბს**

**5.1. წინააღმდეგობები ევროპულ პოლიტიკურ ერთეულებს  
შორის და მათი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე**

ვესტფალიის ზავს, რომელიც დაიდო ოცდაათწლიანი ომის დასრულებისას, არ მოუტანია ომების დასრულება ევროპაში. პირიქით, ამ პერიოდში, ევროპაში აშკარად გამოიკვეთა გარკვეული წინააღმდეგობები სახელმწიფოებს შორის, რომელიც დაკავშირდებული იყო სახელმწიფოთა ინტერესებთან.

მართალია, საერთაშორისო ურთიერთობების დეიდეოლოგიზაციის და ისტორიული არენიდან კონტრრეფორმაციული ბანაკის (რომელსაც მეთაურობდა ავსტრიელი და ესპანელი ჰაბსბურგები) წასვლით დღის წესრიგიდან მოიხსნა ანტიპაბსბურგული ლიგის არსებობის აუცილებლობა, მაგრამ გამოაშკარავდა ადრე ერთ ბანაკში მყოფი ქვეყნების სახელმწიფო ინტერესების, მიზნების და ურთიერთშორის წინააღმდეგობების არსებობა. პირველ ადგილზე გადმოინაცვლა სავაჭრო-ეკონომიკურმა დაპირისპირებებმა. ძირითადად, ეს ქვებოდა ახალგაზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებს – ინგლისსა და პოლანდიას, ფეოდალურაბსოლურუსაფრანგეთსა და ესპანეთს შორის არსებულ წინააღმდეგობებს. ამ სახელმწიფოს შორის სავაჭრო კონფლიქტები გამომდინარეობდა მერკანტელიზის პრინციპიდან, რომელიც თამაშობდა გადამწყვეტ როლს წამყვანი ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

### 5.1.1. საფრანგეთ-ესპანეთის დაპირისპირება

XVII ს-ის 50-იანი წლების მანძილზე გრძელდებოდა სამხედრო მოქმედებები საფრანგეთსა და ესპანეთს შორის. მაგრამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ესპანეთის სამფლობელო გაშლილი იყო მთელ იტალიაში, რეინის სანაპიროების გასწვრივ და სამხედრო ნიდერლანდებში, ომი ფაქტიურად გაგრძელდა თანამედროვე ბელგიის და გერმანიის დასავლეთ ნაწილის ტერიტორიებზეც. მხოლოდ 1659 წელს, როცა სამხედრო მოქმედებებმა საბოლოოდ დასუსტება მებრძოლი მხარეები – საფრანგეთი და ესპანეთი, საბოლოოდ მივიღნენ კ.წ. პირენეის სამშვიდობო ხელშეკრულების დადგებამდე. ხელშეკრულება განმტკიცებულ იქნა საფრანგეთის მეფესა და ესპანეთის მეფე ფილიპე IV ქალიშვილის მარია-ტერეზას შორის ქორწინებით. თუმცა, ეს გარიგება საფრანგეთის მეფისათვის ითვალისწინებდა ინფანტის\* და მის შთამომავლებისადმი ესპანეთის ტახტზე უფლების ჩამორთმევის უარსაც. ამის სანაცვლოდ მაღრიდის სასახლეს უნდა გადაეხადა 500 ათასი ეკიუ. მაგრამ იგი არ იქნა გადახდილი, რამაც უფლება მისცა ვერსალის სასახლეს გამოეყენებინათ ეს გარემოება და დაესაბუთებინათ ლუ XIIV პრეტენზიები ესპანეთის მთელი რიგი სამფლობელოების მიმართ.

### 5.1.2. ინგლის-პოლანდიის წინააღმდეგობები

ინგლისსა და პოლანდიას შორის დაპირისპირების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა საზღვაო-სატრანზიტო გადაზიდვის მოცულობის გამო სავაჭრო დაპირისპირება და მეთევზეობის ზონის გამო კონფლიქტები.

ამ პერიოდისათვის, პოლანდიის საზღვაო ფლოტი იყო ერთ-ერთი უძლიერესი ევროპაში, ხოლო მისი სავაჭრო ფლოტი, სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, 5-10 – ჯერ აღემატებოდა

\* ინფანტი ესპ. infantie]- ესპანეთსა და პოლოუგალიაში (მონარქიული მმართველობის დროს) უფლისწულის ტიტული.

ევროპის ყველა სხვა დანარჩენი ქვეყნების ფლოტების ერთად აღეცულ ჯამს. პოლანდიის ხელში მოქცეული იყო საზღვაო-სატრანსპორტო ნაკადები ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში მდინარეების რეინის და მასის მეშვეობით. ამსტერდამი იყო ევროპის უდიდესი ფინანსური და საბანკო ცენტრი.

პოლანდიის ოსტ-ინდოეთის და ვესტ-ინდოეთის კომპანიები აქტიურად აწარმოებდნენ საგარეო საგაჭრო ექსპანსიას მთელ მსოფლიოში. მისთვის არანაკლებ მკაცრი კონკურენცია ჩამოყალიბდა (პოლანდიური საქონლის და საგაჭრო გადაზიდვების მომსახურებისათვის) ინგლისური საზღვაო ძალის და საგაჭრო-ფინანსური პოტენციალის სახით. ამ ნიადაგზე, მათ შორის წინააღმდეგობა კიდევ უფრო ძლიერდებოდა.

XVII ს-ის 50-70-იან წლებში ინგლისურ-პოლანდიური წინააღმდეგობა გადაიზარდა მათ შორის სამგზის ომში (1652-1654; 1664-1667; 1672-1674). უკანასკენდ თრს კი განსაკუთრებული სისხლისმდვრელი ხასიათი ჰქონდა, რომლებმაც შეიძინა საერთო ევროპული პოლიტიკური ხასიათი. პოლანდიის მხარეზე გამოვიდა საფრანგეთი.

საბრძოლო მოქმედებები ძირითადად მიმდინარეობდა ზღვაზე – აფრიკის სანაპიროებთან, ჩრდილოეთ ამერიკაში და კარიბის ზღვის აუზში. სწორედ, 1664-1667 წლების ომის მსვლელობის დროს, ინგლისელებმა პოლანდიელებს წაართვეს ახალი ამსტერდამი (რომელსაც ეწოდა ნიუ-იორკი). თუმცა, 1667 წელს პოლანდიელებმა მიაღწიეს ბევრად მაღალ წარმატებებს ომში. პოლანდიის ფლოტმა არა მხოლოდ საგრძნობი დამარცხება აგებდა ინგლისელებს, არამედ შეძლეს ტემზის შესართავში შეჭრა. სადაც განთავსებული იყო ინგლისელების მრავალრიცხოვანი საწყობები და დოკები. აქ მათ ინგლისური საბრძოლო გემების დიდი ნაწილი ჩაძირეს ან გადაიყვანეს ამსტერდამში, როგორც ბრძოლაში მოპოვებული,,ნადავლი”.

ინგლის-პოლანდიის სამხედრო დაპირისპირების შეწყვეტას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ამ დროს ევროპის კონტინენტზე თავის ექსპანსიონისტურ მოქმედებებს იწყებს საფრანგეთი,

რომელიც მიმართული იყო ესპანეთის სამფლობელოების (სამხრეთ ნიდერლანდები) დაპყრობისაკენ. საფრანგეთის გაძლიერება არ შედიოდა ინგლისისა და ჰოლანდიის ინტერესებში, ამიტომ მოხდა ამ ორი სახელმწიფოს დაახლოება. 1667 წლის 31 ივნისს, ინგლისისა და ჰოლანდიას შორის ხელი მოქარა საზავო ხელშეკრულებას ქ. ბრედში. ინგლისელები და ჰოლანდიელები წავიდნენ ერთმანეთთან კავშირის შექვრაზეც, რომელიც მიმართული იქნებოდა საფრანგეთის წინააღმდეგ.

### 5.1.3. ჰოლანდია – საფრანგეთის წინააღმდეგობები

თავის დროზე ჰოლანდია – საფრანგეთს შორის ტრადიციული სამოკავშირე ურთიერთობები იყო იმდენად, რამდენადაც ჰოლანდია ფლობდა ძლიერ ფლოტს და საფრანგეთი, რომელიც გამოიყენებდა მის ფლოტს, სწორედ ამ გზით ახერხებდა თავისი ძალის სისუსტის კომპესირებას ზღვაზე. ჯერ კიდევ ოცდაათწლიანი ომის პერიოდში, მათი კავშირის წიაღში მომწიფდა სერიოზული წინააღმდეგობა. იგი დაკავშირებული აღმოჩნდა საფრანგეთის ექსპანსიონისტურ გეგმებთან, რომელიც ეხებოდა სამხრეთ ნიდერლანდებს და რომელიც იმყოფებოდა ესპანეთის მფლობელობაში.

სამხრეთ ნიდერლანდების საფრანგეთის ხელში გადასვლა არ შედიოდა ჰოლანდიის ინტერესებში. ჰოლანდია არა მხოლოდ სამართლიანად აფასებდა იმას, რომ საფრანგეთი თავის დროზე შეიძლება გამხდარიყო საშიში მეზობლი, არამედ პირიქით, მისწრაფოდა კიდეც რომ არ დაეშვა ანტვერპენის აღორძინება მსოფლიო მნიშვნელობის საკაჭრო და ფინანსურ ცენტრად, რაც სრულად შეიძლება მომხდარიყო ფრანგული მონარქიის ეგიდით. ყოველივე ამის გამო, გუშინდელ მოკავშირეებს უფრო მეტად აშენოთებდათ ერთი მეორის წარმატებები, ვიდრე დაწყებულ ომში მოწინააღმდეგებზე გამარჯვება.

ამრიგად, საფრანგეთის მისწრაფება სამხრეთ ნიდერლანდების დაუფლებისათვის, იმთავითვე იწვევდა მის დაპირისპირებას

პოლანდიასთან, რომელსაც არ სურდა ძლიერი და აგრესიული საფრანგეთის უშეალო გამეზობლება. პოლანდია უკმაყოფილებას გამოიქვამდა მათ საიმპორტო საქონელზე, ფრანგული მხარის მიერ შეზღუდვების დაწესებაზე. ასე რომ, ამ ორ სახელმწიფოს შორის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება აშკარა იყო.

**5.2. ევროპული პოლიტიკის ძირითადი მოთამაშების სტატუსი და რესურსები საფრანგეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის პირობებში**

### 5.2.1. საფრანგეთი

საფრანგეთი XVII ს-ის მეორე ნახევარში, სახელმწიფოებრივი ძალის კომპონენტების ერთობლიობით, აღმოჩნდა ევროპის უკელაზე ძლიერი სახელმწიფო. იგი დიდი ტერიტორიების, მოსახლეობის რაოდენობის, ბუნებრივი რესურსების უზრუნველყოფის და მსგავს საკითხთა მიხედვით აშკარად უსწრებდა ნებისმიერ მის კონკურენტს. საფრანგეთი წარმოადგენდა მოცემულ პერიოდში კლასიკური აბსოლუტიზმის ქვეყანას, რომელსაც ჰქონდა საკმაოდ მაღალი მმართველობის ცენტრალიზაცია და დაყოფილი ბიუროკრატიული აპარატი. საფრანგეთის მონარქების ხელში აღიშული მდგრმარეობა წარმოადგენდა მოქმედების და რესურსების მობილიზაციის ეფექტურ ინსტრუმენტს თავიანთი ამბიციური საგარეო პოლიტიკური გეგმების განხორციელებისათვის. საფრანგეთში შეიქმნა ევროპაში ყველაზე დიდი მუდმივი სახმელოთო არმია (200 ათასი ადამიანი მშვიდობიანობის დროს და ომის შემთხვევაში 500 ათასი) და მნიშვნელოვანად გაზრდილი სამხედრო და სავაჭრო ფლოტი.

საფრანგეთის კოლონიური სამფლობელოები მოიცავდა კანადას, ლუიზიანას (მდ. მისისპზე), მოულ რიგ ანტილის კუნძულებს, ინდოეთში – პომდიშერს, აფრიკაში – მაგადასკარს.

საგარეო ვაჭრობის გაფართოება და აქტიური სავაჭრო ბალანსი კოლბერტიზმის ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, XVII ს-ის მეორე ნახევარსა და XVIII ს-ის დამდეგს საფრანგეთს ლიდერი სახელმწიფოს მდგომარეობა ეკავა ევროპაში.

ევროპის საერთაშორისო ცხოვრებაში ეს ახალი სიტუაცია დაემთხვა ლუ XVI მმართველობის დაწყებას. მის სახელთან არის დაკავშირებული ფრანგული აბსოლუტიზმის ბრწყინვალე პერიოდი. სახელმწიფოს დიდი პოლიტიკური შესაძლებლობების პოტენციალმა, ესპანეთის დასუსტებამ, იმპერიის გაყოფამ და შესაძლო მოწინააღმდეგების გამოთიშვამ, ევროპულ პოლიტიკაში განსაზღვრა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური კურსი.

XVII ს-ის 60-იანი წლებიდან ლუ XIV საფრანგეთი გადავიდა დია ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე.

საფრანგეთის აგრესიული მისწრავებები პირველ რიგში მიმართული იყო დასავლეთ გერმანული მიწების დამორჩილებაზე. ამ კუთხით, ლუ XIV მოქმედებდა როგორც დიპლომატიური, ისე სამხედრო მეთოდებით. რისთვისაც იგი უნარიად იყენებდა სასაზღვრო სამფლობელოების ვასალური კუთვნილების გაუგზარ განსაზღვრებას, ფრანგული ანკლავების არსებობას იმპერიის საზღვრებსა და გერმანული მიწების შიდა ტერიტორიებზე. იმ მიწების დაუფლებამ, რომელიც შედიოდა იმპერიის შემადგნლობაში ლუ XIV საშუალება მისცა პრეტენზია განეცხადებინა იმპერიის გვირგვინზეც კი.

საფრანგეთის აგრესიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულება იყო ფრანშ-კონტე და სამხრეთ ნიდერლანდების მიწები, რომელიც ეკუთვნოდა ესპანეთს.

საფრანგეთს ევროპაში ესპანური ტერიტორიების და მისი კოლონიური სამფლობელოების მიტაცების უფლება, სურდა და-ესაბუთებინა დინასტიური პრეტენზიებით. ლუ XIV და მარია ტერეზას საკითხზე გაფორმებული საქორწინო კონტრაქტი შეიცავდა პუნქტებს, სადაც მარია ტერეზას ტახტზე უარს არ ეტყოდნენ თუ ის ლუ XIV გადაუხდიდა 500 ათას ოქროს ეკიუს. ესპან

ანეთისათვის, მისი ფინანსური მდგომარეობის გამო, შეუძლებელი იყო ასეთი თანხის გადახდა. სანაცვლოდ, საფრანგეთმა საკომპენსაციოდ გარკვეული ტერიტორიები მოითხოვა. ესპანეთის ხელისუფლებამ საფრანგეთის ამ მოთხოვნას უარით უპასუხა, რასაც მოჰყვა ომი ორ ქვეყანას შორის (ე.წ. დევოლუციური ომი 1667 წელს).

საფრანგეთის პოლიტიკა ინგლისთან მიმართებით, რომელთანაც ეჯახებოდა მისი სავაჭრო და კოლონიური ინტერესები, გამომდინარეობდა ლუი XIV სურვილიდან ინგლისი მოუქცია საკუთარი კონტროლს ქვეშ. ამისათვის იგი იყენებდა ფინანსურ და დიპლომატიურ გაფლენას ჩარლზ I სტიუარტზე. ეს უკანასკნელი ინგლისის ტახტზე პარიზის დახმარების გარეშე ვერ ავიდოდა. თუმცა, იყო სამხედრო წინააღმდეგობების შემთხვევებიც.

საფრანგეთის დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო არ დაეშვა თანამშრომლობა საზღვაო სახელმწიფოებს – ინგლისსა და პოლანდიას, ასევე, ინგლისსა და ესპანეთს შორის. უკანასკნელის შემთხვევაში გათამაშდა ე.წ. ესპანური კარტი. მადრიდის სასახლე, პორტუგალიაზე თავისი ბატონობის აღდგენის მიზნით ომს აწარმოებდა მასთან. საფრანგეთს, პირენეის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უფლება არ ჰქონდა ჩარეცდიყო კონფლიქტში. ლუი XIV, რომელსაც არ სურდა ესპანეთის გაძლიერება, დაარწმუნა ინგლისის მეფე ჩარლზ II სტიუარტი, რომ ინგლისი დახმარებოდა პორტუგალიას. ამრიგდა, ამ კარტის გათამაშების შემთხვევაში, იმთავითვე მოისპობოდა აღბათობა ინგლის-ესპანეთის დაახლოებისა.

საფრანგეთის მხრიდან, ევროპაში, პოლიტიკური პეგემონობისათვის მისწრაფებამ გამოიწვია მთელი რიგი ომების წარმოება, რომელშიც ჩართული აღმოჩნდა ევროპის ბევრი ქვეყანა. ისინი მირითადად ერთიანდებოდნენ ანტიფრანგულ კოალიციებში. თვით საფრანგეთს, ეს ყველაფერი საკმაოდ ძვირი დაუჯდა ფინანსურადაც და პოლიტიკურადაც.

## 5.2.2. ესპანეთი

ესპანეთმა, რომელმაც ვესტფალიის და პირენეიის საზაფო ხელშეკრულებების მმიმე შედეგები იწვნია, თანდათან დაკარგა სამხედრო ძლიერება და პოლიტიკური პრესტიჟი. ესპანეთის ევროპული სამფლობელოები: სამხერეთ ნიდერლანდები, ფრანშ-კონტჩე, იტალიური მიწები – მტკივნეული წერტილი იყო ევროპულ სამხედრო ურთიერთობებში. ესპანური ფლოტის ძლევამოსილებაც წარსულს ჩაბარდა. 1655 წელს გარდაიცვალა ესპანეთის მეფე ფილიპ IV. მისი მემკვიდრე გახდა ავადმყოფი და სუსტი ნებისყოფის კარლ II პაბსბურგი. ფილიპეს გარდაცვალებამ საფრანგეთს საფუძველი მისცა შექესენებინა მარია ტერეზას გადაუხდელი მზითვე და დააყენა საკითხი ტერიტორიული კომპენსაციის შესახებ.

ახალი მეფის ავადმყოფობა და მისი უშვილობა ევროპის საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალური საკითხი გახდა იმ კუთხით, რომ მან დღის წესრიგში დასვა ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა – ესპანეთის მემკვიდრეობის საკითხი. მოგვიანებით ამ პრობლემამ ევროპა ახალი საომარი კამპანიის თეატრად აქცია.

## 5.2.3. პოლანდია

ესპანეთის დასუსტების ფონზე მკვეთრად გაიზარდა პოლანდიის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა ევროპის ძალთა ბალანსში. ქვეყანა, რომელიც გათავისუფლდა ესპანეთის ბატონობისაგან ნიდერლანდების რევოლუციის დროს და იცავდა თავის დამოუკიდებლობას დიდი ხნის მანძილზე მადრიდის სასახლისგან, გახდა ყველაზე ძლიერი საზღვაო სახელმწიფო XVII ს-ის მეორე ნახევარში კონტინენტზე.

პოლანდიის ეკონომიკური აყვავება, ძირითადად, დაფუძნებული იყო წარმატებულ საგარეო ვაჭრობაზე, რასაც ხელს უწყობდა ქვეყნის მოგზებიანი გოგრაფიული მდგრადება რეინის შესართავთან და ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე. მას პქონდა

გასასვლელი ატლანტიკიდან ლა-მანშეს და პა-დუ-კალეს უერების გავლით ოკეანებში.

ძლიერი სავაჭრო და სამხედრო ფლოტის ფლობა, რომელიც რიცხოვნობით ადგიატებოდა ყველა ევროპული ქვეყნების ფლოტს ერთად აღებულს და ყველაზე განვითარებული საბანკო სისტემა, პოლანდიას საშუალებას აძლევდა ფაქტიურად გაეკონტროლებინა როგორც საერთაშორისო ვაჭრობა ჩრდილოეთ ევროპაში და რეინის გასწვრივ, ასევე ჩრდილოეთ და სამხრეთ ევროპას შორის საზღვაო ტვირთების მოძრაობაც.

პოლანდიის სავაჭრო მოგების დაახლოებით 10% კოლონიურ ვაჭრობაზე მოდიოდა. პოლანდიის დაპყრობის ობიექტი გახდა ქანაგრის და პორტუგალიის კოლონიები. კოლონიურ პოლობიგას აწარმოებდნენ პოლანდიის ოსტ-ინდოეთის და ვესტ-ინდოეთის კომპანიები, რომლებიც ფლობდნენ დიდ ფინანსურ საშუალებებს, საკუთარ ფლოტს და სამხედრო ძლებს დამთავრობის მიერ მინიჭებულ შეუზღუდავ უფლებამოსილებას.

პოლანდიელმა კოლონიზაციონურებმა დაარსეს თავიანთი ციხესიმაგრები და სავაჭრო ფაქტორიები ზონის და მოლუქსის კუნძულებზე – სანელებლების კუნძული, მითვისეს ინდონეზიაში სანელებლების მთელი ვაჭრობა, დაიპყრეს ინდოეთში ნეგაპარამანი და გამოაქვეს პორტუგალიელები ცეილონიდან. მათ ეკუთვნოდათ ავსტრალიის, ტასმანიის და ახალი ზელანდიის გახსნა.

სამხრეთ ამერიკაში, პოლანდიის ვესტ-ინდოეთის კომპანია ფლობდა ბრაზილიის ნაწილს ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროზე პოლანდიელებმა, ჯერ კიდევ 1626 წელს, დაარსეს ახალი პოლანდია ცენტრით – ახალი ამსტერდამი (ახ. ნიუ-იორკი). პოლანდიის შაქრის მრეწველობის ცენტრი გახდა სურინამი. ისინი, ასევე ფლობდნენ რამდენიმე კუნძულს კარიბის ზღვაში. მათ დაარსეს კაპსკის კოლონია სამხრეთ აფრიკაში და რიგი პორტები მის დასავლეთ სანაპიროზე.

პოლანდიამ უნარიანად შეძლო გამოეყენებინა ის სირთულეები, რაც XVII ს-ის შუა ხანებში კონკურენტმა ქვეყნებმა

განიცადა: ბურჟუაზიული რევოლუცია და სამოქალაქო ომი ინგლისში, ფრონდა\* საფრანგეთში, ოცდაათწლიანი ომის შედეგად მეზობელი გერმანული სათავადოების დასუსტება. თანდათანობით, საუკუნეების მანძილზე გამოვლინდა ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავდა ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკაში მდგომარეობის შორეულ პერსპექტივას – მცირე ტერიტორია, მცირემრიცხოვანი მოსახლეობა (დახ. 2 მილ. ადამიანი), შედარებით სუსტად განვითარებული მანუფაქტურული მრეწველობა. ასეთ პირობებში, „სავაჭრო კაპიტალის“ ქვეყანა იძულებული იყო დაეცვა თავისი ინტერესები მიმდე კონკურენციის პირობებში ინგლისთან – „სამრეწველო კაპიტალის“ ქვეყანასთან და საფრანგეთთან.

პოლანდია, რომელიც რეალურად აფასებდა ძლიერი საფრანგეთის გამეზობლების საფრთხეს, მიიჩნევდა, რომ მის საზღვრებთან სუსტი გერმანული მიწები და ესპანეთისაგან ტერიტორიულად განცალევებული, დახმარების გარეშე დარჩენილი ესპანეთის ნიდერლანდები უფრო მომგებიანი და სასურველი იყო მეზობლად, ვიდრე ძლიერი საფრანგეთი. აქედან გამომდინარე, სწორედ პოლანდია იყო ყველა ანტიფრანგული კოალიციის შექმნის ორგანიზატორი, ხოლო რესპუბლიკის სტატიური ვილჰელმ III ორანელი (1672-1702), რომელიც ინგლისში 1688 წლის რევოლუციის შემდეგ მეფე გახდა, გამოვიდა ლუი XIV და მისი პეტემონისტური პოლიტიკის მთავარ მოწინააღმდეგდ.

#### 5.2.4. ინგლისი

XVII ს-ის შუა ხანებისთვის ინგლისში ერთდროულად მოხდა რევოლუცია, სამოქალაქო ომი და სტიუარტების რესტავრაცია (XVII ს-ის 60-იანი წლები). აბსოლუტიზმის რესტავრაციის შემდეგ მისწრაფების და კათოლიკური მიდრეკილების გამო, ინგლისის მეფეები ჩარლზ II სტიუარტი და მისი მემკვიდრე ჯე-

\* ფრონდა [ფრანგ. Fronde] - 1. მე-17 ს.-ში საფრანგეთში თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული მოძრაობა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ.

იმს II მუდმივად იყვნენ საფრანგეთის სუბსიდიებზე დამოკიდებულნი. ეს კი ხშირად განსაზღვრავდა ინგლისის წინააღმდეგობრივ საგარეო პოლიტიკას.

ახალ პერიოდში, ინგლისში განმტკიცდა კაპიტალისტური წყობა. ასევე, მან გაიარა ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის დამახასიათებელი ადრეული ეტაპი, რომლისთვისაც ნიშანდობლივი იყო „ხელისუფლების და ინტერესების” თავისებური დაყოფა. რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ საკანონმდებლო და საგარეო პოლიტიკაში დომინირებდა ბურჟუაზიის ინტერესები, ამ უკანასკნელის ხელში იყო მრეწველობა, ფული და საქონელი, ხოლო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს თავადაზნაურები აკონტროლებდნენ. მათ ჰქონდათ სახელმწიფოს მართვის დიდი პოლიტიკური და სამხედრო გამოცდილება. ასეთმა მდგომარეობამ გარკვეული ნიადაგიც კი შექმნა წინააღმდეგობისათვის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ კურსში. თუმცა, ქვეყანაში ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა დიდხანს არ გარძელებულა. საგარეო პოლიტიკაში გარკვეული წინააღმდეგობები მოისპო 80-იან წლების დასასრულს, როცა მოხდა 1688 წლის „დიადი რევოლუცია” და შეიცვალა დინასტია, როცა ინგლისის მეფე გახდა პოლანდიის სტატაუერდი ვილჰელმ III ორანელი და ინგლისურ-ფრანგული წინააღმდეგობა პირველ აღილზე გამოვიდა.

5.3. საფრანგეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკა XVII საუკუნის II ნახევარში და სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა კონფიგურაცია ევროპაში

საერთაშორისო ურთიერთობის სისტემა, რომელიც შეიქმნა ევროპაში ვესტიფლიის ზავის შემდეგ, გამომდინარეობდა პოლიტიკური თანასწორობის პრინციპიდან. თუმცა, სწორედ საფრანგეთმა – სახელმწიფომ, რომელიც ვესტიფლიის ხელშექრულებაში იწოდებოდა ზავის პირობების დაცვის გარანტი სახე-

ლმწიფოდ, თავისი პრეტენზიებით და დამპყრობლური მოქმედებებით დაარღვია აღნიშნული თანასწორობა. ამიტომაც ქვემანებმა, რომელთა დამოუკიდებლობა და ტერიტორიები აღმოჩნდა საფრთხის ქვეშ და არ პქონდათ შესაძლებლობა დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე გაეწიათ წინააღმდეგობა საფრანგეთის აგრესიული პოლიტიკისათვის, შექმნეს კოალიციები, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთის წინააღმდეგ. ყველა ანტიფრანგულ კოალიციაში მთავრ როლს პოლანდია თამაშობდა.

საფრანგეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა ძირითადად იმ ოთხი ომის მსვლელობაში თავსდება, რომელიც მიმდინარეობდა XVII ს-ის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის დამდეგს.

### 5.3.1. ლუ XIV პირველი ომი

პირველი ომის (1667-1668) მთავარი მიზანი იყო საფრანგეთისათვის შემოეერთებინა ესპანეთის სამეფოს სამფლობელოები რეინზე და სამხრეთ ნიდერლანდები. ეს ომი ინგლის-პოლანდიის მწვავე დაპირისპირების ფონზე დაიწყო. ამ ბრძოლაში საფრანგეთმა პოლანდიის მხარე დაიჭირა. ვერსალის სასახლე პოლანდიის მხარეზე დია გამოსვლასაც აპირებდა, თუმცა ყოფ-მანობდა ინგლისისათვის ომის გამოცხადებას. შემდეგ კი მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

კერძოდ, აღნიშნულ სამხედრო მოქმედებებთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა მოხდა ესპანეთში. 1665 წელს გარდაიცვალა ესპანეთის მეფე ფილეპე IV. ამ ფაქტმა გააძლიერა საფრანგეთის მისწაფება სამხრეთ ნიდერლანდებთან დამოკიდებულებაში. კერძოდ, ლუ XVI მიზნები დაფუძნებული იყო მარია ტერეზას დინასტიურ ინტერესებზე. ესპანეთის ახალი მეფე კარლ II (1655-1700) ფილეპე IV შვილი იყო მეორე ქორწინებიდან. ფლანდრიაში (ესპანეთის ერთ-ერთი პროვინცია ნიდერლანდებში) არსებული სამემკვიდრო სამართლის მოხედვით, შვილებს მეორე ქორწინებიდან, არ შექმლოთ მამის მექავიდრეობის მიღება თუკი, პირველი ქორწინებიდან მემკვიდრე

პყავდა. ლუი XIV ამ წესს მისცა პოლიტიკური და ფართო ახსნა პერძოდ, გაავრცელა იგი ტახტის მემკვიდრეობაზეც და დაუკავშირა ყველა ესპანურ პროვინციას ნიდერლანდებში. რამდენადაც საფრანგეთის დედოფალი იყო ფილიპე IV ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან, ვერსალმა განაცხადა თავისი პრეტეზზიების შესახებ ამ ტერიტორიების მიმართ. იმ ეტაპზე ლუი XIV გადაწყვიტა დაუცადა საჭირო მოქნებისათვის, რომ ესპანეთისათვის შესაბამისი მოთხოვნები წაეყნებინა. ვერსალი აწარმოებდა არმიის სრულ მობილიზაციას და იმავე დროს, ელოდა ინგლის-ჰოლანდიის საბრძოლო ფრონტზე მდგომარეობის გარევას.

პოლანდიულების წარმატებამ ზღვაზე რეალურად აჩვენა ის, რომ საფრანგეთის მონაწილეობა ომში იქნებოდა ფრიად შეზღუდული. ამიტომ 1667 წელს, ძლიერი ფრანგული არმია თავს დაესხა ესპანეთის ნიდერლანდებს და დაიწყო ე.წ. „დაზოლუციური“ (ე.ი. მარია ტერეზას ინფანტის სამემკვიდრეო უფლების აღიარებაზე მიმართული) ომი ესპანეთის წინააღმდეგ. მოვლენების ამგვარი განვითარების კვალობაზე, პოლიტიკური სიტუაცია ევროპაში რადიკალურად შეიცვალა. ესპანეთის არმია თითქმის მოუმზადებელი აღმოჩნდა ომისათვის და ფაქტობრივად, არასაბრძოლო მდგომარეობაში იყო.

ამრიგად, საფრანგეთმა, რომელსაც თითქმის არაფერი აფერებდა ჩრდილოეთის მიმართულებით წარმატების მისაღწევად, ერთიმეორის მიყოლებით დაიკავა ნიდერლანდების ქალაქები.

ევროპული პოლიტიკური ერთეულებისათვის, რომლებიც აკვირდებოდნენ ამ ომის მსვლელობას, ცხადი გახდა, რომ ესპანეთი თავისი სამსედო ძალის აუკარა დაკინების პირობებში საფრანგეთს ვერ გაუწევდა არსებით წინააღმდეგობას. ყოველივე ამის შედეგად, სამხრეთ ნიდერლანდების საკითხი, ინგლის-ჰოლანდიის ომის ყველაზე ცხელ პერიოდში, მოექცა ევროპის პოლიტიკის ყურადღების ცენტრში.

ფრანგების მიერ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონების ოკუპაციის საფრთხემ და მათ მიერ შედღიის შესართავის

კონტროლის მოპოვებამ აიძულდა ინგლისი და პოლანდია და-ედოთ ზავი. როგორც მაშინ და შემდგომ, ორი საუკუნის მანძილზეც, თვლიდნენ, რომ ამ რაიონების საფრანგეთის კონტროლის ქვეშ გადასვლა ფაქტიურად ნიშნავდა მის ხელში ლა-მანშეს და პა-დუ-კალეს კონტროლის მოქცევას. მოვლენების ასეთი სცენარით განვითარება პარიზს საშუალებას მისცემდა აუცილებლობის შემთხვევაში სერიოზული პრობლემები შეექმნა პოლანდის ზღვაოსნობისათვის ამ რაიონებში, ხოლო სამხრეთ ინგლისში დესანტის გადასხმით საფრთხეც კი მოეტანა ლონდონისათვის.

ლუი XIV წარმატებამ უფრო მეტი შეშფოთება გამოიწვია ლონდონის და ამსტერდამის საფინანსო-სავაჭრო წრეებში, ვი-დრე მათმა საკუთარმა წარმატებებმა ან წარუმატებლობებმა ომში. უკვე 1667 წლის 31 ივნისს, ინგლისსა და პოლანდიას შორის ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას ქ. ბრედში. ფრანგული საფრთხე იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ინგლი-სელებმა და პოლანდიელებმა ანტიფრანგული კავშირიც კი შექრეს, რომელშიც დიდი ფინანსური სუბსიდიების დაპირებით შეციაც ჩააბეს. ამ, ე.წ. „სამთა კავშირმა” ლუი XIV შესთვაზა საშუამავლო მისია ესპანეთთან ზავის დადების შესახებ. ხოლო მოლაპარაკებაზე უარის შემთხვევაში მოკავშირები ვერსალს ომის გამოცხადებით დაემუქრნენ. ეს ის შეთავაზება იყო, რო-მელიც ლუი XIV მიუხედავად მისი სურვილიც რომ ყოფილიყო, უარს ვერ იტყოდა. მის წინააღმდეგ გაერთიანებული აღმოჩნდა იმ დროის ყველა საზღვაო ზესახელმწიფო. 1668 წელს ფრანგები იძულებული გახდნენ დაედოთ ესპანელებთან ახეენის ზავი. ამ ზავით ფრანგებმა უმნიშვნელო ტერიტორიული შენაძენი მიიღეს (ისიც მხოლოდ ფრანგების მიერ ოკუპირებული სამხრეთ ფლანდრიის რაიონის ხარჯზე).

### 5.3.2. ლუი XIV მეორე ომი

მოვლენების ამგვარი განვითარების მიუხედავად, საფრანგეთთან, როგორც ძლიერ კონტინენტურ სახელმწიფოსთან, კავშირი აუცილებელი იყო არა მარტო პოლანდიისათვის, არამედ ინგლისისათვის. ვინაიდან ამ უკანასკნელებს შორის არსებული მწვავე საგაჭრო-უკონომიკური წინააღმდეგობის პირობებში, საფრანგეთთან თანამშრომლობით სურდათ მათ მიეღწიათ დასახული მიზნისათვის, ანუ მესამე მხარის მხარდაჭერით მოპოვებინათ უპირატესობა ამ დაპირისპირებაში. მაგრამ ამ წინააღმდეგობას პქონდა სამხედრო-პოლიტიკურ კონფლიქტში გადაზრდის ტენდენცია.

ინგლის-პოლანდიის წინააღმდეგობის გამოყენების კვალობაზე, ლუი XIV დიპლომატიურმა ხრიკებმა შეძლო საპმაოდ მალე დაეშალე კ.წ. საზღვაო სახელმწიფოების „სამთა კავშირი“ (საფრანგეთმა შვეციას დიდი სუბსიდირება გაუწია და მან დატოვა კავშირი) და თავის გეგმების მხარდაჭერად, რომელიც ეხებოდა ესპანეთის სამფლობელოებს, ინგლისის მეფე ჩარლზ II მხრიდან მხარდაჭერაც კი მიიღო. ფრანგმა დიპლომატებმა, ასევე მიაღწიეს პაბსბურგების იმპერიის სამხედრო ძალის ნეიტრალიზებას – ვენამ ოფიციალურად განაცხადა თავისი ნეიტრალიტეტი გაჩადებულ კონფლიქტში. ასეთ პირობებში ძველი მოწინააღმდეგებები (ჯერ კიდევ XVI ს-ის ბოლოდან, ნიდერლანდების რევოლუციის დროიდან) ესპანეთი და პოლანდია მოულოდნელად აღმოჩნდნენ მოკავშირეები იმ დროის ორი ძლიერი სახელმწიფოს – ინგლისის და საფრანგეთის პირისპირ.

ლუი XIV მეორე ომი მიმდინარეობდა 1672 წლიდან 1679 წლამდე. იგი, ძირითადად, მიმართული იყო პოლანდიის წინააღმდებ. 1672 წელს, ინგლისმა და საფრანგეთმა დაიწყეს ომი პოლანდიის წინააღმდებ. ამ დროს ესპანეთი უკეთ აღარ განიხილება როგორც სერიოზული მოწინააღმდეგე. პოლანდიის დამარცხებას უნდა გადაეწყვიტა საფრანგეთისათვის ბევრად უფრო

როგორი – სამხრეთ ნიდერლანდების შეერთების შესახებ პრობლემა. ინგლისელები იმედოვნებდნენ, რომ გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებდნენ მთავარ კონკურენტს – პოლანდიას, მის ეკონომიკურ და სამხედრო-საზღვაო ძლიერებას.

ფრანგული არმია, ტიურენის და კონდეს ხელმძღვანელობით შეიჭრნა ფლანდრიასა და პოლანდიაში კელენის საარქიეპისკოპოს სამფლობელოს გავლით. საფრთხის ქვეშ ადმონიადა საკუთრივ ამსტერდამიც. პოლანდიელები იძულებულნი გახდნენ გაეხსნათ კაშხალები და ქვენის დიდი ნაწილი დაეტბორათ, რამაც ფრანგები აიძულა უკან დაეხიათ. ასევე პოლანდიის ფლოტი დამარცხდა საფრანგეთ-ინგლისის ფლოტთან ბრძოლაში. სამხედრო მოქმედებები გავრცელდა პირენეის პროვინციებშიც, სადაც ფრანგებმა გაანადგურეს პფალცი. ამ დროს პოლანდიის დასახმარებლად გამოვიდა პოლანდიის სტატაუდერის ვილჰელმ III ორანელის ბიძა ბრანდებურგის კურფურტისტი ფრიდრიხის ვილჰელმი (დიდი კურფურტისტი), რომლის პირენეის სამფლობელოების ბერი ასევე საფრთხის ქვეშ იყო. მან საფრანგეთთან ომისათვის დაიყოლია იმპერატორი ლეოპოლდი დ. I. შეიქმნა ანტიფრანგული კოალიცია, რომელშიც ასევე შევიდა ესპანეთიც.

1672 წელს საქმე ეხებოდა პოლანდიის განადგურებას. საფრანგეთის არმია სწრაფად გადაადგილდებოდა და თან პოლანდიის ახალ რაიონებს იპყრობდა. ხოლო ინგლის-საფრანგეთის ფლოტი ბატონობდა ჩრდილოეთის ზღვაზე. თუმცა, ინგლისურფარანგული კოალიციის შთამბეჭდავი წარმატებები საბოლოოდ კოალიციის დაშლით დასრულდა. კერძოდ, 1674 წელს ინგლისის მეფე ჩარლზ II (პარლამენტის ზეწოლით, რომელსაც სრულუბით არ სურდა საფრანგეთის, ნიდერლანდების ხარჯზე და მისი სამხედრო-საზღვაო ძალის და სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალის გადამწყვეტი გაძლიერება), პოლანდიასთან დადო სეპარატისტული ზავი და გავიდა ომიდან. მას მიჰყვა ლუის მეორე სარისხოვანი მოკავშირეები – კელი და მიუნსტერი. სწორედ, ასეთ პირობებში ევროპაში დაიწყო ახალი ანტიფრანგული კოალიციის შექმნა. მაგრამ შექმნილ ვითარებაში, ვერსალის

დიპლომატიამ შეძლო დაეყოლიებინა შვეცია გამოსულიყო ბრანდებურგის წინააღმდეგ პომერანიაში„დიდმა კურფურსისტმა” თავისი არმია გადაისროლა რეინიდან აღმოსავლეთში და 1675 წელს დაამარცხა შვედები ფერდებულინთან და დაიკავა პომერანის დიდი ნაწილი, რამაც გამოიწვია ბრანდებურგის სამხედრო ძალის ამაღლება.

პოლიტიკური ვითარების ესოდენ კარდინალური ცვლილება ძალზედ მარტივად აიხსნება. საქმე ეხებოდა იმ გარემოებას, რომ პოლანდის საბოლოო განადგურება სრულიად დაშლილა მერყვევ ევროპულ თანასწორობას და ხელს შეუწყობდა საფრანგეთის პეგემონობის დამყარებას ევროპის კონტინეტზე, რაც შეუძლებელია, რომ დაქშვა რომელიმე ძლიერ ევროპულ სახელმწიფოს.

1672 წელს პოლანდის ხელისუფლებაში ვილემ ორანელის მოსვლის შედეგად მოხერხდა მოკავშირე (ინგლისურ-ფრანგული ერთობის) ბანაკის გახსნება და დაიწყო ანგლიფრანგული კოალიციის შექმნა. ომის მსვლელობაში პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა. რაც უფრო მეტ გამარჯვებას აღწევდა საფრანგეთი ხმელეთსა და ზღვაზე, მთო უფრო რთულდებოდა მისთვის საგარეო პოლიტიკური ვითარება კონტინენტზე. 1674 წლისათვის საფრანგეთი პრაქტიკულად აღმოჩნდა სრულ პოლიტიკურ იზოლაციაში. პოლანდიამ კარგად შეძლო გაეთამაშებინა ინგლისის შიდაპოლიტიკური კარტი და ოპოზიციის გავლენით მეფე ჩარლზ II, 1677 წლის ბოლოსათვის, იძულებული გახდა წასულიყო ნიდერლანდებთან კავშირის დადებაზე. ფორმალურად, ინგლის-პოლანდიის კავშირი არ იყო მიმართული საფრანგეთის წინააღმდეგ. ინგლისელებმა, როგორც ათი წლის წინ ფრანგების ესპანელებთან დევოლუციური ომის მსვლელობისას, პოლანდიელებთან ზავის დადებით მხოლოდ „პეთილი სამსახური” შესთავაზეს ვერსალის სასახლეს. ეს ფაქტიურად ნიშნავდა ულტიმატუმს საფრანგეთის მეფისადმი. დამაუძლეურებელი ომი არ აძლევდა საშუალებას საფრანგეთს დადგომოდა ახალ კონფრონტაციას ძლიერ მოწინააღმდეგებთან.

შექმნილმა საერთაშორისო პოლიტიკურმა ვითარებამ, 1678 წელს საფრანგეთი აიძულა ხელი მოეწერა ნიმვეგენის ზავზე. ეს იყო პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც შედგენილი იყო არა ლათინურ ენაზე, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, არამედ ფრანგულ ენაზე.

ზავის მიხედვით, პარიზმა გაათავისუფლა პოლანდიის ტერიტორია. სანაცვლოდ, ლუი XIV საკომპენსაციოდ, ესპანეთის ხარჯზე, შეიძინა ფრანშ-კონტი და სამხრეთ ნიდერლანდების რამდენიმე ქალაქი. ოუმცა, დაკარგა გერმანიასა და სამხრეთ ნიდერლანდებში მთელი რიგი ანკლავური სამფლობელოები. შვედებს დაუბრუნდათ პომერანიაში ბრანდებურგის მიერ მიტაცებული მიწები.

შეთანხმების მიხედვით, ვერსალის სასახლე იძულებული გახდა უარი ეთქვა ქვეყანაში შემოსულ საქონელზე, კოლბიერის მიერ შემოღებულ ზოგიერთ ამჟრძალავ ბაჟსა და ტარიფზე.

ამრიგად, ნიმვეგენის ზავის დადების მომენტიდან ვეროპის პოლიტიკის ძირითადი „ნერვი“ იყო დაპირისპირება საფრანგეთსა და გველა გვრობულ დიდ სახელმწიფოს შორის. ვეროპაში საფრანგეთის მზარდი როლის გაუკენებელყოფისათვის პირველად შეიქმნა ფართო კოალიცია, რომლის შემადგენლობაში შევიდა ინგლისი, პოლანდია, ესპანეთი და პაბსბურგების ავსტრიის იმპერია. საფრანგეთისათვის ზავი მაინც იყო მომგებიანი და საპატიო, ვინაიდან მისი არმიის ძალა ეჭვის ქვეშ არავის დაუყენებია, მეფე-მზე დიდების ზენიტში იმყოფებოდა.

### 5.3.3. აუგსბურგის ლიგის შექმნა და ლუი XIV მესამე ომი

XVII ს-ის უგანასკნელ მეოთხედში საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი გახდა ქვეყნის საზღვრების მოწერიგება. ეს პროცესი გულისხმობდა, იმპერიის ტერიტორიაზე, ვერსალის სასახლის ანკლავური სამფლობელოების ლიკვიდაციის შედეგად ახალი ტერიტორიების შექმნას. ეს კი პარიზს საშუ-

ალებას მისცემდა, შექმნა ერთიანი საფორტიფიკაციო თავდაცვითი ხაზი რეინის გასწვრივ და სამხრეთ ნიდერლანდებში.

ვერსალში თვლიდნენ, რომ ევროპაში შექმნილი სიტუაცია სავსებით შექსაბამებოდა მისი მიზნების განხორციელებას. კერძოდ, მიაჩნდათ, რომ გამოეყენებინათ გერმანიის დაუძლურება და ნებაყოფილობით, საზავო პირობებით შემოეერთებინა საფრანგეთისათვის დასავლეთ გერამანული მიწები სხვადასხვა იურიდიული დასაბუთებით.

ამ მიზნის შესრულებისათვის ლუ XIV შექმნა განსაკუთრებული „შეერთების პალატა“ და წამოიწყო ნამდვილი სასამართლო კანპანია. იგი მიმართულიყო იქეთკენ, რომ დაემტკიცებინა საფრანგეთის მიერ შეძენის „უფლება“ ამა თუ იმ, მცენი ან ახალი ტერიტორიისა, რომელიც ვესტაფლიის ზავის საფრანგელზე ეპუთვნოდა ესპანეთს და გერმანიას. ამ გზით, 1681 წელს დაკავებულ იქნა სტრასბურგი. „მეცე მზის“ მიერ მოწონებული სამფლობელოების ოკუპაციას ფრანგული არმია დაუყოვნებლივ ახდენდა ისე, რომ, ზოგჯერ, სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებასაც კი არ ელოდებოდნენ. იმ პერიოდში, გერმანიაში გავრცელებულ ანტიფრანგულ პამფლეტებში უსაფრანგელოდ სულაც არ იყო აღნიშნული, რომ ზავის დადების შემდეგ, ლუმ მოახერხა მისი სამფლობელოსათვის შეერთებინა იმაზე მეტი ტერიტორია, ვიდრე გვირგვინის ქვეშ შევიდა ომის მსვლელობის დროს.

ამ პერიოდს ეხება ლუ XIV პრეტენზიებიც იმპერიის გვირგვინზე. ფრანგული სასახლის თავდაჯერებულობა და უცხრებინიალობა ევროპულ საქმეებში აისხნება იმით, რომ საფრანგეთის მთავარი ოპონენტები – პოლანდია და ინგლისი, სავაჭრო და კოლონიალური ინტერესების დაცვის გამო, მუდმივად იყვნენ ჩართული ურთიერთბრძოლაში.

XVII ს-ის მეორე ნახევარში ინგლისმა და პოლანდიამ საკუთარი სავაჭრო, საზღვაო და კოლონიური პეგემონის დაცვისათვის აწარმოეს სამი მსხვილმასშტაბიანი სისხლისმღვრელი ომი (1652-1654; 1665-1667; 1672-1674). თანაც, მესამე ომის დროს,

სმელეთზე, მათ ასევე მოუხდათ ებრძოლათ საფრანგეთის წინააღმდეგაც.

XVII საუკუნეში პოლანდია, თანდათან კარგავდა დიდი და ძლიერი საზღვაო და სამხედრო სახელმწიფოს სტატუსს. ამ როლს ის ინგლისის უთმოდა. ინგლისის მზარდმა დაპირისპირებამ საფრანგეთთან და, მათ შორის ხანგრძლივმა სავაჭრო ომებმა, პოლანდიას საშუალება მისცა მეტ-ნაკლებად შეენარჩუნებინა თითქმის კველა მისი კოლონიური სამფლობელო.

რაც შეეხება ესპანეთს, იგი უძლური იყო, ხოლო იმპერია სერიოზულ სირთულეებს განიცდიდა აღმოსავლეთში.

ჯერ კიდევ, მეორე ომის დროს, ლუი XIV მოახერხა უნგრელების აჯანყება ავსტრიის ბატონობის წინააღმდეგ. მათ ხელს უწყობდა ფრანგული დიპლომატია. 1681 წელს უნგრეთი გათავისუფლდა ავსტრიული ჯარებისაგან, ხოლო 1682 წელს ემერისა ტეკელამ, რომელიც ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდა, უნგრეთის სამეფო აღიარა თურქეთის ვასალად.

ლუი XIV მცდელობა დაეპყრო უცხო ტერიტორიები, საქვთვი, არარსებული ქველი უფლებების საბაბით და გავლენა გამდლიერებინა ევროპაში, ჰაბსბურგების ავსტრიის იმპერიის და გერმანელი თავადების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ამ ვითარებამ 1682 წელს იმპერატორი ლეპოლიდ I აიძულა დაედო საკავშირო ხელშეერულება რამდენიმე გერმანულ სამთავროსთან. შეთანხმების მიხედვით, ისინი ვალდებულებას დებულობდნენ გამოსულიყვნენ ფრანგების წინააღმდეგ 30 000-იანი არმის შემაღებლობით. ფრანგების გეგმების საწინააღმდეგოდ, 1683 წლის დასაწყისში, ასევე დადგებულ იქნა თავდაცვითი კავშირი, რომელშიც შევიდა იმპერატორი, პოლანდია, ესპანეთი, შვეცია, ბავარიის კურფურტისტი და ჰანოვერი.

ომი საფრანგეთთან გარდაუგალი აღმოჩნდა. ლუი XIV დახმარებისთვის თურქეთს მიმართა, რომელიც სრულად შეეხაბამებოდა **rasion d'etat** კონცეფციის არსს. თურქეთმა ომი გამოუცხადა ჰაბსბურგების იმპერიას და 1683 წელს მისი 200 ათასი-იანი არმია ვენას მიადგა.

აქ აუცილებელია ადინიშნოს ის, რომ თურქეთი XVII–XVIII სს., რომელიც ფლობდა დიდ ტერიტორიას სამ კონტინენტზე და წარმოადგენდა დიდ ევროპულ სახელმწიფოსაც (ბალკანეთი, ვლახეთი, მოლდავეთი, უნგრეთის ნაწილი), ბევრად დაკარგული პქონდა შემტევი ძალა ევროპის მიმართულებით. მუდმივად არსებობდენენ სახელმწიფოები (და აქ უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთი უნდა გავიხსენოთ), რომლებიც არ იყვნენ განხევ და თავიანთი სარგებლისათვის სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსური თვალსაზრისით მზად იყვნენ მხარი დაეჭირათ თურქეთის ამა თუ იმ პრეტენზიებისათვის ევროპაში. XVII ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან დაწყებული პოლიტიკა, რომელმაც მოგვიანებით მიიღო „აღმოსავლეთის პოლიტიკის“ ან „აღმოსავლეთის წინაღობის“ პოლიტიკის სახელმწოდება და მიმართული იყო თურქეთის გამოყენებაზე (შვეციასთან ერთად) ავსტრიის იმპერიის, ხოლო შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ, საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. ამასთან დაკავშირდით ევროპის „ქრისტიანმა მეფე“ ლუი XIV მიიღო „ქრისტიანი თურქის“ ირონიული მეტსახელი.

ვენის დაცვა მოხერხდა პოლონეთის მეფის იანა სობესკოს ჯარების დახმარებით, ხოლო უნგრეთი მხოლოდ 1687 წელს წართვეს თურქებს.

საფრანგეთის მეფე ლუი XIV გამოიყენა ის მდგომარეობა, რომ ავსტრიის იპერატორს თავისი სამხედრო ძალები აღმოსავლეთის მიმართულებით ჰყავდა კონცენტრირებული და ულტიმატუმი წაუყენა ესპანეთს. შედეგად მიაღწია საფრანგეთისათვის შემოერთებინა ლუქსემბურგი.

ასეთი მწვავე მოვლენების განვითრების პირობებში იმპერატორმა ლეოპოლდ I (1658-1705) და ესპანეთის მეფე კარლ II ლუი XIV-თან 1684 წელს რეგენსბურგში დადეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვით 20 წლის მანძილზე აღიარებდა ზავს და საფრანგეთის ყველა ტერიტორიულ მონაბოვარს.

ახალი შეთნამების მიხედვით, რომელიც რეგენსბურგში გაფორმდა 1684 წლის აგვისტოში, დაკმაყოფილებულ იქნა

პრაქტიკულად საფრანგეთის ყველა პრეტენზია რეინზე. თუმცა, საფრანგეთმა, რომელმაც მიაღწია ტერტორიულ გაფართოებას, პრაქტიკულად აღმოჩნდა სრულ პოლიტიკურ იზოლაციაში ევროპაში. ოფიციალური ვერსალის მოლოდინის საპირისპიროდ, თურქებმა სასტიკი მარცხი განიცადეს ვენის მისადგომებთან, ხოლო ავსტრიის ჰაბსბურგებმა თურქეთთან ომის შედეგებიდან გამომდინარე, შეძლეს არსებითად გაეძლიერებინათ თავიანთი პოზიციები ცენტრალურ ევროპაში. მათ შეძლეს თურქებისაგან გაეწინდათ უნგართი, სერბიის ნაწილი, ვლახეთი და ბოსნია. უფრო მეტიც, ინგლისში „დიდი რევოლუციის“ (1688) და ლონდონში დინასტიური კომბინაციის შედეგად ხელისუფლებაში ვილჰელმ ორანელის – პოლანდიის შტატგალტერის მოსვლის შედეგ ბრიტანეთიც გადავიდა საფრანგეთის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. თვით ორმა დინამიურად ბევრად განვითარებადმა პროტესტანტულმა სახელმწიფოებმა, მოულოდნელად, ფრანგული დიპლომატიის გამო, გააერთიანა თავისი რესურსები ევროპაში საფრანგეთის მოსალოდნელი ჰეგემონობის დამყარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საფრანგეთის წარმატებები და ახალი ტერიტორიალური პრეტენზიები გახდა 1686 წელს ახალი თავდაცვითი კავშირის – აუგსბურგის ლიგის შექმნის მიზეზი, რომლის ინიციატორიც იყო ვილჰელმ III ორანელი. აუგსბურგის ლიგაში შედიოდნე ესპანეთი, შვეცია, საფოია, იმპერია, ზოგიერთი გერმანული კურფიურსისტი და იტალიური მიწები. ამ კავშირის შექმნას მფარველობდა რომის პაპი ინოკენტი XI. 1688 წელს „დიადმა რევოლუციაში“ ინგლისში, რომლის შედეგად ნიდერლანდების შტატპაუდერი აყვანილ იქნა ინგლისის ტახტზე, საბოლოოდ განსაზღვრა ინგლისის საგარეო პოლიტიკის ანტიფრანგული მიმართულება. ინგლისი შეუერთდა კოალიციას.

ამ დროს დღე 14 წლის მესამე ომს (1688-1697). მისმა არმიამ მოახდინა პირენეის მიწებზე თავდასხმა, შეიჭრნენ პფალციაში და დაიპყრეს ტერიტორია ბაზელიდან პოლანდიის საზღვრებამდე. თავდასხმის საბაბად გამოყენებულ იქნა დღე 14 პრ-

ეტენზია გწ. პფალციის მემკვიდრეობაზე, რომელიც მან დაასაბუთა პფალციის კურფურსისტს კარლთან შორეული ნათესაობით. ეს უკანასკნელი უმემკვიდროდ გარდაიცვალა.

ოფიციალურმა ვერსალმა ვერ შეძლო რეალურად შეეფასებინა ევროპაში ძალთა დამოკიდებულებაში მომხდარი ცვლილებები და ევროპულ არენაზე უბოლიშოდ ბოლომდე გააგრძელა საკუთარი ინტერესების გატარება. 1688 წელს პარიზიდან გაიგზავნა მითითება დაეცალათ საფრანგეთის სამეფოსათვის ახალი შემოერთებული სასაზღვრო ტერიტორიები. იმ დროს წარმოდგენის მიხედვით, საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი იყო საზღვრის მთელ მანძილზე თავდაცვის ხაზის შექმნა. სამედო ხანგრძლივი თავდაცვით საფორთიფიკაციო ნაგებობისათვის საფრანგეთის სამხედრო ხელმძღვანელობა – ლავუა, ვობანი და ოვით ლუ XIV მიიჩნევდნენ შემოერთებული ტერიტორიების აუცილებელ დაცლას და იქ ფრანგული თავდაცვითი საფორთიფიკაციო სისტემის აშენებას, რაც ომის შემთხვევაში მკვეთრად გააუარესებდა მოწინააღმდეგის ამუნიციის და სურსათ-სანოფაგის მომარაგების შესაძლებლობას, ასევე შეაფერებდა მანევრის შესაძლებლობას და უშედეგო იქნებოდა სიმაგრის აღყის ნებისმიერი მცდელობაც. პრინციპში მსგავსი ლონისძიებები მეტყველებდა იმის შესახებ, რომ მალე მიღებული იქნებოდა სამხედრო თავდაცვითი ღოქტრინა, უფრო კი, ვერსალის ექსპანსიონისტური ჩანაფიქრების შესახებ ხედვა. თუმცა, მშვიდობის უმიზესო დარღვევაშამ გერმანიაში მოსახლეობას აჯანყებისაკენ უბიძგა ფრანგების ქმედებების წინააღმდეგ. 1688 წელს დაიწყო სამხედრო მოქმედებები რეინზე. 1689 წლის გაზაფხულზე მადრიდის სასახლემ ოფიციალურად და თავისუფლად შეუშვა გერმანული სათავადოების ჯარები სამხრეთ ნიდერლანდებში და გახსნა მათ წინაშე თავისი სიმაგრეების კარები. ფრანგებმა ეს შემთხვევა გამოიყენეს და ესპანეთს ომი გამოუცხადეს. 1689 წლის მაისში საფრანგეთმა, ასევე, ომი დაიწყო ჰოლანდიისა და ინგლისის წინააღმდეგ. უკანასკნელებს მალე შეუერთდა სამხრეთ გერმა-

ნული სათავადოების ნაწილი ბავარიის ხელმძღვანელობით. რეგენციაში განლაგებულმა გერმანელი ერის რომის საფოთო იმპერიის რეიხსტაგმა ოფიციალურად ომი გამოუცხადა საფრანგეთს.

ამრიგად, ლუი XIV მესამე ომი ფაქტობრივად გადაიქცა საერთო ევროპულ ომად როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაზე. საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა პირენეების რეინისპირა გერმანულ მიწებზე, ნიდერლანდებში, იტალიასა და ესპანეთში. მართალია, საფრანგეთმა ომის ევროპულ თეატრში მოიპოვა გამარჯვება, მაგრამ იგი დამარცხდა ინგლისის ფლოტთან ბრძოლაში.

1690 წლის ზაფხულისათვის საფრანგეთი უკვე ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა ძლიერ კოალიციისთან, რომლებიც საბუთოვ აერთიანებდნენ ევროპის საკმაოდ დიდ ნაწილს. დამანგრეველი განადგურებისაგან ვერსალი იხსნა მისი მოწინააღმდეგების – თვისობრივად ფართო საერთაშორისო კოალიციის შეუთანხმებელმა მოქმედებებმა. ომი, რომელმაც მიიღო აუგსბერუგის ლიგის წინააღმდეგ საფრანგეთის ომის სახელწოდება, გაგრძელდა ათი წლის მანძილზე (1688-1697) და მიუხედავად იმისა, რომ ლიგის მიზანს წარმოადგენდა ის, რომ საფრანგეთისათვის არ მიეცა პეგემონბა ევროპაში და არ მიედო ესპანეთის ნიდერლანდები, მაინც, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ომის მხედველობაში ვაჭრობისა და კოლონიებისათვის ბრძოლის საკითხება.

XVII ს-ის 90-იან წლებში ვერსალი შეეცადა ლიგის ცალკეულ მონაწილეებთან სეპარატიული ზავის გაფორმებას და მასში განხეთქილების შეტანას. თუმცა მან არსებით წარმატებას ვერ მიაღწია (კოალიცია ფრანგული სუბსიდიების გავლენით დატოვა მხოლოდ საფოის საერცოგომ). ამის მიუხედავად, საფრანგეთმა მიაღწია თავის მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში საკუთარი სტატუსის ამაღლებასა და შენარჩუნებას, როგორც ევროპის ძლიერი ზესახელმწიფოს.

მებრძოლი ქვეყნების დასუსტებებამ ისინი აიძულა 1697 წელს ხელი მოწერათ რისვისკის საზაფო ხელშეკრულებისათვის

საფრანგეთს, ინგლისს, ეპანეთს და პოლანდიას შორის. ეს იყო ხელშეკრულებების სერია საფრანგეთის ლიგის წევრ – ქვეყნებთან. ტერიტორიული კუთხით პრაქტიკულად აღსდგა ომამდე არსებული მდგომარეობა. შეთანხმების მიხედვით საფრანგეთმა ფაქტობრივად შეინარჩუნა გერმანიასა და სამხრეთ ნიდერლანდებში თავისი შენაძენის დიდი ნაწილი, მათ შორის ფრანგინი, სტრასბურგი. ამისათვის საფრანგეთმა დასწია საბაჟო ტარიფები პოლანდიურ საქონელზე. ხელშეკრულებაში ფორმალურად დაფიქსირებული იქნა და 14 მიერ ვილჰელმ ორანელის კანონიერი უფლების აღიარება ინგლისის ტახტზე. ხოლო ორივე სამეფოს ქვეშევრდომებმა მიიღეს ნავიგაციის და გაჭრობის თავისუფლება.

რისვისკის ხელშეკრულების ხელმოწერით ევროპაში დამყარდა კლასიკური „ძალთა წონასწორობა“. თუმცა, მან ვერ გადაწყვიტა ცენტრალური საკითხი, რომლზეც დამოკიდებული იყო ფორმირების პროცესში მყოფი ძალთა ბალანსის სისტემის შენარჩუნების პერსპექტივა; ეს იყო სწორედ ე.წ. „ესპანეთის მემკვიდრეობის“ საკითხი, ასევე, მან ვერ გადაწყვიტა კოლონიური შენაძენებისათვის ბრძოლის პრობლემა, რომელიც ვითარდებოდა ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

#### 5.3.4. „ესპანეთის მემკვიდრეობის“ საკითხი ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში და და 14 მეოთხე ომი

რისვისკის ზავის შემდეგ უველა ევროპული დიდი სახელმწიფო მნიშვნელოვნად დასუსტებული იყო და არც ერთ მათგანს არ ჰქონდა პირდაპირი სურვილი ურთიერთობების გაუარესებისა და ახალი ომის გაჩაღებისა, მაგრამ რამდენიმე წელი გავიდა მიღწეული ზავის შემდეგ და ევროპელი პოლიტიკოსების და დიპლომატების წინაშე კვლავ დადგა ე.წ. „ესპანეთის მემკვიდრეობის“ საკითხი. ამ საკითხს ჰქონდა არა მარტო ევროპული, არამედ მსოფლიო მნიშვნელობა.

ესპანეთის მეფე კარლ II ჰაბსბურგს, რომელიც იყო ესპანელი ჰაბსბურგების უფროსი ხაზის ბოლო წარმომადგენელი,

არ პყავდა ვაჟი მემკვიდრე და უზარმაზარი ესპანეთის იმპერიის ბედი, რომელიც ფლობდა კოლოსალურ კოლონიურ სამფლობელოებს ევროპის გარეთ, აგრეთვე კრცელ ანკლავებს კონტინენტზე (იტალიაში, სამხრეთ ნიდერლანდებში და ა.შ.), დამოკიდებული აღმოჩნდა ევროპის სასახლეების დინასტიურ-დიპლომატიურ კომბინაციებზე. კერძოდ, საქმე ეხებოდა ესპანეთის მემკვიდრეობის განაწილებას, მხედველობაშია თვითონ ესპანეთი, მისი მიწები ევროპაში და დიდი კოლონიური სამფლობელოები.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის პრობლემა ევროპის პოლიტიკური სუბიექტების წინაშე მწვავედ იდგა.

კარლ II ავადმყოფობის გამო ესპანეთის და მისი სამფლობელოს გაყოფის პერსპექტივა თოთქმის 30 წლის მანძილზე განიხილებოდა ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში. ამ კუთხით არსებობდა წინასწარი ხელშეკრულება ლუი XIV და ვილჰელმ III ორანელს შორის. თუმცა იგი არ განხორციელებულა.

ესპანეთის ტახტზე რეალურ პრეტენდენტებად გამოვიდნენ ფრანგი ბურბონები და ავსტრიელი ჰაბსბურგები, რომლებსაც პქნდათ ესპანეთის მმართველ დინასტიასთან ნათესაური კავშირი ქალის ხაზით. ამ კუთხით ლუი XIV აპელირებდა მარია ტერეზასთან საქორწინო კონტრაქტით და ფილიპე IV-თან საკუთარი ნათესაური შთამომავლობით, ხოლო იმპერატორი ლეპოლი დ I, რომელიც დედის ხაზით იყო ფილიპე III შვილიშვილი, ცდილობდა მიედო მემკვიდრეობა მის მეორე შვილის კარლისათვის. მომაკვდავ ესპანეთის მეფეს არ სურდა დაეშვა ესპანეთის და მისი სამფლობელოს გაყოფა და ამ გზით თავიდან აეცილებინა ერთ დროს ძლიერი სახელმწიფოს უკალოდ გაქრობა.

ოფიციალური ვერსალი რისვიქსის ზავის დადების შემდეგ შეუდგა დიპლომატიურ სამზადისს, რათა კორონაციის გზით მოეხდინა საფრანგეთის და ესპანეთის ფაქტიური უნია\*. კერძოდ, ლუი XIV შვილი ანუეის პერცოგი ფილიპე გამხდარიყო ესპანეთის მეფე. ესპანეთის ტახტზე ასევე პრეტენზიას აცხადებდა

\* შერწყმა, გაერთიანება

ავსტრიის ერცჰერცოგი კარლი, პაბსბურგების ავსტრიის სახლის შტოს წარმომადგენელი. საზღვაო ზესახელმწიფოებმა – ინგლისმა და პოლანდიამ დაიკავეს მომლოდინე პოზიცია, რომლებიც ცდილობდნენ საკუთარი თავისათვის ბევრად მომგებიანი პირობებით გაჭრობას კოლონიური მფლობელობისა და ევროპაში ტერიტორიების შექნის სურვილით, აგრეთვე, სავაჭრო „კომპენსაციის“ მიღებას თითოეული პრეტენდენტისაგან.

ლუი XIV პოლიტიკა ესპანეთთან მიმართებით საქმაოდ მსგავსი იყო იმ პოლიტიკისა, რომელიც გაატარა პოლნდიასთან მიმართებით: მეტროპოლის დაუფლება მადრიდის დაუფლებასთან ერთად ავტომატურად ნიშნავდა ევროპის გარეთ მდებარე ტერიტორიების დაუფლებასაც. მკვლევართა აზრით, ლუის საგარეო პოლიტიკური განზრახვებიდან გამომდინარე, XVII ს-ის საფრანგეთი უნდა გამხდარიყო მემკვიდრე ერთდროულად ორი მდიდარი კოლონიური იმპერიის – პოლანდიისა და ესპანეთის. შესაბმისად, პოლანდიის მიმართულებით განცდილი წარუმატებლობა უნდა კომპენსირებულიყო პირენეის მიმართულებით.

ერთხანს საფრანგეთის დიპლომატიური მიმართულება ესპანეთის მხრივ სრული წარმატებით დაგვირგვინდა. კერძოდ, ვერსალის დიპლომატიამ მომაკვდავ კარლ II-გან ანდერძით მიიღო გარანტი, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ესპანეთის ტახტს დაიკავებდა ლუი XIV შვილის შვილი ფილიპე. თუმცა ერთი პირობით, რომ არასდროს არ მოხდებოდა პარიზის და მადრიდის ტახტების გაერთიანება ერთი პირის ხელში. სწორედ ესპანეთის მემკვიდრეობის საკითხზე 1700 წელს გაჩადებული დიპლომატიური გაჭრობის უამს გარდაიცვალა ესპანეთის მეფე კარლ II პაბსბურგი. მისი ანდერძის თანახმად, მადრიდის გვირგვინი მემკვიდრეობით მიიღო ლუის უმცროსმა შვილის შვილმა – ფილიპე V. 1701 წლის დასაწყისში ფრანგული არმია გადაადგილდა სამხრეთ ნიდერლანდებსა და მიღანში. არც ერთი ევროპული დიდი სახელმწიფო არ ისურვებდა საფრანგეთის გაძლიერებასთან შეგუებას. ინგლისი, პოლანდია და ავსტრია გაერთიანდნენ საფრანგეთის და ესპანეთის ბურბონების წინააღმდეგ. შეიქმნა

ანტიფრანგული კოალიცია ვილექმ III ორანელის ინიციატივით. მას უნდა დაეცვა არა მარტო „ეპროპული უსაფრთხოების სისტემა, არამედ ინგლისის და პოლანდიის კონკრეტული ინტერესებიც. ვილექმ III ორანელმა მხარი დაუჭირა ავსტრიის ერცჰერცოგის კარლის კანდიდატურას ესპანეთის ტახტზე. კოალიციაში შევიდნენ იმპერია, გერმანელი თავადების უმრავლესობა, ბრანდებურგის კურფურტისტი (რომელმაც საიმპერატორო სახლის მხარდამჭერი მოქმედებების გამო მიიღო პრუსიის მეფის\* ტიტული 1701 წელს). თანდათანობით კოალიციას შეუერთდა ყველა დასავლეთევროპული სახელმწიფო, რომელიც პქონდათ პოლიტიკური წონა. ლუი XIV მოკავშირე იყო მხოლოდ ბაგარიის კურფურტისტი, რომელსაც დაპირდა რომ მიიღებდა ესპანეთის ნიდერლანდებს, პფალიციის და კელინის საარქიეპისკოპოსოებს. ასე დაიწყო ლუი XIV მეოთხე ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის (1701 – 1713). მასში მონაწილეობდა თითქმის მთელი დასავლეთ ევროპა, რომელიც გაერთიანდა საფრანგეთის პეგემონობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბრძოლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ევროპაში ძალთა წონასწორობის შენარჩუნება და ევროპის ერთი რომელიმე დიდი სახელმწიფოს მიერ ესპანეთის მემკვიდრობის სრული დაუფლების დაუშვებლობა. ყველივე ამის შედეგად, 1701 წელს დაიწყო ახალი საერთო ევროპული მასშტაბის ომი, რომელიც გაგრძელდა 13 წელი.

ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ბრძოლის დროს, საომარი მოქმედებები უმთავრესად წარმოებდა ნიდერლანდებსა და მის მოსაზღვრე გერმანულ რაიონებში, ასევე საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში. საფრანგეთმა ამ ბრძოლაში მარცხი განიცადა, ქვეყანა განადგურებულ იქნა. საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა, უცხო ქვეყნის ჯარების თავდასხმებმა, შიმშილმა და ეპიდემიებმა ვერსალის სასახლე აიძულდა ზაფი ეთხოვა. ომის წარმოებით დაუძლურდა კოალიციაც, თუმცა არ ჩქარობდა ზაფის დადებას და წამოაყენა საფრანგეთისათვის მაკრი და

\* პრუსიის საერცოგოს მიხედვთ

დამამცირებელი მოთხოვნები. ფრანგული არმია ვერ ახერხებდა უცხოელთა შემოტკევის შეკავებას, დიპლომატიაც ჩიხში მოექცა, მაგრამ ამ დროს ევროპაში მომხდარმა შემოხვევამ საფრანგეთი იხსნა სრული განადგურებისაგან. კერძოდ, 1711 წელს გარდაიცვალა გერმანიის იმპერატორი იოსეფ I, რომელსაც მემკვიდრეობით მიიღო მამის ლეოპოლიდ I-გან 1705 წელს. იმპერატორის გვირგვინი, ისევე როგორც ავსტრიის მემკვიდრეობა, მიიღო მისმა მმამ ერცჰერცოგმა კარლმა, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ავსტრიის ტახტზე და რომელიც იმქამად გახდა გერმანიის იმპერატორი კარლ VI სახელით (1711-1740). დასავლეთ ევროპის წინაშე წარმოიქმნა საფრთხე ესპანეთისა და იმპერიის გაერთიანებისა ერთი ტახტის ქვეშ. შეიძლება განმეორებულიყო ისტორია ერთიანი ჰაბსბურგების მონარქიის შექმნაზე. ეს პერსპექტივა შეიძლება, მართლაც, მომხდარიყო საფრანგეთის ძლევამოსილების გაქრობის კვალდაკვალ.

1713 წლის აპრილიდან 1714 წლის ოქტომბერის ჩათვლით, მხარეთა შორის სამშვიდობო კონგრესი მიმდინარეობდა უტრეხტში. თავდაპირველად საზავო მოლაპარაკებებში მონაწილეობნენ საფრანგეთი, ინგლისი, ჰოლანდია, სავოია, პორტუგალია, ვენეცია, პაპის ოლქი და რიგი პატარა სახელმწიფოები. ესპანეთი კონგრესშე მოგვიანებით დაუშვეს. უტრეხტის ზაგმა, რომელმაც დაასრულა ესპანეთის მემკვიდრეობისათვის წარმოებული ბრძოლა, შედგებოდა რიგი ხელშეკრულებისაგან.

საფრანგეთსა და ინგლისს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, საფრანგეთი ვალდებული იყო მოესპო დიუნკერის სიმაგრე, ინგლისისათვის დაეთმო პუმბინის ყურის გარშემო მიწები, ტერიტორიები ახალ შოტლანდიასა და ნიუფაუნდლენდში, ეცნო ინგლისის ტახტის მემკვიდრეობის წესი ჰანოვერების დინასტიის სასარგებლოდ.

თავის მხრივ, ინგლისი იძულებული იყო ეცნო ფილიპე V ბურბონის უფლებები ესპანეთის ტახტზე იმ პირობით, თუკი ის ოკეანისგარმა სამფლობელოებს საფრანგეთს არ გადასცემდა.

ორივე სახელმწიფომ ხელი მოაწერა კონვენციას ზღვაოსნობისა და გაჭრობის განვითარების შესახებ ბევრად უფრო სასურველი პრინციპის საფუძველზე.

საფრანგეთის პოლანდიასთან დადებული ხელშეკრულებით საფრანგეთმა გაათავისუფლა მისი ტერიტორიები ესპანეთის ნიდერლანდებში და დაუთმო საფრანგეთის ნიდერლანდების ტერიტორიის ნაწილი. პოლანდიამ აიღო ვალდებულება საფრანგეთისათვის დაებრუნებინა ლილია და ზოგიერთი სხვა ქალაქი. სავაჭრო ხელშეკრულება ითვალისწინებდა პოლანდიისათვის ინგლისის თანაბარი უფლებების მინიჭებას საფრანგეთთან მომართებით.

საფრანგეთის პორტუგალიასთან დადებული ხელშეკრულებით, პირველი მეორის სასარგებლოდ უარს ამბობდა ამაზონის ხეობის მიწებზე.

საფრანგეთის პრუსიასთან დადებული ხელშეკრულებით კი უკანასნელს ნიდერლანდებში გადაეცა გელდერი, ნევშატელის საგრაფო. პრუსიამ ორანჟის საგრაფოს პრეტენზიაზე უარი თქვა.

საფრანგეთის საფოიასთან დადებული ხელშეკრულებით, საფრანგეთმა მას დაუბრუნა ნიცა და სავოის საერცოგო და მოსი პერცოგი აღიარა სიცილიის მეფედ. საფოიამ, თავის მხრივ, გარკვეული მიწები დაუთმო საფრანგეთს.

იმპერატორი კარლ VI უქმაყოფილო იყო მოლაპარაკების მსვლელობით. განსაკუთრებით, პოლანდიის სასარგებლოდ ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტით. ამის გამო, მან გამოიწვია თავისი დიპლომატები უტრეხტიდან. მოგვიანებით, 1714 წელს მან საფრანგეთთან ცალკე დადო ე.წ. რაშტადის საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, საფრანგეთი ინარჩუნებდა ტერიტორიებს, რომელიც მას გადაეცა ვესტფალიის, ნიმვეგენიის და რისვისკის ზავების საფუძველზე. საფრანგეთმა თანხმობა განაცხადა რეინის მარჯვენა სანაპიროზე გერმანული ქალაქების განავისუფლებასა და პირენეის სიმაგრეების დანგრევაზე. კარლ VI იტალიაში ინარჩუნებდა სარდინიას. მან შეიძინა ნეაპოლის სამეფო და ტოსკანიის ნაწილი, მილანის საერცოგო.

ავსტრიას გადაეცა ესპანეთის ნიდერლანდები. ამრიგად, იმპერატორმა მიიღო ესპანეთის იმპერიის მნიშვნელოვანი ნაწილი უკროპაში, თუმცა ცნო ბურბონების უფლება ესპანეთის ტახტზე. გერმანული სათავადოები, რომლებიც მონაწილეობდნენ ესპანეთის მემკიდრეობისათვის ომში, დათანხმდნენ ხსენებულ პირობებს.

ესპანეთმა ცალკე დადო ხელშეკრულებები ინგლისთან (1713), პოლანდიასა (1713) და პორტუგალიასთან (1715). ბევრად უფრო მოიგო საფრანგეთმაც. მან ესპანეთისაგან მიიღო გიბრალტარი და ბმენორკაში პორტი მაონი, ასევე სრული მონოპოლიური უფლება აფრიკელი მონების გაყიდვაზე ესპანეთის ამერიკულ კოლონიებში (ასიენტო).

უტრეხტის 1713 წლის და რაშტადის 1714 წლის ზავებმა, რომელმაც დაასრულა ეს ქანცგამომლევი და სისხლისმდვრელი საბატალიო მარათონი, სერიოზულად შეცვალა ძალთა კონფიდენციალი და განნლაგება ევროპის კონტინენტზე. მან ბოლო მოუღო ვერსალის გეგმებს – დაემყარებინა ფრანგული პეგემონია ევროპის კონტინენტზე. მიუხედავად იმისა, რომ ლუი XIV შეინიშვილმა ფილიპე V შეინარჩუნა ესპანეთის ტახტი, სისტემა, რომელიც შეიქმნა ხელშეკრულების პირობებით, გამოააშკარავა საფრანგეთის პეგემონისტური პრეტენზიების არარეალურობა. 1715 წლისათვის, როცა გარდაიცვალა ლუი XIV, საფრანგეთი ნაკლებად ჰგავდა იმ დიდ სახელმწიფოს, რომელიც მბრძანებლობდა ევროპის კონტინენტზე XVII ს-ის 60-80-იან წლებში. ფაქტობრივად, გაქრა პოლანდიის დიდი სახელმწიფოს სტატუსიც, რომელიც იძულებული იყო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ეწარმოებინა გაჭიანურებული და ძვირადღირებული ომები კონტინენტსა და საგაჭრო გზებზე მსოფლიო ოკეანეში, რამაც მას გამოაცალა წამყვანი ფინასური დიდი სახელმწიფოს სტატუსი. მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა ზოგიერთი მეორეხარისხოვანი ევროპული სახელმწიფო (მაგალითად, პრუსიის სამეფო) და ინგლისი. უტრეხტის ზავები შეცვალა ინგლისის კონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე. ლონდონმა დია და-

ინტერესება გამოხატა, რომ ევროპის კონტინენტზე არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ მოეპოვებინა გაბატონებული მდგომარეობა. მასევ სურდა ეთამაშა არბიტრის როლი საერთაშორისო დავებში. ამასთან დაკავშირებით, ინგლისის პოლიტიკა, რომელიც არ იყო დამოკიდებული შიდაპოლიტიკურ პერიპეტიებზე მრავალი წლის მანძილზე, გახდა ერთ-ერთი ყველაზე მყარი და დაინტერესებული მიმდევარი „ძალთა ბალანსის” დოქტრინისა ევროპაში.

ამრიგად, საფრანგეთისათვის ეს იყო ევროპაში პოლიტიკური ბატონობის დასარული. მან არა თუ შეძლო რაიმე ტერიტორიის შეძენა, არამედ პირიქით, დათმო ტერიტორიის ნაწილი ავსტრიის სასარგებლოდ. XVII ს-ის 80-იან წლებში საფრანგეთის მიერ მიღწეული დიდების პიკი თანდათან დაეცა. „საფრანგეთის ეპოქა” დასავლეთ ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში დასრულდა. დადგა ძალთა ბალანსის დრო.

დასავლეთ ევროპაში ესპანეთის მემკვიდრეობისათვის წარმოებული ბრძოლის დროს, არანაკლებ მწვავე სამხედრო მოქმედებები წარმოებდა ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა შვეციის, როგორც დიდი ევროპული სახელმწიფოს ბედი. ამ ბრძოლას, რომელმაც მიიღო ჩრდილოეთის დიდი ომის სახელმწიფდება და მიმდინარეობდა 1700-1721 წწ., პქონდა არანაკლებ მნიშვნელოვანი შედეგები ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში.

#### 5.4. ჩრდილოეთის დიდი ომი და მისი შედეგები

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპის საერთაშორისო ურთიერთობებში გაბატონებული მდგომარეობა შვეციას ეკუთვნოდა. თუკი ამ საუკუნის პირველ ნახევარში პოლონეთის წამყვანი როლი უდავო იყო აღმოსავლეთ ევროპულ საქმეებში, ოცდათწლიანი ომის შემდეგ, მან ეს როლი შვეციას დაუთმო. შვეციის, როგორც ლიდერი სახელმ

წიფოს სტატუსს და მის ბაზონობას ბალტის ზღვაზე ვერ შეეგუა მეზობელი სახელმწიფო ბირთვები. მირითადად კი, დანია, პოლონეთი და გაძლიერებული რუსეთის სახელმწიფო. თითოეულ მათგანს ჰქონდა თავისი კონკრეტული ამოცანა შვეციასთან ბრძოლაში.

1697 წელს გარდაიცვალა შვეციის მეფე კარლ XI და ტახტი მექვიდრეობით მიიღო მისმა თექვსმეტი წლის ვაჟმა კარლ XII. იგი იყო ავადმყოფი და სუსტი ნებისყოფის ადამიანი, არ ფლობდა სახელმწიფო მოღვაწისათვის დამახასიათებელ თვისებებს. ასეთ პირობებში შვეციის პოლიტიკური მოწინააღმდეგებიც გააქტიურდნენ. საუკუნის დასასრულს შეიქმნა ეჭ. ჩრდილოეთის კავშირი რუსეთის, პოლონეთის, დანიის სამეფოებისა და საქსონიის კურფუურისტის შემადგენლობით. მონარქების კავშირის შექმნას საფუძველი დაუდო 1698 წელს რუსეთსა და საქსონიის კურფუურისტებს შორის დადებულმა რავსკის შეთანხმებამ და 1699 წელს რუსეთსა და დანიას შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებამ, რომლებიც ითვალისწინებდა შვეციის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის წარმოებას.

აღნიშნულ კავშირში ჩართვა შესთავაზეს ასევე ბრანდენბურგის კურფუურისტებს. თუმცა, მან უარი თქვა, ვინაიდან მონაწილეობდა ესპანეთის მემკვიდრეობისათვის მიმდინარეობში. საკუთრივ რუსეთმაც მხოლოდ მაშინ შეძლო ომში ჩაბმა, როცა თურქეთთან ომი დაასრულა და ზავი გააფორმა.

შვეციასთან ომით რუსეთის მეფე პეტრე პირველი იმედოფნებდა ბალტის ზღვაზე გასასვლელის მიღებას და მის სანაპიროებზე პოზიციების განწყიცებას. რაც შეეხება პოლონეთს, იგი პრეტენზიას აცხადებდა დაპლანდიაზე\*, ხოლო დანიას იმ ტერიტორიების დაბრუნება სურდა, რომელიც სკანდინავიის ნახევარებულის სამხრეთ ნაწილში აღრე მას ეპუთვნოდა, ასევე განზრახული ჰქონდა შეერთებინა შლეზვიგი – პოლშეაინის საერცოგოს სამფლობელო, რომელიც დაიპყრო კარლ XII.

\* მდებარეობს ჩრდილოეთ ევროპაში (ფენისკანდინავიის ჩრდილოეთი).

1700 წლის 3 ივნისს რუსეთმა დადო საზავო ხელშეკრულება თურქეთთან, რამაც მას საშუალება მისცა ძალების თაგმოყრისა შვეციასთან საბრძოლებელად. ჩრდილოეთის კავშირის მონარქების გაერთიანებულმა არმიამ შვეციაზე თავდასხმა განხორციელა. თუმცა ისინი მზად არ აღმოჩნდენ ომისათვის. არ გამართლდა მათი წარმოდგენა ახალგაზრდა შვეციის მეფეზე, რომლის მოქმედებები იყო მიზანმიმართული, ენერგიული და მცოდნე სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით. მან მოულოდნელად გადასხა 15 ათასიანი არმია დანიაში და ალექს შემოარტყა კოპენჰაგენს, რითაც აიძულა დანიის მეფე ფრიდრიხ IV დაედო ზავი. დადებულ იქნა ტრავენდალის საზავო ხელშეკრულება დანიასა და ჰოლშტაინის საერცოგოს შორის. ზავის პირობების თანახმად, დანია დებულობდა ვალდებულებას დაეცვა უველა ის ხელშეკრულება, რომელიც შვეციასთან პქონდა ადრე დადებული. ამავე დროს, მას არ უნდა გაეწია დახმარება შვეციის მოწინააღმდეგებისათვის. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა დანიის გასვლას ომიდან, რამაც საშუალება მისცა კარლ XII თავისი ჯარები გადაესროლა ნარვისკენ, სადაც 1700 წლის ნოემბერში გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა რუსულ არმიას. ამის შემდეგ შვეციის მეფემ თავისი ძალები მიმართა მესამე მოწინააღმდეგებზე. მან მოკლე დროში შეძლო ვარშავის, კრაკოვის, დანცინგის და სხვა ქალაქების დაპყრობა. პოლონეთის მეფე ავგუსტ II საქსონიაში გაიქცა. მაგრამ მას იქ შვედები დაედგნენ. კარლ XII პოლონელებისაგან აგზუსტ II ხელისუფლების დამხობა მოითხოვა. მისი ჩარევის შედეგად პოლონეთის ტახტზე არჩეულ იქნა სტანისლავ ლეშინსკი. შვეციას და საქსონიის კურფუურსისტს შორის 1706 წელს დადებული ალტრანშტადის საზავო ხელშეკრულებით, საქსონია საბოლოოდ უარს ამბობდა პოლონეთის გვირგვინსა და რუსეთთან კავშირზე. შვეციას გადაეცა კრაკოვი. საქსონიის კურფუურსისტი თანახმა გახდა შვეციური გარნიზონების განლაგებაზე საერცოგოს ქალაქებში.

ამრიგად, ჩრდილოეთის კავშირი დაიშალა. რუსეთი იძულებული გახდა ომი მარტოს გაეგრძელებინა. თუმცა, დრო, რომელ

იც კარლ XII საქსონიის ამბებს მოახმარა რუსეთმა მაქსიმალურად გამოიყენა რუსული არმიის გაძლიერებისა და ბალტიისპირეთში განმტკიცებისათვის.

1709 წელს რუსული არმიის გამარჯვებამ პოლტავაზე პირველიანად შეცვალა ომის მსვლელობა და ხელი შეუწყო ჩრდილოეთის კავშირის აღდგენას. რუსეთის ყოფილი მოკავშირები ცდილობდნენ ხელიდან არ გაეშვათ მომგებიანი სიტუაცია. 1709 წლის ივლისში დაიდო ანტიშვეციური ხელშეკრულება (კელინის საკავშირო ხელშეკრულება) საქსონიას, დანიასა და პრუსიას შორის. სულ მაღლე დრეზდენში აღსდგა საქსონიის და რუსეთის სამხედრო კავშირი. შეტევის მიმართულებად დასახელდა შვეცია და პოლონეთი.

რუსული დიპლომატია მაქსიმალურად ცდილობდა გამოიყენებინა შექმნილი მდგომარეობა. 1709 წლის ოქტომბერში, ტორუნიში (პოლონეთი), პეტრე I და ავგუსტ II შეხვედრის შედეგად ხელი მოეწერა ორ ხელშეკრულებას (ტორუნის საკავშირო ხელშეკრულებები). მათგან პირველი პირდაპირ ითვალისწინებდა კავშირის აღდგენას შვეციის წინააღმდეგ და ასევე მოიაზრებდა ამ კავშირში დანიის, პრუსიისა და რეჩ-პოსპოლიტის ჩართვას. კავშირის სანაცვლოდ რუსეთი ვალდებულებას კისრულობდა დახმარებოდა ავგუსტ II დაებრუნებინა პოლონეთის ტახტი. მეორე ხელშეკრულება ეხებოდა ომის შემდგომ ბალტიისპირეთში გავლენის სფეროების გაყოფას. ამ გარიგების საფუძველზე რუსეთი მიიღებდა ნიგერმანლიანდის გარდა ესტლანდია/ესტონეთს რეველთან ერთად (ახლანდელი ტალინი), ხოლო ავგუსტ II ლაპლანდიას.

პოლონეთთან მიღწეული შეთანხმების შემდეგ, 1709 წლის კოპენჰაგენის საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე, აღსდგა რუსეთის კავშირი დანიასთან. ეს ხელშეკრულება, დანიის მხრიდან შვეციის წინააღმდეგ ომის წარმოების და პოლონეთის ტახტზე ავგუსტო II მხარდაჭერის სანაცვლოდ, არ ითვალისწინებდა რუსეთის მხრიდან ომის წარმოების სუბსიდიორებას. შეთანხმება ასევე შეიცავდა მუხლებს ვაჭრობის და თავისუფა-

ლი ნაოსნობის აღდგენის შესახებ. გათვალისწინებული იყო საგარეო პოლიტიკის წარმოებისას ურთიერთშეთანხმებაც. ანტიშვეციურ კოალიციაში დროებით ჩაერთვნენ პრუსია, მეკლენბურგი და პანოვერი.

აღსანიშნავია, რომ ომის დასრულებამდე ანტიშვეციური კოალიციის შენარჩუნება ვერ მოხერხდა. მომდევნო ათწლეულში მოკავშირეებს შორის ურთიერთობა გაუარესდა. რის მიზეზიც ის იყო, რომ რუსეთის მოკავშირეები ცდილობდნენ გამოეყენებინათ მოსკოვის წარმატებები ფინებში, ბალტიისპირეთში, საზღვაო ბრძოლებში და დაედოთ შვეციასთან მათოვის მომგებიანი სეპარატული ზავი და გასულიყვნენ ომიდან.

დასავლეთ ევროპული დიპლომატიის გააქტიურებით დასრულდა ესპანეთის მემკვიდრეებისათვის ბრძოლა. რუსეთთან კავშირზე წავიდა საფრანგეთი. მანამდე იგი იყო შვეციის მოკავშირე და დახმარებასაც კი უწევდა მას. ზავის დასადგებად ვერსალის სასახლემ საკუთარ თავზე აიღო შუამავლის ფუნქცია რუსეთსა და შვეციას შორის. ეს უკანასკნელი დიდი ხანია თანახმა იყო საზავო მოლაპარაკებებზე.

1718 წლის მაისში ალანდიის კუნძულებზე გაიხსნა სამშვიდობო კონგრესი. ტერიტორიული პრობლემა შვეციასა და რუსეთს შორის ძირითადად მოგვარებულ იქნა. ოუმცა, საბოლოო შეთანხმება არ იქნა მიღწეული. კონგრესის მუშაობა გაჭიანურდა. შვეცია დაუინებით მოითხოვდა მისთვის დაებრუნებინათ ბრემენი და ვერდენი ვეზერში, რომელიც მიიღო ვეხტფალიის ზავის შედეგად და რომელიც წართვა პანოვერმა ამ ომის დროს. რუსეთმა დახმარება აღუთქვა შვეციას პანოვერიის წინააღმდეგ ომში. რუსეთის დაპირება ამ საკითხში განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მისი გადაწყვეტა დაკავშირებული იყო ლონდონის ინგლერესებთანაც. როგორც ცნობილია, ინგლისის მეფე ჯორჯ I პანოვერიის დინასტიის პირველი წარმომადგენელი იყო დიდი ბრიტანეთის ტახტზე. იგი ერთდროულად ქვეყნის მონარქიც იყო და პანოვერის კურფუურსტიც. მოლაპარაკებები კვლავ გაგრძელდა. მაგრამ 1718 წლის ნოემბერში შვეციის მეფის კარლ XII

დაღუპვის გამო, მოლაპარაკებები შეწყდა. ასეთ ვითარებაში 1719 წელს ინგლისის მეფემ ზავი დადო შვეციასთან, რომლის მიხედვით, შვეციამ უარი თქვა ბრემენის და ვერდენის მისთვის დაბრუნებაზე. ინგლისმა კავშირი შეკრა შვეციასთან რუსეთის წინააღმდეგ. მოძღვნო წელს ინგლისის მეფის მაგალითს მიბაძეს პრუსიამ, დანიამ, რეჩ-პოსტოლიტაიამ და შვეციასთან ომი შეწყვიტეს. არც ერთ ამ სახელმწიფოს არ სურდა რუსეთის გაბატონება ბალტიის ზღვაზე.

ინგლისის ფლოტი ბალტიის ზღვაზე გამოჩნდა. მაგრამ რუსულმა ფლოტმა დაამარცხა როგორც შვედები, ისე ინგლისელები. მარცხმა ინგლისელები იძულებული გახადა რჩევა მიეცათ შვეციისათვის, რათა განეახლებინა საზავო მოლაპარაკები რუსეთიან.

ჩრდილოეთის კავშირის დაშლამ ხელი ვერ შეუშალა პეტრე I წარმატებით დაესრულებინა ომი შვეციასთან.

1721 წლის 30 აგვისტოს ნიშტადტის საზავო ხელშეკრულებამ დაასრულა რუსეთსა და შვეციას შორის სამხედრო დაპირისპირება. ზავის თანახმად, რუსეთს გადაეცა ნიგერმანლიიანდია (მდ. იუორის გასწვრივ მიწები), ქარელიის ნაწილი, ესტლანდია/ესტონეთი, ლიფლანდია/ლიტვა რიგასთან ერთად, რეველემი, დეპტომი (ტარტუ), ნარვი, ვიბორგი, საზღვაო სანაპიროები ვიბორგიდან რიგამდე კუნძულების ეზელის, დაგოს და მონოსტან ერთად.

რუსეთი ვალდებულებას კისრულობდა დაებრუნებინა შვეციისათვის რუსული არმიის მიერ დაკავებული ფინეთი. ორი მილიონი ეფიმკოვის გადახდის საფასურად იგი ასევე უარს იტყოდა შვეციის ტახტზე პოტგაინის პერცოგის პრეტენზიების მხარდაჭერაზე. ეს უკანასკნელი დანიშნული იყო პეტრე I ქალიშვილ ანაზე.

ჩრდილოეთის დიდი ომის შედეგებს დიდი გავლენა პქონდა საერთაშორისო ურთიერთობებზე. კერძოდ, მან შეცვალა ევროპაში ძალთა კონფიგურაცია. შვეციამ დაკარგა დიდი სახელმწიფოს სტატუსი. ამავე დროს გაიზარდა რუსეთის როლი საერ-

თაშორისო საქმეებში. ბალტიის ზღვაზე მან დომინირებული მდგომარეობა დაიჭირა. რუსეთის დასავლეთი ეკროპასთან ვაჭრობის საწარმოებლად სასურველი გარემო შეიქმნა. რუსეთს ჰყავდა ძლიერი არმია და ფლოტი. რუსეთის იმპერიამ დომინირებული მდგომარეობა დაიკავა ეკროპის კონტინენტის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ფაქტობრივად ეკროპის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო გახდა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ეკროპაში გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობას ზედ დაერთო სიტუაციის დაძაბვა ეკროპის სამხრეთში-იტალიაში, რაც ესპანეთ-ავსტრიის დაპირისპირებაში გამოიხატა და რამაც ხელი შეუწყო ძალების გადაჯგუფებას რეგიონში.

#### 5.6. ესპანეთ-ავსტრიის დაპირისპირება და ოთხთა კავშირის შექმნა ეკროპაში

უტრეხტის ზავის შემდგებ, ეკროპის არენაზე სტაბილურობის და მშვიდობის დამრღვევი გახდა სახელმწიფო, რომელიც ამოვარდნილი იყო ესპანეთის მემკვიდროებისათვის ომის მსვლელი დიდი სახელმწიფოების რიცხვიდან. უტრეხტის ზავის მიხედვით, ესპანეთის სამფლობელოები სამხრეთ ნიდერლანდებსა და იტალიაში – გადავიდა ავსტრიის შემადგენლობაში. მაგრამ ესპანეთის ახლი მეფე ფილიპ V ამ დათმობას თვლიდა იძულებით ნაბიჯად და რევანშის აღებას გეგმავდა. მადრიდის სასახლისათვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ სამხრეთ ნიდერლანდების დაბრუნება არარეალური იყო. ამიტომ მთელი კურადღება გადატანილ იქნა იტალიის მიმართულებით და ბევრად მწვავე ბრძოლებიც აქ განვითარდა. 1717 წლისათვის ესპანეთმა გაიმარჯვა სარდინიაზე და ავსტრიელები წნევეში მოაქცია სიცილიაში.

შექმნილმა სიტუაციამ, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ეკროპულ ძალთა ბალანსს, ხელი შეუწყო ეწ. ოთხთა

კავშირის შექმნას ინგლისის, საფრანგეთის, პოლანდიისა და ავსტრიის შემადგენლობით (ბურბონების სასახლეებს შორის ურთიერთობები ლუ XIV გარდაცვალების შემდეგ მკვეთრად გაუარესდა). კოალიციასთან ბრძოლის შედეგად, ესპანეთმა საქმაოდ მაღე განიცადა დამარცხება. იგი ზღვაზე ინგლისური ფლოტის მიერ იქნა განადგურებული. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მისი საექსპედიციო არმია იტალიაში, რომელიც მეტ-როპოლისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ ოფიციალური მადრიდი იძულებული გახდა მოლაპარაკებებზე წასულიყო კოალიციის წევრ-სახელმწიფოებთან. სანგრძლივი დისტანციის შემდეგ მადრიდი იძულებული გახდა ავსტრიისათვის დაებრუნებინა ადრე ესპანეთის არმიის მიერ დაპყრობილი სარდინია სიცილიის სანაცვლოდ.

რომ ოთხთა კავშირის სამხედრო-დიპლომატიური აქტიურობის თავისებური მსხვერპლი გახდა რუსეთი. ამ დროს იგი ჩაბმული იყო ჩრდილოეთის ოში. ინგლისელებმა და კოალიციის ფარგლებში მისმა პარტნიორებმა, რომლებიც ევროპული წონასწორობის შენარჩუნების მიმდევრები იყვნენ და ანალოგიურადე მხარს უჭერდნენ ევროპის ჩრდილოეთშიც მის გავრცელებას, რუსეთს მოსთხოვეს დაებრუნებინა შვეციისათვის ომის მსვლელობაში დაპყრობილი ტერიტორიები. მხოლოდ კოალიციის წევრებს შორის შეუთანხმებელმა მოქმედებამ რუსეთი იხსნა გარკვეული სირთულეებისა და სრული პოლიტიკური იზოდაციისაგან. შედეგად, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის, ოსმალთა იმპერიისა და შვეციის ერთობლივი გამოსვლის გეგმა რუსეთის წინააღმდეგ 1719-1720 წლებში დარჩა განუხორციელებელი, ხოლო 1721 წელს დადებულ იქნა რუსეთისათვის მომგებიანი ნიშტადტის ზავი.

ამ ხნის განმავლობაში ოთხთა კავშირი რეალურად იყო დროებითი კოალიცია, რომელიც დაფუძნებული იყო საქმაოდ მერყევ ინგლისურ-ფრანგულ თანამშრომლობაზე და ამ ორი დიდი ევროპული სახელმწიფოების სურვილზე, შეენარჩუნებინათ უტრეხტის ზავზე დაფუძნებული ევროპული **status quo**.

მოგლენების ამგვარმა გავითარებამ და ევროპული პოლიტიკის ცალკეული სუბიექტების მომღლოდინე ტაქტიკამ, ხელი შეუწყო 20-იან წლებში გარკვეულ, არამტკიცე დიპლომატიურ კომბინაციებს მაღრიდის, პარიზის და ვენის მონაწილეობით. კერძოდ, ვითარების არსიდან გამომდინარე, მაღრიდი ცდილობდა მოგორებინა ხან ვერსალის მხარდაჭერა, ხან ვენის. გააჩნია ვის-თან პქონდა გართულებული მდგომარეობა. ამ პერიოდის მსგავსი პოლიტიკური კომბინაციები თვალნათლივ მეტყველებდა იმაზე, რომ ევროპის ძირითად სახელმწიფოებს არ ჰყავდათ მუდმივი მეგობრები ან მტრები. იგი საკმაოდ მოჩვენებით განსაზღვრავდა მათ ინტერესებსაც კი. სიტუაცია რამდენადმე ნათელი გახდა მხოლოდ XVIII ს-ის მეორე მეოთხედში და პრობლემა, რომელიც სტრუქტურულად მოეწყო დაპირისპირებულ კოალიციებს შორის, გახდა ავსტრიის ტახტის მემკვიდრეობის შესახებ საკითხი.

საერთაშორისო ურთიერთობები ევროპაში  
XVIII 20-80-იან წლებში

6.1. ევროპის პოლიტიკური რუკა და წამყვანი  
სახელმწიფოები

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში უტრეხტის ზაგმა, თავისთავად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიტანა. იგულისხმება საერთაშორისო საქმეებში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების რაოდენობის და წონის გაზრდა.

XVIII ს-ის პირველ ნახევარში, ომების შედეგებიდან გამომდინარე (ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის, ჩრდილოეთის დიდი ომი, ევროპაში 1715-1717 წლების ესპანეთ-ავსტრიის ომი) საბოლოოდ შეიქმნა სახელმწიფოთა ის სისტემა, რომლის ფარგლებში წამყვანი სახელმწიფოების როლს თამაშობდა ხუთი ძირითადი სახელმწიფო – საფრანგეთი, ინგლისი, ავსტრია, პრუსია და რუსეთი.

კონტინენტზე მათი სამხედრო და დიპლომატიური აქტივობის ძირითადი სფეროების მიმართულებას წარმოადგენდა იტალის, გერმანიის, პოლონეთის და ბალკანეთზე თურქეთის მფლობელობაში მყოფი ტერიტორიების და გავლენის სფერობის მოპოვებისათვის ბრძოლა.

ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მოსახლეობის რაოდნობა  
1700 – 1800 წწ. (მილ. ადამიანი)

ქვეყნები	1700	1750	1800
დიდი ბრიტანეთი	9.0	10.5	16.0
საფრანგეთი	19.0	21.5	28.0
პაპსბურგების იმპერია	8.0	18.0	28.0
პრუსია	2.0	6.0	9.5
რუსეთი	17.5	20.0	37.0
ესპანეთი	6.0	9.0	11.0
ნიდერლანდები	1.8	1.9	2.0
შვეცია	-	1.7	2.3

ევროპის წამყვანი სახელმწიფოების სახმელეთო არმია 1710 – 1789 წწ.

ქვეყნები	1710	1756/60	1789
დიდი ბრიტანეთი	75.000	200.000	40.000
საფრანგეთი	350.000	330.000	180.000
პაპსბურგების იმპერია	100.000	200.000	300.000
პრუსია	39.000	195.000	190.000
რუსეთი	220.000	330.000	300.000
ესპანეთი	30.000	-	50.000
ნიდერლანდები	130.000	40.000	-
შვეცია	110.000	-	-

**ევროპის წამყვანი სახელმწიფოების სახაზო გემბის რაოდენობა  
1689 – 1790 წწ.**

	<b>1689</b>	<b>1739</b>	<b>1790</b>
დიდი ბრიტანეთი	100	124	195
საფრანგეთი	120	50	80
რუსეთი	-	30	67
ესპანეთი	-	34	25
ნიდელანდები	66	49	44
შვეცია	40	-	27

## 6.2. ევროპული საერთაშორისო პოლიტიკის თავისებურებები

XVIII ს-ში ევროპის წამყვან სახელმწიფოებს შორის კონფლიქტმა და მათ შორის ძალთა წინააღმდეგობის ახალმა კონფიგურაციამ საკმაო სტაბილურობა შეინარჩუნა.

ამ პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარი პრობლემები და სიახლეები, რომლებიც განსაზღვრავდნენ მის განვითარებას, იყო:

1. მთელი ასწლეულის მანძილზე, ევროპული საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად დარჩა ინგლისურ-ფრანგული წინააღმდეგობა. იგი მოიცავდა ამ სახელმწიფოების მიერ ჩრდილოეთ ამერიკასა და ინდოეთში ტერიტორიებისათვის ბრძოლის, ევროპის ვაჭრობის საკითხების და სამხრეთ ნიდერლანდებზე კონტროლის მოპოვების პრობლემებს. ამ საკითხებს შორის, პირველ პლანზე გამოვიდა კოლონიური საკითხი. ყოველივე ამის მიუხედავად, საფრანგეთის პირველ და ისტორიულ მოწინააღმდეგებ ამ დროს კვლავ ავსტრია

რჩებოდა. ასეთ ვითარებაში საფრანგეთი ცდილობს პრუსიასთან დაახლოებას, ვინაიდან იგი ავსტრიის მოწინააღმდეგებ იყო;

2. XVIII ს. ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში ეს არის პოლონეთის საკითხის გამწვავების პერიოდი. საბოლოოდ, იგი დასრულდა კონტინენტის პოლიტიკური რუკიდან ამ დიდი სახელმწიფოს გაქრობით (1795). ამ პროცესის მთავარი მონაწილეები იყვნენ რუსეთი, ავსტრია და პრუსია;

3. გერმანიაში გაგრძელდა ის პოლიტიკური პროცესები, რომლებიც წარმოიქმნა ჯერ კიდევ XVII ს-ში. კერძოდ, გერმანულ სახელმწიფოებში, ფორმირების პროცესში მყოფ ორ ცენტრს შორის ბრძოლამ, მწვავე ხასიათი მიიღო;

4. ამ დროის ევროპის პოლიტიკის სხვა პრობლემებიდან აღსანიშნავია ავსტრია-პრუსიის დაპირისპირება. მხარეები ერთმანეთს ებრძოდნენ ცენტრალურ ევროპაში გავლენის სფეროგბისათვის;

5. XVIII ს-ში მწვავე ხასიათს იძენს შეტაკებები რუსეთსა და თურქეთს შორის. ამ პერიოდიდან რუსეთი ფაქტობრივად ჩაენაცვლა ავსტრიას თურქეთთან ბრძოლაში და გატეხა თურქეთის ძლიერება. ეს ბრძოლები ძირითადად დაკავშირებული იყო რუსეთის მიერ შავი ზღვის საკითხის გადაწყვეტასთან;

6. სიახლე იყო თვისობრივად ახალი ტიპის ბურჟუაზიული სახელმწიფოს-ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა საერთაშორისო ურთიერთობებზე.

როგორც ადრე, მთელი XVIII ს-ის მანძილზე ძირითადი დიპლომატიური კოლიზიები (ბრძოლები, დაპირისპირებები) და ომები დაკავშირებული იყო მოცემული წინააღმდეგობების და კონფლიქტების ერთმანეთში გადახლართვასთან. მაგ., ავსტრია, რომელსაც ამ პერიოდში ეკუთვნოდა სამხრეთ ნიდერლანდები, იძულებული გახდა ჩაბმულიყო საფრანგეთთან დაპირისპირებაში, რომელიც აცხადებდა ამ ტერიტორიაზე პრეტენზიას და ამდენად, ბუნებრივადაც მიისწრაფოდა საფრანგეთის ტრადიციული მოწინააღმდეგის ინგლისთან კავშირისაკენ.

ასევე ითქმის ავსტრია-რუსეთის ურთიერთობებზეც. თურქეთის წინსვლის შეჩერების სურვილი, რაც ავსტრიის და რუსეთის ინტერესების თანხვედრა იყო, ხელს უწყობდა ამ ქვეყნების დაახლოებას, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ისტორიულად უნდობლობა და მტრობა იყო.

პრუსია კი, როგორც ავსტრიის ბევრად ძლიერი და რეალური კონკურენტი გერმანიის ტერიტორიაზე გაერთიანებისათვის და გავლენის სფეროებისათვის ბრძოლაში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქმაოდ თანმიმდევრულად მიისწავლიდა საფრანგეთან კავშირისაკენ (მით უფრო, რომ ასეთი კავშირისათვის ფრანგული მხარე ხელგაშლილადაც კი იხდიდა სუბსიდიებს) და აშ. მაგრამ მათ შორის მტრობაც ცნობილი ფაქტია.

ამრიგად, უტრეხტის ზავის შემდეგ, უვროპის კონტინენტზე სახელმწიფოთა შორის კავშირების ახალი სისტემის ფორმირებამ საქმაოდ დიდი დრო წაიღო. დაპირისპირებული კოალიციები, საბოლოოდ ჩამოყალიბებას იწყებენ XVIII ს-ის 30-იანი წლების დასაწყისიდან. შედეგად, XVIII ს-ში წარმოქმნილი კონფლიქტების და ომების დიდი ნაწილიც კოალიციურ ხასიათს ატარებდა.

თუკი XVII ს-ში მსგავსი კოალიციები მიმართული იყო ერთი რომელიმე ძლიერი ევროპული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ამ პერიოდში სიტუაცია შეიცვალა. XVIII ს-ის ომები და კონფლიქტები ძირითადად მიმდინარეობდა დაპირისპირებულ კოალიციებს შორის.

ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში, სახელმწიფოთა შორის ბრძოლებისა და კონფლიქტების მსგავსი მოდელის შექმნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ამ პერიოდში დასუსტდა უვროპის ორი კონტინენტალური დიდი სახელმწიფო – საფრანგეთი და ავსტრია.

ვესტფალის ზავით, ევროპაში პაბსბურგების დომინირებული საფრთხის გაქრობის და უტრეხტის ზავით, ფრანგი ბურგების ჰეგემონურობის საფრთხის აღკვეთის შედეგად, მკვეთრად გარტულდა მსოფლიო პოლიტიკაში ეკონომიკურად და პოლიტი-

ქურად ლიდერი სახელმწიფოს – ინგლისის მიერ საერთო ევროპული კოალიციის კონსლიდაცია თავისი კონტინენტური მოწინააღმდეგების საპირისპიროდ. რაც გამოწვეული იყო იმით, რომ კონტინენტზე საფრანგეთის დომინირებული მდგომარეობის საფრთხის მოხსნაში ევროპულ პოლიტიკაში გამოიწვია ახალი, ან განაახლა ძველი უთანხმოებები ანტიფრანგული კოალიციის ყველა მონაწილეს შორის. ასეთ პირობებში, ფართო, საერთო ევროპული კოალიციის შექმნა შეუძლებელი იყო და არც ჰქონდა აზრი.

ამრიგად, ევროპული თანასწორობის შენარჩუნების ინტერესები ახლა მოითხოვდა ბევრად რთულ პოლიტიკურ ძალთა კომბინაციის ორი ურთიერთდაპირისპირებული კოალიციის ფარგლებში.

გარკვეული ცვლილება განიცადა კოალიციის შემადგენლობამაც, რაც დამოკიდებული იყო მთელ რიგ სიტუაციურ და კონფლიქტურ ფაქტორებზე. ნებისმიერი კოალიციის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილების შემტანი შეიძლება ყოფილიყო პატარა ევროპული სახელმწიფოების (გერმანული სათავადოები და ა.შ.) მონაწილეობა–არმონაწილეობა. მათ შორის, შესაძლოა, მხოლოდ პრუსიას, „მეფე ფილოსოფოსის”, ფრიდრიხ დიდის მართველობის დროს, ჰქონდა უფლება და შესაძლებლობა ყველაზე დაუჯერებელი, ზიგზაგისებური საგარეო პოლიტიკური კურსი წარმოებინა და კოალიციების მიხედვით მოეხდინა პარტნიორების შეცვლა.

ევროპული სახელმწიფოების წინააღმდეგობაში ბევრად მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ბრძოლამ კოლონიებისათვის. საბოლოოდ კი, ოკეანის იქეთ სამხედრო კამპანიებმა შეიძინა ბევრად მეტი მნიშვნელობა, ვიდრე უშუალოდ ევროპის კონტინენტზე ძალთა განლაგებაში.

და ბოლოს, XVIII ს. კაბინეტური ომების წარმოების კლასიკური მაგალითია, როცა დიპლომატების როლი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო სარდლების როლზე, როცა ევროპა აღწევს პომოვენურობის (ერთგვაროვნების) მაღალ ხარისხს და

საბოლოოდ ხდება დინასტიური საერთაშორისო ურთიერთობების სისტემიდან სისტემურ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე გადასვლა.

### 6.3. „პოლონეთის მემკვიდრეობის” საკითხი და ევროპის სახელმწიფოების პოზიციები (1733-1738)

ამ პერიოდში, პირველი მსხვილმასშტაბიანი კონფლიქტი, რომელშიც ჩართული აღმოჩნდა თითქმის ყველა ევროპული დიდი სახელმწიფო კოალიციური პრინციპით იყო ომი პოლონეთის მემკვიდრეობისათვის. ომის გაჩაღების მიზეზი შემდეგი იყო: 1733 წელს პოლონეთის მეფის ავგუსტ მეორის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც პეტრე I მოკავშირე იყო, ქვეყანაში დაიწყო ბრძოლა ტახტისათვის (პოლონეთში მეფეს ირჩევდა პოლონური შლიახტა (დიდგვაროვნები) განსაკუთრებულ სეიმზე).

ტახტის პრეტენდენტებად გამოვიდნენ გარდაცვლილი მეფის შვილი, საქსონიის კურფუურტისტი ფრიდრიხის ავგუსტი და სტანისლავ ლეშინსკი. ეს უკანასკნელი ერთხელ უკვე იყო პოლონეთის მეფე. ლეშინსკის მხარს უჭერდა საფრანგეთი. იგი იყო საფრანგეთის მეფის ლუი XV ქალიშვილის მარიას მეუღლე. ლუის მეფეური პატივმოყვარეობა თავისი ქალიშვილისათვის მოითხოვდა სამეფო დირექტას.

ფრიდრიხის ავგუსტი მხარდაჭერას ეძებს ავსტრიაში, რომელიც იყო საფრანგეთის მოწინააღმდეგე. მან ცნო კარლ VI პრაგმატული სანქცია და უარი თქვა ავსტრიის მემკვიდრეობაზე. რუსეთის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით კი, მას დაპირდა კურლანდიის გადაცემასალენო მფლობელობაში ბირნის, რომელიც იყო რუსეთის იმპერატორის ანა ივანოვნას ფავორიტი. ამ გზით მან რუსელი მხარდაჭერა მიიღო.

რეალურად პოლონეთის ამბები უფრო რუსულ-ფრანგული ინტერესების დაპირისპირება იყო. რუსეთისათვის დაუშვებელი

იყო პოლონეთზე კონტროლის დაკარგვა. ვინაიდან ეს მის დასავლეთ საზღვრებს ნაკლებ უსაფრთხოს გახდიდა.

ფრანგული დიპლომატიის დაუჯერებელი ხრიკებისა და პოლონელი შლიახების მოსყიდვის შედეგად, სტანისლავ ლეშინსკი არჩეულ იქნა პოლონეთის მეფედ. სიძისათვის ტახტი დაუ XV დახლოეთ 3 მილ. ლივრი დაუჯდა, თუმცა ლეშინსკი ტახტზე მხოლოდ სამი თვე დარჩა. ვინაიდან მოვლენების ასეთი გზით განვითარება პოლონეთში რუსული ინტერვენციის საბაბი გახდა და 1733 წლის 24 ნოემბერს რუსული არმია პოლონეთის საზღვრებში შევიდა. სტანისლავი გდანსკში გაიქცა. ხოლო რუსული ჯარის დახმარებით, 1734 წლის იანვარში კრაკოვში პოლონეთის მეფედ ფრიდრიხ ავგუსტი აირჩიეს. მან ავგუსტ III სახელწოდება მიიღო. მის გამეფებას ავსტრიამაც დაუჭირა მხარი.

საფრანგეთმა საპასუხოდ ომი გამოუცხადა ავსტრიას და ჯარები გააგზავნა. პარალელურად, იგი შეეცადა რუსეთის წინააღმდეგ შვეციისა და თურქეთის ამხედრებას. ფრანგული ფლოტი გაიგზავნა დანცინგშიც, მაგრამ რუსულ ფლოტთან ბრძოლაში მარცხი განიცადა, ხოლო გადმოსხმული დესანტი რუსებმა ტყვედ აიყვანეს.

1736 წლის წარუმატებლობამ ლუ მეტვი 1736 წელი დაუყოლებინა ლეშინსკი უარი ეთქვა პოლონეთის ტახტზე (პრელიმინარული (წინასწარი) საზაფო ხელშეკრულებით). ეს ომი ხუთი წლის მანძილზე გაგრძელდა, რომელშიც ასევე მონაწილეობდა ესპანეთი და სარდინია. რაც შეეხება ინგლისის პოზიციას, უნდა ითქვას, რომ მას უშუალო მონაწილეობა ამ ამბებში არ მიუღია. თუმცა, საინტერესოა 1731 წელს ინგლის-ავსტრიის ხელშეკრულება. იგი განპირობებული იყო საფრანგეთის ფაქტორით. კერძოდ, პარიზისა და მადრიდის სასახლეების დახლოებით. 1733 წელს განახლებულ იქნა ე.წ. „საოჯახო კავშირი“ ესპანეთსა და საფრანგეთს შორის, რაც გარკვეულ საფრთხეს შეიცვალდა ინგლისისათვის. ლონდონი აღნიშნულ კონფლიქტში საკმაოდ პასიურად მოქმედებდა. იგი შემოიფარგლებოდა

მხოლოდ ომის საწარმოებლად მოკავშირეების სუბსიდიორებაში. ინგლისის ხელისუფლებას კონტინენტზე აინტერესებდა მხოლოდ ორი რამ – წონასწორობის შენარჩუნება საფრანგეთის შესაძლო დასუსტების პირობით და ბრიტანეთის გვირგვინის ქვეშ მყოფი გერმანული სამფლობელოების დაცვა. აქედან გამომდინარე, ავსტრია-ინგლისის კავშირი, პირველ რიგში, საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

საბოლოოდ, პოლონეთის მემკვიდრეობისათვის წარმოებული ომი დასრულდა 1738 წელს ვენის ხელშეკრულებით ავსტრიასა და საფრანგეთს შორის, რომელსაც 1739 წელს რუსეთიც შეუერთდა. ხელშეკრულებამ გადაწყვიტა პოლონეთის ტახტის პრობლემა და შეიცავდა ევროპული მიწების გარკვეულ ტერიტორიულ გადანაწილებასაც. კერძოდ, ავსტრიამ საფრანგეთს დაუთმო რიგი ტერიტორიები იტალიასა და გერმანიაში, უარი თქვა ორივე სიცილიურ სამეფოზე (რომელიც უტრეხტის ზავით მიიღო) ესპანელი ბურბონების უმცროსი ხაზის სასარგებლოდ და სარდინიას გადასცა მილანის საერცოგოს ნაწილი.

საფრანგეთმა ადიარა პრაგმატიული სანქცია და პოლონეთის მეფედ ცნო აგეუსტ III. სტანისლავ ლეშინსკიმ მუდმივად მიიღო მეფის ტიტული, მას მიეცა ლოტარენგია და ბარის საგრაფო, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ საფრანგეთს გადაეცემოდა. ლოტარენგიის ჰერცოგმა, რომელიც იყო ავსტრიის იმპერატორის სიძე, საკომპენსაციოდ მიიღო იტალიაში პარმა, პიანჩეტო და ტოსკანია.

საბოლოოდ, ფრანგულ-ავსტრიულ დიალოგში საფრანგეთმა მიაღწია ლოტარენგიის შემოერთებას და უზრუნველყო ესპანელი ბურბონების ყოფნა იტალიაში, ხოლო რუსეთის გავლენა პოლონეთზე განმტკიცდა.

6.4. „ავსტრიის მემკვიდრეობის” საკითხი ევროპაში და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე (1740-1748)

#### 6.4.1. ავსტრიის სამეფო

XVIII ს-ის შუა ხანებში, ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობები მკვეთრად დაიძაბა. ამის მკაფიო გამოხატულება იყო ორი საერთო ევროპული მასშტაბის ომი (1740-1748 წწ. ომი ავსტრიის მემკვიდრეობისათვის და 1756-1763 წწ. შვიდწლიანი ომი).

აღნიშნული კონფლიქტები გამოწვეული იყო ცენტრალურ ევროპაში ავსტრიის და პრუსიის დაპირისპირებით. კონტინენტზე ორი გერმანული სახელმწიფოს პეტერბურგისათვის ბრძოლაში ჩაბმული აღმოჩნდა ევროპის სხვა სახელმწიფოებიც. ისინი საკუთარი, ეროვნული ინტერესების შესაბამისად მოქმედებდნენ. მაგრამ ძირითადად ინგლისი და საფრანგეთი იყვნენ წამყვანი მონაწილეები. ისინი სხვადასხვა დაპირისპირებულ კოალიციებში შედიოდნენ და შესაბამისად, იმყოფებოდნენ ომის მდგომარეობაში. იგი კი მიმდინარეობდა არა მარტო ევროპაში, არამედ კოლონიებშიც. ძალთა ასეთი განლაგებისა და დაპირისპირების შედეგად, ევროპული მასშტაბის აღნიშნულმა კონფლიქტებმა გლობალური სახე მიიღო. მთლიანობაში კი, კონტინენტზე განადებული კონფლიქტის სხვადასხვა კოალიციებში ამ ორი სახელმწიფოს შესვლა და დაპირისპირება რეალურად ასახავდა მსოფლიოში ინგლის-საფრანგეთის ბრძოლას საზღვაო და კოლონიური პეტერბურგისათვის.

შვიდწლიანი ომში გადამჟყვებ როლს რუსეთიც ასრულებდა.

საერთოდ კი, ცენტრალურ ევროპაში ავსტრია-პრუსიის დაპირისპირება წარმოადგენდა ახალ მოვლენას კონტინენტის ძალთა განლაგებასა და ევროპულ პოლიტიკაში.

ავსტრია, ავსტრიელი ჰაბსბურგების სახელმწიფო არსებობას იწყებს XIII ს-დან, როდესაც რუდოლფ ჰაბსბურგმა 1273

წელს ჩეხეთის მეფე პშემისლა II დაამარცხა და ავსტრიასთან ერთად წაართვა შტირლი, კარინგინი, კრაინი. შემდეგ, ეს ტერიტორია მან თავის დომენად აქცია და თავი იმპერატორად გამოაცხადა (1273-1290). აქედან მოყოლებული, თანდათანობით, ავსტრიელი ჰაბსბურგები ომების თუ დინასტიური ქორწინების გზით, კიდევ უფრო ზრდიდნენ საკუთარ სამფლობელოს. იგი გახდა ევროპის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე. 1438 წლიდან 1740 წლამდე ჰაბსბურგები ინარჩუნებდნენ იმპერატორის გვირგვინს და როგორც წამყვანი ევროპული სახელმწიფო, თავის პეტენტისტურ მისწაფებებს კონტინენტზე.

ავსტრიის იმპერატორ კარლ VI (1711-1740) არ ჰყავდა ვაჟიშვილი. ქალიშვილს მარია ტერეზას მემკვიდრეობით კი შეეძლო მიედო მხოლოდ ჰაბსბურგების სამფლობელოს ნაწილი. საკითხის ამგვარი გადაწყვეტის მიზეზი ის იყო, რომ ავსტრიის ჰაბსბურგების სამფლობელო არ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოს. მასში შედიოდა ავსტრია შტირინთან ერთად, კორინტო და კრაინი, ჩეხეთი, უნგრეთი, ლომბარდია და ნიდერლანდების ნაწილი, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებდა ერთიანი დინასტიის არსებობა. ხოლო მისი შეწყვეტის შემთხვევაში იგი შეიძლება ადვილად დაშლილიყო.

ამრიგად, იმპერიული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება გამოსულიყო ჰაბსბურგების კონტროლიდან. აღნიშნული საფრთხისა გარდა, რეალურად იდგა დინასტიის შეცვლის საშიშროებაც.

ავსტრიის გარშემო შექმნილი ვითარება, თითქმის ანალოგიური იყო იმ ამბებისა, რომელიც თავის დროზე ესპანეთის გარშემო განვითარდა. კარლ VI არ სურდა მსგავსი სცენარით განვითარებულიყო მოვლენები და მისი სამფლობელო ყოველგვარი განაწილების გარეშე დარჩენოდა მარია ტერეზას. ეს უკანასკნელი ადრე გათხოვილი იყო ლოტარენგიის პერცოგ ფრანც-სტეფანოზე. თავიდან რომ აეცილებინა ესპანური გამოცდილება და ოფიციალურად უზრუნველესობა ტახტის მექანიდრეობის უფლება, 1719 წელს კარლ VI გამოსცა ეწ. „პრაგმატული სანქცია”, რომ-

ლის თანახმად, მარია ტერეზა გამოცხადდა ავსტრიის ტახტზე ერთადერთ მემკვიდრედ. ეს იყო აუცილებელი და არა ობიექტური ჰეშმარიტების აღიარება. სწორედ, ამაში მდგრმარეობდა „პრაგმატული სანქციის” არსი. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად მარია ტერეზას კვერთხის ქვეშ უნდა მოქცეულიყო პაბსბურგების მთელი სამფლობელო ავსტრიაში, უნგრეთში, ჩეხეთში, ნიდერლანდებში, იტალიასა და ბალკანეთში.

მართალია, კარლ VI მიიღო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ იგი არ ცნო არცერთმა პოლიტიკურმა სუბიექტმა იმპერიის ფარგლებში. აუცილებელი იყო მისთვის საერთაშორისო-დიპლომატიური უზრუნველყოფა. ამიტომაც, მომდევნო ათწლეულში ავსტრიის დიპლომატიის მთავარი მიზანი გახდა დიპლომატიური ბრძოლის წარმოება ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესის აღიარებისათვის (ეწ. „პრაგმატული სანქციის” აღიარება).

#### 6.4.2. პრუსიის სამეფო

„პრაგმატული სანქციის” აღიარების პროცესში, ვენას ევლაზე მეტი წინააღმდეგობა პრუსიის მხრიდან შეხვდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ცენტრალურ ევროპაში პეგემონობისათვის ბრძოლაში ავსტრიის პირისპირ პრუსიის სამეფო დადგა. ამ უკანასკნელმა, თანდათანობით, მოახერხა მის ირგვლივ არსებული მიწების შეერთება და დაიწყო ბრძოლა ძლიერი ევროპული მასშტაბის სახელმწიფოს აღვილის მოპოვებისათვის ცენტრალურ ევროპაში.

პრუსიის სამეფო მდებარეობდა იმპერიის ჩრდილო-აღმოსაფლეთ ნაწილში. იგი ჩამოყალიბდა აქ არსებული მცირე სათავადოების გაერთიანების შედეგად. მათ შორის გამოირჩეოდა ბრანდებურგი. ეს სათავადო XV ს-დან ეკუთვნოდა პოპენცოლერების დინასტიას, ხოლო ამ მიწების თავადი იყო შვიდი კურფურტისტიდან\* ერთ-ერთი.

\* 1356 წელს გერმანიის იმპერატორმა კარლ IV გამოსცა ეწ. „ოქროს ბულა”, რომლის მიხედვით იმპერატორის არჩევა ხდებოდა შვიდი გერ-

გერმანიაში რეფორმაციის დროს, პოპენცოლერების დინასტიიდან ალბერტ ბრანდენბურგი გახდა ტევტონთა ორდენის გროსმეისტერი. მან ორდენის სამფლობელოში გაავრცელა ლუთერანობა და 1525 წელს იგი გარდაქმნა პრუსიის საერცოგოდ.

პრუსიის საერცოგო, ისევე როგორც აღრე ტევტონთა ორდენი, ვასალურ დამოკიდებულებაში იყო პოლონეთთან. პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III თანხმობით, პრუსია 1618 წელს გადავიდა ბრანდენბურგის კურფიურისტის მფლობელობაში. ამ გზით, ერთ ხელში მოუქცა ორი ძლიერი საერცოგო. XVII ს-ის დასაწყისში ბრანდენბურგს გადაეცა კლევს საერცოგოც რეინჟე. ყოველივე ამის შედეგად, ბრანდებურგის კურფიურისტის გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა და იგი ანგარიშგასასწევი ძალა გახდა კონტინენტის ამ ნაწილში.

დიდი ცვლილებების მომტანი აღმოჩნდა ბრანდენბურგის კურფიურისტისათვის ვესტფალიის ზავის შედეგად შექმნილი ახალი ევროპული წესრიგი.

ოცდაათწლიანი ომის შემდეგ, ვესტფალიის ზავის მიხდვით, ბრანდენბურგის კურფიურისტმა ფრიდრიხის ვილჰელმ I მიიღო პომერანია და მეკლენბურგი.

ბრანდენბურგის საერცოგო კარგად სარგებლობდა ევროპის კონტინენტზე წარმოქმნილი კონფლიქტებით და ეტაპობრივად აძლიერებდა საკუთარ პოზიციებს. კერძოდ, XVII ს-ის 50-იან წლებში შვეციასა და პოლონეთს შორის ომში დიდმა კურფიურისტმა ჯერ შვეციის მხარეზე მიიღო მონაწილეობა, ხოლო შემდეგ, 1660 წელს გადავიდა პოლონეთის მხარეზე. ამ გზით მან მიაღწია მისი საერცოგოს პოლონეთის ვასალური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას. ხოლო მისმა შვილმა ესპანეთის მემკვიდრეობისათვის მიმდინარე ბრძოლაში იმპერატორის მხარდაჭერის სანაცვლოდ მიიღო მეფის ტიტული. აქედან მოყოლებული ბრანდენბურგის კურფიურისტი ატარებს პრუსიის

---

მანელი თავადის—კურფიურისტის მიერ. მათ შორის მაინის არქიეპისტომი, კელინის და ტირის, ჩეხეთის მეფე, საქსონიის პერცოგი, ბრანდენბურგის მარკგრაფი და რეინის პფალცგრაფი.

მეფის ტიტულს. უტრეხტის ზავის საფუძველზე პრუსიამ ასევე მიიღო რეინის ქვემო დინებაზე გელდერი. პრუსიის მეორე მეფემაც, რომელიც მისი ბაბუის ფრიდრიხ ვილჰელმის სახელს ატარებდა, მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთის ომში. სანაცვლოდ, 1721 წელს მიიღო შვეციის კუთვნილი პომერანიის ნაწილი. ასე შეიქმნა პრუსიის სამეფო, რომელიც ჩამოყალიბების დღიდან აბსოლუტურ მონარქიად გადაიქცა.

პრუსიის ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია არმიის ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას. ეს კი განპირობებული იყო იმით, რომ იგი ბალტიისპირეთში მუდმივად იმყოფებოდა შვეციასა და პოლონეთთან მკაცრ კონკურენციაში. პრუსიას გაუჩნდა სერიოზული ამბიციაც მისი ეგიდით გერმანული სახელმწიფოების გაერთიანებისა და ცენტრალურ ევროპაში ძლიერი სახელმწიფოს ადგილის დამკვიდრებაზე. სახელმწიფოს მილიტარისტული ხასიათი შენარჩუნებულ იქნა ფრიდრიხ II დროსაც, რომელიც ტახტზე ავიდა 1740 წელს. ავსტრიის გარშემო შექმნილი მდგომარეობა პრუსიის ინტერესებზე ასხამდა წყალს. ამ უკანასკნელმა იმთავითვე უარყოფითი პოზიცია დაიკავა „პრაგმატული სანქციის” მიმართ.

ევროპულ პოლიტიკაში ავსტრია-პრუსიის დაპირისპირება კარგა ხანს ინარჩუნებდა კონფლიქტურ ხასიათს. იგი გარკვეულ წილად განსაზღვრავდა ევროპული პოლიტიკის მიმართულებასაც კი.

#### 6.4.3. ავსტრიის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ომის წინ

ავსტრიის აშკარა დასუსტებამ ხელი შეუწყო სამხედრო კონფლიქტების ახალი ჯაჭვის განვითარებას ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში. ახალ ომს ერთდროულად უნდა გადაეწყვიტა როგორც ავსტრია-პრუსიის დუალიზმის, ისე სავაჭრო-კოლონიური გავლენის სფეროებისათვის ინგლის-საფრანგეთის მწვავე წინააღმდეგობების პრობლემები.

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობებიდან გამომდინარე, კონტინენტზე ძალთა ბალანსის შენარჩუნების აუცილებლობამ, ასევე

საკუთრი პრეტენზიებისა და დინასტიური ინტერესების დაკმაყოფილების ან საზღვრების გაფართოების სურვილმა, მყარი ნიადაგი შექმნა ევროპული სახელმწიფოების ორი მტრულად განწყობილი კოალიციის ჩამოყალიბებისათვის.

არსებულ პირობებში, თვით ევროპული თანასწორობის პრინციპი იმთავითვე გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ ამ კონფლიქტიდან ერთი რომელიმე კონკრეტული მხარე გამოსულიყო აბსოლუტურად მოგებული. სწორედ ამის გამო, კოალიციები არ იყო მუდმივი. სამხედრო მოქმედებებმა გაჭიანურებული ხასიათიც კი მიიღო. ამას ემატებოდა ისიც, რომ კონფლიქტის მთავარი მონაწილეების პოზიციები საკმაოდ წინააღმდეგობრივი იყო.

მოახლოებული ომის პირობებში ყველა მხარემ გააქტიურა დიპლომატიური მოქმედებები. განსაკუთრებით აქტიურობდა ვენა. მისი ძირითადი მიზანი ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესის საერთაშორისო-დიპლომატიური უზრუნველყოფა იყო.

1731 წელს ხელშეკრულება დაიდო ინგლისსა და ავსტრიის იმპერიას შორის. ლონდონმა ადიარა კ.წ. „პრაგმატული სანქცია“. უფრო ადრე, 1726 წელს, პრაგმატული სანქცია აღირებულ იქნა რუსეთის მიერ. თითქოსდა, საკმაოდ კარგი საფუძველი იქმნებოდა ლონდონის, ვენის და პეტერბურგის (რიგი გერმანული სათავადოების) შემადგენლობით ერთიანი ბლოკის ჩამოყალიბებისათვის. იმთავითვე ჩანდა, რომ იგი მიმართული იქნებოდა საფრანგეთისა და თურქეთის წინააღმდეგ.

ინგლის-ავსტრიის დაახლოების კვალდაკვალ, 1733 წელს ვერსალის და მადრიდის სასახლეებს შორის ოფიციალურ დონეზე განახლდა კ.წ. „საოჯახო კავშირი“ (ორივე სახელმწიფო ტახტზე იმყოფებოდნენ ბურბონების დინასტიის სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები). ვაქტობრივად, ორი სახელმწიფოს დაახლოებით ჩამოყალიბდა შეორე კოალიცია.

ორივე კავშირმა ერთგვარი შემოწმება გაიარა კ.წ. პოლონეთის მემკვიდრეობისათვის ომის (1733-1738) და თურქეთთან ომის (1735-1739) პერიოდში.

ამ კონფლიქტებში ვენას ორ, ფრანგულ და ოსმალურ ფრონტები უხდებოდა ბრძოლა.

ინგლისი ამ კონფლიქტებში საქმაოდ პასიურად მოქმედებდა. იგი შემოიფარგლებოდა მხოლოდ მოგავშირის სუბსიდირებით ომის საწარმოებლად. ლონდონს კონტინენტზე აინტერჯსებდა მხოლოდ ორი რამ – წონასწორობის შენარჩუნება და საფრანგეთის დასუსტება და ბრიტანეთის გვირგვინის გერმანული სამფლობელოების დაცვა. რაც შეეხება რუსეთს, მისი სამხედრო ძალა საქმარისი არ აღმოჩნდა ბრწყინვალე პორტას სამხედრო მოქმედებების ბალანსირებისათვის ბალკანეთში. ყოველივე ამის შედეგად კი, ავსტრია იძულებული იყო ერთდროულად ორ ფრონტზე ებრძოლა. ქვეყანა საკამაოდ მაღედასუსტდა, განსაკუთრებით ფინანსური კუთხით, რამაც იძულებული გახადა იგი წასულიყო თურქეთთან ბელგრადის სეპარატული ზავისა და საფრანგეთთან ვენის ზავის დადებაზე. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ავსტრიამ მნიშვნელოვანი ტერიტორიული დანაკარგები განიცადა. 1738 წლის ვენის ხელშეკრულებით ლოტარენგია საკომპენსაციოდ მიეცა პოლონეთიდან გამოძევებულ სტანისლავ ლეშინსკის, რომლის ქალიშვილზეც დაქორწინებული იყო ლუი XV და ფაქტოურად, ამ გზით იგი გადავიდა საფრანგეთის კონტროლის ქვეშ. იტალიაში ზოგიერთი მცირე სამფლობელოების სანაცვლოდ, ნეაპოლი ესპანეთს გადაეცა. ავსტრიისათვის ამ მკვეთრად არასასურველ ხელშეკრულებას დაემატა 1738 წელს თურქეთთან დადებული ბელგრადის ზავი. იგი რუსეთისაგან სეპარატულად დაიდო და შეთანხმების მიხედვით ავსტრიამ დაკარგა მნიშვნელოვანი ნაწილი იმ ტერიტორიისა, რომელიც ბალკანეთში შეიძინა (მათ შორის ბოსნია და სერბია). ავსტრია ნამდვილად არ იყო ახალი ომისათვის მზად. ეს კი კარგად ესმოდათ მის მოწინააღმდეგებს და დაყოვნებასაც არ აპირებდნენ.

ამრიგად, XVIII ს-ის შუა ხანებისათვის ავსტრიის იმპერია საქმაოდ დასუსტდა. ეკონომიკულ საერთაშორისო პოლიტიკაში ავსტრიის გარშემო არსებული მძიმე ვითარება ბევრ პოლიტიკურ

სუბიექტს აძლევდა უფლებას ეფიქრა საკუთარი მიზნებისა და ინტერესების განხორციელებაზე. ყველას თავისებურად ესმოდა შექმნილი გარემობა და დაყოვნებასაც არ აპირებდნენ.

#### 6.4.4. ომი ავსტრიის მემკვიდრეობისათვის

სამხედრო კონფლიქტებში ავსტრიის აშკარა დასუსტება და ევროპული სახელმწიფოების დიდი ნაწილის მიერ ე.წ. „პრაგმატული სანქციის“ მიუღებლობა ფართო მასშტაბიანი ომების მიზეზი გახდა. კონტინენტზე მიმდინარე კონფლიქტმა საფრთხის ქვეშ დააყენა ავსტრიის იმპერიის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება.

კონტინენტზე ინგლისურ-ფრანგული დაპირისპირება და ავსტრია-პრუსიის წინააღმდეგობების გადახლართვა ქმნიდა ევროპული საერთაშორისო პოლიტიკის იმ თავისებურებას, რომელსაც გარკვეული გავლენა ჰქონდა გერმანული ტერიტორიების შემდგომი კონსოლიდაციისათვის, ანუ რამდენად წარმატებით ან წარუმატებლად წარიმართებოდა გაერთიანების პროცესი აქ. ვინაიდან ევროპაში სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებები გერმანიის მიწებს მუდმივად აქცევდა სამხედრო მოქმედებების თვატრად.

ევროპაში ახალი ომის დაწყება დააჩქარა იმპერატორ კარლ VI გარდაცვალებამ (1740 წლის ოქტომებრი). „პრაგმატული სანქციის“ მიხედვით, ჰაბსბურგების სამფლობელო მემკვიდრეობით მიიღო მისმა ქალიშვილმა მარია ტერეზამ ისე, რომ ამ დროისათვის ბევრ ევროპულ სახელმწიფოს კიდევ არ ჰქონდა „პრაგმატული სანქცია“ აღიარებული. მემკვიდრეობის ძველი წესით, ჰაბსბურგების სამფლობელოს ცალკეული ნაწილები უფლებას იტოვებდნენ, რომ მათ უარი ეთქვათ მარია ტერეზასათვის და არ დაეთმოთ ჰაბსბურგების მიწების ყველა სამფლობელო.

მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარების შემთხვევაში ავსტრია დაიყოფოდა, რაც მას კიდევ უფრო დაასუსტებდა. ხოლო მთლიანობაში შეწყდებოდა ჰაბსბურგების იმპერიის გვი-

რგვინის სამასაწლოვანი მფლობელობა. არც ის უნდა დაგვაჭიშედეს, რომ ევროპულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში ვენის კოზირი ყოველთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, ვინაიდან გავლენას ახდენდა პოლიტიკური ელიტის პოლარიზაციასა და აქტივიზაციას კონტინენტზე.

ამგვარი საშიშროების არსებობის მიუხედავად, მარია ტერეზამ (1740-1748) გამოავლინა უნარი, პოლიტიკური ნება და ენერგია ბრძოლისათვის, რომ არ დაეშვა იმპერიის დაშლა. მან არ დათმო და შეინარჩუნა ავსტრიის იმპერიის ერთიანობა. მისი ძირითადი მოწინააღმდევებები იყო პრუსიის ტახტზე ასული ტერიტორიებისათვის მებრძოლი, ფრიდრიხ II და იმპერიის ტახტის მაძიებელი ბავარიის კურფურტისტი კარლ-ალბერტი.

1740 წელს, ავსტრიის იმპერატორის კარლ VI გარდაცვალება და ტახტზე მონარქის შეცვლის მომენტი, პრუსიის მეფემ ფრიდრიხი დიდმა მიიჩნია ბევრად სასარგებლო გარემოებად მისი პოლიტიკის გააქტიურებისათვის. მას სურდა, განემტკიცებინა საკუთარი გავლენა სილეზიაზე და ამისათვის არმიის გამოყენებაზე უარსაც კი არ იტკოდა.

ბავარიის კურფურტისტი კი იმპერატორის ტახტზე საკუთარ პრეტენზიებს ასაბუთებდა მისი იმ უფლებით, რომელიც მას ჰქონდა, როგორც ავსტრიის ჰაბსბურგების სახლის წარმომადგენელს,\* პირველი იმპერატორის, ფერდინად I უფროსი ქალიშვილის შთამომავალს.

\* 1555 წელს იმპერატორი კარლ V გადადგა ტახტიდან და თავისი კოლოსალური იმპერია გაყო თავის შვილს და მმას შორის. შვილმა ფოლიაქმ მიიღო ესპანეთის მეფის ტიტული და მისი სამეფო მოიცავდა ესპანეთს, ნიდერლანდებს, ფრანშ-კონტეს, ჰაბსბურგების იტალიურ სამფლობელოს და ყველა ესპანურ კოლონიას. ხოლო მმაშ ფერდინადმა გერმანიაში მიიღო ჰაბსბურგების მიწები, ავსტრია, ჩეხეთი, უნგრეთის ნაწილი, შტარი, კარინტი და კრაინი. მან ასევე მიიღო იმპერატორის გვირგვინი. ამ დროიდან მოყოლებული ევროპის ისტორიაში წარმოიქმნა ჰაბსბურგების ესპანური და ავსტრიული დინასტიები. საერთოდ კი, ჰაბსბურგები ავსტრიას მართავდნენ 1282 წლიდან, რომელიც მოგვიანებით მრავალროვნეულ ავსტრიულ იმპერიად გარდაისახა (1918 წლამდე) და ევროპის ერთეული მმღვრი და წამყვანი სახელმწიფო იყო. საგვარულო იკავებდა ასევე საღვთო

1740 წელს პრუსიის შეჭრა სილეზიაში, რომელმაც ხელი შეუწყო პირველი სილეზიური ომის დაწყებას, საბოლოოდ გადაიქცა ავსტრიის მექავიდრეობისათვის ევროპული მასშტაბის ომად.

პირველმა სილეზიურმა ომმა ხელი შეუწყო სამხედრო კონფლიქტის წარმოქმნას, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდა თითქმის ყველა ევროპული სახელმწიფო და რომელიც თითქმის საუკუნის მეოთხედი გაგრძელდა.

პრუსიის მიერ სილეზიის მიტაცებამ დააჩქარა ანტიპრუსიული კოალიციის შექმნა. მასში სხვადასხვა დროს და განსხვავებული მდგომარეობით შევიდნენ ავსტრია, რუსეთი, ინგლისი, ნიდერლანდები, საქსონია და სარდინია. ამ გაერთიანების საწინააღმდეგოდ საფრანგეთმა და ესპანეთმა კავშირი შეკრეს პრუსიასთან და ასევე მხარი დაუჭირეს ბავარიის კურფიურსისტს კარლ-ალბრექტის ბრძოლას რომის საღვთო იმპერიის გერმანელი ერის იმპერატორის გვირგვინის მოპოვებისათვის. ესპანეთისა და საფრანგეთის ბურბონებს შორის არსებული როგორი სიტუაცია ამ დროისათვის მოწესრიგებული იყო.

ამრიგად, სილეზიური ომი კონტინენტზე გადაიქცა ფართომასშტაბიან სამხედრო კონფლიქტად.

საფრანგეთმა საკუთარი ჯარები შეიყვანა გერმანიასა და ნიდერლანდებში, სადაც დაამარცხა ინგლისელები და ასევე იტალიაში, სადაც ესპანეთთან ერთად წარმატებით მოქმედებდა.

ბავარიელები შეჭრენ ავსტრიაში, საფრთხე დაეზუქრა ვენას. მათ ფრანგებთან ერთად აიღეს პრაღა. მარია ტერეზას მდგომარეობა კრიტიკული გახდა. მას შერჩა მხოლოდ უნგრეთი

---

რომის იმპერიის ტახტს 1438-დან 1806 წლამდე. (მცირე წყვეტით 1742-45 წწ.) გარდა ავსტრიისა და საღვთო რომის იმპერიისა პაბსურგებს შემდეგი სახელმწიფოების ტახტი ვკავათ: უნგრეთის: 1437—1439, 1445—1457, 1526—1918 წწ.; ჩეხეთის 1306—1307, 1437—1439, 1444—1457, 1526—1618, 1621—1918 წწ.; ხორვატის 1437—1439, 1445—1457, 1526—1918 წწ.; ესპანეთის 1516—1700 წწ.; პორტუგალიის 1580—1640; ნეაპოლიტანური სამეფოს 1516—1735 წწ.; მექსიკის 1864—1867 წწ.; ტრანსილვანიის 1690—1867 წწ.; ტოსკანის 1790—1859 წწ.; პარმის 1814—1847 წწ.; მოდენის 1814—1859 წწ.; ამას გარდა, არაერთი მცირე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იმპერიის ტერიტორიაზე, მათ შორის გერმანულ მიწებზეც.

და ტიროლი. ასეთ სიტუაციაში მან ლონდონის რჩევით, ფრიად კონსპირაციულად ხელშეკრულება დაღო ფრიდრიხ II-თან. ფრიდრიხი მარია ტერეზას მოლაპარაკებაზე დათანხმდა მხოლოდ მაშინ, როცა ინგლისთან მიაღწია შეთანხმებას პრუსიისათვის სილეზიის დიდი ნაწილის შეერთებაზე. ამ საკითხზე, ანალოგიურად მოითხოვა თანხმობა ვენისგანაც. მხოლოდ ამის შემდეგ შეწყვეტდა ის სამხედრო მოქმედებებს. საკითხის დადგბითად გადაწყვეტის შემდეგ, პრუსიამ შეწყვიტა ომი და დათანხმდა ვენას მხოლოდ იმიტირებული სამხედრო მოქმედების წარმოებაზე გერმანიაში, რომელსაც შემდგომ საერთოდ შეწყვეტდა (ეწ. კლეიშნელდორფის კონვენცია).

ავსტრიის მემკვიდრეობისათვის მიმდინარე ომის მანძილზე ფრიდრიხ II კიდევ ორი ასეთი საიდუმლო ხელშეკრულება დადო. ერთი საფრანგეთთან, 1742 წლის ივნისში და მეორე, 1744 წლის დასაწყისში, ბავარიასთან. ამ უკანასკნელის მიხედვით, მას უნდა ემოქმედა ბავარიის კურფიურსისტის მხარეზე. ამ დროს ფრიდრიხის ძირითადი მიზანი ბოგემის დაპრობა იყო.

1742 წლის 25 იანვარს ბავარიის კურფიურსისტი არჩეულ იქნა გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის იმპერატორად \* კარლ VII სახელით (1742-1745). საპასუხოდ, ავსტრიული ჯარები შეიჭრნენ ბავარიაში და დაიკავეს მიუნხენი. მათ ჩამოაგდეს იმპერატორი და გააძევეს მისი სამფლობელოდან. ბრძოლები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა ავსტრიის და მისი მოკავშირების უპირატესობით.

ფრიდრიხი თვლიდა, რომ ავსტრიის დღეები დათვლილი იყო და 1742 წელს, საფრანგეთსა და ბავარიასთან საიდუმლო კავშირის დადების შემდეგ, ხეხეთის ოკუპაცია მოახდინა. მაგრამ ბავარიაში ავსტრიელების წარმატებამ ფრიდრიხ მეორე იძულებული გახდა ხელი მოეწერა ავსტრიასთან სეპარატული ზავისათვის. ფრიდრიხის მცდელობა ხეხეთის დაკავების შესახებ

\* გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის იმპერატორად პირველად ხანგრძლივი დროის და თოთქმის საუკუნის შემდეგ, არჩეულ იქნა არა პაპსურგელი – ბავარიის კურფიურსისტი (1742-1745)

წარუმატებლად დასრულდა. კარლ VII შეძლო ბავარიაში დაბრუნება, მაგრამ მისმა შვილმა, მამის სიკვდილის შემდეგ, ბავარიის შენარჩუნების მიზნით, უარი თქვა იმპერატორის ტახტის პრეტენზიაზე.

1745 წლის დასაწყისიდან ბავარიის სამხედრო-პოლიტიკური ბრძოლიდან გასვლამ, მკვეთრად გაართულა ფრიდრიხის მდგომარეობა. თუმცა „მეფე-ფილოსოფოსმა” შეძლო ავსტრიელების დამარცხება გოგენფრიდენბერგთან და საქმაოდ სასარგებლო პირობებით 1745 წლის 25 დეკემბერს (შეინარჩუნა სილეზია) საფრანგეთისგან ფარულად, დადო სეპარატისტული დრეზდენის ზავი მარია ტერეზასთან.

დრეზდენის ზავის მიხედვით, მთელი სილეზია პრუსიის ხელში გადავიდა. სანაცვლოდ კი, პრუსიამ ავსტრიის იმპერატორად აღიარა მარია ტერეზას ქმარი, რომელიც იმპერიას მართვდა ოცი წლის მანძილზე ფრანც I შტეფანის (1745-1765) სახელით.

მართალი, პრუსია გამოვიდა ომიდან, მაგრამ საომარი მოქმდებები გაგრძელდა სამხერეთ ნიდერლანდებში, იტალიაში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ინგლის-საფრანგეთს შორის კოლონიებში.

საბოლოოდ, 1748 წლის ოქტომბერში, ერთის მხრივ, ინგლისსა და პოლანდიას და მეორეს მხრივ, საფრანგეთს შორის დაიდო ახელის ზავი, რომელმაც დაასრულა ომი ავსტრიის მემკვიდრეობისათვის. მას შეუერთდნენ ავსტრია, ესპანეთი და სარდიანია.

ამ ხელშეკრულებამ დაადასტურა მისი ყველა მონაწილის მიერ კარლ VI ეჭ. „პრაგმატული სანქციის” აღიარება. ხოლო ტერიტორიული საკითხი გადაწყდა შემდეგი სახით: პრუსიამ მიიღო სილეზია, ესპანეთმა და სარდინიამ – ტერიტორიები იტალიაში, საფრანგეთმა ავსტრიას დაუბრუნა ნიდერლანდებში დაპყრობილი მიწები. ინგლისმა მიიღო მადრასი ინდოეთში და ზოგიერთი ტერიტორია ამერიკაში.

ინგლისს ოთხი წლით გაუგრძელდა უფლება მონების გადაყვანისა ესპანეთის კოლონიებიდან ამერიკაში. მანვე მიაღწია გადაწყვიტა ნიდერლანდებში ფრანგების მიერ გამაგრებული დიუნკერის პორტის მოშლის საკითხი.

ხელშეკრულების პირობების არსიდან გამომდინარე, კონფლიქტი მაინც ვერ იქნა აღმოფხვრილი.

მართალია, მარია ტერეზამ არ დაუშვა იმპერიის დაშლა, მაგრამ ვერ შეინარჩუნა სილეზია. თუმცა, ვენა არც კი აპირებდა უარის თქმას სილეზიაზე. ცხადია, ასეთ პირობებში ავსტრია-პრუსიის წინააღმდეგობა ვერ განხლდებოდა.

საფრანგეთიც თავს დაზარალებულად თვლიდა, ვინაიდან ამ ომმა სერიოზული ზიანი მიაყენა მის საზღვაო გაჭრობას.

ინგლისმა ვერ შეძლო განემტკიცებინა თავისი მონაპოვარი ჩრდილოეთ ამერიკაში, რაც გამოწვეული იყო ფრანგების წარმატებით ავსტრიის ნიდერლანდებში და მისი მხრიდან პოლანდიის ოუპაციის საფრთხით, რომელიც იყო ინგლისის მოკავშირე საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ კოლონიურ ომებში.

ამრიგად, არსებობდა სერიოზული საფუძველი ახალი კონფლიქტის გაჩადებისათვის. ეკრაპის სახელმწიფოების ინტერესთა კონფლიქტმა ახალ ომში პპოვა თავისი გამოხატულება. ეს ომი „შვიდწლიანი ომის“ სახელითაა ცნობილი საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში.

## 6.5. შვიდწლიანი ომი და მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სტრუქტურულ ხასიათზე

ახეენის ზაგმა, ინგლის-საფრანგული დაპირისპირის ფონზე, ვერ გადაწყიტა ის ძირითადი პრობლემები, რომელიც ევროპაში კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნდა. პირიქით, მან გარკვეული წინაპირობებიც კი შექმნა ახალი ომის გაჩადებისათვის. ახეენის ზაგით, თუ არ გავითვალისწინებთ სარდინის და ესპანეთის პაბსბურგების ტერიტორიულ შენაძენებს იტალიაში,

ავსტრიის მემკვიდრეობისათვის წარმოებული ომიდან ერთადერთი მოგებული მხოლოდ პრუსია გამოვიდა, რომელიც სილეზიის შერთებით ევროპის დიდ სახელმწიფოდ გადაიქცა.

ახალი ომის დიპლომატიური მომზადების პროცესში მოხდა დიპლომატიური მიღების კარდინალური ცვლილება, რომელმაც მიიღო „დიპლომატიური რევოლუციის“ სახელწოდება. მისი არსი მდგომარეობდა შემდეგში: ვენის სასახლემ დაიწყო ანტიპრუსიული კოალიციის შექმნისათვის მზადება. ავსტრიის დიპლომატიის წინაშე დაისვა საკითხი, რომ კოალიციაში ჩაერთოთ საფრანგეთი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ვენის შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო. ეს ამოცანა გადაწყვიტა ავსტრიის პრემიერ-მინისტრმა, ავსტრიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელმა გრაფმა (შემდეგ თავადი) ვენცელ იოსეფ ფონ კაუნიცმა.

კაუნიცის გეგმის განხორციელებას ხელი შეუწყო ინგლის-პრუსის დაახლოებამ. კერძოდ, ინგლისის მცდელობა საფრანგეთი დაეტოვებინა იზოლაციაში, ვერსალი აიძულა წასულიყო ვენის შემოთავაზებაზე. ვესტმინსტერის კონვენციამ, რომლის მიხედვით პრუსიამ აიღო ვალდებულება, დაეცვა მას და სხვა გერმანულ სახელმწიფოებს ნეიტრალიტეტი ინგლისსა და საფრანგეთს შორის ომის შემთხვევაში, გამოიწვია უკმაყოფილების ტალდა საფრანგეთსა და რუსეთში. ამას მოჰყვა ნამდვილი „დიპლომატიური რევოლუცია“ ევროპაში, ე.ი. კაუნიცის გეგმა, რომლის მიხედვით უნდა შექმნილიყო საფრანგეთის, რუსეთის და ავსტრიის სამთა კავშირი, მსგავს სიტუაციაში მისი განხორციელება არ იქნებოდა ფანტასტიკური. ამაში მდგომარეობდა „დიპლომატიური რევოლუციის“ არსი.

1756 წლის 1 მაისს, ვერსალში ხელი მოეწერა საფრანგეთ-ავსტრიის ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტისა და თავდაცვის შესახებ. შეთანხმების მიხედვით, ორივე მხარე ვალდებულებას დებულობდა ურთიერთდახმარების თაობაზე, თუკი ერთ-ერთი მათგანი რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა ინგლისისა გარდა. ხელშეკრულების ერთ-ერთი საიდუმლო მუხლის მიხედვით, საფრანგეთი

უარს ამბობდა ფრიდრიხისათვის მიეცა გარანტია სილეზიის პრუსიისათვის შენარჩუნების შესახებ.

უფრო ადრე დაიწყო მოლაპარაკებები საფრანგეთ-რუსეთს შორის ხელშეკრულების დადების შესახებ. ხოლო 1756 წლის მაისში ხელი მოეწერა რუსეთ-ავსტრიის კონვენციის პრუსიის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო მოქმედებების წინააღმდეგ.

სამთა კავშირის დიპლომატიური კომბინაციით, რომელსაც „კაუნიცის კოალიცია“ ეწოდა, აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების მიღწევა რეალობად იქცა.

ამრიგად, შეიქმნა სამი სახელმწიფოს ძლიერი სამხედრო კავშირი, რომლის წევრები წამყვან როლს თამაშობდნენ დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ამ კოალიციას შემდეგში შეუერთდა საქსონია და შვეცია.

კონტინენტზე ძალთა ასეთი გადაჯგუფების კვალობაზე შეიძლება ითქვას, რომ ინგლისი და პრუსია დიპლომატიურ იზოლაციაში აღმოჩნდნენ. მსგავსი სიტუაცია განსაკუთრებით საშიში იყო ინგლისისათვის მისი კუნძულოვანი მდებარეობის გამო, ძლიერი სამხედრო ფლოტის ყოლისა მიუხედავად. ინგლისის კონტინენტზე სამფლობელო, პანორამის მიწები საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა.

ომის წინ პრუსიის მდგომარეობა არცთუ სახარბიელო იყო. კონტინენტზე პრუსია ფაქტობრივად სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა\*. მის წინააღმდეგ კონტინენტზე გამოდიოდა ძლიერი კოალიცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა იმ დროის ბევრად დიდ სამ სუპერგრიდან სახელმწიფოს. ამის მიუხედავად, ფრიდრიხის მეორე საჭიროდ თვლიდა ემოქმედა შემტევი სულისკვეთებით. ვენასთან პირველი გამარჯვების მიუხედავად, მას არ შექმდო არ ეზრუნა მომავალი წარმატებებისთვისაც, მით უფრო, რომ სხვაობა მოწინააღმდეგებსა და მის პოტენციალს შორის ცალსახად მკაფიო იყო.

\* რა თქმა უნდა, აქ არის გასათვალისწინებელი გერმანიის სათავდოების იმ ნაწილის მოქავშირის სახით არსებობა, რომელიც ამისთვის ინგლისიდან დებულობდა სუბსიდირებას.

ფრიდრიხ II საქსონიაზე თავდასხმით დაიწყო პრევენციული ომი, დაიკავა და გაანადგურა იგი. ასე დაიწყო ევროპაში მეორე მსხვილმასშტაბიანი ომი, ეწ. შვიდწლიანი ომი (1756–1763 წწ.).

1757 წლის ნოემბერში საქსონიაში როსბახთან ახლოს პრუსიის არმიამ გაანადგურა ფრანგულ-ავსტრიული არმია, მაგრამ ფრიდრიხ II მცდელობას დაეკავებინა ჩეხეთი, მოჰყვა ავსტრიულების მხრიდან მკაცრი წინააღმდეგობა.

ავსტრიელების მხრიდან განსაკუთრებული წინააღმდეგობის ფონზე, 1757 წელს პრუსია იძულებული იყო გადასულიყო თავდაცვაზე მთელი აზიმუტით (კუთხით). პრუსიის მდგომარეობა უიმედო შეიქმნა სამხედრო თეატრში რუსული არმიის ჩართვის შედეგად. ამ უკანასკნელმა მოახდინა აღმოსავლეთ პრუსიის ოკუპაცია და ფრიდრიხის არმიის დამარცხება.

ამრიგად, შვიდწლიანი ომის მსვლელობაში, რის ვაი-ვაგდახით რუსეთის არმია, პრაქტიკულად, თავის ისტორიაში პირველად გამოვიდა გადამწყვეტ ელემენტად „ევროპული წონასწორობის” მხარდასჭერად.

1759 წელს რუსულმა არმიამ დაამარცხა პრუსიელები გროს-ებერცდროფთან და კუნძულობრივთან ბრძოლაში და შევიდა ბერლინში. სამხედრო მოქმედების ევროპულ თეატრში ბრძოლები პრაქტიკულად დასრულდა.

ომის დასრულების მომენტში საფრანგეთს შეუერთდა ესპანეთი. მათ შორის 1761 წელს დაიდო ბურბონების სასახლეების „საგვარეულო ხელშეკრულება”.

დამარცხების მიუხედავად, პრუსიამ შეძლო შეენარჩუნებინა სილეზია და საკუთრივ პრუსიის დამოუკიდებლობაც კი (ფრიდრიხ II ტახტიდან ჩამოგდებასაც ელოდა). ამაში პრუსიის ხელისუფლებას ხელი შეუწყო ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში განვითარებულმა მოვლენებმა.

1758-1760 წწ. საბრძოლო არენაზე მთელი რიგი დამარცხებების შემდეგ პრუსიის გადარჩენა შეეძლო მხოლოდ კოალიციის დაშლას. ეს კი 1762 წელს მოხდა. სამთა კავშირის სუსტი წერტილი აღმოჩნდა რუსეთი. იმპერატორ ელიზავეტის გარდაცვალე-

ბამ და რუსეთის ტახტზე პეტრე III მოსვლამ, რომელიც იყო ფრიდრიხ II თაყვანისმცემელი, საქმაოდ აურია უკვე განვითარებული ევროპული პოლიტიკური პასეანსი. რუსეთის გასვლამ კოლიციიდან საფრანგეთი, ავსტრია და საქსონია, რომლებიც სრული ფინანსური გაკოტრების ზღვარზე იმყოფებოდნენ, აიძულა პრუსიასთან ხელი მოეწერათ 1763 წლის 15 თებერვალს გუბერტუსბურგის ზავისათვის *status quo*-ს სიტუაციის შენარჩუნების პირობით.

ავსტრიამ უარი თქვა პრუსიასთან მიმართებით მიწების პრეტენზიაზე. შედეგად სილეზიის საკითხი პრუსიის სასარგებლოდ გადაწყდა. პრუსიამ კი საქსონიის კურფიურსიტეს მისი მიწები დაუბრუნა.

მართალია, ამ ხელშეკრულებამ „უსისხლოდ” შეაჯამა ომის შედეგები ევროპაში, მაგრამ მან ვერ აღმოფხვრა საზღვაო სახელმწიფოებს საფრანგეთსა და ინგლისს შორის წინაღმდეგობა, რომელიც გაცილებით დრამატულად განვითარდა და დასრულდა.

ევროპაში შვიდწლიანი ომის პარალელურად, ინგლისსა და საფრანგეთს შორის გრძელდებოდა საომარი კამპანიები კოლონიებში და ზღვებზე. ეს ბრძოლები დასრულდა 1763 წლის პარიზის ზავით ინგლისსა და საფრანგეთს და ინგლისსა და ესპანეთს შორის. პარიზის ზავმა, ჰუბერტუსბურგის ზავთან ერთად დაასრულა შვიდწლიანი ომი.

შვიდწლიანი ომის შედეგად ევროპის პოლიტიკური რუკას არსებითი ცვლილება არ განუცდია.

პარიზის ზავის შემდეგ XVIII ს-ის დასასრულამდე ევროპის კონტინენტზე არ ყოფილა ომი დიდ სახელმწიფოებს შორის. ეს გარემოება აიხსნება მთელი რიგი მიზეზებით:

პირველი, „ძალთა წონასწორობის” თავისებური სახის ფორმირების დასრულებით, რომლის ფარგლებში ევროპის ქვეყნების პოლიტიკური ელიტისათვის ცხადი გახდა ის გარემოება, რომ ომი საერთო ჯამში ვერ გამოიხყოდის იმ რესურსებს, რომელიც იყარგება მისი მსვლელობის დროს;

მეორე, საფრანგეთ-ავსტრიის კავშირის შენარჩუნებით, ტახტზე ასულმა იოსებ II მოახერხა კაუნიცის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შენარჩუნება, რომელიც ორიენტირებული იყო საფრანგეთთან კავშირზე და რომელიც ვენისა და ვერსალის მიერ განმტკიცებულ იქნა 1770 წელს დინასტიური კავშირით. კერძოდ, საფრანგეთის ტახტის მემკვიდრის ავსტრიის პრინცესასთან მარია ანტუანეტთან ქორწინებით;

მესამე, რუსეთის, პრუსიის და ავსტრიის დაახლოებით, რომელიც დამყარებული იყო პოლონეთის გაყოფის საერთო ინტერესებთან (პოლონეთის პირველი გაყოფა მოხდა 1772 წელს).

მეოთხე, კონტინენტურ დიდ სახელმწიფოებს შორის უშალო დაპირისპირების არარსებობით;

მეხუთე, საერთაშორისო სამართლის განვითარებით და ვეროპაში განმანათლებლობის ეპოქაში განსაკუთრებული ინტელექტუალური და მორალური კლიმატის ფორმირებით, რაც ართულებდა სამხედრო მოქმედებების როგორც მორალური, ისე სამართლებრივი უზრუნველყოფის აუცილებლობას.

რუსეთის კარგი ურთიერთობები პრუსიასთან და მოკავშირე საფრანგეთთან, ლუი XVI დაქორწინებამ მარია ტერეზას ასულ მარია ანტუანზე შექმნა შესაძლებლობა გამორიცხულიყო დიდი ომები ევროპის კონტინენტზე.

დაპირისპირების შემცირების მიუხედავად, ევროპის კონტინენტზე გარკვეული საკითხები დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. მართალია, პრუსიამ წარმოგებულ ოქებში აშკარა მარცხი განიცადა, მაგრამ ტერიტორიების კუთხით არაფერი დაუკარგავს. ასეთ პირობებში ფრიდრიხ II დიპლომატიამ მოამზადა ნიადაგი პრუსიის საზღვრების გაფართოებისათვის რეჩ-პოსპოლიტას ხარჯზე.

ავსტრიისათვის, სადაც მარია ტერეზას სიკვდილის შემდეგ მისი შვილი იოზეფ II მმართველობდა, თითქმის უპერსპექტივოდ გამოიყერებოდა ავსტრიის ძლიერების აღდგენის და ტერიტორიების გაფართოების საკითხების გადაწყვეტა.

რამდენად წარმატებულად ფუნქციონირებდა წონასწორობის ის სისტემა, რომელიც ევროპაში XVIII ს. ჩამოყალიბდა, მკაფიოდ გამოჩნდა ე.წ. „ბავარიის მემკვიდრეობისათვის ომების” (1777-1778) მოვლენებში. მის მსვლელობაში. არ მომხდარა არც-ერთი მონაწილის დამარცხება, ხოლო კონფლიქტის მონაწილეები (ავსტრია და პრუსია) ბევრად უფრო შეწუხებულები იყვნენ იმით თუ როგორ გაემართლებინათ მათი მოქმედებები ევროპის საზოგადოებრივი აზრის წინაშე, რომლებიც უფრე მეტად იყვნენ შეშფოთებულნი ომის მსვლელობით, ვიდრე მებრძოლი მხარეები.

1777 წელს იოზეფ II ბავარიის კურფიურსისტის სიკვდილის შემდეგ, სცადა მიტაცება მისი. თუმცა, მას ამ საქმეში ხელი შეუშლა პრუსიამ, რომელმაც კავშირი შეერა გერმანელ თავადებთან აგსტრიის წინააღმდეგ. ევროპა კვლავ ომის ზღვარზე აღმოჩნდა, ამჯერად, ბავარიის მემკვიდრეობის გამო. საბოლოოდ, საკითხი გადწყდა 1779 წლის ზავით, რომლის მიხედვით, აგსტრიას მხოლოდ ბავარიის ნაწილი გადაეცა. შეთანხმების საფუძველზე, ავსტრია-პრუსიის დუალიზმი კვლავ შენარჩუნებულ იქნა.

ვენის შეშფოთებას იწვევდა რუსეთის გააქტიურება. იგი ფრთხილად ადევნებდა თვალყურს რუსეთის წარმატებებს თურქეთთან ბრძოლაში.

ამერიკული კოლონიების წარმატებულმა ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის ძალთა ახალი კონფიგურაცია და ბალანსი გამოიწვია ევროპულ პოლიტიკაში.

მართალია, ინგლისმა საფრანგეთთან კოლონიურ წინააღმდეგობაში წარმატებებს მიაღწია, მაგრამ საფრანგეთის კოლონიების სწრაფი ეკონომიკური განვითარება და მისი მზარდი როლი კოლონიურ ვაჭრობაში, ისევ ზრდიდა კონკურენციას ორ დიდ სახელმწიფოს შორის.

## 6.6. ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა საზღვაო და კოლონიური ჰეგემონობისათვის

XVIII საუკუნის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად პოლავ რჩებოდა ფრანგულ-ინგლისური დაპირისპირება.

ფრანგულ-ინგლისურმა შეურიგებელმა საფაჭრო-კოლონიურმა წინააღმდეგობამ არაერთი კონფლიქტის წარმოქმნას შეუწყო ხელი ევროპაში. მათ შორის წინააღმდეგობა სხვა კონფლიქტებთან ერთად პარალელურ რეჟიმშიც კი მიმდინარეობდა (მაგ., ომი ავსტრიის მექანიდრეობისათვის, შვიწლიანი ომი) მათში ისინი მონაწილეობდნენ მათ მიერ შექმნილ კოალიციებთან ერთად.

ცნობილი ფაქტია, რომ ასწლეულის განმავლობაში, საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე, ინგლისი და საფრანგეთი 35 წლის მანძილზე ებრძოდნენ ერთმანეთს (აქ არ იგულისხმება ფრანგების დახმარება ამერიკული კოლონიებისადმი ინგლისის წინააღმდეგ).

ინგლისის პოლიტიკა გეგმაზომიერად მიმართული იყო ვაჭრობისა და კოლონიური სამფლობელობის გაფართოებისაკენ. მან თავისი საკუთარი ფლოტი და არმიის ძალები მიმართა ოქეანის გადმა საომარი მოქმედების საწარმოებლად. ხოლო ევროპულ პოლიტიკაში იგი უპირატესობას ანიჭებდა თავისი მთავარი მოწინააღმდეგის – საფრანგეთის მტრების დაფინანსებას, თავისი ინტერესების შესაბამისად ამ უკანასკნელის წინააღმდეგ სამხედრო კონფლიქტების საწარმოებლად.

საფრანგეთი უწინდებულად ფლობდა უკელაზე მრავალრიცხოვან არმიას ევროპაში მაშინ, როცა ინგლისი მისი კუნძულოვანი მდებარეობის გამო, არ ხარჯავდა უუდს დიდი სახმელეთო არმიის შენახვაზე. სანაცვლოდ, ინგლისს პყავდა საუკეთესი საზღვაო სამხედრო ფლოტი, თუმცა XVIII ს-ის 50-იანი

წლებისათვის საფრანგეთმა თითქმის შეძლო ინგლისურ ფლოტთან გათანაბრება.

ინგლისურ-ფრანგული წინააღმდეგობა, რომელიც გათავისუფლდა დაპლომატიური ბრძოლებისაგან XVIII ს-ის მანძილზე, თანდათანობით გადაიქცა კოლონიური იმპერიების მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლად.

ევროპული საერთაშორისო პოლიტიკის ორი ძირითადი მიზნის ასეთი აღმოცენება უცილობლად განსაზღვრავდა ინგლისის და საფრანგეთის ადგილს ევროპაში ჩამოყალიბებულ იმ კოალიციებში, რომლებიც წარმოიქმნა აგსტრია-პრუსიის დუალიზმის (დაპირისპირები) ნიადგზე (და რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა ამ კოალიციის შესაძლებლობებს).

თუკი საფრანგეთი პრუსიის მოკავშირედ გამოვიდოდა, მაშინ ინგლისი აგსტრიას დაუჭერდა მხარს და პირიქით. ორივე სახელმწიფო ამ გზით ცდილობდა მაქსიმალურად დაექსებრებინა მოწინააღმდეგე ევროპაში, რათა მისთვის გაეადვილებინა ბრძოლა ოკეანის გაღმა. ინგლისელების მიერ ამოცანა მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული „ამერიკისათვის ბრძოლა ევროპაში”.

1739 წელს ინგლისსა და ესპანეთს შორის დაიწყო კოლონიური ომები, რაც გამოწვეული იყო ინგლისის დაინტერესებით, რომ თავისუფალი ვაჭრობის უფლება მოეპოვებინა ესპანეთის კოლონიებში.

მაღრიდის და ვერსალის სასახლეები, სადაც ტახტზე ბურბონები იჯდნენ, ხშირად ერთიანდებოდნენ საგარეო საფრთხის წინააღმდეგ. ამ პერიოდშიც ინგლისური ფაქტორის გამო მათ არაერთხელ შეერეს კავშირი. 1743 წელს აღდგენილი იქნა ე.წ. „საოჯახო კავშირი” პარიზსა და მადრიდს შორის.

დაიწყო ინგლის-საფრანგეთის ომები მსოფლიო ვაჭრობისა და კოლონიური ბატონობისათვის. ამ წელს ევროპის გარდა ომი აქტიურად წარმოებდა დასავლეთ ნახევარსფეროში და იგი ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. 1745 წელს ინგლისებლებმა მოახერხეს დაუფლებოდნენ ლუისბურგს, რომელიც იყო ფრანგების მთავარი პუნქტი მდინარე წმინდა ვალენტინის

შესართავთან და ამით რეალური საფრთხე შეუქმნეს მათ ბატონობას კანადაში. ოუმცა, ფრანგებმა შეძლეს კონკენსირება გაეკეთებინათ ჩრდილოეთ ამერიკაში განცდილი ამ წარუმატებლობისათვის ინდოეთში მიღწეული წარმატებებით. 1746 წელს მათ აიღეს ინგლისელების მთავარი პუნქტი ინდინ-მადრასი.

ინგლისელები და ფრანგები ასევე ებრძოდნენ ერთმანეთს შოტლანდიაშიც, სადაც ფრანგები მხარს უჭერდნენ იაკობ II ავანტურისტულ და უპერსაექტივო მცდელობას ინგლისში სტიუარტების დინასტიის აღდგენისათვის.

კოლონიურმა ოქებმა საბოლოოდ მაინც ვერ გადაწყვიტა ინგლისურ-ფრანგული დაპირისპირება და მათთვის პრაქტიკულად უშედეგოდ დასრულდა. ინგლისელ და ფრანგ კოლონისტებს შორის სამხედრო მოქმედებები ფაქტიურადა, არ შეწყვეტილა და 1756 წელს იგი გადაიქცა რეგულარული არმიების ოფიციალურ ობად.

როგორც ფრანგული ჯარების მიერ სამხრეთ ნიდერლანდების მიერ სამხრეთ ნიდერლანდების დაპყრობის საფრთხეს, ასევე ინგლისის მიერ „ამერიკისათვის ეკროპაში ბრძოლას“ არ ჰქონდა არანაირი შედეგი. ამიტომ ინგლისი იძულებული იყო უარი ეთ-ქვა თავის დაპყრობებზე ახალ ქვეყანაში და დათანხმებულიყო ეკროპაში **status quo** ადდებენას. 1748 წელს ინგლისსა და საფრანგებს შორის დადებულ იქნა ახევნის ზავი, რომელმაც საბოლოოდ ბოლო მოუღო თითქმის ათწლიანი რიგის ომს ავსტრიის მემკვიდრეობისათვის.

ახევნის ზავის შემდეგ 1748 წელს ავსტრიის პოლიტიკა  
მიმართული იყო ფრიდრიხ II დამპყრობლური გეგმების წინა-  
აღმდეგ.

ლონდონი ცდილობდა შეკვრა ანტიფრანგული კოალიცია. კაუნიცე, რომელიც იდგა ავსტრიის საგარეო პოლიტიკის სათ-ავეში, კარგად ახსოვდა, რომ ინგლისის ძალა პრუსიის წინააღმ-დეგ, რომელთანაც მას არ ჰქონდა რაიმე სერიოზული წინააღმ-დეგობა, ძალიან შეზღუდული და დაქვემდებარებული იყო საე-რთაშორისო პოლიტიკური ქონიუნიჩრის რეაგიზმზე. ასევე როგო

ლი იყო რუსეთის უსიტყვო მხარდაჭერის გათვალისწინებაც, კინაიდან პეტერბურგში იყვნენ რუსულ-ავსტრიული თანამშრომ-ლების როგორც მოწინააღმდეგები, ისე მომხრეები და სადაც ქრონიკულად განიცდიდა კრიზს სახელმწიფო ხაზინა. აღნიშ-ნული ვითარებიდან გამომდინარე, პრუსიასთან წარმატებული ბრძოლის მთავარი იმედები დაკაგშირებული იყო ვენის შესაძლებლობასთან ფრიდრიხისათვის მოქსპო საფრანგეთის შესაძლო მხარდაჭერა.

ასეთ პირობებში კაუნიცი წავიდა დიპლომატიური კომბინაციის სრულიად დაუჯერებელ მოქედებაზე. იგი შეეცადა თავის მხარეზე გადაებირებინა საფრანგეთი. ამისათვის ვერსალს შესთავაზა, რომ ომის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ფლანდრიას სილეზიას დაუბრუნებდა, ოდონდ ომში ფრანგული ძალისა და დახმარების სანაცვლოდ. ეს ის ფლანდრიაა, რომელსაც ფრანგები წარუმატებდებად ცდილობდნენ რომ დაუფლებოდნენ წინა ასწლეულის მანძილზე. ოუმცა, ლუი XV ვერ გაძედა კავშირების ძველი სისტემის ესოდენ კარდინალური გადახდევა.

მოვლენების ამგვარი განვითარების კალობაზე, ინგლისი, რომელსაც კარგად ახსოვდა ომების დამთავრების მწარე გამოცდილება, ყველა საშუალებით შეეცადა უზრუნველეყო თავისი უველაზე სუსტი ევროპული სამფლობელოს უსაფრთხოება პანოვერში. ვინაიდან საშიშროება იყო საფრანგეთის მოკაგშირე ფრიდრიხის მიერ პანოვერის მიტაცებისა, ინგლისელები ცდილობდნენ დაზღვეულიყვნენ ყველა მიმართულებით. კერძოდ, 1755 წელს სანკტ-პეტერბურგში ხელი მოეწერა კონვენციას, რომელიც ინგლისელებს საშუალებას აძლევდა დაყრდნობოდნენ რუსულ დახმარებას. ეს უკანასკნელი ფრთხილად ადევნებდა თვალყურს პრუსიის გაძლიერებას. იმავდროულად, ინგლისელები ასევე შეეცადნენ ჩაეთრიათ სრულიად განსაზღვრულ სამოკავშირეო ვალდებულებებში საკუთრივ პრუსიაც. ლონდონის თვალსაზრისით, იდეალური იქნებოდა ისეთი მდგომარეობა კონტინენტზე, რომლის პირობებში ავსტრია და პრუსია ერთად

გამოვიდოდნენ საფრანგეთის წინააღმდეგ, რაც ბოლომდე გაუხსნიდა ინგლისს ხელებს კოლონიებში ბრძოლისათვის.

პრუსიამ, რომელიც მართალია, დაინტერესებული იყო საფრანგეთთან კავშირის შენარჩუნებით, ინგლისთან დადო ხელშეკრულება, რომელიც აძლევდა შესაძლებლობას, მიეღო დამატებითი სუბსიდიები. ფრიდრიხის მიერ წარმოებული დიპლომატიური კომბინაციის სირთულე მდგომარეობდა იმაში, რომ ინგლისთან ძირითადი კავშირი უნდა გამხდარიყო საფრანგეთის თავდასხმისაგან პანოპერის დაცვა.

ყოველივე ამის შემდეგ, 1756 წლის იანვარში, დადებული იქნა ვესტმინსტერის კონვენცია, რომლის მიხედვით, პრუსიამ აიღო ვალდებულება დაცვა მას და სხვა გერმანულ სახელმწიფოებს ნეიტრალიტეტი ინგლისსა და საფრანგეთს შორის ომის შემთხვევაში. ამ კონვენციის დახმარებით, პრუსია შეეცადა ინგლის-საფრანგეთის მოახლოებული ომი გამოვჭანა საერთო ევროპული კონფლიქტის კონტექსტიდან. ვინაიდან საქმის ასეთი მდგომარეობა საფრანგეთს შესაძლებლობას აძლევდა არ გადაესრულა დამატებითი ძალები კონტინენტზე მოქმედებისათვის, ხოლო ლონდონ – თავიდან აეცილებინა ძლიერ პრუსიულ არმიასთან სამხედრო თვატრში ჩარევა, სადაც მისი პერსპექტივა არ იქნებოდა დიდად ბრწყინვალე. ვესტმინსტერის კონვენცია არ იყო ხელშეკრულება ინგლის-პრუსიის კავშირის შესახებ, მაგრამ მან ფაქტიურად ბოლო მოუღო საფრანგეთ-პრუსიის კავშირს.

ევროპის კონტინენტზე ძალთა ამგვარი კონფიგურაციის და მისგან გამომდინარე ომის ფონზე, გაგრძელდა საფრანგეთ-ინგლისის შეიარაღებული წინააღმდეგობა. 1756 წელს ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისელების მოქმედების საპასუხოდ საფრანგეთმა ხმელთაშუა ზღვაში დაიპყრო კუნძული მენორკუ, რომელსაც უტრეხტის ზავის პირობით ინგლისი აკონტროლებდა. ფრანგები ამ კუნძულის დაბრუნებას ესპანეთს დაპირდნენ საზღვაო ომში ინგლისის წინააღმდეგ დახმარებისათვის. მადრიდმა ომი გამოუცხადა ლონდონს, შედეგად ინგლისმა პავანა დაიპრო. 1757 წელს ინგლისის არმია პანოპერში დამარცხდა ფრან-

გებთან ბრძოლაში და მასზე კონტროლი დაკარგეს. მხოლოდ მეორე წელს შეძლეს ამ კუთხით ინგლისელებმა სტატუს ქვოს აღდგენა. 1758 წელს საფრანგეთმა ჩრდილოეთ ამერიკაში დაკარგა კანადა, რომელიც ინგლისელების ხელში გადავიდა.

ომის მსვლელობაში აშკარად გამოჩნდა მხარეთა მიერ შერჩეული სტრატეგიის ღრმა სხვადასხვაობა. საფრანგეთი მიიჩნევდა ბრიტანეთის ძლიერების შესუსტებას კონტინენტზე ინგლისის მოკავშირების განადგურების და მისი ევროპული სამფლობელოების (ჰანოვერი) მიტაცების საფუძველზე. პარიზი თვალიდა, რომ კონტინენტზე ბრიტანეთის განადგურება ლონდონს აიძულებდა საბოლოოდ წასულიყო დათმობებზე კოლონიურ საკითხებში. ინგლისელები კი, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის უ. პიტი უფროსის ხელმძღვანელობით – პირიქით. ლონდონი კონცენტრირებას ახდენდა კოლონიებისათვის ბრძოლის გაძლიერებაზე და როგორც დრომ აჩვენა, ეს ტაქტიკა ბევრად რეალური აღმოჩნდა.

კოლონიებში ომი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ომში აშკარად გამოჩნდა ინგლისის ეკონომიკური და საზღვაო ძლიერება. 1758 წელს ინგლისელებმა დაიკავეს ლუქსემბურგი და მონრეალი. კანადაც ფაქტობრივად მათ სრულ კონტროლში მოექცა. ერთი წლით ადრე, ინგლისელებმა დაიკავეს ბენგალი, რითაც გადადგეს ნაბიჯი ინდოეთში სრული ბატონობის მოსაპოვებლად. 1761 წელს კი დაეუფლეს პონდიშერს, რომელიც იყო ფრანგების სამფლობელოს ცენტრი ინდოეთის სუბკონტინენტზე. კოლონიებთან ფართო სავაჭრო ურთიერთობების მხარდაჭერამ გამოიწვია ის, რომ ინგლისმა ომის პერიოდში არა მხოლოდ შეინარჩუნა თავისი სავაჭრო კავშირები, არამედ არსებითად გააფართოვა კიდევ იგი. აშკარა იყო, რომ ძალთა ბალანსი ინგლისის სასარგებლოდ დაირღვა. ასეთ პირობებში ინგლისისათვის შეიქმნა საშიშროება, რომ ევროპული დიდი სახელმწიფოების მიერ შექმნილიყო ანტიინგლისური კოალიცია, რამაც ინგლისი აიძულა წასულიყო პარიზთან მოლაპარაკებებზე.

1761 წლის აპრილში დაიწყო მოლაპარაკებები ინგლისსა და საფრანგეთს შორის, თუმცა, იმთავითვე არც ერთ მხარეს არ ჰქონდა ზავის დადების სურვილი. მდგომარეობა გაართულა იმ გარემოებამ, რომ 1761 წელს ესპანეთი თანახმა გახდა აღედგინა ე.წ. „საოჯახო კავშირი“ (ესპანეთის და საფრანგეთის ბურბონები) ცხადი იყო, რომ საფრანგეთის შემდეგ, ინგლისი ესპანეთის კოლონიურ სამფლობელოებსაც მოიკითხავდა. საფრანგეთს არ ჰქონდა ილუზია გადაჭარბებით შეეფასებინა ესპანეთის პოტენციალი, თუმცა მიიჩნევდნენ, რომ ესპანეთი შეძლებდა საკუთარ თავზე მიედო ბრიტანეთის სამხედრო დარტყმები. 1762 წელს მადრიდმა ომი დაიწყო ინგლისის წინააღმდეგ პორტუგალიასთან ერთდ. ამ უკანასკნელს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ინგლისთან. თუმცა, ცუდად მომზადებული თავდასხმა ესპანეთისათვის სრული კრახით დასრულდა. პორტუგალიაში წარმატებები უმნიშვნელო იყო იმ ფონზე, როცა ინგლისი ჩრდილოეთ ამერიკაში, ესპანეთის კოლონიებს ერთი მეორეზე მიყოლებით იცყრობდა. ხანგრძლივი და გაჭიინურებული ომის შედეგად დაუძლეურებული საფრანგეთი იძულებული გახდა აღედგინა ინგლისთან მოლაპარაკების პროცესი. 1763 წლის 10 თებერვალს ვერსალში ხელი მოეწერა პარიზის საზავო ხელშეკრულებას. რომელსაც 15 თებერვალს მოჰყვა ჰუბერტსბურგის ზავი რომელმაც ვეროპაში დაასრულდა შეიძლიანი ომი და ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა კოლონიებისა და მსოფლიო ბატონობისათვის. ზავის პირობების თანახმად, ინგლისმა საფრანგეთისაგან მიიღო ჩრდილოეთ ამერიკაში კანადა, კეი-ბრეტონის კუნძული, აღმოსავლეთ დაუზინა (ახალი ორლეანის გარეშე); რამდენიმე კუნძული ვესტ-ინდოეთში; აფრიკაში თითქმის მთელი სენეგალი; ინდოეთში პრაქტიკულად საფრანგეთის მთელი სამფლობელო, გარდა ხუთი ქალაქისა. მას დაუბრუნდა მენორკაც. ასევე საფრანგეთმა ინგლისს გადასცა კუნძული სან პიერი და მიკელონი.

ესპანეთმა ინგლისისათვის ფლორიდას გადაცემის გამო, საფრანგეთისაგან მიიღო დასავლეთ დაუზინა და ფულადი კომპენსაცია.

ინგლისმა მხოლოდ მის მიერ დაპყრობილი კოლონიების ნაწილი დაუბრუნა საფრანგეთსა და ესპანეთს. საფრანგეთმა დაიბრუნა მარტინიკი და გვადელუპჰ, კუბა დაუბრუნდა ესპანეთს.

მუხედავად იმისა, რომ პონდიშერი დაუბრუნდა საფრანგეთს, საკითხი იმის შესახებ ვინ გააკონტროლებდა ინდოეთს, ფაქტობრივად, წინასწარ გადაწყდა ომის მსვლელობისა.

ზავის პირობების მიუხედავად, გარკვეული წინააღმდეგობა პვლავ იქნა შენარჩუნებული ინგლისისა და საფრანგეთის ურთიერთობებში.

ომის შედეგების მიხედვით, ინგლისელები ყველა კანონზომიერებით გამარჯვებულები გამოვიდნენ, ვინაიდან მიიჩნევდნენ, რომ საფრანგეთის კოლონიურ და საგაჭრო-ეკონომიკურ ძლიერებას საბოლოოდ ბოლო მოედო. თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ, ფრანგებს გაუჩნდათ მოულოდნელი ახალი შესაძლებლობა აედოთ რევანში ინგლისელებზე ჩრდილოეთ ამერიკაში კოლონიების დაკარგვის გამო, როცა მხარი დაუჭირეს ჩრდილოეთ ამერიკის აჯანყებულ ინგლისურ კოლონიებს ბრიტანეთის იმპერიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

პირველად ისტორიაში, კოლონიებში არსებული სიტუაცია გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში.

მთლიანობაში, XVIII ს-ში ევროპული საერთაშორისო პოლიტიკის განვითარებამ, რომელმაც დაასრულა ახალი პერიოდის აღრევული ეტაპი, აჩვენა, რომ კაპიტალისტური წყობის სწრაფი ზრდა, ჯერ კიდევ ძლიერი აბსოლუტური რეჟიმების მქონე ახალგაზრდა, კაპიტალისტური და ძველი ფეოდალური სახელმწიფოების დაპირისპირებამ, რომელიც მიუახლოვდა კრიზისების ზღურბლს, არა თუ შეასუსტა, არამედ გაამწვავა და გაზარდა როგორც თვით კონფლიქტები, ისე მისი მიზეზობრივი საფუძვლები.

ამავე დროს, XVIII ს-ის ევროპული სახელმწიფოების კოლონიური დაპირისპირებით, ცხადი გახდა თუ რა სახითა და

ხარისხით უნდა მოწყობილიყო პოლიტიკური ძალები ევროპაში აღრეული კაპიტალიზმის გაოქაში და რა გავლენა უნდა მოეხდინა მას სხვა კონტინენტების საერთაშორისო ურთიერთობებზე, რაც მთლიანობაში განსაზღვრავდა მსოფლიო პოლიტიკის არსე.

კოლონიებისათვის ევროპული სახელმწიფოების ბრძოლამ ევროპულ საერთაშორისო ურთიერთობებს გლობალური შინაარსი შესძინა.

#### 6.7. რუსეთ-თურქეთის ომები და ევროპული სახელმწიფოების პოზიციები

XVII-XVIII საუკუნეებში (და მის შემდგომ პერიოდშიც) რუსეთ-თურქეთის ომები წარმოებდა შავ ზღვაზე გაბატონებისა და ახალი ტერიტორიების მოპოვებისათვის. ამ ხნის მანძილზე რუსეთი ებრძოდა თურქეთს და მის მოკავშირე ყირიმის ხანს. რუსეთის მიზანი იყო შავ ზღვაზე გასვლა და მისი ჩრდილოეთი სანაპიროების ხელში ჩაგდება. მისი ეს ქმედებები განპირობებული იყო ქვენის ეკონომიკური ინტერესებით და სამხედრო-პოლიტიკური მოთხოვნილებებით. XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან რუსეთ-თურქეთის ომები დაუცავშირდა ახლო აღმოსავლეთში (ე.წ. აღმოსავლეთის საკითხი) საერთაშორისო წინააღმდეგობების გართულებას და ბალკანეთსა და კავკასიაში რუსეთის პოზიციების თანახდათანობით გამჟარებას.

დასახელებული საუკუნეების მანძილზე რუსეთ-თურქეთის ომების მოკლე ქრონოლოგია ასეთია:

1. 1676-1681 წლების ომი გამოწვეული იყო თურქეთის აგრძელების გაფართოებით უკრაინის ტერიტორიაზე. იგი დასრულდა 1681 წლის ბახნისარის ზავით.
2. 1686-1700 წლების რუსეთ-თურქეთის ომი შეადგენდა თურქეთის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოების ბრძოლის შემდგენელ ნაწილს, როცა რუსეთი შეუერთდა 1686 წელს ანგი-

თურქულ „წმინდა ლიგას“. იგი 1700 წელს დამთავრდა კონსტანტინებოლის საზაფო ხელშეკრულებით.

3. რუსეთ-თურქეთის 1710-1713 წლების ომი დამთავრდა რუსეთის წარუმატებლობით. დაკარგა აზოვი.

4. რუსეთ-თურქეთის 1735-1739 წლების ომი წარმოადგენდა რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების შედეგს, რომელიც დაკავშირებული აღმოჩნდა პოლონეთისა და ყირიმის საკითხებთან. ამ ომში რუსეთის მოკავშირედ ავსტრია გამოვიდა. თუმცა, იგი თურქებთან ომში დამარცხდა. შვეციის მხრიდან თავდასხმის საფრთხეები რუსეთი აიძულა დაედო თურქეთთან ბელგრადის ზაფი 1739 წელს.

5. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომი კვლავ დაპავშირებული იყო რუსეთის შავ ზღვაზე გასვლასთან. ამ ომში თურქეთის მხარდამჭერებად ავსტრია და საფრანგეთი გამოვიდნენ. ეს ომი 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზაფით დასრულდა.

6. რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წლების ომი თურქეთის მხრიდან რევანშისტული მისწრაფებით იყო გამოწვეული. ამ ომს თურქეთის მხრიდან ასევე აქეზებდა დიდი ბრიტანეთი, პრუსია და საფრანგეთი, რომელთაც სურდათ რუსეთის გავლენის შესუსტება კავკასიასა და ყირიმში. რუსეთი ავსტრიის მხარდაჭერით სარგებლობდა. 1788 წელს ომში ავსტრია ჩაება, მაგრამ იგნისში რუსეთს ომი გამოუცხადა შვეციამ. 1790 წელს ავსტრია ომიდან გავიდა. შვეციასთან კი ზაფი დაიდო, რამაც რუსეთს საშულება მისცა მთელი ძალებით დაერტყა თურქეთისათვის. 1791 წელს დაიდო იასის ზაფი.

რუსეთ-თურქეთის აღნიშნული ომები იმთავითვე დაემთხვა ევროპაში სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესს (1648 წლიდან ვესტფალიის სისტემა), სადაც წამყვანი სუბიექტები სახელმწიფოები იყვნენ, ხოლო საგარეო პოლიტიკის არსეს და მიზანს სახელმწიფო ინტერესები განსაზღვრავდა. სწორედაც ევროპული სახელმწიფოების მიღომა აღმოსავლეთის საკითხისადმი განპირობებული იყო სახელმწიფოთა ინტერესებით, რაც ძალა ძალასის სისტემაში განაპირობებდა

ძალთა კონფიგურაციის ისე ჩამოყალიბებას, რომელიც არ დაუშვებდა ევროპაში ერთი რომელიმე სახელმწიფოს გავლენის დამყარებას. ამის მკაფიო მაგალითია აღებულ ხანაში რუსეთ-თურქეთის მიერ წარმოებული ომები და მისდამი ევროპული სახელმწიფოების პოზიცია და დამოკიდებულება.

მსოფლიო პოლიტიკაში რუსეთ-თურქეთის ომები მნიშვნელოვნა წილად წარმოიქმნა ახლო აღმოსავლეთში ეწ. „აღმოსავლეთის საკითხის“ აქტუალურობის გამო საერთაშორისო წინააღმდეგობის გართულების შედეგად. რუსელ ისტორიოგრაფიაში რუსული მხარის მოქმედება შეფასებულია როგორც პროგრესული ქმედება, ვინაიდან იგი მიმართული იყო ბალკანეთის ხალხების დახმარებისაკენ, ხოლო თურქეთისათვის ეს ომი წარმოადგენდა მისწრაფებას, რომ ჩაეხშო ბალკანელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა და შეენარჩუნებინა თავისი სამხედრო-ფეოდალური ბატონობა რეგიონში. ამავდროულად, რუსეთს ეს ომი სჭირდებოდა იმისათვის, რომ დადგებითად გადაეწყვიტა თავისუფალი ნაოსნობის საკითხი ბოსფორის ყურეში, რაც ცხადია, პასუხობდა ქვეყნის კონომიკური განვითრების ინტერესებსაც. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი ეწ. აღმოსავლეთის საკითხს უდგებოდა თავისი სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური და კონომიკური ინტერესების კუთხით, რაც დაკავშირებული იყო შავ ზღვაზე აბსოლუტური უპირატესობის მოპოვებასთან – კონსტანტინოპოლის აღება, სრუტეების ხელში ჩაგდება და აზისა და კვრობის გზასაყარ რეგიონში სრული კონტროლის მოპოვება. ცხადია, ამგვარი გეგმების რეალიზაცია რუსეთის გავლენას ევროპულ და აზიურ საერთაშორისო ურთიერთობებში ქიდვებ უფრო გაზრდიდა.

XVII საუკუნის მიწურულისათვის რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე ორი ურთულესი პრობლემა იდგა. პირველი შავ ზღვაზე და მეორე, ბალტიის რეგიონში გასასვლელების მოპოვება. თავისი მეფობის პირველი წელი პეტრე I მთლიანად შავ ზღვას მიუძღვნა.

გამეფებისთანავე პეტრე ავსტრიასთნა, ვენეციასთნა და რეჩ-პოსპოლიტასთან ერთად აგრძელებდა იმ ომს, რომელიც ჯერ კიდევ მისმა უფროსმა დამ, სოფიომ დაიწყო. მართალია, პეტრე პირველის ლაშქრობამ წარმატება არ მოიტანა, მაგრამ მეორე ლაშქრობის შემდეგ, აზოვი აღებულ იქნა (1696). აზოვის აღებამ და ტაგანროგოს დაარსებამ რუსეთის აზოვზე გაბატონება უზრუნველყო. მაგრამ, სანამ ქერხის სრუბე თურქეთის ხელში იყო, გზა შევისკენ შეუვალი იყო. იმავე დროს, ანტიოსმალური ალიანსის რუსეთის მოკავშირები კმაყოფილები იყვნენ მიღწეულით და უკვე საზაფო ხელშეკრულების დადებისაკენ იხრებოდნენ. თუმცა, შევი ზღვის საკითხის გადაჭრის და ანტიოსმალური კოალიციის გაძლიერების მიზნით, რუსეთის ძალისხმევით 1697 წელს ხელშეკრულება დაიდო ვენეციასა და ავსტრიასთან, რომელიც ითვალისწინებდა თურქეთის წინააღმდეგ სამი წლის ვალით ბრძოლების გაგრძელებას. ეს ხელშეკრულება იმთავითვე მიმართული იყო ყირიმელი თათრებისა და თურქეთის წინააღმდეგ. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულებას კისრულობდნენ არ დაედოთ სეპარატული ზავი თურქეთან და რომ თვითანთ სამხედრო მოქმედებებს ერთმანეთთან შეათანხმებდნენ.

1697 წელს დასავლეთ ევროპაში ახალი ანტიოსმალური ალიანსის შესაქმნელად რუსეთის ელჩობა გაემგზავრა (ამ ელჩობაში პეტრე I ინკოგნიტოდ მონაწილეობდა). იმ დროს ესპანეთის მემკვიდრეობისათვის მოსალოდნელი ომის გამო, ევროპული ქვეყნები ორ მტრულ ბანაკად იყო გაყოფილი. არსებულ პირობებში ანტიოსმალური კოალიციის ყოფილი წევრი – ავსტრია თურქეთთან სეპარატული ხელშეკრულების დადებას ცდილობდა. ამიტომ რუსეთის დიპლომატიის მიზანი – მოეპოვებინა შევ ზღვაზე გასასვლელი, იმ ეტაპზე ვერ განხორციელდა. შექმნილი იზოლაციიდან რომ გამოსულიყო, რუსეთმა მონაწილეობა მიიღო კარლოვიცის კონგრესში (1698-1699), სადაც რუსეთის მცდელობას, შეექმნა ანტიოსმალური კოალიცია შედეგი არ მოჰყოლია. ვინაიდან ავსტრია, ინგლისი და პოლანდია

თურქეთთან ომის გაგრძელების წინააღმდეგნი იყვნენ. ინგლისი და ესპანეთი უფრო იმით იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში ავსტრია თავის მხარეზე ჩაებათ. მოკავშირებმა არსებულ ვალდებულებაზე უარი თქვეს და თურქეთთან სეპარატული ზავის დადგბას ცდილობდნენ. ქერჩის მიერთების საკითხში მათ რუსეთს მხარდაჭერაზე უარი უთხრეს. მას შემდეგ, რაც კონგრესზე ავსტრიამ, ვენეციამ დ რებ-პოსპოლიტამ თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებები ცალ-ცალკე დადეს, რუსეთმა 1699 წელს ორწლიან საზავო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი თურქეთთან.

ასეთ პირობებში რუსეთი იძულებული გახდა დროებით უარი ეთქვა შავი ზღვის მიმართულებით თავისი პოლიტიკის განხორცილებაზე და უკრადვება გადაეტან, ჩრდილოეთის მხარეს, ბალტიის ზღვაზე ფეხის მოკიდებაზე. ცხადია, მოვლენების ამგვარი განვითარების ფონზე, რუსეთს უკვე ადარ აწყობდა სამხრეთში თურქეთთან ახალი კონფლიქტი და 1700 წელს თურქეთთან კონსტანტინოპოლის ზავს მოაწერა ხელი. ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთმა მიიღო აზოვი მიმდებარე ტერიტორიებით.

ჩრდილოეთის ომში რუსეთის გამარჯვება გარკვეული დისონანსის შემომტანი აღმოჩნდა ევროპულ პოლიტიკაში. რუსეთის მზარდი როლი აშკარად თვალშისაცემი იყო, რაც ევროპის სახელმწიფოების შეშფოთებას იწვევდა. ამიტომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება ევროპულ პოლიტიკაში ახალ ასპექტებს იძენდა. კერძოდ, სავაჭრო სახელმწიფოები ინგლისი და პოლანდია არ იყვნენ რუსეთის გაძლიერებით დაინტერესებულნი ბალტიისპირეთში, ვინაიდან იგი მათ საგაჭრო ინტერესებს დაემუქრებოდა. ორივე სახელმწიფო თავის დროზე დიპლომატიური ინტრიგების საშუალებით ცდილობდა ანტიშვეციური კოალიციის გაფრთოებისათვის ხელის შეშლას.

საფრანგეთს, რომელიც ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომით იყო დაკავებული, ჩრდილოეთ ევროპის საქმეებში აქტიური ჩარევა არ შეეძლო. მაგრამ იგი მაინც ცდილობდა არ დაეშვა შვეციის განადგურება და რებ-პოსპოლიტას გაძლიერება. იგი

თურქეთს უბიძგებდა შეტევისაკენ, რომელიც რუსული იარაღის გამარჯევებებითაც იყო შეშფოთებული. რადგან რუსეთმა ევროპაში მოკავშირე ვერ იპოვა, მან თურქეთს წინააღმდეგ ახალ ხერხს მიმართა. კერძოდ, წამოიწყო აქტიური ანტითურქული აგიტაცია პორტას ქრისტიანულ მოსახლეობაში და ხელშეკრულებები დადო სულთნის ქრისტიან ვასალებთან – მოლდოვასა და ვლახეთთან.

რუსეთის განმტკიცება ბალტიის ზღვაზე ევროპის წამყვანი სახელმწიფოების შეშფოთებას იწვევდა. თურქეთის სახელმწიფო მზარდი რუსეთის იმპერიის სამხრეთი შეზობელი იყო. დასავლეთ ევროპის ქვეყნები სწორედ მასში ხედავდნენ იმ ძალას, რომლის მეშვეობითაც რუსეთის შეჩერებას შეძლებდნენ.

ევროპული ქვეყნების პოზიციონირებული შეგულიანებულმა თურქეთმა 1710 წლის 9 ნოემბერს ომი გამოუცხადა რუსეთთს. 1713 წელს ომი დამთავრდა რუსეთის წარუმატებლობით. დაკარგა აზოვი.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ რუსეთ-თურქეთის ომი საფრანგეთის მიერ იყო წაქეზებული. საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას აღმოსავლეთში ორი ძირითადი მიზანი ამოძრავებდა: გამოეყენებინა რუსეთი, როგორც შუამავალი ზავის დასადებად ესპანეთის მემკვიდრეობისათვის წარმოებული ომის მონაწილეებს შორის და მეორე, აეძულებინა რუსეთი, დახმარებოდა უნგრელების აჯანყებას ავსტრიის იმპერიაში, რათა ავსტრიის იმპერატორს უკრადდება გადაეტანა ესპანეთის მემკვიდრეობისათვის წარმოებული ომიდან. ამ ომში ავსტრია საფრანგეთის ერთ-ერთი მთავარი მტერი იყო.

საფრანგეთი თურქეთს განიხილავდა როგორც მისაღებ მოკავშირეს ავსტრიის წინააღმდეგ ომში, მაგრამ თურქეთი ავსტრიასთან ომის დაწყებაზე უარს ამბობდა. მაშინ ფრანგებმა გადწყვიტეს თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ წაექეზებინათ. რაკი თურქეთი ავსტრიასთან პირდაპირ ომში არ ებმებოდა, პარიზი დარწმუნებული იყო რომ თურქეთის რუსეთთან დაპირისპირებით, ავსტრიას, როგორც ამ უკანასკნელის მოკავშირეს სა-

დგომ ლიგიდან აიძულებდნენ დაეწყო ომი თურქეთთან. ამგვარად კი აგსტრიის ყურადღებას გადაიტანდნენ ესპანეთის მემკვიდრეობისათვის გაჩადებული ომიდან.

საფრანგეთისაგან დიამეტრულად განსხვავებული პოზიცია ეკავა რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების თაობაზე ვენას. ავსტრია დაინტერესებული იყო რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობების გაუარესებით, ვინაიდან მიიჩნევდნენ, რომ ეს ქვეყნისათვის მომგებიანი იყო, რადგან თუ რუსეთ-თურქეთს შორის მშვიდობიანობა დამყარდებოდა, ამით ავსტრია დაზარალდებოდა. ასევე, თვლიდნენ, რომ უნგრელ მეამბოხეთა მხარეზე თურქეთის გამოსვლას აფერხებდა გარკვეული შიში, რომელსაც ისინი განიცდიდნენ რუსული ჯარის მიმართ. რუსეთ-თურქეთის ომი ავსტრიისათვის ხელსაყრელი იყო, რადგანაც ეს ხელ-ფეხს შეუბოჭავდა თურქეთს და შეაკავებდა მოსალოდნელი ანტიავსტრიული მოქმედებისაგან. ავსტრია ფაქტობრივად, რუსეთის მოკავშირედ გამოიიდა რუსეთ-თურქეთის ომებში, მიუხედავად იმისა, რომ მასაც არა ნაკლებ აშფოთებდა რუსული პოზიციების განმტკიცება რეგიონში.

რაც შეეხება ინგლისის პოზიციას, იგი დაინტერესებული იყო ამ ომებით. ძირითადად ეს გამოწვეული იყო სავაჭრო ინტერესებით. ინგლისი რუსეთის სახით სერიოზულ კონკურენტს ხედავდა. ამის გარდა, ლონდონში კარგად ხვდებოდნენ რუსეთის მზარდ როლს ევროპულ პოლიტიკაში, ეს კი ძალთა ახალ კონფიგურაციას გამოიწვევდა კონტინენტზე, რაც გარკვეული იყო ინგლისური ინტერესების დაზარალების ხარჯზე მოხდებოდა.

ამრიგად, XVIII საუკუნის სამი დიდი ევროპული ქვეყანა ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი დაინტერესებული იყვნენ რუსეთ-თურქეთის ომებით. სხვადასხვა მიზეზებით და მეთოდებით ისინი მოქმედებდნენ ერთი მიმართულებით, აგულიანებდნენ სტამბულს ომისათვის.

თანდათან ევროპაში ძალთა გადაჯგუფება მოხდა. კონტინენტი გაითიშა თრ ერთმანეთის საწინააღმდეგო ბანაკად: საფრანგეთმა, ინგლისმა და პრუსიამ 1725 წელს დადგი ხელშეკრუ-

ლება, რომელიც მიმართული იყო ავსტრიისა და ესპანეთის წინააღმდეგ. რამდენადაც რუსეთსა და ინგლისს შორის დაძაბული ურთიერთობა კვლავ არსებობდა, იმდენად რუსეთი აშკარად მიემხრო ავსტრიას. ეს არჩევანი იმანაც განაპირობა, რომ თურქეთის წინააღმდეგ ავსტრია რუსეთის ბუნებრივი მოკავშირე იყო. 1726 წლის აგვისტოში ამ ორმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა თავდაცვით კავშირს. ამის შემდეგ საფრანგეთის დიპლომატია მიზნად ისახავს დაუახლოვდეს შვეციას, თურქეთს და პოლონეთს, რომელებიც მტრულად იყვნენ განწყობილი რუსეთის ადმი. ორი დაჯგუფების ძალების მოსინჯვის ასპარეზად გადაიქცა პოლონეთი. სადაც რუსეთმა პოზიციები გაიმუარა.

საფრანგეთის დიპლომატია ბევრს ეცადა, რომ არ მოხდარიყო კონფლიქტი რუსეთსა და თურქეთს შორის პოლონეთის გამო. საფრანგეთის მცდელობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. 1735 წელს ავსტრიასთან ერთად რუსეთმა ომი დაიწყო თურქეთთან და ყირიმის სახანოსთან, რომელიც ოთხი წელი მიმდინარეობდა და რუსეთისათვის უნაყოფო ბელგრადის ზავით დასრულდა. 1739 წლის საზაფო მოლაპარაკება მიმდინარეოდა საფრანგეთის მონაწილეობით.

აღმოსავლეთის საკითხებე ინტერესთა კონფლიქტის და ევროპის წამყვანი სახელმწიფოების დიპლომატიური ინტრიგების გამო, რუსეთ-თურქეთს შორის ეს ზავი დიდხანს არ გაგრძელებულა. რუსეთ-თურქეთს შორის შემდეგი ომი 1768-1774 წლებში განაპირობა არა მარტო ტრადიციულმა იმპერიულმა ამბიციებმა, არამედ იგი პოლონეთის დანაწილებამაც დააჩქარა.

პოლონეთის საკითხისადმი თურქეთის განსაკუთრებული ყურადღება აისხნება იმით, რომ იგი მისთვის მეტად მტკიცნეული და მგრძნობიარე პრობლემა იყო. ვინაიდან სტამბოლში მიიჩნევდნენ, რომ პოლონეთის ბედოთან მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული იყო თურქეთის მომავალი.

XVIII ს-ის 70-80-ინ წლებში, რუსეთმა მოელი ყურადღება თურქეთის პრობლემის მოგვარებაზე გადაიტანა. ავსტრიასთან ერთად რუსეთი განიხილავდა დიდ გეგმას, რომელსაც ევროპელ-

მა დიპლომატებმა „ბერძნული პროექტი” შეარქვეს. პროექტის მიხედვით, თურქეთი კი არ უნდა დაენაშილებინათ, არამედ საერთოდ უნდა განედევნათ ევროპიდან. მათ ნაცვლად აღდგებოდა ბერძნული იმპერია, რომლის გვირგვინსაც დაიდგამდა ეკატერინე II შვილიშვილი კონსტანტინე პავლეს ძე. ეს პროექტი ასევე მოლდავეთის და ვლახეთის შერწყმას ვარაუდობდა. ეს ორი გაერთიანებული ტერიტორია შეადგენდა ახალ ბუვერულ სახელმწიფოს – დაკიას. ავსტრიას უნდა მიეღო ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილი. მაგრამ ეს ავანტურისტული პროექტი საერთოდ ვერ განხორციელდა.

რუსეთ-თურქეთის ეს ომი 1774 წელს ქუმარ-ქაინარჯის ზავით დასრულდა. ზავის მიხედვით, რუსეთმა ახალი ტერიტორიები – კინბურნი, ქერჩი, ენიკალე და აზოვი შეიძინა. ყირიმის სახანომ დამოუკიდებლობა მიიღო, რუსეთს ამ სახანოს შიდა საქმეების მართვის საშუალება ეძლეოდა. რუსეთის დამოკიდებულება ამ სახანოს მიმართ მისი რუსეთის შემადგენლობაში შესვლით დასრულდა 1783 წელს. ამ გარემოებამ შავ ზღვაზე და კავკასიაში რუსეთსა და თურქეთს შორის ძალთა შეფარდება ძირფესვიანად შეცვალა რუსეთის სასარგებლოდ. ერთდროულად ბალკანეთსა და კავკასიაში თურქეთის სამხედრო ძლიერება შეირყა.

თურქეთისათვის XVIII ს-ში განცდილ ყველა დამარცხებათა შორის 1768-1774 წლების ომში დამარცხება მისთვის განსაკუთრებულად მძიმე იყო.

ომში თურქეთის მარცხმა საფუძვლიანად შეარყია მისი ავტორიტეტი დუნაისპირა სამთავროებაში. მაგრამ მოლდავეთისა და ვლახეთის მთავრებს არ სურდათ სრულად ჩამოსცილებოდნენ თურქეთს. ვინაიდან ამ შემთხვევაში მათ ტერიტორიას ავსტრია ან რუსეთი დაეპატრონებოდა. რაც მათ ძალაუფლებას საფრთხეს შეუქმნიდა. ისინი დარჩნენ თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში და ცდილობდნენ სულთნის ხელისუფლების დასუსტება და რუსეთ-თურქეთს შორის არსებული წინააღმდეგობა გამოყენებინათ თავიანთ სასარგებლოდ.

ზავის იმ მუხლებმა, რომლებიც უშუალოდ შავ ზღვასა და სრუტეებს ეხებოდა, დიდი შეშფოთება გამოიწვია ევროპის წამყვან სახელმწიფოებში. ყირიმის შეერთება ნიშნავდა არა მარტო რუსეთის გასვლას შავ ზღვაზე, არამედ გაბატონებასაც. ყირიმის დაპყრობის და შეერთების შემდეგ, რუსეთი ბევრად უფრო ახლო აღმოჩნდა თურქეთთან. ახლა უფრო ბევრად რეალური ხდებოდა რუსეთის მიერ სრუტეებზე რაიმე სახის კონტროლის მოპოვების საკითხის დასძა.

მოვლენების ასეთი განვითარება საფრანგეთს, ინგლისს და ავსტრიას უბიძგებდა ახალი სტრატეგიის შემუშავებისაკენ როგორც თურქეთთან ურთიერთობისათვის, ისე რუსეთთან მიმართებითაც. ერთი რამ ცხადი იყო, რომ ბალკანეთის რეგიონისადმი რუსეთის მზარდი ინტერესები და მათი რეალიზაციისათვის გადადგმული ნაბიჯები კრიზისული სიტუაციების განვითარების წინაპირობა ხდებოდა.

სწორედ ამის გამოხატულება იყო რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი, რომელიც 1787 წელს დაიწყო თურქეთმა დიდი ბრიტანეთის, პრუსიის და საფრანგეთის წაქეზებით. თურქეთს ამ ომით სურდა დაქტრუნებინა ყირიმი და არ დაეშვა რუსული გავლენის ზრდა ამიერკავკასიაში. რუსეთს, რომელიც ამ დროს ავსტრიასთან კავშირში იმყოფებოდა, სურდა სამუდამოდ შემოტკიცებინა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროები და გაეფართოვებინა თავისი მფლობელობა ამიერკავკასიაში.

1787 წლის აგვისტოს დასაწყისში თურქეთის ხელისუფლებამ რუსეთს ულტიმატუმი წაუყენა, სადაც რუსეთისაგან მოითხოვდა ყირიმის დაბრუნებას; საქართველოს თურქეთის გასაღურ სამფლობელოდ აღიარებას და რუსეთის სავაჭრო გემების შემოწმებას, რომლებიც ყურეში გადიოდნენ.

რუსეთის მხრიდან ულტიმატუმი უარყოფილ იქნა. 13 (24) აგვისტოს თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. 1788 წლის იანვარში ომში ავსტრიაც ჩაება.

1788 წლის ივნისში დაიწყო რუსეთ-შვეციის ომიც, რასაც მოპყვა პოლონეთთან ურთიერთობების გაუარესებაც. ომი ცვალ-

ებადი წარმატებით მიმდინარეობდა. 1790 წლის სექტემბერში ავსტრია ომიდან გავიდა. რუსეთ-შვეციას შორის დადებულმა ვერსალის ზაგმა რუსეთს საშუალება მისცა მთელი ძალები სამხრეთისკენ მიემართა. ეს ომი 1791 წლის იანვის საზაფო ხელ-შეკრულებით დასრულდა. ზავის მიხედვით, რუსეთს გადაეცა ტერიტორიები სამხრეთ ბუგსა და დნესტრს შორის, ასევე დაიმტკიცა ყირიმის შემოერთება.

ამრიგად, ამ პერიოდში რუსეთ-ტურქეთის ომები წარმოებდა შავ ზღვაზე გაბატონებისა და ახალი ტერიტორიების მოპოვები-სათვის. რუსეთის მიზანი იყო შავ ზღვაზე გასვლა და მისი ჩრდილოეთ სანაპიროების ხელში ჩაგდება.

XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან რუსეთ-ტურქეთის ომები დაუკავშირდა ახლო აღმოსავლეთში (კ.წ. აღმოსავლეთის საკი-თხი) საერთაშორისო წინააღმდეგობების გართულებას და ბალკ-ანეთსა და კავკასიაში რუსეთის პოზიციების თანდათანობით გამყარებას.

#### 6.8. პოლონეთის საკითხი საერთაშორისო ურთიერთობებში

XVIII ს. 60-იან წლებში რეჩ-პოსპოლიტაში მომწიფდა პოლო-ტიკური კრიზისი, რამაც საფუძველი მისცა გარკვეულ სახელმ-წიფოებს მის შიდა საქმეებში ჩარეცლიყვნენ. პოლონეთის განა-წილების იდეის განხილვა რუსეთსა და პოუსიას შორის 60-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო.

როგორც ცნობილია, XVIII ს-ის დასაწყისიდან რუსეთი აქ-ტიურად იწყებს ჩარევას პოლონეთის შიდა საქმეებში. სწორედ რუსების დახმარებით ახერხებს 1735 წელს ფრიდრიხ ავგუსტ III პოლონეთის ხელისუფლებაში მოსვლას. იგი იყო რუსეთის მარიონეტი ხელისუფალი. ამგვარ სიტუაციაში პატრიოტულად განწყობილი ძალები ცდილობდნენ პოლონეთის გადარჩნას.

პოლონეთის სეიმში ერთ-ერთი ფრაქცია, რომელსაც ხელმ-ძღვანელობდა თავადი ჩარტოვსკი, შეეცადა სეიმში მოქმედი

„ლიბერიუმ ვეტოს”<sup>\*</sup> კანონის გაუქმებას. თუმცა, სეიმში მოქმედი მეორე დაჯგუფება გავლენიანი გვარის პოტოცკის ხელმძღვანელობით წინააღმდეგი იყო „თავისუფლების” რაიმე სახით შეზღუდვის. ამ კანონის შენარჩუნების მოთხოვნით გამოვიდა რუსეთი და პრუსია, რადგანაც პოლონეთის მუდმივად ანარქიულ მდგომარეობაში ყოფნა მათ აწყობდათ. ჩარტოვის პარტიამ დაკარგა რა იმედი ამ კანონის გაუქმებისა თანამშრომლობა დაიწყო რუსებთან.

ამავე დროს, რუსეთი და პრუსია შეთანხმდნენ პოლონეთში მოახლოებული მეფის არჩევნებში მხარი დაეჭირათ სტანისლავ პონიატოვსკისათვის, რომელიც ეკატერინე მეორის ფავორიტი იყო და სწორედ მისი დახმარებით გახდა პოლონეთის მეფე (1764-1795).

1764 წელს რუსეთმა, პრუსიამ, ინგლისმა და დანიამ პოლონეთის სეიმს მოსთხოვა არაკათოლიკე მოქალაქეები თავიანთი უფლებებით კათოლიკებთან გაეთანაბრებინათ. მას შემდეგ, რაც რუსეთმა 1767 წელს ვარშავაში თავისი ჯარები შეიყვანა, პოლონეთის სეიმი იძულებული გახდა მიეღო აღნიშნული წინადაღება. მათ ძალაში დატოვეს „ლიბერიუმ ვეტოს” კანონი.

ყოველივე ამან პოლონეთში გამოიწვია კათოლეკების (ე.წ. ბარსკის კონფედერაცია) აჯანყება 1768 წელს. 1771 წელს პოლონეთში მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელმაც უარყო მეფის არჩევა. დაიწყო სამოქალაქო ომი. რუსეთმა რებ-პოსპოლიტაში ჯარები შეიყვანა.

რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში 1768-1774 წწ. პრუსიამ, ავსტრიამ და რუსეთმა განახორციელეს პოლონეთის გაყიფვა. მას შემდეგ, რაც თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, ფრიდრიხ II აგრძნობინა რუსეთს, რომ მას შეეძლო თურქეთთან

\* ეს კანონი, რომელიც პოლონეთის ქველი კონსტიტუციის მიხედვით მოქმედებდა, პოლონეთის სეიმში ითვალისწინებდა „ლიბერიუმ ვეტოს” კანონის შენარჩუნებას. ამ კანონით თუ სეიმის ერთი წევრი გამოიყენებდა აკრძალვის (ვეტოს) უფლებას რაიმე გადაწყვეტილების წინააღმდება, ეს გადაწყვეტილება უკანონოდ ითვლებოდა.

წარმოებულ ომში გაწეული ფინანსური დახმარების სანაცვლოდ, მიეღო კომპენსაცია პოლონეთის განაწილების შედეგად. მათ პოლონეთის ტერიტორიის დანაწილებას 1772 წლის აგვისტოში მიაღწიეს. ამ წელს ხელი მოეწერა კონვენციას პოლონეთის გაყოფის შესახებ, რომელსაც რატიფიცირება მომდევნო 1773 წელს გაუკეთეს. კონვენციის მიხედვით, რუსეთმა შეიერთა ლიტვის ნაწილი და აღმოსავლეთ ბელორუსია, პრუსიამ – პომორი, ავსტრიამ – დასავლეთ უკრაინა და გალიცია. ამ სახელმწიფოებმა პოლონეთს ახალი კონსტიტუცია მიაღებინა, სადაც მონარქიის არჩევა და „ლიბერიუმ ვეტოს“ უფლება შენარჩუნებულ იქნა.

პოლონეთის მიმართ ასეთმა პოლიტიკამ ქვეყანაში უგმაყოფილების ახალი ტალღა წარმოშვა. 1775 წელს პოლონეთში იფეთქა აჯანყებამ კოშციუშკოვის ხელმძღვანელობით. მის ჩახშობაში მონაწილეობა მიიღო რუსეთის არმიამ სუვოროვის ხელმძღვანელობით. აჯანყებულების წინააღმდეგ პრუსიამაც დასძრა თავისი ჯარები დასავლეთის მხრიდან. ხოლო სამხრეთიდან – ავსტრიამ, რომელმაც ხელთ იგდო ლიბერალიზა.

1791 წლის 3 მაისს პოლონეთში ახალი კონსტიტუცია მიიღეს. კონსტიტუციით მონარქია მემკვიდრეობით გამოცხადდა. გაუქმდა „ლიბერიუმ ვეტოს“ უფლება. რუსეთი, რომელიც ამ დროს შევციას ებრძოდა პოლონეთისათვის არ ეცალა. პოლონეთს ამ დროს მხარს უჭერდა თურქეთი. თუმცა პოლონეთში ახალი კონსტიტუციის წინააღმდეგ გამოვიდა უკმაყოფილო მაგნატები, რომელთაც შექმნეს საგაჭრო/გაჭართა კონფედერაცია, რომელთა მიწვევითაც პოლონეთში რუსულ-პრუსიული ჯარები შევიდნენ.

1793 წლის 23 იანვარს პრუსიამ და რუსეთმა განახორციელეს პოლონეთის მეორე გაყოფა. პრუსიამ მიიღო გდანსკი, ტორონი, დიდი პოლონეთი და მაზოვია, ხოლო რუსეთმა – ლიტვის დიდი ნაწილი და ბელორუსია, თითქმის მთელი ვოლინა და პოდოლი. აგრესორებთან ბრძოლაში პოლონეთი დამარცხდა. იგი მარიონეტულ სახელმწიფოდ იქცა. ამის მიუხედავად პოლ-

ონეთში 1794 წელს თადეუშ კოსტიუშის ხელმძღვანელობით აჯანყებამ იფეთქა, თუმცა დამარცხდნენ.

1795 წელს ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა მოახდინეს პოლონეთის მესამე განაწილება. გაყოფის შედეგად რუსეთს გადაეცა ლიტვა, კურლანდია, ბელორუსიის და უკარაინის მიწები ნებანამდე და ბუგამდე. პრუსიას გადაეცა პოლონეთის ჩრდილოეთი ნაწილი ვარშავასთან ერთად, ხოლო ავსტრიამ მიიღო ლიუბლიანა დ კრაკოვი.

ამრიგად, პოლონეთის გაყოფამ საშუალება მისცა შერბილებულიყო წინააღმდეგობა პრუსიას, რუსეთსა და ავსტრიას შორის და შეექმნა წინაპირობები სამი ქვეყნის დაახლოებისათვის რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ერთიანი ხაზის გასატარებლად.

რუსეთი, რომელმაც თავისი დასავლური საზღვრების საკითხი ძირითადად გადაწყვიტა, მზად იყო მიეღო აქტიური მონაწილეობა საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. იმისათვის რომ განემტკიცებინა თავისი პოზიციები და შეესუსტებინა ინგლისთან წინააღმდეგობა, მან კავშირი შექრა ინგლისსა და ავსტრიასთან. ქვეყანაში მზადყოფნაში მოივანეს 60 ათასიანი კორპუსი სუვოროვის ხელმძღვანელობით საფრანგეთის საზღვრებთან გასაგზავნად. მაგრამ 1796 წელს ეკატერინე II სიკვდილმა ეს პროცესი შეაჩერა.

1797 წელს ხელი მოეწერა კონვენციას, რომელიც არეგულირებდა პოლონეთის საკითხს. პოლონეთის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა

## 6.9. ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა

ევროპაში შვიდწლიანი ომის მსვლელობის დროს უ. პიტის ერთ-ერთი პოლიტიკური ოპონენტი ლორდ ბედფორდი შორს-მჭერებილურად აღნიშნავდა, რომ ფრანგების ყოფნა საზღვარგარეთ ბრიტანულ სამფლობელოებში, ჩრდილოეთ ამერიკაში

საუკეთესო გარანტი იქნებოდა კოლონისტების ლოიალურობისა მეტობობისადმი და გათვრთხილა, რომ კოლონიების დამოკიდებულება მეტობობისაგან მნიშვნელოვნად შესუსტდება „ფრანგული საშიშიროების გაქრობასთან“ ერთადო.

ინგლისის მიერ კანადის მიტაცებამ მნიშვნელოვნად გააღმავა კოლონიებსა და მეტროპოლიას შორის ურთიერთობის რდევება და ვაჭრობის თავისუფლების შესახებ დავა ფრანგული საფრთხის საშიშროების აღმოფხვრის დღის წესრიგიდან მოხსნის კვალდაკვალ.

1775 წელს ჩრდილოეთ ამერიკის ატლანტიის ოკეანის სანა-  
აპიროს გასწვრივ მდებარე ინგლისურმა კოლონიებმა დაიწყეს  
ომი დამოუკიდებლობისათვის მეტროპოლიის წინააღმდეგ.

ომი, რომელიც გაგრძელდა რვა წელს, ხოლო საბრძოლო მოქმედებები უშუალოდ ამერიკის კონტინენტზე ეჭვს წელს, საბოლოოდ დასრულდა 1783 წელს პარიზის (ვერსალის) ზაფით. ომის მსვლელობა და მიზეზები აისახა მხოლოდ იმ მოვლენებით, რომლებსაც არსებითი გავლენა ჰქონდა განმათავისუფლებელი ბრძოლის მსვლელობასა და კოლონიების საერთაშორისო მდგრძალებელაზე, ხოლო შემდგომ ახალგაზრდა რესპუბლიკაზე, ამერიკის შემრთებულ შტატებზე.

ბისკენ სწრაფვისას. დეკლარაციას გამოეხმაურნენ ეპიტელი პროგრესული ძალებიც.

სამხედრო კონფლიქტის დაწყებიდან ეპიტელმა სახელმწიფოებმა, მათ შორის საფრანგეთმა, ესპანეთმა, რუსეთმა გამოაცხადეს ნეიტრალიტეტი. ჩაურევლობის პოლიტიკა განპირობებული იყო ერთის მხრივ, ამ ომში ინგლისის წარუმატებლობების მოლოდინით, რაც გამოიწვევდა ინგლისის, როგორც კოლონიური და სავაჭრო ზესახელმწიფოს დასუსტებას და მათი უფილი კოლონიების დაბრუნებას ჩრდილოეთ ამერიკაში და მეორე, ევროპის ფეოდალურ-მონარქიულ რეჟიმებს არ ჰქონდათ უფლება ღიად გამოსულიყვნენ აჯანყებულების მხარეზე.

1775 წელს კოლონიების მიერ დაწყებულმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ თავის კვალი დატოვა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობაში.

ვერსალის სასახლე ამერიკულ რევოლუციას განიხილავდა ხელსაყრელ მომენტად რევანშის ასაღებად შვიდწლიანი ომის დროს განცდილი მარცხისა და დანაკარგების გამო. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვერუენის აზრით, ომი კოლონისტების მხრივ ინგლისის წინააღმდეგ იქნებოდა ბევრად რეალური და მისაღები საშუალება, რომ საფრანგეთს დაებრუნებინა მისი ღიად „პრესტიჟი და წინანდელი გავლენა“. საფრანგეთს ეს შეეძლო მოეხერხებინა ინგლისთან ღიად ომში ჩაუბმელობის გარეშეც\*. როცა ამერიკაში 1776 წელს გაიგზანენ ფრანგი მოხალისები მარკიზ დე ლაფაიეტის ხელმძღვანელობით, იგი ამას აკეთებდა არა იმდენად ამერიკელი კოლონისტებისადმი სიმპატიის გამო, რამდენადაც საბრძოლველად ინგლისის პეტერბურგის წინააღმდეგ მსოფლიოში. რიგი ამერიკელი მკვლევარების აზრით, კოლონისტები ვერ შეძლებდნენ მიეღწიათ წარმატებისათვის, რომ არა ევროპული სხელმწიფოების დახმარება. მოგვიანებით, 1778 წლის 8 თებერვალს ვერსალში და-

\* წინააღმდეგ შემთხვევაში ომში ღიად ჩაბმა საშიში იქნებოდა ფინანსური მდგომარეობის გაუარესების კუთხით, რასაც ვერ ასცდებოდა საფრანგეთის ხელისუფლება.

იდო სამოკავშირეო ხელშეკრულება აჯანყებულ ამერიკელებთან, რითაც საფრანგეთი ფაქტიურად ღიად ჩაება ომში მათ მხარეზე.

ესპანეთმა, რომელსაც არ სურდა დახმარებოდა ინგლისს, ბევრად ფრთხილი დამოკიდებულება დაიჭირა კონფლიქტისადმი; სამართლიანად მიაჩნდათ, რომ თვით ამერიკული კოლონიები მალე შეიძლება გამხდარიყო მადრიდის საშიში მოწინააღმდეგე ახალ სამყაროში.

რაც შეეხება ავსტრიას აქ იოსებ II ცდილობდა „მონარქიული სოლიდარობის“ დაცვას და შექმნილი სიტუაციიდან მაქსიმალური მოგების მიღებას.

რუსეთმა, რომელთანაც ლონდონი ჯიუტად ცდილობდა შეთანხმებას ოკეანის გადმა ჯარების გაგზავნის შესახებ, განაცხადა თავისი ნეიტრალიტეტის თაობაზე. მან შექმნა შეიარაღებული ნეიტრალიტეტის ლიგა, სადაც შევიდა ავსტრია და პრუსია.

ასეთ პირობებში ინგლისის მეფე ჯორჯ III შეეცადა ევროპული სახელმწიფოებისაგან შექმნა რაღაც კოალიცია მონარქიული გრძელობების სპეციალურით, თუმცა მან ვერ მიაღწია წარმატებას. მაგ, რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II ჯორჯ III უარი უთხრა თხოვნაზე 20 000 რუსული სამხედრო კონტიგენტი ამერიკაში გაგზავნაზე აჯანყებული კოლონიების წინააღმდეგ. ევროპის მეორესარისხოვან პოლიტიკურ ერთეულებში კი ინგლისი მხარდამჭერებს პოულობდა. ასე მაგალითად, პესევნის ლანდგრაფმა ინგლისს გაუგზავნა 17 ათასიანი არმია. ამ უცანასკნელის ეს ქმედება მხოლოდ წმინდა მერკანტელისტური მოტივებით იყო ნაკარნახევი. მან არმია ინგლისის მეფეს 2,8 მილიონ ფუნტ სტერლინგად მიყიდა.

ამრიგად, ინგლისმა მიიღო ევროპული იზოლაცია და აჯანყებულებისადმი ზოგიერთი ევროპული ქვეყნების დია მხარდაჭერა. მან მოახერხა სამხედრო დახმარების მიღება მხოლოდ მეორესარისხოვანი ევროპული სახელმწიფოებისაგან, ისიც ფინანსური ხასიათის კომპენსაციის სანაცვლოდ.

სამხედრო მოქმედებები, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ხელმძღვანელობდა ჯორჯ ვაშინგტონი, 1775 წლიდან 1777 წლის ბოლომდე არ მიმდინარეობდა ამბოხებულების სასარგებლოო. 1777 წლის დასაწყისში ამერიკული არმია რიგი დამარცხებების შემდეგ ახლოს იყო კატასტროფასთან. იგი 34 ათასიდან 4 ათასამდე შემცირდა.

ასეთ პირობებში, ახალგაზრდა ამერიკული დიპლომატიის წინაშე დაისვა ამოცანა, რომლის წარმატებული გადაწყვეტა სასიცოცხლო აუცილებელობა იყო რესპუბლიკისათვის, რათა უზრუნველყეო საერთაშორისო მხარდაჭერა დიპლომატიური და ფინანსური საშუალებებით, იარაღის გაგზავნით, ჩასაცმელითა და საბრძოლო მასალებით.

ჯერ კიდევ, 1776 წლის მარტში, დიდ ბრიტანეთში, ირლანდიასა და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში არსებულ კოლონიათა საიდუმლო კორესპონდენციების კომიტეტმა, რომელიც ასრულებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს როლს, გაგზავნა კონტინენტალური კონგრესის წევრი საილას დინი საფრანგეთში საიდუმლო დავალებით, რათა მიეღწია მისგან დახმარების გაწვას. საფრანგეთის მთავრობას ნეიტრალიტეტის ოფიციალური სტატუსი არ აძლევდა უფლებას დიად გაეწია დახმარება კოლონიებისათვის. ამიტომ მან კონფიდენციალურად დაავალა პერძო პირს, ცნობილ დრამატურგს ბომარშს ხელი მოეკიდა კოლონიების დახმარებისათვის ორგანიზაციის გაწევას. ამ მიზნით ბომარშმა დააფუძნა ფიქტიური სავაჭრო სახლი „როდრიგოს გორტალესი და კ”, რომელიც წარმატებულად აგზავნიდა ამერიკაში იარაღს, საბრძოლო მასალებს, ტანსაცმელს და მოხალისებს. 1776 წლიდან 1778 წლის ჩათვლით დინმა და ბომარშმა ამ ფირმის დახმარებით აჯანყებულებს გაუგზავნეს იმ დროისათვის განსაცვიფრებელი რაოდენობის ტვირთი: 30000 მუშკები, 100000 ტონა დენო, 200 ზარბაზანი, 20000 წყვილი ტანსაცმელი. ამ მიზნით მათ დახარჯეს 21 ათასზე მეტი ლივრი. „ნეიტრალურმა” ესპანეთმა დინს გადასცა დაახლოებით 300 000 დოლარი.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების შემდეგ, შეერთ-ებულ შტატებს ლეგალურად მიეცა საშუალება გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი საფრანგეთში. პირველ ელჩად დაინიშნა ბენჯამინ ფრანკლინი. საელჩოს შემადგენლობაში ასევე იყვნენ საილას დიდი, ჯონ ჯეიი, არტურ ლი და ედუარდ ბანკროფტი. აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელი იყო ინგლისის შპიონი.

ამერიკული დიპლომატიის წინაშე ორი ამოცანა იდგა, რომელთა გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული ამერიკის რევოლუციის ბედი, როგორც მინიმუმ, უნდა მიეღწიათ საფრანგეთისაგან სამხედრო და მატერიალურ-ფულადი დახმარების გაზრდას და როგორც მაქსიმუმი, მოქერებებინათ საფრანგეთის ჩაბმა ომში ინგლისის წინააღმდეგ. ამ მიზნით ფრანკლინმა, დინმა და ლიმ საფრანგეთის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც სთავაზოდნენ ხელშეკრულების დადებას გაჭრობისა და კავშირის შესახებ.

საფრანგეთი მზად იყო გაეგრძელებინა კოლონიებისათვის კონფიდენციალური დახმარება. 1776 წლის მანძილზე საფრანგეთის მთავრობამ ამერიკელებს საჩუქრის სახით გაუგზავნა ორი მილიონი და სესხის სახით ერთი მილიონი ლივრი. მაგრამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ვერუენი უარს ამბობდა განვითარების მთავრობის საკითხი, კავშირის შესახებ ხელშეკრულება, ვინაიდან ასეთი შეთანხმება აღმოჩნდებოდა საფრანგეთის ომში ჩაბმის საფუძველი.

ომის წაგების საფრთხეებს აიძულა კოლონიები წასულიყვნენ მოლაპარაკებაზე ინგლისთან. თუმცა, შეწყდა იგი იმ იმედით, რომ მალე ამერიკული არმია განიცდიდა დამარცხებას.

1777 წლის ბოლოსათვის სამხედრო მოქმედებების მსვლელობაში მოხდა გარდატეხა, რომელმაც განსაზღვრა საფრანგეთის პოზიციის შეცვლა ამერიკასთან დიპლომატიურ მოლაპარაკებებში. კერძოდ, დეკემბერში პარიზში ცნობილი გახდა ინგლისელებზე ამერიკელების ბრწყინვალე გამარჯვება სარაგოვასთან, სადაც ინგლისელმა გენერალმა ბურგომ 6000-იან არმიასთან ერთად კაპიტულაცია გამოაცხადა. ისევ დაიწყო ინგლის-ამე-

რიგის მოლაპარაკებები. ვერუენის აზრით, მებრძოლ მხარეებს შორის ომის დასრულება საფრთხეს შეუქმნიდა საფრანგეთის ვესტ-ინდოეთის კოლონიებს. ამ სიტუაციის გამოყენებით, ფრანგლინმა ბომარშის დახმარებით შეძლო დაერწმუნებინა ლუი XVI ამერიკასთან კავშირის შეკვრის აუცილებლობაში. შესაბამისი თანხმობის მიღების შემდეგ, კონგრესმა შეწყვიტა მოლაპარაკებები ინგლისთან. თუმცა, პქონდა ომის გაჭიანურების სურვილი, რათა ინგლისი კიდევ უფრო დაესუსტებინა და მიაღწია ინგლის-ამერიკული საზავო მოლაპარაკებების ჩაშლას; ვერუენი არ ჩქარობდა შტატების წარმომადგენლებისათვის მიცემული დაპირების შესრულებას. საბოლოოდ, 1778 წლის 6 თებერვალს ფრანგლინმა საფრანგეთთან ხელი მოაწერა ვაჭრობის და კაგშირის შესახებ ამერიკისათვის ორ მნიშვნელოვან ხელშეკრულებას.

ეს იქმ ამერიკის დიპლომატიის დიდი გამარჯვება. ხელშეკრულებამ კავშირის შესახებ საფრანგეთს საშუალება მისცა უარი ეთქვა ნეიტრალიტეტზე და ინგლისთან დია ომში ჩაბმულიყო. მას შეუერთდა ესპანეთი იმ იმედით, რომ დაიბრუნებდა ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში დაკარგულ სამფლობელოებს.

ხელშეკრულების ძირითადი მუხლების თანახმად, შეერთებული შტატები აღიარებულ იქნა სუვერენულ და თანასწორუფლებიან ქვეყანად. საფრანგეთმა აიღო ვალდებულება გამოსულიყო მათი დამოუკიდებლობის გარანტიად. შეერთებული შტატები იძლეოდა გარანტიას, ხელი არ ეხლო საფრანგეთის სამფლობელოებისათვის ამერიკაში.

ფაქტიურად, ხელშეკრულება ითვალისწინებდა ინგლისის სრულ გაძევებას ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკიდან. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უფლება მიიღო განეცხადებინა პრეზიდიები ბრიტანეთის სამფლობელოებზე ამერიკის კონტინტზე და ბერმუდის სამცუთხედში, საფრანგეთმა – ინგლისის ვესტ-ინდოეთის კომპანიაზე, ხოლო ესპანეთმა – ფლორიდის დაკარგვაზე.

სარაგოვასთან განცდილი მარცხის შემდეგ, ინგლისელებმა სამხედრო მოქმედებები გადაიტანეს ქვეყნის სამხერეთში, სადაც მათ რიგი გამარჯვებები მოიპოვეს. ფრანკლინმა კვლამ მიმართა საფრანგეთის მთავრობას დახმარებისათვის. პარიზიდან შეერთებულ შტატებში გაიგზავნა იარაღი და ამჟნიცია 20 000 ადამიანზე. დაახლოებით 30 სამხედრო გემით კონტინენტზე მოხალისეებიც გაიგზავნა.

ამერიკის შეერთებული შტატების ევროპელი მოკავშირეები დამოუკიდებელ ომს ეწეოდნენ ინგლისის წინააღმდეგ. საფრანგეთმა სამხედრო ოპერაციები განახორცილა ინდოეთში, იოლანდიის სანაპიროებთან, ინგლისის ატლანტიის სანაპიროებთან, გესტ-ინდოეთში. ესპანეთმა ალყა შემოარტყა გიბრალტარს.

ინგლისის სამხედრო ძალის გარკვეულად დასუსტებამ ხელი შეუწყო ნეიტრალური ქვეყნების დიგის აქტიურ მოქმედებსაც. დიგის შექმნის დღიდან (1780) რუსეთი ხელმძღვანელობდა. მასში შედიოდა ევროპის სახელმწიფოების უმრავლესობა. იგი ატარებდა შეიარაღებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ნეიტრალური ქვეყნების საგაჭრო გემებზე ინგლისელების თავდასხმის საპასუხოდ. ეს ქვეყნები იცავდნენ საბუთარ საგაჭრო გზებს, მათ შორის ჩრდილოეთ ამერიკაში.

1781 წელს მოხდა გადამწყვეტი გარდატეხა სამხედრო მოქმედებებში: ჯ. ვაშინგტონის ხელმძღვანელობით გაერთიანებულმა სამხედრო ძალებმა და ფრანგულმა ესკადრილიამ ადმირალ დე გრასის ხელმძღვანელობით მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება ინგლისელებზე იორკტაუნთან ვირჯინიაში. გენერალ კორნელიის არმიამ კაპიტალაცია გამოაცხადა, რომელიც ალფაშემორტემული იყო ხმელეთიდან და ზღვიდან ამერიკული და ფრანგული ნაწილების მიერ და რომელთაც პქონდათ სამჯერ მეტი უპირატესობა ცოცხალი ძალით.

სამხედრო წარუმატებლობები ომის დამამთავრებელ ეტაპზე, ხელისუფლებაში ვიგების პარტიის მოსვლა, რომელიც გამოდიოდა ომის შეწყვეტის მოთხოვნით, აიძულა ინგლისი დაქწყო საზავო მოლაპარაკებები. ამერიკული მხრიდან მას აწარმოებდა

ფრანგლინი, ჯორჯ ჯეინი და ჯონ ადამსი. საზავო ხელშეკრულების მუხლები შემუშავებულ იქნა პარიზში 1782 წელს. მის საბოლოო ვარიანტს ხელი მოეწერა მომდევნო წელს ვერსალში, ამიტომაც მან მიიღო ვერსალის ხელშეკრულების სახელწოდება.

ხელშეკრულებამ განამტკიცა ინგლისზე ამერიკის შეერთებული შტატების გამარჯვება დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ოშმი. ხელშეკრულების პირველ მუხლში საუბარია: „მისი უძაღლესობის ხელისუფლება აღიარებს ამერიკის შეერთებული შტატების შექმნას; კერძოდ კი, ნიუ-კემპშირი, მასაჩუსეტს-ბერი, როდ-აილენდი, ნიუ-ჯერსი, პენსილვანია, დელავერი, მერილენდი, ვირჯინია, ჩრდილოეთ კაროლინა, სამხრეთ კაროლინა და ჯორჯიას თავისუფალ და დამოუკიდებლ შტატებად და ხელშეკრულებას დებს მათთან როგორც დამოუკიდებელ სუბიექტებთან. თავის მხრივ, მეფის მემკვიდრეები და მისი შთამომავლობა სამუდამოდ უარს ამბობდნენ მმართველობის საკუთარ პრეტენზიებზე, საკუთრებასა და ტერიტორიულ უფლებებზე ამ შტატების თითოეულ ნაწილში. ინგლისმა აიღო ვალდებულება შეერთებული შტატების ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

ხელშეკრულების არსებითი ნაწილი იყო მუხლი, რომელმაც გადაწყვიტა ტერიტორიული დავები. კერძოდ, დასავლეთით ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარი გადიოდა მდინარე მისისიპზე, ჩრდილოეთით – დიდი მდინარის და ტბის წმინდა ვალენტინის გასწვრივ. კანადა დარჩა ინგლისის კოლონიად. სამხრეთით საზღვარი გავიდა ფლორიდიდან ჩრდილოეთის გასწვრივ. ამერიკელებმა განიმტკიცეს თვეზის რეწვის უფლება ნიუფაუნდლენდის კუნძულის წყდებში და თავისუფალი ნაოსნობას მისისიპში.

ხელშეკრულების ფინანსური მხარე ითვალისწინებდა მებროლი მხარეების მოქალაქეებს შორის სავალო ვალდებულებების ურთიერთრეგულირებას, ლოიალურად განწყობილებს დაუბრუნდათ მათზე ჩამორთმეული ქონება.

რაც შეეხება ამერიკის მოკავშირეებს: ინგლისმა საფრანგეთს დაუბრუნა სენეგალი აფრიკაში და დაუთმო კუნძული ტობაზო ვესტ-ინდოეთში. ორივე მხარემ ერთმანეთს დაუბრუნა ტერიტორიები ინდოეთში. კანადა, რომელსაც ფარანგები ელოდებოდნენ რომ დაიბრუნებდნენ, დარჩა ინგლისურ კოლონიად. ესპანეთს გადაეცა ფლორიდა და კუნძული მენორკა ხმელთაშუაზღვაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ წამოიჭრა საკითხი ევროპის დახმარების როლის შეფასებაზე ამერიკის დამოუკიდებლობისათვის მოპოვებულ გამარჯვებაში. რიგი ამერიკელი მკვლევარები თვლიან, რომ კოლონიების მიერ გამარჯვების მიღწევის შესაძლებლობა საკუთარი ძალების ამარა სრულიად საეჭვო იყო. ისინი თავიანთ დასკვნებს ამყარებენ გაწეული დახმარების იმ მასშტაბებით, რომელიც კოლონიებს ევროპის სახელმწიფოებმა გაუწიეს და ეს დახმარება მართლაც, დიდი იყო. ამერიკის სამხედრო ხარჯების ორი მესამედი სწორედ დახმარებაზე მოდიოდა. არ შეიძლება ასევე ყურადღება არ მიექცეს წმინდა სამხედრო დახმარებასაც. 1779 წელს ფრანგული და ესპანური ფლოტი თავს ესხმოდნენ ინგლისს, აწარმოებდნენ საბრძოლო მოქმედებებს ლა მანშეში, ირლანდიის სანაპიროებსა და ინდოეთში; ასევე მოხალისები ამერიკის კონგრინენტზე. რუსეთის მიერ ინიცირებულმა შეიძრადებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკამ თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა ინგლისელებზე გამარჯვებაში.

ამრიგად, ამერიკის კოლონიების მიერ დამოუკიდებლობისათვის გაჩაღებული ბრძოლის ზემოთ აღწერილი მოვლენებიდან გამომდინარე, მოცემულ სიტუაციაში კოლონიების წარმატებები დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში სრულიად ნათელი იყო.

1783 წლის პარიზის ხელშექრეულებით ინგლისი იძულებული იყო ედიარებინა ამერიკული კოლონიების დამოუკიდებლობა. თანამედროვეები კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის მიღწევას განიხილავდნენ, როგორც ბრიტანული ძლევამოსილების დასასრულის დასაწყისის ნიშანს. პრაქტიკულად კი, საქმის რეა-

ლური მდგომარეობის აღიარებამ, ჩრდილოეთ ამერიკაში რევოლუციის შედეგის გარდაუვალობამ გზა გაუხსნა ინგლისის პოზიციების აღდგენას მსოფლიო არენაზე, რომლის საფუძველი გახდა ქვეყნის სწრაფი სამრეწველო განვითარება და მისი საზღვაო ძალის გაძლიერება.

ამერიკის რევოლუციის გამარჯვებას ჰქონდა მნიშვნელოვანი და შორს მიმავალი შედეგები. გამოჩნდა საერთაშორისო ურთიერთობების თვისობრივად ახალი სუბიექტი – სუვერენული ბურჟუაზიული რესპუბლიკა, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა იმით, რომ ოსტატურად გამოიყენა კოლონიურ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობა. ომში დამარცხებამ გამოიწვია ინგლისის საზღვაო და კოლონიური ბატონობის შესუსტება. ვერსალის ხელშეკრულება იყო კოლონიური სამფლობელოების ახალი გადანაწილება ინგლისელების ხარჯზე და ისიც, მის საზიანოდ ჩრდილოეთ ამერიკაში.

ახალ სამყაროში ძლევამოსილ, არსით ანტიფეოდალურ და ანტიკოლონიურ რევოლუციის ჰქონდა სერიოზული იდეოლოგიური გავლენა გარე სამყაროზე. საფრანგეთის საზოგადოება მზად იყო ესარგებლა ახალი დემოკრატიული იდეებით. მაბილი, კოდორისი, სენ სიმონი, ბრისო ქვეყნის მოწინავე მოაზროვნებმა შეისწავლეს და პროპაგანდა გაუწიეს ამერიკული რევოლუციის გამოცდილებას.

ომში ინგლისის წარუმატებლობამ ხელი შეუწყო პატრიოტული მოძრაობის ზრდას ირლანდიაში, ხოლო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ესპანეთ-პორტუგალიის სამფლობელოებში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

XVIII-XIX ს.ს. მიჯნაზე ჩრდილოეთ ამერიკული კოლონიების ბრიტანეთის იმპერიისაგან დამოუკიდებლობისათვის ომმა რევოლუციური ომების ეპოქას გაუხსნა გზა. რის შედეგადაც, ევროპული წონასწორობის სისტემას თავისთვად მოჰყვა საერთაშორისო ურთიერთობების ტრანსფორმაცია.

**საერთაშორისო ურთიერთობები XVIII ს-ის ბოლოს  
XIX ს-ის დასაწყისში**

**7.1. საერთაშორისო ურთიერთობების თავისებურებები XVIII ს-ის ბოლოს და XIX საუკუნის დამდეგს**

ისტორიულ დროს ახასიათებს განსაკუთრებული თავისებურება. კალენდარული დრო ყოველთვის არ ემთხვევა ისტორიული პროცესების პერიოდიზაციის ლოგიკას. ამ თვალსაზრისით ისტორიული საუკუნე იშვიათად თუ ზუსტად ემთხვევა კალენდარულ საუკუნეს. ამის ნათელ მაგალითად გამოღვება XX ს-ის ასწლეული, რომელიც ბევრი ისტორიკოსის, პოლიტოლოგის და ფილოსოფოსის აზრით, მნიშვნელოვანად გვიან დაიწყო „კალენდარული“ ზღვარიდან, ხოლო დასრულდა არსებითად ადრე (შესაბამისად 1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური რუკა და 1989 – წელი ბერლინის კედლის დანგრევა და საერთაშორისო ურთიერთობების ტრანსფორმაციის კოქის დაწყება). ამ თვალსაზრისით XIX საუკუნე არ იყო საერთო წესებიდან გამონაკლისი. კალენდარული XVIII ს-ის ასწლეულის ბოლო პერიოდი გახდა გარკვეული წინაპირობა, ან თვით ახალი კოქის დასაწყისი, როცა მომზადდა ნიადაგი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის არსებითი ცვლილებებისათვის და რომელიც განხორციელდა მთელი XIX ს-ის განმავლობაში.

დიდი ფრანგული რევოლუციის და ნაპოლეონის ომების ეპოქამ დაასრულა მერყევე ვითარების შესაბამისად მოწყობილი ძალთა ბალანსი ევროპაში. იმის მიუხედავად, რომ მან ძირი გამოუთხარა „ძველ რეჟიმს“, ევროპული თანასწორობის ძველი სისტემის მოცემულ კონტექსტში, ნაპოლეონის საფრანგეთმა ვერ შეძლო მიეღწია სრულ კონტინენტურ დომინირებას, ან კიდევ

სანგრძლივი დროით საკუთარი ბატონობის უზრუნველყოფას ევროპაში.

რევოლუციურ მოვლენებს საფრანგეთში, დიდი ფრანგული რევოლუციის იდეას, პქნიდა სერიოზული გავლენა ევროპულ საზოგადოებაზე და ევროპაში სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე XIX საუკუნეში. უკვე 1792 წლის გაზაფხულზე დაიწყო ომების რიგი, რომელიც გაგრძელდა თითქმის საუკუნის მეოთხედი დროის განმავლობაში და თანდათან მოიცვა მთელი ევროპა. ხანგრძლივმა და სისხლისმდვრელმა ომებმა დაასუსტა ძველი კონტინენტი. ნაპოლეონის განადგურებით წამყვანმა ევროპულმა დიდმა სახელმწიფოებმა გამოამჟღავნეს აშკარა მისწრაფება მარადიული მშვიდობის მიღწევისათვის ანგინაპოლეონისეური კოალიციის მონაწილე ქვეყნების და უპირველესად, რუსეთის, პრუსიის, ბრიტანეთის და ავსტრიის ინტერესთა განსაზღვრული ბალანსის საფუძველზე.

ევროპის არენაზე დიპლომატები, მონარქები და პოლიტიკური მოღვაწეები ტექტონიკური გეოპოლიტიკური მოძრაობების, სისხლისმდვრელი და ევროპის წამყვანი დიდი სახელმწიფოების დასუსტების მოწმენი გახდნენ: კანონზომიერად ჩამოყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ საერთო ევროპული თანასწორობის დამყარება არ შეიძლება მიენდოს პოლიტიკური თამაშის შემთხვევითობას. პირველად, ევროპის ისტორიასა და საერთოდ, მსოფლიოში დაიწყო მიზანმიმართული პოლიტიკა თვითმეოფადი პოლიტიკური კავილიბრიუმის (წონასწორობის) ინსტიტუციონალური უზრუნველყოფისა და შესაბამისი მექანიზმის ძიება იმ საერთაშორისო წესრიგისათვის, რომელიც დაარეგულირებდა წამყვანი დიდი ევროპული სახელმწიფოების თანასწორობას და რომელიც განამტკიცებდა იმ მომენტისათვის შექმნილ **status quo**. შედარებით მყარი მსოფლიო წესრიგის მსგავსი კონტროლი მიღწეულ იქნა ვენის კონგრესზე, რომელმაც ახალი ფურცელი გახსნა საერთაშორისო ურთიერთობებში. ვენაში შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა აღმოჩნდა საკმაოდ სტაბილური, რომელმაც იარსება მოდიფიცირებულ

ზემოაღნიშნულ ცნობილ პოსტულატებთან ერთად, ვენის სისტემის წყალობით, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ევროპის კონტინენტზე თავიდან იქნა აცილებული დიდი სახელმწიფოების საფრონტო დაპირისპირება. საერთაშორისო საქმეებში გადამზჴვეტი როლი დაეკისრა არა სამხედრო ტიპის „თამაშებს”, როგორც ზესახელმწიფოების ძალთა კონფიგურაციის რეალური დამოკიდებულების გამოვლენის საშუალებას, არამედ დიპლომატიასა და საერთაშორისო სამართალს.

აქვე დავსძენთ, რომ ნაპოლეონის ომებს ჰქონდა ურთი არანაკლებ მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც მკაფიოდ ახასიათებდა XIX საუკუნეს. რევოლუციურმა საფრანგეთმა ისტორიის ავანსცენაზე გამოიყვანა ხალხის სუვერენიტეტის პოლიტიკური პრინციპი. იმავდროულად ცენტრალურ ევროპაში ომების შედეგად მოხდა საზღვრების რადიკალური გადაჯაჭვა, განსორციელდა გერმანული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების თავისებური კონსოლიდაცია, რომელთა რიცხვი 300-დან 30-მდე შემცირდა.

აღნიშნული მოვლენების განვითარებას ასევე სტიმული მისცა იტალიასა და გერმანიაში ლიბერალურ-დემოკრატიული მოძრაობის, ხოლო შემდეგ ანალოგიური პროცესების დაწყებამ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. ამ გაგებით XIX ასტლეული ხასიათდება ნაციონალიზმის ფენომენის გარდაქმნით პოლიტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობების ფაქტორად. ამის ყველაზე მყაფიო მაგალითად გამოდგება იტალიასა და გერმანიაში გაერთიანების პროცესი და ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა ახლო აღმოსავლეთში. ნაციონალური სახელმწიფოები საბოლოოდ გახდა არ მხოლოდ ლიბერალური ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკური იდეალი, არამედ ევროპის საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი სუბიექტიც.

ამრიგად, XVIII საუკუნის ბოლოს მსოფლიო პოლიტიკაში მთავარი მოვლენა იყო საფრანგეთის რევოლუცია და ნაპოლეონის ომები, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ჰქონდა გაფლენა საერთაშორისო ურთიერთობების მდგომარეობასა და

განვითარებაზე როგორც ევროპაში, ასევე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ევროპის ქვეყნები, რომელთაც სურდათ თავისი საგარეო პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა და ამისთვის კიდევ ებრძოდნენ ერთმანეთს, საფრანგეთში განვითარებულმა მოვლენებმა აიძულა დროებით დაევიწყებინათ არსებული წინააღმდეგობები და შეექმნათ ერთიანი ანტიფრანგული ფრონტი.

## 7.2. საფრანგეთის რევოლუციის გავლენა საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაზე

1789 წელს, საფრანგეთში რევოლუციის დაწყებისას, ფაქტიური ხელისუფლება ქვეყანაში პქონდა დამფუძნებელ კრებას, რომლის წევრთა უმრავლესობა გამოხატავდა ქალაქის მსხვილი ბურჟუაზიის და ლიბერალური თავადაზნაურების ინტერესებს.

დამფუძნებელი კრების დეპუტატები მთავარ ამოცანად თვლიდნენ საფრანგეთში კონსტიტუციური მმართველობის შემოდგებას. ასეთ ვითარებაში მეფე ლუი XVI და მისი ოჯახი აღმოჩნდნენ რევოლუციის მძევლები. მონარქია უხალისოდ დებულობდა კრების მიერ მიღებულ კველა ახალ გადაწყვეტილებას სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის შესახებ.

ასეთ პირობებში, 1791 წლის 21 ივნისს, დამით, სამეფო ოჯახმა წარუმატებლად სცადა გაცევა პარიზიდან. მეფე ვარგნში დააგვეს და უკან დააბრუნება.

კონსტიტუციონალისტები შეზღუდული მონარქიის მომხრენი იყვნენ. მათ დაიწყეს პროპაგანდა მეფისა და ხალხის კავშირის შესახებ. ამავე დროს, პარიზში ფართო პროპაგანდა მიღიოდა რესპუბლიკისა და მეზობელ მონარქებთან რევოლუციური ომების წარმოების სასარგებლოდ. მოვლენების ამგვარი განვითარების კვალობაზე დროებით ჩაიშალა კონტრევოლუციური გეგმები და შესაძლებელია, ლუი XVI ტახტიდან ჩამოგდებაც.

აღნიშნული იდეის გულმსურვალე მიმდევარი იყო პუბლიცისტი უან პერ ბრისო, რამაც, მაშინ, მას პოპულარობაც მოუკრია. მაგრამ 17 ივლისს ლაფაეტის ნაციონალურმა გვარდიამ დახვრიტა რესპუბლიკის მომხრეთა მანიფესტაცია მარსელის მოედანზე. რის გამოც, კონსტიტუციონალისტებსა და ხალხს შორის განხეთქილება მოხდა.

საფრანგეთში შექმნილი კრიზისის გამოხატულება იყო ისიც, რომ 27 აგვისტოს ავსტრიის და პრუსიის მეფეებმა პილნიში ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომლითაც ყველა ევროპულ სახელმწიფოს მოუწოდეს ყველაფერი გაეკეთებინათ საფრანგეთში მონარქიის აღსაღებად.

საფრანგეთი ახალი რეკვების და რევოლუციის, ახალი, ბევრად რადიკალური მოვლენების განვითარების ფაზის მოლოდინში იყო.

1791 წლის სექტემბერში დაამტკიცეს ახალი კონსტიტუციის სრული ტექსტი. დეპუტატებმა შეასრულეს თავიანთი მისია და ხელისუფლება გადასცეს საკანონმდებლო კრებას. ახალ პარლამენტში ძალთა განლაგება სრულიად სხვა იყო. მის მარჯვენა ფლანგს შეადგენდნენ მომაკვდავი კონსტიტუციონალისტები, რომლებიც გამოვიდნენ იაკობინელთა კლუბიდან და შექმნეს ცალკე კლუბი ფელიანოვის მონასტერში. მარცხენა ფლანგზე უმრავლეოსობაში აღმოჩნდნენ ბრისოს მომხრეები ანუ უირონდისტები (უირონდიის დეპარტამენტიდან იყო დეპუტატების უმრავლესობა), რომლებიც გამოხატავდნენ საპორტო ქალაქ მარსელის, ბორდოს მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის ნაწილის ინტერესებს.

აღსანიშნავია, რომ ბურჟუაზიული პროვინციები არ იყვნენ ისე დაკავშირებული მონარქიასთან, როგორც ქალაქის წოდება. ბურჟუაზიამ რომელიც დაინტერესებული იყო საშინაო და საგარეო ბაზარზე თავისი პოზიციების განმტკიცებით, საბოლოოდ უგულვებელყო ლიბერალიზმის პრინციპები და მზად იყო ხელი შეეწყო რევოლუციის გაღრმავებისა და საფრანგეთის ფარგლებს გარეთ ექსპორტისათვის.

ლუი XVI ახალ მთავრობაში მინისტრის პორტფელები უირონდისტების წარმომადგენლებს მისცა, რადგან იმედოვნებდა, რომ ისინი ხელს შეუწყობდნენ კონტრრევოლუციის გამარჯვებას და ძველი წესრიგის აღდგენას. საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა გენერალი დიუმირი. მას ახალ მთავრობაში მნიშვნელოვანი აღილი ეჭირა. კარიერისტული მოსაზრებით ის მიემსრო რევოლუციური ომების წარმოებასაც.

1792 წლის 20 აპრილს საფრანგეთმა ომი გამოუცხადა ავსტრიას. პრუსია ამ უკანასკნელის მხარეს გამოვიდა.

ომისათვის ცუდად მომზადებული ფრანგულია არმია თავს დაესხა ავსტრიის პაბსბურგების ქუთვნილ ბელგიას და მალევე განიცადა დამარცხება. ივლისისათვის საფრანგეთს აშკარად შეექმნა ინტერვენციის საფრთხე. საკანონმდებლო ორგანო იძულებული გახდა გამოეცხადებინა „მამულის გადარჩენა“ და მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო მოხალისეთა რაზმების ფორმირება (ფედერატები), რომლებიც ჩადიოდნენ პარიზში.

შეექმნილ ვითარებაში პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში კიდევ უფრო გამწვავდა და გაღმავდა. ხალხმა ყველაფერში მონარქია დაადანაშაულა. დაიწყო მოძრაობა ომში დამარცხების პოლიტიკური მიზეზის, მონარქიის გასაუქმებლად. ამ კუთხით წარმოებულ პროპაგანდაში ინიციატივა ხელთ იგდო იაკობინელთა კლუბის მემარცხენე ნაწილმა, კერძოდ, მაქსიმილიანე რობესპიერმა და მისმა მომხრეებმა. რობესპიერი ადრე ხელისუფლების შესაცვლელად ძალადობრივი მეთოდების გამოყენების წინააღმდეგიც კი იყო. პრუსიის არმიის მეთაური, პერცოგი ბრაუნშვაიგსკი დაემუქრა პარიზელებს დასჯით იმ შემთხვევაში, თუკი ისინი, თუნდაც მცირედითაც ხელს ახდებდნენ მეფეს და ფრანგებს დაპირდა მონარქიული ხელისუფლების სრულად აღდგენას. პრუსიის ამ მუქარამ კიდევ დაძაბა სიტუაცია ქვეყანაში. ამას მოჰყვა ფედერატების აჯანყება. 1792 წლის 10 აგვისტოს მათ აიღეს სამეფო სასახლე ტიულირი.

ლუი XVI გადააყენს ხელისუფლებიდან. მონარქია დაამხეს, მასთან ერთად დაამხეს ძველი წესრიგის მსხვილი ბურჟუაზიის

ხელისუფლების რეჟიმი, რომელიც პარლამენტში ქმნიდა მემარჯვენე უმრავლესობას. ფელიანელები გადავიდნენ კონტრრევოლუციის ბანაკში. რობერტი წინადადებით გადაწყდა, რომ საყოველთაო ხმისმიცემით არჩეულიყო ახალი ეროვნული კონფენტი, რომელიც ახალ კონსტიტუციასაც შეიმუშავებდა.

არასახარბიელოდ განვითარდა მოვლენები ფრონტეც. 1792 წლის სექტემბერში, ლონგბის და ვერდენის ციხე-სიმაგრეების ჩაბარების შემდეგ, პარიზზე თავდასხმის საფრთხე ბევრად უფრო რეალური გახდა. ვიდრე მეამბოხე რევოლუციონერები გაემართებოდნენ ფრონტზე და აღკვეთდნენ თავდასხმის საფრთხეს, ვოლონტერებმა, ფედერატებმა და სანკტულოტებმა მოახდინეს მასობრივი ხოცა-ულება პარიზის ციხეებში, რათა მოესპოო საფუძველი „შეთქმულების“ (ხოლო მათ შორის იყვნენ არა მხოლოდ კონტრრევოლუციონერები, არამედ უბრალო სისხლის სამართლის დამნაშავეები, მედავები და მაწანწალები) მოწყობისათვის. რაც ფაქტობრივად, გამორიცხავდა ფრონტისათვის ზურგიდან დარტყმას. 2-5 სექტემბრის ხოცა-ულება –მთელს ქვეყანაში იყო მასობრივი ორგანიზებული ტერორის პროლოგი.

20 სექტემბერს, ვალმთან ბრძოლაში, ფრანგულმა არმიამ, რომელსაც შეუერთდნენ პარიზიდან ჩამოსული მოხალისეები, მოიგერია პრუსიის ჰერცოგის ბრაუნშვაგის თავდასხმა. 10 დღის შემდეგ, ამ უკანასკნელმა გასცა ბრძანება უკანდახევის შესახებ.

ამრიგად, სამხედრო კამპანიაში გარდატეხა მოხდა. სულ მალე ფრანგი პატრიოტები შეიჭრნენ ბელგიაში, რეინის სათავადოში, ნიცაში და სავოიაში. რევოლუციის მონაპოვარი ტერიტორიულად გაფართოვდა. დაცული ბერიტორიებზე ფერდალურ-წოდებრივი წყობის ლიკვიდაცია განახორციელდეს, ჩამოაყალიბეს მუნიციპალიტეტები და ა.შ. რევოლუციური ომების სახელმძღვანელო პრინციპი იყო „მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეებს“.

მოცემული ტერიტორიების ანექსიის საფუძველი გახდა უორჟ დანტონის დოქტრინა საფრანგეთის „ბუნებრივი საზღვრების“ შესახებ, რომელიც მოიცავდა რეინს, აღკვებს და პირენეებს.

1793 წლის იანვარში მეფის სიკვდილით დასჯა, რომელიც სახელმწიფო დალატში დაადანაშაულეს და რესპუბლიკის კონკენტის ხელმძღვანელობით მიღწეული დიდი სამხედრო წარმატებები გახდა პირველი ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზების საბაბი.

### 7.2.1. პირველი ანტიფრანგული კოალიცია

საფრანგეთში განვითარებულმა მოვლენებმა დიდი შეშფოთება გამოიწვია ევროპის წამყვან სახელმწიფოებში. ინგლისის, რუსეთის და პრუსიის მთავარი უურადღება მიპყრობილი იყო საფრანგეთისკენ. ინგლისი არც მაღავდა თავის გეგმებს, რომ ემზადებოდა საფრანგეთთან ომისათვის. ლონდონიც ყველაფერს აკეთებდა, რომ არ დაეშვა რუსეთის გაძლიერება შექმნილ ვითარებაში და ცდილობდა, ის მის მხარეზე გადაეყვანა რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამისათვის ლონდონმა რუსეთს შესთავაზა დაედოთ კავშირი. ამ მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია. რუსეთისა გარდა, ინგლისიც შეეცადა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია პრუსია და პოლანდია.

ამრიგად, რევოლუციის გავრცელების საწინააღმდეგოდ ლონდონი ცდილობდა საფრანგეთის გარშემო შეექრა სახელმწიფოთა ბლოკი. მით უფრო, რომ რევოლუციური ტალღა უპვერცელდა ბელგიაში. რუსეთს, ინგლისს, პრუსიას და ავსტრიას შორის წინააღმდეგობების მიუხედავად, საფრანგეთში რევოლუციური მოვლენების განვითარებამ და პარიზიდან მომდინარე საფრთხეებმა ამ ქვეყნების მთავრობები აიძულა მოექებნათ ერთობლივი მოქმედებების გზები საფრანგეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასე დაიწყო ამ ქვეყნების პოლიტიკური და დიპლომატიური დაახლოება.

ფრანგულმა რევოლუციამ და თანმდევმა საგარეო და სამხედრო პოლიტიკურმა მოვლენებმა ბელგიასა და ევროპის რიგ ქვეყნებში საფრთხის ქვეშ დააყენა მონარქიის არსებობა საკუთრივ ავსტრიაშიც. ასეთ ვითარებაში ვენა იძულებული გახდა

მოელი ყურადღება მიემართა სიტუაციის მოწესრიგებისათვის დასავლეთ ევროპაში, რამაც დროებით შეასუსტა მისი ყურადღება თურქეთთან მიმართებით.

მოვლენების ამგვარ განვითარების კვალობაზე, პრუსიას უარი არ უთქვამს, აგსტრიის გართულებული მდგომარეობა გამოეყენებინა მისი ინტერესების განხორციელებისათვის. პრუსიის დიპლომატიამ, რომელსაც პერცეპტერი ხელმძღვანელობდა, გადადგა რიგი პრაქტიკული ნაბიჯები ავსტრიის დასუსტებისათვის. პრუსიის მმართველი წრეები ოცნებობდნენ ავსტრიის გაფლენის ქვეშ მყოფი პოლონერი ქალაქების დანცინგის და ტორნას შეერთებაზე, რაც გააძლიერებდა პრუსიის პოზიციებს მდინარე ვისლის რაიონში.

კონტინენტზე პრუსიის ყველა მოქმედებას ლონდონში ყურადღებით აკვირდებოდნენ. ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროებზე გავლენის შენარჩუნებისა და ესპანეთთან მოსალოდნელი ომის საფრთხის გამო, ლონდონი, რომელსაც სჭირდებოდა ევროპის კონტინენტზე მოკავშირე, არც მაღავდა თავის მიზნებს და ინტერესების პრუსიასთან ურთიერთობებში. როგორც კი პრუსია მოქმედა ავსტრიასთან ომისათვის, იმთავითვე გაირკვა, რომ ინგლისს არ სურდა მისი გაძლიერება და არც აპირებდა მის სუბსიდიორებას. უ. პიტს სურდა ინგლისი დარჩენილიყო ევროპის საქმეებში მთავარ არბიტრად. ლონდონის ძალისხმევით, 1790 წლის 27 ივნისს რეიტენბახში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლითაც პრუსია უარს ამბობდა ავსტრიასთან ომის გეგმებზე, ხოლო ავსტრია უარს ამბობდა მისი ტერიტორიების გაზრდაზე თურქეთის ხარჯზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ შეთანხმებით პიტმა მიაღწია მოქმედებინა ნიადაგი კოალიციის ჩამოსაყალიბებლად საფრანგეთის წინააღმდეგ.

ინგლისის დიპლომატიის მონაწილეობით, 1792 წლის 7 ოქტომბერვალს პრუსიას და ავსტრიას შორის ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომლითაც მზადყოფნა განაცხადეს სამხედრო ძალების გამოეყენებით საფრანგეთში მონარქიული ხელისუფლების სრული სახით აღდგენისათვის.

1792 წლის 10 აგვისტოს, როცა მონარქია დაამხეს და უირონდისტები მოვიდნენ ხელისუფლებაში ეს უკანასკნელი შე- ეცადნენ ანტიფრანგული კოალიციის დასუსტებას. ამ მიზნით ისინი შევციისა და თურქეთის რუსეთთან ახალ ომ- ში ჩათრევას.

ლუ 1792 წლის შემდეგ, 1793 წლის დასაწ- ყისში ლონდონიდან კონტინენტზე გაიგზავნა რწმუნებული საფ- რანგეთის საქმეებზე.

1793 წლს კონკენტმა ომი გამოუცხადა ინგლისს და ფრან- გული არმია პოლანდიაში შევიდა. ინგლისმა გააძლიერა დიპ- ლომატიური ძალისხმევა ფართო ანტიფრანგული კოალიციის შექმნისათვის. გაზაფხულისათვის კოალიციაში გაერთიანდა ინ- გლისი (რეინზე ფრანგების ბატონობამ საფრთხე შეუქმნა კონ- ტინენტზე მის სავაჭრო ინტერესებს), რუსეთი, ავსტრია, პრუსია, ესპანეთი, პოლანდია და სხვა სახელმწიფოები. კოალიციის მო- ნაწილეები აპირებდნენ არა მარტო რევოლუციის ჩაკვლას, არ- ამედ საფრანგეთისათვის ტერიტორიების გარკვეული ნაწილის წართმევასაც. პრუსია ცდილობდა ელზასის და ლოტარენგიის მიღებას და მიიჩნევდა, რომ რუსეთი პრუსიის არმიის საფრან- გეთთან ომში მონაწილეობისათვის დათანხმდებოდა პოლონე- თის მეორე გაყოფას. რაც მოგვიანებით, კიდევ მოხდება. ამ გა- ყოფის შედეგად პრუსიას გადაეცა დანცინგი, ტორნი და პოზ- ნანი, ხოლო რუსეთს – კიევის სავოევოდო, ვოლინი და ვილენის ნაწილი.

ანტიფრანგული კოალიცია გადავიდა აქტიურ სამხედრო მო- ქმედებებზე. საფრანგეთის ტერიტორიაზე შეიჭრა ევროპის ქვეყ- ნების არმია. საფრანგეთის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. რესპუბლიკამ მათთან ბრძოლაში განიცადა მარცხი ბელგიასა და რეინის მიწებზე.

სამხედრო დამარცხებებმა კიდევ უფრო გააღრმავა გლეხთა აჯანყებები როიალისტების და კათოლიკე მღვდლების ხელმძღ- ვანელობით ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში, ვანდეში.

1793 წლის 31 მაის–2 ივნის პარიზში მოხდა აჯანყება. და-ამხეს უირონდისტები. ქვეყანაში იაკობინელთა დიქტატურა დამ-ჯარდა.

1793 წლის 24 ივლისს ეროვნულმა კონვენტმა მიიღო საფ-რანგეთის ახალი კონსტიტუცია. ამ უკანასკნელმა გაამჟარა იაკობინელთა დიქტატურა და განსაზღვრა იაკობინელთა დიპ-ლომატის პრინციპები. მან მოუწოდა ყველა ხალხს თავისუფ-ლებისა და ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ასევე, დაგმო უცხო მიწების დაპყრობა.

რობესპიერმა მიაღწია მიეღოთ დეკრეტი იმ პირების სიკ-ვდილით დასჯის შესახებ, რომლებიც გამოვიდოდნენ ზავის დადების მოთხოვნით იმ ქვეყნებთან, რომელთა ჯარებიც იმყო-ფებოდნენ საფრანგეთის ტერიტორიაზე.

კონსტიტუციის თანახმად: „ფრანგი ხალხი არის ბუნებრივი მეგობარი და მოკავშირე თავისუფალი ხალხების“. შემდგე აღ-ნიშნულია, რომ „იგი არ ერევა სხვა ერების მთავრობის საქმე-ებში“ ხოლო 121-ე პუნქტი ამბობს: „ფრანგი ხალხი არ დებს ზავს მტრებთან, რომლებიც დაიკავებენ მის ტერიტორიას“.

რობესპიერი და მისი საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი მი-ინიციავდნენ, რომ აუცილებელია საფრანგეთი გამოსულიყო პოლი-ტიკური და კონომიკური იზოლაციიდან. ასევე, მოეხდინათ იმ ქვეყნების ჯგუფის ორგანიზებაც, რომელთა მოქმედებები მიმა-რთული იქნებოდა ანტიფრანგული კოალიციის წინააღმდეგ.

ფრანგული დიპლომატიის მთელი ძალები მიმართული იქნა ანტიფრანგული კოალიციის მონაწილეებს შორის წინაღმდეგ-ობების გასაძლიერებლად. იაკობინელები საფრანგეთის მთავარ მტრად ინგლისს მიიჩნევდნენ. 1793 წლის შემოდგომაზე კონვენტ-მა მიიღო ნავიგაციური აქტი, რომლის მიხედვით აიკრძალა ინგლისის ხომალდების ფრანგულ პორტებში შემოსვლა.

უფრო ადრე, ანალოგიური აკრძალვა მიღებულ იქნა ინგლი-სელების და რუსების მიერ ფრანგულ გემებთან დაკავშირებით. ამ საკითხთან მიმართებით ორივე ქვეყანამ 1793 წლის 25 მარტს ლონდონში ხელი მოაწერა კონვენციას, სადაც საუბარია, რომ

ორივე ქვეყანა დებულობს ვალდებულებას დახურონ ყველა თავისი პორტი ფრანგული გემებისათვის და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ თავიანთი პორტებიდან საფრანგეთში რაიმე ტვირთის გაგზავნას.

ფრანგული არმიის წარმატების პვალდაპვალ და საგარეო თავდასხმის საფრთხის აცილების პირობებში, საფრანგეთის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. პარალელურად, უთანხმოება ძლიერდებოდა ანტიფრანგული კოალიციის ქვეყნებს შორისაც.

იაკობინელები გამოვიდნენ რევოლუციური ომების შეწყვეტის მოთხოვნით და მასში ფრანგული არმიის მონაწილეობის წინააღმდეგ. რობესპიერი თვლიდა, რომ მას შეეძლო შეექმნა კოალიცია შვეციის, გენუის და თურქეთის შემადგენლობით. ამისათვის თურქეთი შეაგულიანა რუსეთთან ომისათვის. თუმცა, არაფერი გამოვიდა.

იაკობინელების საწინააღმდეგოდ, საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის ნაწილმა დაგმო არმიის არსებულ საზღვრებში დარჩენის განზრახვა და მოითხოვა შემტევი საბრძოლო მოქმედების გაგრძელება, რათა დაეპყროთ ბელგია და რეინის მარცხნა სანაპირო.

საფრანგეთის რევოლუცია და განვითარებული მოვლენები სხვადასხვა კუთხით პპოვებდა გავლენას საერთაშორისო ურთიერთობის არსებულ სისტემასა და მასში მოცემულ წესრიგზე.

მიმდინარე მოვლენებმა ბიძგი მისცა ბეჭრ ქვეყანაში განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას. თუმცა, ხშირად პირიქით ხდებოდა. განმათავისუფლებელი მოძრაობა ბევრი ერისთვის ტრაგიკული ისტორიის დასაწყისიც კი აღმოჩნდა. ამის ტიპიურ მაგალითად გამოდგება პოლონეთის მიმართ განვითარებული მოვლენები, რაც მისი მესამე გაყოფით დასრულდა.

7.2.2. ოერმიდორული გადატრიალება საფრანგეთში და ცვლილებები ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში

1793 წლის ზაფხულში რესპუბლიკის მდგომარეობა ბევრად როგორც გახდა. ვანდეს კერა ფართოვდებოდა, კოალიციის არმია აგრძელებდა შეტევას. პროვინციებში დაიწყო დამხობილი უირონდისტების მიერ პროვიცირებული „ფედერალური აჯანყება“ პარიზის „ტირანიის“ წინააღმდეგ. მან მოიცვა დაახლოებით 50 დეპარტამენტი 83-დან, მათ შორის უმნიშვნელოვანების საპორტო ქალაქები ლიონი, მარსელი, ბორდო, ნანტი. ტულონი და მისი სამხედრო-საზღვაო ესკადრა ამბოხებულებმა ინგლისელებს გადასცეს.

მოვლენების ამგვარი განვითარების კვალდაკვალ, კოვენტში პოლიტიკური ძალების ლიდერთა ირგვლივ, შეიქმნა რევოლუციის ყველა მომხრის ბლოკი იაკობინელების თაოსნობით. იაკობინელთა ბლოკი დროებითი და პოლიტიკურ ძალთა წინააღმდეგობრივი კოალიცია იყო. მათი საერთო ამოცანა იყო რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მტრებისაგან დაცვა. დანარჩენ საკითხებში ისინი ნაკლებ თანხმობას აღწევდნენ. ეს არ არის გასაკვირი თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერთნი ორიენტირებული იყვნენ მათთვის ახლო მოთამაშეების მოთხოვნების დაქმაყოფილებაზე, ხოლო მეორენი – ეროვნული ქონების ფონდიდან მიწების შექმნის ინტერესების დაცვაზე, ახალი ბურჟუაზიის მიერ რესპუბლიკის სამხედრო მომარაგებასა და კრედიტებზე.

1793 წლის შემოდგომა-ზამთარში რესპუბლიკამ შეძლო საშინო და საგარეო ფრონტებზე სიტუაციის თავის სასარგებლოდ შეცვლა. რევოლუციური ძალადობის (ტერორი, იძულებითი გადასახადი, რომელიც დაკისრებული პქონდა მდიდრებს, უსასყიდლო რეკვიზიცია) გარდა, გამარჯვებების სხვა მიზეზებს შორის უნდა დავასახელოთ ფრანგული არმიის ახალი ხარისხი, რომელიც მოწყობილიყო საყოველთაო სამხედრო გაწვევის პრინციპსა და ოფიცრის თანამდებობის თავისუფალ შეცვლაზე. 1794

წლის 2 ივლისს ფლერიუთან განადგურებულ იქნა ავსტრიის ძირითადი ძალები და გაიხსნა გზა ბელგიაზე თავდასასხმელად. იაკობინელების დიქტატურამ თავისი ამოცანა შეასრულა და წავიდა ისტორიული სცენიდან.

1794 წლის 27 ივლისს მოხდა თერმიდორული გადატრიალება, რომლის შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელები. შეიქმნა წინაპირობები მოლაპარაკების პროცესის წარმოებისათვის.

1794-1795 წწ. მანძილზე დაიდო საზავო ხელშეკრულებები საომარი კამპანიის ბევრ მონაწილეთან. 1794 წლის ბოლოს პრუსიასთან დაწყებული მოლაპარაკება დასრულდა 1795 წლის 5 აპრილს ბაზელში საფრანგეთ-პრუსიის საზავო ხელშეკრულებით. ორივე მხარემ განაცხადა ურთიერთშორის მეგობრობა და კეთილი ნება

ხელშეკრულება ითვალისწინებდა საფრანგეთის გასვლას რეინის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს პრუსიის ტერიტორიიდან. ხელშეკრულების ერთ-ერთი საიდუმლო მუხლით, „თუკი საფრანგეთსა და გერმანიის იმპერიას შორის საერთო შეთანხმებით მდინარე რეინის მარცხენა სანაპირო დარჩება საფრანგეთს, მაშინ პრუსიის მეუკე იტოვებს უფლებას შეუთანხმდეს დათმობის წესის შესახებ საფრანგეთის რესპუბლიკას პრუსიის სამფლობელოს იმ ნაწილზე, რომელიც განლაგებულია ამ მდინარის მარცხენა სანაპიროზე, ოდონდ გარკვეული ტერიტორიის კომპენსაციის სანაცვლოდ“.

1795 წელს ბაზელშივე ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას პოლანდიასთან, რომელიც გარდაიქმნა საფრანგეთზე დამოკიდებულ ბატავის რესპუბლიკად. 22 ივლისს საფრანგეთმა ზავი დადო ესპანეთთან.

ამრიგად, 1795 წლის განმავლობაში ანტიფრანგული კოალიცია დაიშალა, საფრანგეთმა ზავი დადო, თავდაპირველად პრუსიასთან, რომელმაც აღიარა მისი უფლებები მდინარე რეინის მარცხენა სანაპიროზე, შემდეგ ესპანეთთან. პოლანდიის ტერიტ-

ორიაზე საფრანგეთმა შექმნა პირველი ვასალური ბატავის რესპუბლიკა, ხოლო ბელგიის ანგლიის მთახდინა.

1795 წელს თერმიდორულმა კონვენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვით აღმასრულებელი ხელისუფლება გადავიდა დირექტორიის ხელში, რომელიც შედგებოდა ხუთი წევრისაგან. ახლი კონსტიტუციით დამტკიცდა ორპალატიანი საკანონმდებლო კორპუსი (ხუთასთა საბჭო და უხუცესთა საბჭო) ქონებრივი ცენზით. თუმცა, ერთის მხრივ, ვერც მან შეძლო ახალი მესაკუთრეებისათვის მიეცა უსაფრთხოების გარანტია, კონტრრევოლუციური რესტავრაციის საფრთხის სრული აცილება და მეორეს მხრივ, იაკობინიზმი.

ქვეყანას არყევდა ხან მემარჯვენე, ხან მემარცხენე „შეთქმულებები”, ძლიერდებოდნენ ვანდეელებიც. დირექტორიატი მერყეობდა ძალთა განლაგების მიხედვით.

მოცემულ პირობებში სტაბილურობის ერთადერთი ფაქტორი არმია იყო, რომელიც იაკობინელებმა შექმნეს გაწვევის პრინციპით. იგი წარმატებულად მოქმედებდა ევროპის დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ.

დირექტორის პერიოდში საფრანგეთი აგრძელებდა ბრძოლას როგორც ევროპის ცენტრში, გერმანიაში, ისე სამხრეთში – იტალიაში. სწორედ ამ დროს დაიწყო გენერალ ბონაპარტეს აღზევება, რომელმაც რიგი გამარჯვებები მოიპოვა იტალიაში და მოაწყო სამხედრო ექსპედიცია ეგვიპტეში. ეგვიპტის ექსპედიცია მიმართული იყო ინგლისის წინააღმდეგ, რაც რეალურად წარმოადგენდა საფრთხეს მისი გეგმებისთვის ინდოეთში. თუმცა ფრანგებს არ გაუმართდათ. ინგლისის ესკადრილიამ ადმირალ ნელსონის ხელმძღვანელობით ხმელთაშუა ზღვაში დაამარცხა ფრანგები.

1796-1797 წლების იტალიური კამპანიის მსვლელობის დროს ფრანგულმა არმიამ ახალგაზრდა გენერალის ნაპოლეონ ბონაპარტეს ხელმძღვანელობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ავსტრიელებზე, რამაც აიძულა ეს უკანასკნელი კამპო-ფორმიონის ახლოს ხელი მოეწერა საზავო პირობებისათვის. ავსტრიამ

ადიარა საფრანგეთის საზღვარი რეინის გასწვრივ და ბელგიის ანგქისა. ამის საკომპენსაციოდ ავსტრიას გადაეცა გაუქმებული ვენეციის რესპუბლიკის ტერიტორია (გარდა იონიური კუნძულებისა, რომელიც დაიპყრო საფრანგეთმა). იტალიასა და შვეიცარიაში შეიქმნა ვასალური რესპუბლიკები, რომელთა მთელი სიმდიდრე მოჰქცა ფრანგი გენერლების საკუთრებაში.

7.3 „ნაპოლეონის ომების\*“ მსვლელობა და ხასიათი, მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე – უდღეური ტილზიტის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა

7.3.1. მეორე ანტიფრანგული კოალიცია და ნაპოლეონ ბონაპარტეს საფრანგეთის ხელისუფლებაში მოსვლა

პირველი კოალიცია დაიშალა, მაგრამ ინგლისი აგრძელებდა ზღვაზე ომს საფრანგეთის წინააღმდეგ.

ახალი ანტიფრანგული კოალიციის შექმნისათვის ინგლისი ძალისხმევას არ იშურებდა დიპლომატიურ ფრონტზე, რომელშიც უნდა შესულიყო ინგლისი, რუსეთი, ავსტრია, თურქეთი და ნეაპოლის სამეფო. თუმცა, პავლე I, რომელიც რუსეთის საიმპერატორო ტახტზე ეპატერინეს გარდაცვალების შემდეგ ავიდა, წინააღმდეგი იყო რუსეთის ომებში მონაწილეობისა, მაგრამ საფრანგეთის რევოლუციასთან მიმართებით მკვეთრად განსხვავებული აზრი ჰქონდა.

1798 წელს ინგლისის ინიციატივით შეიქმნა მეორე ანტიფრანგული კოალიცია, რომელშიც შევიდნენ რუსეთი, ავსტრია, შვეიცია, ნეაპოლის სამეფო, თურქეთი და ინგლისი. იტალიაში

\* ნაპოლეონის ომები - ამ სახელით ცნობილია, ომები, რომელიც ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარეობდა ნაპოლეონ I-ს მეთაურობით, როდესაც ის იყო პირველი კონსული და იმპერატორი (1800 - 1815). უფრო ფართ აზრით აქ იგულისხმება ნაპოლეონის იტალიური კამპანია (1796 - 1797) და ეგვიპტური ექსპედიცია (1798 - 1799), თუმცა ჩვეულებრივ (განსაკუთრებით იტალიურ კამპანიას) ამ ომებს მიაწერენ ე.წ. რევოლუციურ ომებს

გაგზავნილ იქნა რუსული სამხედრო ნაწილები ა. სუვოროვის ხელმძღვანელობით. გაერთიანებულმა აგსტრია-რუსეთის არმიამ დაამარცხა ფრანგები იტალიაში. საფრანგეთის ვასალური სახელმწიფო დაეცა. ერთი კვირის განამვლობაში გაერთიანებულმა არმიამ მთელი ჩრდილოეთ იტალია გაათავისუფლა. ხოლო რუსეთ-თურქეთის ფლოტმა ფ. უშაკოვის ხელმძღვანელობით გაათავისუფლა იონური კუნძულები.

იტალიაში სუვოროვის წარმატებებმა აგსტრიის დედაქალაჭში შეშფოთება გამოიწვია. ვენა ქმაყოფილი იყო რუსული არმიის წარმატებებით იტალიაში, თუმცა, შიშობდა რუსეთის პოზიციების გაძლიერებით ცენტრალურ ევროპაში. ამიტომ, აგსტრიის სარდლობამ გაიყვანა თავისი სამხედრო ძალები შვეიცარიიდან და იქ რუსები მარტო დატოვა ფრანგების პირისპირ. ასეთ ვითარებაში სუვოროვის არმიამ მიმედ ზამთრის პირობებში გადალახა სენ-გოტარდის უდელტეხილი ალპებში, დაელოდა რუსული არმიის დახმარებას, შემდეგ მოახერხა ალყიდან თავის დაღწევა და მთების გავლით რეინის ბარში გადასვლა.

სამხედრო წარუმატებლობებმა დააჩქარა სახელმწიფო გადატრიალება, რომლის მამოძრავებელი ძალა არმია იყო, ხოლო სიმბოლო გვგიპტიდან დაბრუნებული სახელმოხვეჭილი გენტრალი ბონაპარტე. მშვიდობისმყოფელის და ერის მსხველის ნაპოლეონის დიდება უმაღლეს მწვერვალზე ავიდა. მერვე წლის 18-19 ბრიუმერს\* (1799 წლის 9-10 ნოემბერი) მან დაამხო დირექტორია და თავი პირველ კონსულად გამოაცხადა. ამით მან გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი თავისი შეუზღუდავი ხელი-სუფლების დამყარებისათვის. გაუქმდა 1795 წლის კონსტიტუცია. საფრანგეთი თვითიალურად რესპუბლიკად დარჩა. ხოლო 1799 წლის ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყანას მართავდა სამი კონსული. მხოლოდ პირველ კონსულს შექმლო მიედო

\* ბრიუმერი [ფრანგ. brumaire] - მეორე თვე საფრანგეთის რევოლუციური კალენდრისა (22 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე), რომელიც მიიღო კონვენცია 1793 წ.

ქანონები, ხელმძღვანელობა გაეწია საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის. ამავე დროს, იგი იყო არმიის მთავარსარდალი.

რეალურად, ეს იყო კონტრრევოლუციური გადატრიალუბა. ცოტა მოგვიანებით კი, 1804 წელს ნაპოლეონი საფრანგეთის იმპერიატორი გახდა. ეს არ იყო მონარქიული წყობის რესტავრაცია, თუმცა, ზოგიერთი გარეგნული ფორმა, მაგალითად, არისტოკრატიული ტიტულები იხესხეს იქნდან. იმპერიატორი ნაპოლეონი ტახტის გვირგვინის სიმბოლო გახდა, რაც ნიშნავს რევოლუციის უკადავყოფას, მისი ხელისუფლება ბურჟუაზიული მფლობელობის გარანტია იყო.

„ნაპოლეონის ომებს”, პქონდა წინააღმდეგობრივი ხასიათი. ფრანგული არმია თავისთვის ატარებდა იდეას და ამყარებდა რევოლუციას, მაგრამ იმავდროულად მას პქონდა ძარცვისა და ტერიტორიალური დაპყრობების მისწრაფება.

ანტიფრანგული კოალიციის მონაწილეები საკუთარი აგრესის და ძველი წესრიგის აღდგენის მიზნით ძირითადად გეგმიანად მოქმედებდნენ. დროთა განმავლობაში კი უნდა მომხდარიყო ფეოდალური მონარქიის ევოლუცია, მას უნდა განეცადა ადაპტირება დროის მოთხოვნებთან. იგი წავიდა ბურჟუაზიული რეფორმების გზით, მოახდინა თავისი იდეოლოგიის ტრანსფორმაცია. ნაპოლეონის ბატონობამ გააღვიძა დაპყრობილი ხალხის პატრიოტული გრძნობები, პროვოცირება გაუკეთა განმათავისუფლებელ, რევოლუციური სულისკვეთების მოძრაობას. ამრიგად, საფრანგეთის ომები ევროპულ კოალიციებთან აერთიანებდა „რეაქციულობის” და „აღორძინების” სულისკეთებას.

თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისშივე ნაპოლეონმა გამოავლინა საკუთარი თავი როგორც უნარიანმა დიპლომატმა. მან ზავი დადო რომის პაპთან და ავსტრიასთან, ასევე კონფენცია თურქეთთან. საზავო ხელშეკრულებებს მან ხელი მოაწერა დირექტორიის თანხმობის გარეშე. მაგალითად, 1801 წლის მონევილის საზავო ხელშეკრულება ავსტრიასთან, 1802 წლის

ამიენის საზაფო ხელშეკრულება ბატავის რესპუბლიკასთან და ა.შ.

ბონაპარტესთან ერთად მოქმედებდნენ და მას მხარში ედგნენ გაიძვერა კარიერისტები და დიპლომატები. ისეთები როგორებიც, იყვნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. ტალეირანი და პოლიციის მინისტრი ჟ. ფუშე.

1797 წელს ტალეირანი გახდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. XIX ს-ის ეს ცნობილი საგარეო პოლიტიკური მოღვაწე განეკუთვნებოდა გავლენიან არისტოკრატიულ გვარს. იგი იყო ეპისკოპოსი და ყოველთვის მიისწავლიდა დიდებისა და ფულისაკენ. სწორედ გამდიდრების გამო ის გადავიდა რევოლუციის მხარეს, თუმცა ძალზედ შორს იყო რევოლუციური იდეებისაგან და მხოლოდ კარიერაზე ფიქრობდა. მან ნაპოლეონში დაინახა ადამიანი, ვისი წყალობითაც მის მიზნებს განახორციელებდა. ამიტომ იგი პირველობით დაუხსელოვდა მას და 18 ბრიუმერის გადატრიალების შემდეგ მინისტრად დაინიშნა.

შემდგომში ტალეირანმა არაერთხელ უდალატა თავის პატრონს, მათ შორის ბონაპარტეს. იგი აწარმოებდა ინტრიგებს და საიდუმლო მოლაპარაკებებს ალექსანდრე I-თან და ავსტრიის კანცლერთან კ. მეტერნიხთან. ნაპოლეონის დამხობის შემდეგ ის დაუხმარა ბურბონებს ხელისუფლების დაბრუნებაში, რისთვისაც ლუ XVIII ისევ საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა.

ნაპოლეონის მეორე იტალიური კამპანიის დროს საფრანგეთმა ადიდგინა დაკარგული პოზიციები კონტინენტზე. ცენტრალურ ევროპაში მან დარტყმა მიაყენა ავსტრიის არმიას. 1800 წლის ივნისში მარენთან და მოგვიანებით ჰოპელინდენთან მოპოვებული დიდი გამარჯვებით, ფრანგებმა ვენა იიჭულა ხელი მოეწერა 1801 წელს ლიუნევილის (ქალაქი საფრანგეთში) საზაფო ხელშეკრულებისათვის, რომელიც იმეორებდა კამპოფორმინის ზავის პირობებს. ხელშეკრულების თანახმად, საფრანგეთს გადაეცა რეინის მარცხენა სანაპიროზე არსებული ავსტრიის ტერიტორიები, ბელგია და ლუქსემბურგი. ხოლო ავსტრიის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი გახდა საფრანგეთის ვასალური

დაქვემდებარების ტერიტორია. ლიუნევილის ხელშეკრულების ხელმოწერით მეორე ანტიფრანგულმა კოალიციამ პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა.

ამრიგად, ნაპოლეონმა ავსტრია ფაქტობრივად მუხლებზე დაახოქა. საფრანგეთის საზღვრის გასწვრივ აღსდგა ვასალური რესპუბლიკების ჯაჭვი., რუსეთი გაცილებით ადრე გამოვიდა კოალიციის შემადგენლობიდან, ვიდრე დაიშლებოდა. პარიზი მზად იყო ხელი მოეწერა ინგლისთან საზავო ხელშეკრულებისათვის. ავსტრიის დამარცხების შემდეგ, ლონდონიც მზად იყო საზავო მოლაპარაკების დაწყებისათვის. ასეთი მოლაპარაკება შედგა. ლონდონში ხელი მოეწერა „წინასწარ საზავო“ პირობებს, ხოლო სამხედრო მოქმედებები ინგლისსა და საფრანგეთს შორის 1801 წლის ოქტომბრიდან შეწყდა. ქალაქ ამენში დაიწყო მოლაპარაკებების მეორე ტური, რომელიც გაგრძელდა უქვესი თვე. 1802 წლის 27 მარტს ამენში საფრანგეთთან საზავო ხელშეკრულებას (მასთან ერთად მისმა მოკავშირეებმა ესპანეთმა და ბატავის რესპუბლიკამ) ხელი მოაწერა მისმა შეურიგებელმა მოწინააღმდეგე ინგლისმა. შეთანხმების მიხედვით, ლონდონი თანახმა გახდა დაებრუნებინა საფრანგეთისათვის ზოგიერთი ფრანგული კოლონია, მაგრამ არ ცნო არც საფრანგეთის „ბუნებრივი საზღვრები“ და არც ვასალური რესპუბლიკები. მიღწეული იქნა შეთანხმება საფრანგეთის არმიის ეგვიპტიდან, კუნძულ ელბიდან და რომსა და ნეაპოლიდან ევაკუაციის შესახებ. საფრანგეთი თანახმა იყო თურქთისათვის ეგვიპტე დაებრუნებინა. ინგლისმაც აიღო გარკვეული ვალდებულება. კერძოდ, არ ჩარეულიყო ჰოლანდიის, იტალიის, შვეიცარიის, გერმანიული სახელმწიფოების საქმეებში, ასევე სამომავლოდ გაიყვანდა საქუთარ ჯარებს კუნძულ მალტიდან. ხელშეკრულების მესამე მუხლის თანახმად, ინგლისმა ასევე აიღო ვალდებულება, რომ ის საფრანგეთსა და მის მოკავშირეებს დაუბრუნებდა ყველა სამფლობელოს და ომების დროს დაპყრობილ კოლონიებს, ტრინიდატის და ცეილონის კუნძულების გარდა.

ამრიგად, ამენის ზავი იყო დროებითი შესვენება იმ პრძო-ლაში, რომელიც ორ ზესახელმწიფოს შორის მიმდინარეობდა სტრატეგიული ვაჭრობისა და კოლონიური ჰეგემონობისათვის. აშენარა იყო, რომ საფრანგეთმა, რაღაც მომენტში დაძლია კვე-ლა მისი მტერი. როგორც არ უნდა იქნეს შეფასებული ამენის ზავი, იგი იყო ორივე მხარისათვის ხანმოკლე შესვენება. მოცე-მულ მომენტში ინგლისს აწყობდა ზავი იმდენად, რამდენადაც მას სჭირდებოდა ევროპული ბაზარი, თუმცა მას ტვირთად და-აწვა მალტის დაკარგვა. საფრანგეთიც დარჩა მოგებული ამ ზავით. მას საშუალება მიეცა გადაეწყვიტა რიგი შიდა პრობლემები. ნაპოლეონი ინგლისთან ზავზე ხელისმოწერისას არც კი ფიქრობდა, რომ ინგლისელებისათვის გაეხსნა ევრო-პული ბაზარი. საფრანგეთი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ინგლისთან ზავი დროებითი იქნებოდა, ამიტომ იგი არმი-ითა და ფლოტის გაძლიერებით ემზადებოდა ახალი ომისათვის. ინგლისურ-ფრანგული ურთიერთობები დღითიდღე რთულდებო-და. 1803 წლის 12 მაისს ინგლისის ელჩმა დატოვა საფრანგეთის დედაქალაქი. ეს კი ამ ორ ქვეყნას შორის ომის დაწყების მანიშნებელი იყო.

### 7.3.2. მესამე ანტიფრანგული კოალიცია

ინგლისის და საფრანგეთის დაპირისპირებამ განსაკუთრებუ-ლი მნიშვნელობა შესძინა ევროპაში ძალთა კონფიგურაციას. ნა-პოლეონი ცდილობდა რაც შეიძლება მალე დაემორჩილებინა კველა ევროპული ქვეყანა. ხოლო უ. პიტი, რომელიც ამ პერიოდ-ში კვლავ გახდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი და განს-აზღვრა ინგლისის საგარეო პოლიტიკური კურსი, მტკიცედ მუ-შაობდა ახალი მესამე ანტიფრანგული კოალიციის ჩამოყა-ლიბებაზე. მისი შექმნის მომხრე ასევე იყო ავსტრიაც, რომელიც ცდილობდა რაც შეიძლება მალე გაეუქმებინა ლიუნევილის ხე-ლშეკრულება, რომელიც მისთვის მძიმე პირობებს შეიცავდა.

რაც შეეხება რუსეთს, აქ ალექსანდრე I დაიჭირა მკვეთრი ანტიფრანგული პოზიცია. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტიც, რომ პავლე I მკვლელობამ შეშფოთება გამოიწვია პარიზში. იგი თვლიდა, რომ 1801 წელს რუსეთში მომხდარი გადატრიალების უკან ინგლისი იდგა.

საიდუმლო ინსტრუქცია, რომელიც ალექსანდრე პირველმა მისწერა ნოვოსილცევს, რომელიც 1804 წლის 12 სექტემბერს გაიგზავნა საგანგებო მისით ინგლისში, საუბრობდა იმის შესახებ, რომ რუსეთის და დიდი ბრიტანეთის ძალების შეერთებით შექმნიდა ძლიერ ძალას და შესაძლებელი იქნებოდა უველაზე სასურველი შედეგების მიღწევა. ინსტრუქციაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთის სურვილი განპირობებული იყო იმით, რომ მას სურდა გაეთავისუფლებინა ტირანის ბატონობისაგან საფრანგეთი. ამრიგად, ალექსანდრე I, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებებს საფრანგეთთან კონტაქტის დასამყარებლად, იმავდროულად ცდილობდა ინგლისთან კავშირის შექვრას ნაპოლეონის წინააღმდეგ.

იმავე ინსტრუქციაში დაისვა საკითხი თურქეთის იმპერიის შესახებაც. პეტერბურგში ვარაუდობდნენ, რომ იმ პირობებში, როცა ევროპაში თურქეთის იმპერიის არსებობა შეუძლებელი გახდებოდა, ინგლისი და რუსეთი შეძლებდნენ შეთანხმებას იმაზე, თუ რა სახით შეიძლება გადაეწყვიტათ ამ ქვეყნის ცალკეული ნაწილების ბედი. ე.ი. რუსეთი აუცილებლად უნდა შეთანხმებოდა ინგლისს თურქეთის იმპერიის ევროპული ნაწილის გაყოფის შესახებ თუ ამისათვის შეიქმნებოდა სასურველი პირობები.

პრუსიის მეფე ფრიდრიხ III, რომელიც აფასებდა ნაპოლეონის პრუსიის ტერიტორიაზე შეჭრის საშიშროებას, გადაჭრით უარი თქვა სამი ქვეყნის წინადადებაზე კოალიციის შექმნის თაობაზე. მან განაცხადა, რომ პრუსიის არმია ბრძოლას გამოუცხადებდა მას, ვინც შეეცდებოდა მისი ქვეყნის ნეიტრალიტეტის დარღვევას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მისი ქვეყნა არ გამოვიდოდა საფრანგეთის წინააღმდეგ.

პრუსიის მეფემ არაერთხელ შეცვალდა თავისი პოზიცია ეპ-როპაში ძალთა ახალი კონფიგურაციის მოწყობის და შექმნილი ვითარების შესაბამისად. მაგ., როცა საფრანგეთმა ბავარიის წინააღმდეგ გაგზავნა თავისი ჯარები პრუსიის გავლით, მან ასევე განაცხადა მზადყოფნა, მიეცა თანხმობა თავის ქვეყანაში რუსული არმიის შესვლაზე. მეფემ ამ გადაწყვეტილებაზე მალე უარი თქვა.

1803 წელს ინგლისთან ომი განახლდა. ხოლო 1804 წელს ჩამოყალიბდა მესამე ანტიფრანგული კრალიცია, რომელშიც შევიდნენ ინგლისის, რუსეთის, ავსტრიის და ნეაპოლიის სამეფო.

ავსტრიამ, რომელსაც ფრიდრიხ III დახმარების იმე-დი ჰქონდა, ვერაფერი ვერ შეძლო, რამდენადაც 1805 წლის 20 ოქტომბერს 32 ათასიანი ავსტრიული არმია ულმის ახლოს ალ-ყაშემორტყმული და განადგურებული იქნა ნაპოლეონის მიერ. 13 ნოემბერს ფრანგული არმია შევიდა ვენაში. თუკი ხმელეთზე ნაპოლეონმა გამარჯვება მოიპოვა, მაშინ ზღვაზე სხვა სიტუაცია იყო. კერძოდ, 1805 წლის 21 ოქტომბერს ნელსონმა ტრაფალგარ-თან ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთ-ესპანეთის ფლ-ოზე. საფრანგეთის ამ დამარცხებამ დაასამარა ნაპოლეონის გეგმები ინგლისში დესანტის გადასხმის შესახებ.

ულმთან განცდილი მარცხის შემდეგ, ავსტრიის არმიის და-რჩენილი ნაწილებისთვის თითქმის შეუძლებელი იყო რაიმე ქმე-დითი დახმარების აღმოჩენა როგორც პრუსიის, ისე ევროპის ცენტრში მყოფი რუსული ნაწილების მხრიდან. კუტუზოვმა გაითვალისწინა ექროპაში შექმნილი სიტუაცია, ფრანგული არმ-იის რიცხობრივი უპირატესობა და თავი აარიდა ფრანგებთან შეტაკებას. მან თავისი არმია აღმოსავლეთის მიმართულებით წაიყვანა, სადაც იმყოფებოდნენ რუსული არმიის ნაწილები და დამარცხებული ავსტრიის არმიის ნარჩენები. შექმნილ ვითარება-ში კუტუზოვი საჭიროდ თვლიდა რუსულ საზღვრებთან გადასვ-ლას, რათა დრო მოეგო, დაესვენა და არმია შეევსო. ამის მიუხ-დავად, ალექსანდრე I, რომელიც მხარს უჭერდა ავსტრიის იმპერატორს განწყობილი იმ სულისკვეთებით, რომ ნაპო-

ლეონთან დაუყოვნებელი ომი ეწარმოებინა და საკუთარ თავზე აიღო არმიის მეთაურობა. თუმცა, 1805 წლის 2 დეკემბერს ნაპოლეონმა დეკემბერში აუსტრიულიცთან სრულად გაანადგურა ავსტრია-რუსეთის არმია. პრუსიამ უარი თქვა მოკავშირისათვის დახმარების გაწევაზე, ხოლო რუსელი არმია რუსეთში დაბრუნდა. ამის შემდეგ ავსტრიამ კაპიტულაცია გამოაცხადა და 1805 წლის 26 დეკემბერს ხელი მოაწერა პრესბიტერის საზავო ხელშეკრულებას საფრანგეთან. ზავის მიხედვით საფრანგეთს გადაეცა კოფილი ვენეციის რესპუბლიკის ტერიტორია. ე.ი. ავსტრიამ ცნო ალპების იქთა სამფლობელოზე საფრანგეთის უფლებები, ხოლო იტალიის მეფედ – საფრანგეთის იმპერატორი. ასევე მოხდა საფრანგეთის მოკავშირებისათვის ტერიტორიული დათმობებიც: კერძოდ, ბავარიამ ავსტრიისაგან მიიღო ტიროლი და ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, ვიუტემბერგმა – ხუთი დუნაის ქალაქი და ტერიტორიის მცირე ნაწილი. გარდა ამისა, ავსტრია ვალდებული იყო საფრანგეთისათვის გადაეხადა 40 მილ. ფორინტო კონტრიბუცია.

ამრიგად, ნაპოლეონის იმპერია ბალკანეთამდე გავრცელდა და დაუმტხობლდა თურქეთის სულთნის იმპერიას. მესამე ანტიფრანგული კოალიცია დაიშალა.

### 7.3.5. მეოთხე ანტიფრანგული კოალიცია და ტილზიტის შეთანხმება

მესამე ანტიფრანგული კოალიციის დამარცხებამ ნაპოლეონის პოზიციები ევროპაში კიდევ უფრო განამტკიცა. ევროპაში მოვლენები თავისი რიგით ვითარდებოდა. ინგლისის პრემიერ-მინისტრის უ. პიტის გარდაცვალების შემდეგ, ლონდონში დაიწყეს ფიქრი ინგლის-საფრანგეთის დაახლოებაზე. ეს კონტინენტზე სიტუაციასაც შეცვლიდა იმ მხრივ, რომ კიდევ უფრო გაუარესდებოდა პრუსიის მდგომარება. ვინაიდან მის საზღვრებთან ნაპოლეონის მნიშვნელოვანი ძალები იყო თავმოყრილი. პრუსიის მეფეს შეემინდა ნაპოლეონის რეინის მარჯვენა სანაპიროზე განმტკიცებას, სადაც ამ უკანასკნელმა 16 სახელ-

შეიფოსაგან შემდგარი კავშირი შექმნა. პრუსიის მეფემ დახმარებისათვის მიმართ ალექსანდრე I. ის დაპირდა დახმარების. საფრანგეთის პრუსიასთან ომის შემთხვევაში დახმარების გაწევაზე თანხმობა განაცხადა შვეციამ და ინგლისმაც. ამრიგად, კვლავ შეიქმნა ანტიფრანგული კოალიცია ინგლისის, რუსეთის, შვეციის და პრუსიის შემადგენლობით. თუმცა მან დიდხანს ვერ იარსება. ნაპოლეონი შეიჭრა საქსონიასა და პრუსიაში. 1806 წლის ოქტომბერში იენთან და აუერშტადთან პრუსიამ სასტიკი მარცხი განიცადა. ფრანგები ბერლინში შევიდნენ.

აღსანიშნავია, რომ წმინდა სამხედრო თვალსაზრისით 1806 წლის კამპანიას პქონდა შორს მიმავალი პოლიტიკური შედეგები როგორც საფრანგეთისათვის, ასევე მთელი ევროპისათვის. სწორედ 1806 წლის 21 ნოემბერს, ბერლინში ნაპოლეონმა ხელი მოაწერა დეკრეტს კონტინენტური ბლოკადის შესახებ, რომელიც მიმართული იყო ინგლისის წინააღმდეგ. დეკრეტის პირველი მუხლი ითვალისწინებდა, რომ „ბრიტანეთის კუნძულები გამოცხადებულია ბლოკადის მდგომარეობაში”, აიკრძალა ევროპული ქვეყნების ვაჭრობა ინგლისთან ყველა სახის საქონლით. ყველა ინგლისელი, ვინც იმყოფებოდა საფრანგეთის მოკავშირეების ტერიტორიაზე, დაუყონებლივ უნდა დაეპატიმრებინათ. ასევე უნდა მომხდარიყო ინგლისური საქონლის კონსიფიკაცია. აღნიშნული დეკრეტი სწორაფად დაიგზავნა ყველა სახელმწიფოში. იმპერატორი დარწმუნებული იყო, რომ მიაღწია ბრიტანეთის კუნძულების საერთო ევროპულ ბლოკადას. ინგლისი, ანტიფრანგული კოალიციის დამფინანსებელი და სულიერი მოიცვა, რამდენადაც მისი მთელი ძლიერება მოდიოდა სახლვაო ვაჭრობაზე და ისიც ევროპის კონტინებზე.

1806 წლის ბოლოს და 1807 წლის დასაწყისში სამხედრო კამპანია გაგრძელდა პრუსიაში. მას დახმარებას უწევდა რუსული არმია. სისხლისმდგრელი ბრძოლა პრეისიშ-ეილთან თანაბარი შედეგებით დასრულდა. თუმცა, 1807 წლის 14 ივნისს ფრიდლანდთან (აღმოსავლეთ პრუსია) განცდილი მარცხის შემდეგ,

სადაც ნაპოლეონმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა, საბოლოოდ გადაწყდა პრუსიის ხედი. ამ ბრძოლამ გამოიწვია ცვლილებები რუსეთის საგარეო პოლიტიკაშიც. რუსეთის იმპერატორი ექცევს საფრანგეთთან დაახლოების გზებს.

ალექსანდრე I საგარეო პოლიტიკური კურსის გადახედვას ხელი შეუწყო ინგლისის პოლიტიკამაც, რომელიც ჩვეულებისამებრ კველას პპირდებოდა დახმარებას და ცდილობდა ყოველთვის სხვისი ხელებით წარმატების მიღწევას. რუსეთის იმპერატორის გარემოცვაში არ იყო ცალსახა აზრი საფრანგეთთან დაახლოების შესახებ. ამის მიუხედავად კველა თანხმდებოდა იმ აზრს, რომ აუცილებელია დასრულდეს ომი და დამყარდეს მშვიდობა. მთავარი საკითხი, რომელიც რუსეთში განიხილებოდა იყო ის გარემოება თუ რა სახის დათმობაზე უნდა წასულიყო რუსეთი პარიზთან. რუსეთი მზად იყო უარი ეთქვა ინგლისთან კავშირზე, ასევე ეცნო კველა ის ცვლილება, რომელიც მოხდა ევროპაში XIX ს-ის პირველ წლებში. პეტერბურგში სურდათ მიეღწიათ იმისათვის, რომ საფრანგეთი არ ჩარეულიყო რუსეთ-ურქეთის ურთიერთობებში, ასევე მიეღწია პრუსიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენარჩუნებისათვის. საფრანგეთთან კავშირით რუსეთი ცდილობდა განემტკიცებინა თავისი პოზიციები ევროპაში.

ნაპოლეონს სურდა რუსეთთან საკავშირო ურთიერთობების დამყარება. მთავარ პირობად ის აყენებდა რუსეთის შეერთებას კონტინენტური ბლოკადისათვის. პეტერბურგში რეალურად აფასებდნენ ინგლისის ხელისუფლების მოქმედებებს; ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ აუცილებელი იყო პრუსიის გადარჩენა. ორმხრივი ინტერესები კალობაზე მიღწეული იქნა შეთანხმება ალექსანდრე I- და ნაპოლეონის შეხვედრაზე. შეხვედრა შედგა 1807 წლის 25 ივნისს ტილზიგში მდ. ნემანის სანაპიროსთან. ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობის საჭიროებას მიიჩნევდა ალექსანდრე I და ნაპოლეონიც. ეს უკანასკნელი, რომელმაც მოიგო რიგი ბრძოლები და რუსული არმია აიძულა ნემანის იქეთ წასულიყო, თვლიდა რომ რუსეთზე თავდასხმა ნაადრევი იყო. იგი

აუცილებლად თვლიდა საკმარისი არმიის შეკრებას და რუსეთის გამოყენებას ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში. ალექსანდრემ რიგი წარუმატებლობები განიცადა ბრძოლაში, დაკარგა მოკავშირეები, გული გაუტყდა ინგლისზე. ის შეუძლებლად თვლიდა ომის გაგრძელებას და იმედოვნებდა სახელმწიფოს შიდა მდგომარეობის განმტკიცებასა და თურქეთთან ბრძოლის მოგბას\*. ასევე, თავისი საქმის გადაწყვეტას ჩრდილოეთში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საზავო ხელშეკრულების დადება ორივე ქვეყნის ინტერესებში შედიოდა.

1807 წლის 8 ივნისს ტილზიტში ხელი მოეწერა საფრანგეთ-რუსეთის საზავო და სამხედრო კავშირის ხელშეკრულებას. ტრაქტატი კავშირის შესახებ რჩებოდა საიდუმლოდ. საიდუმლო მუხლებს შეიცავდა საზავო ხელშეკრულებაც.

ამ შეთანხმებებით, რუსეთი კონტინენტურ ბლოკადას შეუზრდა. პრუსიამ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა შეკვეცილი ტერიტორიის ხარჯზე ალექსანდრე I დაუინგბული მოთხოვნით. პრუსიის ადგენის შესახებ საკითხის განხილვის დროს, რასაც ალექსანდრე კატეგორიულად მოითხოვდა, ნაპოლეონი გამოვიდა კონტრწინადადებით პოლონეთის და მისი ტერიტორიების მიმართ, რომელიც მესამე გაყოფის შემდეგ გადავიდა პრუსიის ხელში. მან წამოაყენა წინადადება რუსეთს შეერთებოდა ყველა მიწა ნებანიდან ვისლამდე, რაც ფაქტობრივად, პრუსიის ლიკვიდაციას გამოიწვევდა. მაგრამ ალექსანდრე არ დათანხმდა ამას. იგი შეუთანხმდა ნაპოლეონს პრუსიის შენარჩუნებაზე, რომელმაც დაკარგა თავისი მიწები ელბის მარცხენა სანაპიროზე. საზავო ხელშეკრულების მე-4 მუხლი საუბრობს, რომ ნაპოლეონმა რუსეთის იმპერატორის საპატივცემულოდ და ორი ერის შეერთების ღრმა ნდობითა და ურყევი მეგობრობის გამოთქმის სურვილით თანახმაა, მის აღმატებულებას პრუსიის მეფეს, მისი აღმატებულების სრულიად რუსეთის იმპერატორის, მოკავშირეს დაუბრუნოს საფრანგეთის მიერ დაპყრობილი ყველა ქვეყანა, ქალაქი და მიწა. კერძოდ, მაგდენბურგის ნაწილი, ბრან-

\* ამ დროს რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა

დერბუგი, კოტბუსი, პომერანია, სილეზია, ნეცის ოლქი და ის მიწები, რომელიც პრუსიას ეკუთვნოდა აღმოსავლეთში 1772 წლის 1 იანვრამდე. ამრიგად, რუსეთმა გადაარჩინა პრუსიის სამეფო არა მარტო დიდი ტერიტორიების არამედ სახელმწიფო-ებრიობის დაკარგვისაგანაც.

ზავის თანახმდ, პოლონეთის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც პრუსიას ეკუთვნოდა, შეიქმნა საფრანგეთის იმპერიაზე დამოკიდებული ვესტაფლიის სამეფო და ვარშავის საერცოგო. ეს უკანასკნელი მოგვიანებით განაცხადებს პრეტენზიას იმ მიწებზე, რომელიც გაყოფის შემდეგ გადაეცა პეტერბურგს. ბელოსტოკის ოლქი რუსეთ-პრუსიის საზღვარზე გადაეცა რუსეთს. რუსეთი თანახმა იყო საფრანგეთის შუამავლობაზე თურქეთთან ზავის გაფორმებისას, ხოლო საფრანგეთი რუსეთის შუამავლობაზე ინგლისთან ზავის დადებისას.

საფრანგეთ-რუსეთს შორის გაფორმებული აღნიშნული ხელშეკრულებით მიღწეული იქნა ნაპოლეონის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. რუსეთს თმი უნდა გამოეცხადებინა ინგლისისათვის, თუკი ეს უკანასკნელი უარს იტყოდა მის შუამავლობასა და ზავის დადებაზე. თავის მხრივ, საფრანგეთმა აიღო ვალდებულება რუსეთთან ერთად გამოსულიყო თურქეთის წინააღმდეგ, თუკი თურქეთი უარს იტყოდა საფრანგეთის შუამავლობაზე და ჩაიშლებოდა მოლაპარაკებები.

ტილზიტის შემდეგ რუსეთი შეუერთდა კონტინენტურ ბლოკადას, რაც არ შედიოდა მის სავაჭრო ინტერესებში. ვინაიდან ინგლისიდან საქონლის შემოტანაზე უარის თქმამ ქვეყნის ეკონომიკას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. დაიწყო რუსეთის საგარეო ვაჭრობის შემცირება, მოიმატა ფასებმა იმპორტირებულ საქონელზე იმდენად, რამდენადაც ინგლისი იყო რუსეთის სავაჭრო ტკირთების საზღვაო გადამზიდი. ყველაფერმა ამან კი ქვეყანას დიდი ფინანსური ზარალი მიაყენა. რეალურად კი, საფრანგეთთან მიღწეული ზავი მხოლოდ ომის მანიშნებელი იყო, რომელიც გადაიდო მხოლოდ 1812 წლამდე. მეოთხე კოალიცია დაიშალა.

ამრიგად, რუსეთმა ადიარა ნაპოლეონის მიერ ძირფესვიანად შეცვლილი ევროპის პოლიტიკური რუსი. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა საერთაშორისო ურთიერთობების ტილზიტის სისტემის შექმნას, სადაც დომინირებული მდგომარეობა საფრანგეთს ეკუთვნოდა და სადაც ურთიერთობების ახალი წესები შემოვიდა.

რეალურად, საფრანგეთს კონტინენტურ ევროპაში არ ჰყავდა სერიოზული მეტოქე. შეიქმნა ერთიანი ევროპული სივრცე ფრანგული დომინაციო. ყველა წამყვანი კონტინენტური ევროპული სახელმწიფო საფრანგეთთან რაღაც ვალდებულების ამღები ხელშეკრულებით იქნა დაკავშირებული. ევროპული საერთაშორისო წესრიგის გარანტი უნდა ყოფილიყო არა ძალთა ბალანსი, არამედ ერთი ჰეგემონის – საფრანგეთის არსებობა. ამრიგად, ევროპულ საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში ჰეგემონურობის პრინციპს უნდა დაქვემდებარებოდა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები.

ტილზიტის შემდეგ რუსულ-ფრანგულ ურთიერთობებს მაღებაუნდა ბზარი. ნაპოლეონი დაპირდა ალექსანდრეს, რომ არ ჩაერეოდა რუსეთის ბრძოლაში შვეციასთან ფინეთის (შეერთების) საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ ეს იყო საქმაოდ მიზერული კომპენსაცია იმ ზარალთან შედარებით, რასაც რუსეთი კონტინენტურ ბლოკადასთან შეერთების გამო განიცდიდა. კონტინენტური ბლოკადით უგმაყოფილონი იყვნენ სხვა ევროპული ქვეყნებიც. ამდენად, სხვა დანარჩენთან ერთად, ახალი ანტიფრანგული კოალიციის შექმნისათვის საფუძველიც არსებობდა. ასევე, აშკარა იყო, რომ ტილზიტის მოცმული სისტემაც უდღეური იქნებოდა.

### 7.3.6. მეხუთე ანტიფრანგული კოალიცია და შენბრუნის ხელშეკრულება

რუსეთის მხრიდან ნეიტრალიტეტის მიღწევის შემდეგ, ნაპოლეონმა 1808 წლიდან კვლავ განაახლა ესპანეთის დაპყრობისათვის ბრძოლა. ოუკი მან პორტუგალია შედარებით ადგილად დაიმორჩილა, ესპანეთში პირიქით, საქმაოდ სერიოზულ წინააღმ-

დეგობას წააწყდა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. აქ დაიწყო განმათავისუფლებელი პარტიზანული მოძრაობა. პირენეფიზე ნაპოლეონის გართულებული მდგომარეობა იმთავითვე გამოიყენა ინგლისმა და ავსტრიამ. 1808 წელს მათ შექმნეს მეხუთე ანტიფრანგული კოალიცია. პრუსიაში, სადაც იზრდებოდა უქმაყოფილება საფრანგეთის პოლიტიკის გამო, მოუთმენლად ელოდნენ ავსტრიის გამოსვლას. ნაპოლეონმა, რომელმაც იცოდა ავსტრიის განზრავა, გადაწყვიტა მის წინააღმდეგ გამოეჭებინა ახალი მოკავშირე რუსეთი. ამისათვის მან ალექსანდრე I მოლაპარაკებების წარმოებაზე მიიწვია. შეხვედრა შედგა ქალაქ ერფურტში. 1808 წლის 12 ოქტომბერს ორივე მხარის წარმომადგენლებმა საფრანგეთიდან ჟ.პ. დე შაპანმა და რუსეთიდან ნ.პ. რუმეინცემა ხელი მოაწერეს კონვენციას რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შესახებ. კონვენციით კიდევ ერთხელ დადასტურდა ტილიზიტის ზავის პირობები. ინგლისთან მიმართებით ორი იმპერატორი შეთანხმდა, რომ იმოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით. ამ კუთხით ზავის ნეიტრალური პირობები განპირობებული იყო იმით, რომ ინგლისს ეცნო ფინანსებით და მოლდავეთი რუსეთისათვის და ესანერტში საფრანგეთის მიერ ახალი კოლონიალური რეჟიმის დამყარება. კონვენციაში საუბარი იყო რუსეთის და საფრანგეთის პოზიციების შესახებ თურქეთთან და ავსტრიასთან მიმართებით. იმ შემთხვევაში, ოუკი თურქეთის იმპერია უარს იტყოდა რუსეთის მიერ შეთავაზებულ პირობებზე, რომელიც მოცემული იყო კონვენციის მე-10 მუხლში და გააჩადებდა ომს, მაშინ საფრანგეთის იმპერატორი არ მიიღებდა არანაირ მონაწილეობას მასში. მაგრამ ოუკი ავსტრია, ან რომელიმე სხვა სახელმწიფო შეუერთდებოდა თურქეთის იმპერიას ამ ომში, მაშინ საფრანგეთის იმპერატორი გამოვიდოდა რუსეთის მხარეს და პირიქით, იმ შემთხვევაში თუკი ავსტრია ომს გამოუცხადებდა საფრანგეთს, მაშინ რუსეთის იმპერატორი საფრანგეთის მხარეს გამოვიდოდა.

ვერც ხელმოწერილმა კონვენციამ და ვერც მეგობრობის საჯარო დემონსტრირებამ ვერავინ მოატყუა. ერფურტში მიმდ

ინარეობდა ბრწყინვალე პარადები, სადღესასწაულო გახშამები, ორივე იმპერატორი საჯაროდ დემონსტრირებას უკეთებდა თავიანთ მეგობრობასა და პატივისცემას. თუმცა შეხვედრის მონაწილეები მიუთითებდნენ იმაზე, რომ ერფუტიდან ნაპოლეონი წავიდა მოღუშული, გადიზიანებული: ჩანდა რომ რუსეთ—საფრანგეთ შორის ურთიერთობები მხოლოდ კარგ სურვილად რჩებოდა.

ერფუტის შეხვედრა, რომელიც ტილზიტის შემდეგ პირველი დიდი შეხვედრა იყო ევროპის ორი წამყვანი სახელმწიფოსი, აშკარად აჩვენებდა ტილზიტის სისტემის უდღეულობას. ეს იყო მხოლოდ დროებითი გარიგება (რა თქმა უნდა, რუსეთის მხრიდან იძულებითი) რუსეთ—საფრანგეთ შორის.

ნაპოლეონის ასეთი დიპლომატიური დემარშების მიუხედავად, მეხუთე ანტიფრანგული კოალიცია მაინც შედგა. მასში იმთავითვე არ იყო წარმოდგენილი ის ძალები, რომელიც შეძლებდა ნაპოლეონის ამბიციების შეჩერებას. სუსტი ავსტრია არ წარმოადგენდა იმ ქვეყანას, რომელსაც სერიოზული საბრძოლო მოქმედებების უნარი ექნებოდა. კონტინენტურ ევროპაში ასევე მიზერული იყო ინგლისის ძალების მონაწილეობა, ვინაიდან თითქმის ყველა ევროპულ პორტებს ნაპოლეონი აკონტროლებდა. საფულისხმოა ის ფაქტიც, რომ ავსტრიის მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ დაწყებულ ოში რუსეთს მონაწილეობა არ მიუღია, რასაც ერფუტის კონვენციაც ითვალისწინებდა. აშკარა იყო, რომ საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობების გარეგნული ბრწყინვალების მიუხედავად, ამ თრ ქვეყანს შორის სერიოზული დაპირისპირება არსებობდა.

1809 წლის ივლისში ვაგრამთან გამართულ ბრძოლაში ისევ ფრანგებმა მოიპოვეს გამარჯვება. 1809 წლის 14 ოქტომბერს შევბრუნში დაიდო ზავი, რომლის თანახმად, ავსტრია შეუერთდა კონტინენტურ ბლოკადას. ზავის თანახმად, საგრძნობლად შემცირდა ავსტრიის ტერიტორიაც. მან დაკარგა გალიცია და ბალკანეთის მიწების ნაწილი. ავსტრია გახდა ნაპოლეონის თამაშის მორჩილი მონაწილე. როგორმე რომ გაუღიზიანებინა

ალექსანდრე, მან გალიცია რუსეთს კი არ გადასცა, როგორც ეს ომის დაწყების წინ დაპირდა, არამედ ვარშავის საერცოგოს. თუმცა, რუსეთმა მიიღო ტარნოპოლი და მისი ოლქი. როგორც მოგვიანებით თავად ნაპოლეონი ადნიშნავდა, რუსეთს მან ტარნოპოლი იმიტომ გადასცა, რომ ამით სურდა რუსეთ-ავსტრიის დაპირისპირება გამოეწვია.

ამრიგად, მეოთხე ანტიფრანგულმა კოალიციამაც ვერ მიაღწია მიზანს. ნაპოლეონის წარმატებები ევროპაში აშკარა იყო. დასავლეთ და ცენტრალურ კონტინენტურ ევროპაში ყველა ძირითადი და პოტენციური მოწინააღმდეგების დამორჩილების შემდეგ, ნაპოლეონმა თავისი მთავარი მიზნის, რუსეთის დაპყრობის – განხორციელებისათვის დაიწყო მოქმედებები. თუმცა, მანამდე რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობებში პოლონეთის საკითხმა განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა და არც თუ შემთხვევით. პოლონეთი ნაპოლეონის გეგმებში მნიშვნელოვან აღგილს იკავებს რუსეთზე მოსალოდნელი თავდასხმის პირობებში.

#### 7.4. პოლონეთის საკითხი რუსულ-ფრანგულ ურთიერთობებში

1795 წელს პოლონეთის მესამე გაყოფით არ დასრულებულა ამ პრობლემის განხილვა ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში. ნაპოლეონის ომების დროს ეს საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში. ამ დროს პოლონეთის საკითხი მდგომარეობდა შემდეგში. ჯერ კიდევ, XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის იმპერატორთან ერთ-ერთი დაახლოებული პირი თავადი ადამ ჩარტორისკი გამოვიდა ინიციატივით აღედგინათ პოლონეთის სახელმწიფო. მისი წინადადებით რეჩ-პოსტოლიტა მის ადრეულ საზღვრებში უნდა აღდგენილიყო (ე.ი ლიტვის, ბელორუსის, და უკრაინის მიწებთან ერთად), ოღონდაც ალექსანდრე I კვერთის ქვეშ. რუსეთი იმპერატორი იმავდროულად პოლონეთის მეფეც უნდა ყოფილიყო. თვით ალექსანდრე I ამ გეგმას უყურებდა არა

როგორც რეალურ პოლიტიკურ პროგრამას, არამედ როგორც დიპლომატიური ზეგავლენის საშუალებას პრუსიის მიმართ, რომელიც რუსეთთან მიმართებით მერყევ პოლიტიკას ატარებდა. ყოველივე ამის შედეგად, ალექსანდრე I შეძლო კავშირი ფრიდრიხ III-თან. პარალელურად, ალექსანდრე ასევე მისწრაფოდა განემტკიცებინა თავისი პოზიციები პოლონელ შლიახებს შორისაც. რაც მიმართული იყო პოლონეთში რუსეთის პოზიციების განმტკიცებისაკენ.

პოლონეთის მიმართ თავისი ინტერესი გააჩნდა ნაპოლეონსაც. მას პოლონეთი აინტერესებდა, როგორც სამხედრო პლატფორმი რუსეთის წინააღმდეგ და მას თვლიდა მომგებიან კარტად დიპლომატიურ თამაშშიც, თუნდაც, ისევ რუსეთთან მიმართებით. 1807 წლის 14 ივნისს ფრიდლანდთან ფრანგული არმიის გამარჯვების შემდეგ დაიწყო რუსულ-ფრანგული მოლაპარაკებები ტილზიგში. ნაპოლეონი შეეცადა პოლონეთის მიწები და პოლონეთის გვირგვინი გამოყენებინა, როგორც სატყუარა რუსეთის მეფისადმი. საზაფო მოლაპარაკების დროს, ალექსანდრე I და ნაპოლეონმა დადგის შეთანხმება ვარშავის საერცოგოს შექმნის შესახებ. იგი შეიქმნა პოლონეთის იმ მიწებისაგან, რომელიც მიიტაცა პრუსიამ რენ-პოსპოლიტას მეორე და მესამე გაყოფის შედეგად. საერცოგოს სათავეში დაინიშნა საქსონიის მეფე ფრიდრიხ ავგუსტი. გდანსკი და მისი ოლქი გამოცხადდა თავისუფალ ქალაქად. ბელოსტოკის ოლქი გადაეცა რუსეთს. პრუსიამ შეინარჩუნა მიწების ის ნაწილი, რომელიც მიიღო პოლონეთის პირველი და მეორე დაყოფის შედეგად. 1807 წლის 22 ივნისს ნაპოლეონმა პოლონელებს კონსტიტუცია მისცა, რომლის მიხედვითაც, იგი თვითონ იყო რეალური მმართველი იმ საერცოგოსი, რომელსაც ის მარიონეტული ხელისუფლებით ახორციელებდა.

ნაპოლეონი ყოველთვის მოითხოვდა საერცოგოს ხელისუფლებისაგან სამხედრო-მატერიალურ დახმარებას. პოლონეთმა ნაპოლეონის განკარგულებაში 40 ათასიანი არმია მოაქცია. 1808 წლის შემოდგომაზე სამი პოლონური არმიის პოლკი ჩავიდა

ესპანეთში აჯანყებული ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად. ნაპოლეონი ასევე ემზადებოდა ავსტრიასთან ახალი ომისათვის და მის სამხრეთ და დასავლეთ საზღვრებონ თავს უკრიდა მსხვილ სამხედრო ძალებს და ამით ის პოლონეთს სრულიად დაუცველს ტოვებდა. აღნიშნული მდგომარეობით ისარგებლეს ვენაში და 23 აპრილს ავსტრიელები შეიჭრნენ ვარშავაში. მაგრამ მთლიანობაში ომი წარმატებული აღმოჩნდა პოლონეთისათვის. მიუხედავდ იმისა, რომ პოლონეთის საერცოგო არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1809 წლის 14 ოქტომბრის ვენის საზაფო ხელშეკრულებით, მან ავსტრიისაგან მიიღო გალიციის დასავლეთი, ზამაის ოლქი და ზოგიერთი ტერიტორია მდ. ვისლას მარჯვენა სანაპიროზე.

1809 წლის შემდეგ ევროპაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია უკვე მეტყველებდა რუსეთსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობებში დაპირისპირების ზრდის შესახებ. ნაპოლეონის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის მომზადებაში პოლონეთს განსაკუთრებული როლი დაეკისრა. ამ მიმართებით რუსეთმა ორ გარემოებას მიაქცია ყურადღება. პირველი, პოლონეთს პეტერბურგი ამ შემთხვევაში განიხილავდა, როგორც მტრული სამხედრო მოქმედებების განხორციელების პლაცდარმს; მეორე, როგორც შლიახტური უკმაყოფილების წყაროდ ლიტვის, ბელორუსიის და უკრაინის მიწებზე, რომელიც ადრე შედიოდა რეს-პოლიტის შემადგენლობაში.

ალექსანდრე I უკმაყოფილო იყო საფრანგეთის საოპერაციო ჯარების არსებობით საერცოგოში და ავსტრიის და პრუსიის დასუსტებით, რომლებსაც ის მიიჩნევდა თავის მომავალ მოკავშირეებად ნაპოლეონთან ბრძოლაში.

ნაპოლეონმა საქმაოდ დიდ ფრანგულ არმიას მოუყარა თავი რუსეთის საზღვრებთან და ვარშავის საერცოგოში. 1810 წლის საფრანგეთ-რუსეთის კონვენციას, რომლის საფუძველზეც საფრანგეთმა აიღო ვალდებულება არ გაეფართოვებინა საერცოგოს საზღვრები, ნაპოლეონმა უარი თქვა მის რატიფიცირებაზე და

გააგრძელა ალექსანდრე I შანტაუირება „პოლონეთის აღდგენის” საკითხით.

პოლონეთის საკითხი კიდევ უფრო გააქტიურდა ევროპულ პოლიტიკაში ნაპოლეონის რუსეთშე თავდასხმის შემდეგ. კერძოდ, რუსეთში განცდილი მარცხის შემდეგ, ფრანგების უკან დახევის კვალდაკვალ რუსული არმიის წინსვლას მოჰყვა ვარ-შავის დაკავება რუსების მიერ. ევროპის სახელმწიფოები ცდილობენ ანტიფრანგულ კოალიციაში გაერთიანებას. ეს პირველ რიგში გააკეთა პრუსიამ და ავსტრიამ, რუსეთის მოწინააღმდეგებმა პოლონეთის საკითხში. რუსეთს არ სურდა გაეუარესებინა ურთიერთობა პოლონეთთან და ავსტრიასთან. რეიხენბარხში, ავსტრიასთან მოლაპარაკების დროს, ალექსანდრემ საკმაოდ ფრთხილი პოზიცია დაიჭირა, როცა საკითხი პოლონეთს შეეხო. რუსეთ-პრუსის კონფენცია კი ითვალისწინებდა პოლონეთის აღდგენას 1806 წლამდე არსებულ საზღვრებში. ინგლისმა მოიწონა პოლონეთის სამეფოს შექმნის გეგმა, მაგრამ ვინაიდან ომი მიმდინარეობდა საფრანგეთთან და 1813 წლის ზაფხულში რუსული არმია აგრძელებდა წინსვლას და წარმატებებს დასავლეთის მიმართულებით ინგლისი აიძულა პოლონეთის საკითხთან მიმართებით რუსეთის საწინააღმდეგო პოზიცია დაეჭირა. ვილსონმა ურჩია პრუსიას, რომ მას შეენარჩუნებინა გდანსკი და ავსტრიას, რომ არ გადაეცა ზამოსტია რუსებისათვის, ხოლო თვით ჩარტორისკს ურჩია პრუსიის ორიენტაციის აღება.

მთლიანობაში, ინგლისი შეეცადა მიეღწია, რომ პოლონეთის საკითხი გადაუწყვეტელი დარჩენილიყო, რათა იგი გამოეყენებინა თავისი დიპლომატიური ინტრიგებისათვის რუსეთის და სხვა ევროპული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, პოლონეთის საკითხის გარკევევა დღის წესრიგში დადგა და საკმაოდ მწვავედ ვენის კონგრესზეც.

7.5. ნაპოლეონის თავდასხმა რუსეთზე, პირველი სერიოზული წარუმატებლობა და მექქსე ანტიფრანგული კოალიციის ჩამოყალიბება

7.5.1. ნაპოლეონის რუსეთზე წარუმატებელი თავდასხმა და დამარცხება

ნაპოლეონი, რომელიც ამ დროისათვის თითქმის მთელი ევროპის მმართველი იყო, მიისწრაფოდა მსოფლიო ბატონობისკენ. მაგრამ ამ გზაზე მას რუსეთი ელობებოდა წინ, რომელიც მისი აზრით, მზად იყო გაესრისა. იგი იმედოვნებდა რუსეთის ეკონომიკურ დასუსტებას, რომელიც მიღწეული იქნებოდა მეგობარ ქვეყნებთან კავშირების მოსპობით. სწორედ ამიტომაც ჩართო რუსეთი მან კონტინენტურ ბლოკადაში. ამ გადაწყვეტილებამ რუსეთში სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. პეტერბურგი იძულებული იყო ეკონომიკური მოსაზრებებით შემოედო პროტექციონისტული გადასახადები ფრანგულ საქონელზე. პარიზში რუსეთის ეს ნაბიჯი აღიქვეს როგორც ეკონომიკური ომის გამოცხადება. ნაპოლეონმა დააჩქარა რუსეთთან ომისთვის მზადება. მან შეძლო მილიონ 200000 ჯარისკაცის მობილიზება. მოსკოვზე ლაშქრობისათვის კი 600000 ადამიანი შეკრიბა ეს ის ხალხი იყო, რომლებიც სხვადასხვა ომებში მას ყოველთვის ახლდა. არმიის განკარგულებაში 1372 ქვემეხი იყო. რუსეთის საზღვრის გასწვრივ სხვადასხვა ქალაქში შეიქმნა სამხედრო ლოგისტიკის ბაზები. ნაპოლეონის არმიას დიდი რეზერვი ჰქონდა. საგანგებო მომზადების შემდეგ, 1812 წლის 24 ივნისს საფრანგეთი თავს დაესხა რუსეთს. მაგრამ ნაპოლეონმა ვერ მოახერხა რუსეთის დამორჩილება. ფრანგები დამარცხდნენ, ნაპოლეონი საფრანგეთში გაიქცა. რუსეთმა დაიწყო თავისი ჯარების დასავლეთის მიმართულებით გადაადგილება. 1813 წლის მარტში რუსულმა არმიამ დაიკავა ვარშავის საერცოგო.

ამრიგად, ნაპოლეონმა რუსეთში სერიოზული წარუმატებლობა განიცადა. მან ვერ შეძლო რუსეთის დაპყრობა. ნაპოლ-

ეონის მიერ რუსეთში განცდილმა მარცხმა სერიოზული ძვრები გამოიწვია ევროპულ პოლიტიკაში.

ნაპოლეონის წარუმატებლობამ რუსეთში ავსტრიას და პრუსიას გარკვეული იმედები ჩაუსახა. ამ ქვეყნების მეთაურები რუსეთის იმპერატორთან დაახლოებას ცდილობენ. 1813 წლის 15 თებერვალს კამიშეში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას რუსეთსა და პრუსიას შორის, რომლის თანახმადაც, მხარეები ერთად გააგრძელებდნენ ბრძოლას საფრანგეთის წინააღმდეგ და არ დადებდნენ სეპარატულ ზავს საფრანგეთთან. რუსეთმა ცნო პრუსიის დამოუკიდებლობა 1806 წლის საზღვრებში.

ავსტრიამ შეწყვიტა ორმაგი თამაში და ივლისის ბოლოს ომი გამოუცხადა საფრანგეთს. 1813 წლის 28 აგვისტოს ტეპლიცაში ხელი მოეწერა ორ ხელშეკრულებას რუსეთ-ავსტრიასა და რუსეთ-პრუსიას შორის, რომელმაც იურიდიულად გააფორმა ახალი მექქსე ანტიფრანგული კოალიცია.

ამრიგად, საფრანგეთის არმიის მარცხმა რუსეთში და რუსეთის არმიის დასავლური ლაშქრობების დაწყებამ, ხელი შეუწო ახალი მექქსე ანტიფრანგული კოალიციის ჩამოყალიბებას. მასში შევიდნენ ინგლისი, რუსეთი, პრუსია, შვეცია, ესპანეთი, პორტუგალია და ავსტრია (1813 წლის აგვისტოდან).

ნაპოლეონის საბოლოო დამარცხებამდე ევროპას კიდევ არ უედა სამხედრო მოქმედებები 1813-1814 წლებში. რუსეთიდან დაბრუნებული ნაპოლეონი ახერხებს ძალების მოკრებას და პრუსიული და რუსული არმიებისათვის დარტყმების მიყენებას. ავსტრიამ, რომლის პოლიტიკას განსაზღვრავდა გამოცდილი ინტრიგანი კანცლერი მეტერნიხი, დაიჭირა მომლოდინე მხარის პოზიცია და არ აღმოუჩინა დახმარება მოკავშირეებს. ვენაში ბევრად უფრო რუსეთის გაძლიერებისა ეშინოდათ, ვიდრე საფრანგეთის. მეტერნიხი ერთდროულად პარიზთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებებს და ანტიფრანგული კოალიციის წევრ-ქვეყნებთანაც. საბოლოოდ ის დათანხმდა რუსეთის და პრუსიის წინადადებას, რომ ნაპოლეონისათვის შემდეგი საზავო პირობები წაეყენებინა: ნაპოლეონს უარი უნდა ეთქვა ვარშავის საერცოგო-

ზე, პრუსიისათვის დაებრუნებინა დამოუკიდებლობა, ხოლო ავსტრიისათვის ილირია და გამოეყვანა ჯარები პამბურგიდან და ლიუბეკიდან. თუმცა, იმპერატორმა კატეგორიული უარი თქვა მათ მიღებაზე. ნაპოლეონი გამარჯვებას თუ ვერ მოიპოვებდა ინგლისზე, მაშინ ის მის მმართველობაში უკვე აზრს ვერ ხედავდა. ან უკალაფერი, ან არაფერი. ასეთ ვითარებაში თვით ავსტრიაც კი ოფიციალურად ჩაერთო საფრანგეთის წინააღმდეგ ომში.

1813 წლის ოქტომბერში ლაიფციგთან შედგა „ხალხთა ბრძოლა”, აღნიშნული სამხედრო კამპანიის მთავარი ბრძოლა. ნაპოლეონმა დაიხია რეინის მიმართულებით საფრანგეთში, სადაც მან შეკრიბა საუკეთესო ჯარის ნაწილები და დაარტყა ავსტრიას. ნაპოლეონის შემართებამ და მისმა გამარჯვებამ აიძულა ევროპის ქვეყნები მისთვის ზავი შეეთავაზებინათ. მაგრამ ახლა პირობები სხვა იყო. საფრანგეთის იმპერია უნდა დარჩენილიყო 1792 წლის საზღვრებში და უარი ეთქვა უკელა დაპყრობილ ტერიტორიაზე. ნაპოლეონმა უარყო ეს შემოთავაზება.

ამგვარ სიტუაციაში აქტიურობით გამოირჩევა ინგლისის დიპლომატია, რომლის წარმომადგენლები ცდილობდნენ უკელა ევროპულ ქვეყანასთან ხელშეკრულების დადებას, რათა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლა მიეყვანათ ბოლომდე, ნაპოლეონის საბოლოო დამარცხებამდე. კოალიციის წევრმა-ქვეყნებმა – დიდმა ბრიტანეთმა, რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ 1814 წლის 1 მარტს შომონში ხელი მოაწერეს სამხედრო კავშირის შესახებ ხელშეკრულებას. შომონის ტრაქტატი, რომელიც დაიდო შემდგომი 20 წლით გაგრძელების პირობით, რვა წლის მანძილზე განსაზღვრავდა ევროპის ქვეყნების ძირითად საგარეო პოლიტიკურ მოქმედებებს.

ხელშეკრულების მონაწილეებმა აიღეს ვალდებულება ბოლომდე მიეყვანათ ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლა და არ დაედოთ რაიმე საიდუმლო ზავი მასთან. სამმა ქვეყანამ – რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ ნაპოლეონის წინააღმდეგ საბრძოლველად 150 ათასიანი არმია გამოიყვანა. სამი ქვეყნის ჯარი,

რომელიც დაფინანსებული იქნა ინგლისელი ბანკირების მიერ, 1814 წლის 30 მარტს პარიზში შევიდა. ნაპოლეონი ტახტიდან ჩამოაგდეს. საფრანგეთის ტახტზე აღადგა ბურბონების დინასტია (მეფე გახდა ლუი XVII მმა, პროვანის ჰერცოგი ლუი XVIII).

1814 წლის 18 მაისს, პარიზში, საფრანგეთსა და ანტიფრანგული კოალიციის ექვთ წევრ-ქვეყანას შორის ხელი მოეწერა საზაფო ხელშეკრულებას (მას მოგვიანებით ასევე შეუერთდა შვეცია, ესპანეთი და პორტუგალია). ზაფის პირობებმა ბევრად განსაზღვრა შემდეგში მოწვევული ვენის კონგრესის გადაწყვეტილებები. ასე დასრულდა ნაპოლეონის ხანგრძლივი და როული ომები. თავად ნაპოლეონი გადაასახლეს კუნძულ ელბაზე (ხმელთაშუა ზღვა), რომელსაც შეუნარჩუნეს იმპერატორის ტიტული.

იყო მისი ხელისუფლების რესტავრაციის მცდელობაც. 1815 წლის მარტში მან მოახერხა მრავალათასიანი დესანტის გადმოსხმა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში და დაბრუნდა პარიზში. საფრანგეთი იმპერატორის მხარეს იყო, იმპერატორი კი – რევოლუციის. ნაპოლეონის უპრეცენდენტო ასი დღე დასრულდა მისი დამარცხებით 1815 წლის 18 ივნისს ვატერლოსთან მეშვიდე ანტიფრანგულ კოალიციასთან ბრძოლაში.

იმპერიის დამარცხებამ გამარჯვებული ქვეყნების წინაშე დასვა საკამაოდ რთული საკითხი – როგორ მოქცეოდნენ საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების მემკვიდრეობას. დარეგულირების მთავარ პრინციპად მიჩნეულ იქნა კწლევიტიმიზმის პრინციპი (ლათინური *legos* – კანონი), რომლის თანხმადაც, უნდა აღდგენილიყო ყველა კანონიერი ხელისუფლება ევროპის ქვეყნებში. მაგრამ იგი წინააღმდეგობაში მოდიოდა ევროპაში რევოლუციების და ომების შეწყვეტის, ე.ი ევროპაში სიმშვიდის დამყარების მიზანთან.

ფაქტია, რომ ცვლილებები, რომელიც მოხდა აღნიშნულ პერიოდში, იყო რადიკალური და იმავდროულად რეალობის აღეკვატური. ასე რომ ძევლი წესრიგის სრული აღდგენა ფაქტიურად ნიშნავდა ახალ რევოლუციურ გამოწვევებს და ახალ

ომებს. აუცილებელი იყო მოძებნილიყო სათანადო კომპრომისი და შეექმნათ მყარი ძალთა ბალანსი კონტინენტზე იმ პრეტენზიების გათვალისწინებით, რომლებიც ჰქონდა ოთხ დიდი სახელმწიფოს – ინგლისს, რუსეთს, ავსტრიას და პრუსიას.

## 7.6. საერთაშორისო ურთიერთობათა ვესტფალიის სისტემის დამსხვევა

ვესტფალიის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის მოშლის მიზეზები საძიებელია იმ სოციალურ-ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ცვლილებებში, რომელიც ევროპაში მიმდინარეობდა XVII–XVIII ს-ების განმავლობაში.

ერთ-ერთი მიზეზი ვესტფალიის სისტემის დარღვევისა იყო ევროპის ზესახელმწიფოთა მხრიდან ვესტფალიის შეთანხმებით განსაზღვრული პირობების მუდმივი უგულებელყოფა.

ვესტფალიის სისტემა იყო გარდამავალი პერიოდი შუა-საუკუნეებისა (ფეოდალური) და ახალი ეპოქის (კაპიტალისტური) საერთაშორისო ურთიერთობებს შორის. იგი იყო სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების პირველი ტლანქი სისტემაც, რომელშიც მოცემული იყო ძველი ეპოქის (მაგ., დინასტიური პრინციპი) და სისტემური საერთაშორისო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი (მაგ., სახელმწიფო ინტერესის) პრინციპები.

ამ დროიდან მოყოლებული, სისტემური საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი სუბიექტი გახდა ეროვნული სახელმწიფოები თავიანთი სახელმწიფო//ეროვნული ინტერესებით. სწორედ ეს ინტერესები ხდებოდა მიზეზი მსოფლიო პოლიტიკაში წინააღმდეგობრივი კერქების შექმნისა. ევროპაში სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირება დაემთხვა კაპიტალიზმის განვითრებას, ხოლო ეკონომიკაში მერკანტელიზმის წარმოქმნამ კიდევ უფრო გააძლიერა დაპირისპირება ევროპულ სახელმწიფოებს შორის.

დიდი ფრანგული რევოლუციის და ნაპოლეონის ომების ეპოქამ დაასრულა მერყევი ვითარების შესაბამისად მოწყობილი ძალთა ბალანსი ევროპაში, რომელიც ერთჯერადი კოალიციის შექმნის პრინციპს ეფუძნებოდა. თუმცა, ძირი კი გამოუთხარა „ძველ რევიმს” – ევროპული თანასწორობის ძველი სისტემას. ეერც ლუი XIV და ეერც ნაპოლეონის საფრანგეთმა ვერ შეძლო მიეღწია სრული კონტინენტური დომინირების ან ხანგრძლივი დროით საკუთარი ბატონობის უზრუნველყოფისათვის ევროპაში. ხანგრძლივმა და სისხლისმღვრელმა ომებმა დაასუსტა ძველი კონტინენტი.

ნაპოლეონის განადგურებით ევროპის წამყვანმა დიდმა სახელმწიფოებმა აშკარად გამოამჟღავნეს მისწრაფება, რომ უზრუნველყოთ მარადიული მშვიდობა კონტინენტზე რუსეთის, პრუსიის, ბრიტანეთის და ავსტრიის ინტერესთა განსაზღვრული ბალანსის საფუძველზე.

დიპლომატები, მონარქები და პოლიტიკური მოღვაწეები ევროპის არენაზე ტექტონიკური გეოპოლიტიკური ძვრების და ევროპის წამყვანი დიდი სახელმწიფოების დასუსტების მოწმენი გახდნენ, რამაც კანონზომიერად ჩამოაყალიბა აზრი იმის შესახებ, რომ საერთო ევროპული თანასწორობის დამყარება არ შეიძლება მიენდოს თამაშის შემთხვევითობას.

პირველად, ევროპის ისტორიასა და საერთოდ, მსოფლიოში დაიწყო მიზანმიმართული პოლიტიკა თვითმყოფადი პოლიტიკური წონასწორობის ინსტიტუციონალური სისტემის და შესაბამისი მექანიზმის შექმნის ძიებისათვის, იმ საერთაშორისო წერიგისათვის, რომელიც უზრუნველყოფილა წამყვანი დიდი ევროპული სახელმწიფოების თანასაწორობას და რომელიც განამტკიცებდა იმ მომენტისათვის შექმნილ *status quo*. ამ თავსატეხის გადაწყვეტამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ვენის კონგრესზე, რომელიც მიმდინარეობდა ხანმოკლე შესვნებებით 1814 წლის ოქტომბრიდან 1815 წლის ივლისის ჩათვლით, სადაც შეიმუშავეს და მიიღეს მყარი მსოფლიო წესრიგის მსგავსი მექანიზმი და

რომელმაც ახალი ფურცელი გახსნა სისტემურ საერთაშორისო ურთიერთობებში.

კონგრესის შუშაობის შედეგებმა, წინა და შემდეგ პერიოდში მიღებულმა საერთაშორისო მიშვნელობის ზოგიერთმა აქტმა შექმნა „ვენის სისტემის” ჩონჩხი, რომელმაც იარსება ევროპაში 40 წლის განმავლობაში, ყირიმის ომამდე. XIX საუკუნის შუა სანებიდან კი სისტემა სერიოზულ კრიზისში შევიდა, დაიწყო სისტემის ტრანსფორმაცია და ევროპა სამხედრო პოლიტიკურ ბლოკებად გაიყო.

(

).

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

## XVI

1648

,  
( )  
,

,  
( ),  
( ,  
).

XV

, , ( ),  
,

XVI

,  
,

«

»

XIV

status qvo.

**Irakli Manvelidze**

## **The Genesis and Evolution of Systemic International Relations**

summary

The system of the international relations exists already almost five hundred years. However, during antique times people lived in the integrated political associations of the mixed type (a city-state, empire, feudal princedoms).

In sphere of the international relations the system is the important and known phenomenon. As system is called the generality of elements, which are interconnected among themselves and create integrity and unity.

The board type in the Ancient East, in classical Greece and Rome can be entered in frameworks Westphalian systems, but it, however, is deprived the sovereignty. The Westphalian peace promoted formation and an eminence of the nations and the states, setting up to diplomacy and army. The colonialism was a principal cause of distribution of this especial European system on other continents.

The modern international system, as a result, was generated after decolonization, in cold war. This system, basically, consists of sovereign political units, which with various frequency and heat co-operate in processes of the international relations.

The international system covers the states, with working out of actions and which reciprocal actions in foreign policy, the others since the international system is the phenomenon in which frameworks there is an acceptance interdependent the state decisions are considered.

Cardinal changes which XVI century has brought to the European people in political, economic, religious, cultural spheres, has changed and has reconstructed both character, and the maintenance of the international relations and foreign policy.

The Westphalian peace signed in 1648, became a basis of formation and development of system of the international relations. It is necessary to

notice that the Westphalia system was a transition period between medieval (feudal) international relations and the international relations a new epoch (capitalist). It also was the first unstable international system in which the principles characterising the international relations of the ancient world (for them dynastic) and system international relations (for them a principle of the state interests have been expressed).

By the end of XV century Europe has entered a new stage of development of the international relations. For the given period the centralised states already actually were formed: Spain, Portugal, France, Poland, Austria (the hereditary earths Habsburg) which were a part of Sacred Roman empire the German nation earlier. Turkey, the Scandinavian countries – Denmark, Sweden, Norway, the East German small princedoms, the Italian cities-states and the small European states have made a continental card of continent. In the east gradually strengthened the positions Moscow a princedom, which left on the European arena in second half XVI centuries. From now on in a princedom process of political association, then formation of the centralised state and, as a result, transformation in an absolute monarchy has come to the end.

Thus, the national states with the national-state interests became the main subject of system international relations. These interests become a principal cause of formation of resisting camps in world politics. As formation of system international relations in Europe has coincided with the beginning of development of capitalism, and the economic mercantilism has strengthened opposition between the European states.

The epoch of Great French revolution and Napoleonic wars has finished unstable development of balance of forces in Europe which was based on a principle of creation of disposable coalitions. However, the out-of-date system of the European equality was a principal cause of falling of "ancient regime".

Neither Lui XIV and nor Napoleonic France could not reach full continental domination. Long and bloody wars have weakened old continent. Oppositions and disputed conditions in system promoted occurrence in the leading European states of aspiration to display of political balance on the basis of balance of interests of France, Holland, Sweden, Russia, Prussia, Britain, Austria and other states. On the European arena of the relation between the states tested tectonic - geopolitical shifts. The leading large states of

Europe have realised necessity of creation of the all-European balance of forces which, in turn, would lean against impossibility of accident of game. For the first time in world politics, for an establishment of the international order, purposeful carrying out of a course on creation mechanisms which as a result would provide equality among the leading European states and which would legalise for the concrete moments developed status quo has begun. The Westphalia world which has created corresponding disposable, following of a current situation, the state coalitions became such mechanism for a principle of balance of forces.

The Westphalian peace has reversed a foreign policy situation in Europe. He has created absolutely other balance of forces, has generated other political priorities and values. As a whole, the Westphalia world has brought international legal bases in system of the European international relations and has defined their character the next centuries.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

თვალავაძე ვ., ახალი ისტორია, 1640-1815 წლები, ნაკვ. 1, თბ., 1999  
ლომსაძე დ., ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, 1600-  
1870, თბ., 1998

მენოქშაშვილი ა., საერთაშორისო ურთიერთობების და  
დიპლომატიის ისტორია, წიგნი I, უძველესი დროიდან - 1799  
წლამდე, თბ., 2000

მენოქშაშვილი ა., საერთაშორისო ურთიერთობების და  
დიპლომატიის ისტორია, წიგნი II, 1799 წლიდან 1918 წლამდე,  
თბ., 2002

რონდელი ა., საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006  
I, / . . . . . - ., 1997.  
. . . . . - ., 1999.

(1709-1714 .). - ., 1990.

I. - ., 1990.  
(1775-1783 .).

- ., 1976.

. 1732-1799. - ., 1991.  
XIV. - ., 1991.

//

. - 1997. - 4.

//

. - 1994. - 2.

. - ., 1989.

1998.

II: / . . . . . - ., 2000.

II: / . . . . . - ., .

1998.

/ . . . . .

- ., 1989.

II: //

. - 1996. - 4.

. - .

1986.

( XVIII -

.). - ., 1970.

XVIII . - ., 1989.				
"				
XVII .). - ., 1998.	(			
"				
"	, 1996.			
"				
"	, 1994.			
"				
(XVII-XVIII .). - ., 1994.				
"				
). - ., 1999.	XV-XVII	(		
"				
. XVIII .(				
). - ., 1998.				
"				
(	XVIII . - 80-			XIX .).
"				
, 1974.	//			
"				
1997. - 12.				
"				
" . - 1999.	//			
"				
. - 1998. - 5.				
"				
//	XVIII - XIX	..		
"				
. - 1996. - 6.				
"				
XVIII . //				
. - 1995. - 6.				
"				
"	XVIII-XIX			
"				
, 1997.				
"				
II //				
- 1999. - 2.				
"				
. - 5- . - ., 1989.				
"				
. - ., 1959.				
"				
XVIII-XX . - ., 1995.				
"				
(XVIII-XX )/ .				
"				
. - ., 1999.				
"				
, 1689-1916.				
"				
1958.				
"				
VIII . - ., 1991.				
"				
II . - ., 1997.				
"				
II . - 2- . - ., 1945.				
"				

. . . - ., 1957.  
 . . . XV- XIX .). - ., - . 1965.  
 . . . - ., 1992. . 1848-1918: . . . - .,  
 1958.  
 . . . II,  
 . - 1997. - 5, 6. //  
 . . . (1720-  
 1917 .) // . - 1996. - 12.  
 . . . . - ., 1991.  
 . . . : . . . - ., 1991.  
 . . . . - ., 1997.  
 . . . " "  
 // . - 1990. - 3.

Andreas Osiander, „Sovereignty, International Relations, and the Westphalian Myth,” International Organization 55 (2) (Spring 2001): 251-287.

Benno Teschke, Theorizing the Westphalian System of States: International Relations from Absolutism to Capitalism, European Journal of International Relations, Vol. 8, No. 1, 5-48, 2002

Claire Cutler (2001). Critical Reflections on the Westphalian Assumptions of International Law and Organization: A Crisis of Legitimacy. Review of International Studies 27: 133-150.

Cutler, A. Claire "Critical Reflections on the Westphalian Assumptions of International Law and Organization : A Crisis of Legitimacy.". Review of International Studies 27, 2001

Camilleri, J. and Falk, J., The End of Sovereignty?: The Politics of a Shrinking and Fragmenting World, Edward Elgar, Aldershot, 1992.

Christopher Harding, Who Designed the Westphalian System? Probing the Epistemology of the Westphalian Debates: "Moses was but a juggler and King James the new Solomon", Law, Culture and the Humanities, Vol. 2, No. 3, 2006, 399-419

Croxton, Derek and Anuschka Tischer. The Peace of Westphalia: A Historical Dictionary. Westport, CT: Greenwood Press, 2001.

Guthrie, William P., The Later Thirty Years War: From the Battle of Wittstock to the Treaty of Westphalia. Westport, CT: Greenwood Press, 2003.

Jackson RH and Owens, The Evolution of World Society' in Bayliss J and Smith S eds. The Globalization of World Politics, Oxford: Oxford University Press, 2005

James Caporaso, The Westphalian System in Historical Perspective (International Studies Review Presidential Series), 2000

Kelly, Michael J., Pulling at the Threads of Westphalia: Involuntary Sovereignty Waiver - Revolutionary International Legal Theory or Return to Rule by the Great Powers?" UCLA Journal of International Law & Foreign Affairs 10:2, 2005, Retrieved June 13, 2007.

Lancelot Finn, Nation-States and the Globalization of the Westphalian System, 2003

Leurdijk, J., Intervention in International Politics, Eisma BV, Leeuwarden, Netherlands, 1986.

Leo Gross, „The Peace of Westphalia,” The American Journal of International Law 42 (1), January, 1948, p. 20-41.

Michael J. Kelly, Pulling at the Threads of Westphalia: Involuntary Sovereignty Waiver - Revolutionary International Legal Theory or Return to Rule By the Great Powers? UCLA Journal of International Law & Foreign Affairs, Vol. 10, No. 2, 2005

R. H. Jackson and P. Owens “The Evolution of World Society” in J. Bayliss and S. Smith (eds.), The Globalization of World Politics, Oxford: Oxford University Press, 2005.

Teschke Benno, Theorising the Westphalian System of States: International Relations from Absolutism to Capitalism, European Journal of International Relations, 8 (1), 2002, pp. 5-48

Valery Zorkin, An Apologia of the Westphalian System RUSSIA IN GLOBAL AFFAIRS VOL. 2, No. 3, JULY – SEPTEMBER, 2004, 22-29

Walker, Thomas Alfred, A History of the Law of Nations: From the Earliest Times to the Peace of Westphalia, 1648. Buffalo, NY: Willam S. Hein & Co., 2004

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შმსაგალი	3
ნაწილი I	
სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების წინაპირობები	6
თავი I	
საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა	
1.1 სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების არსი და მნიშვნელობა	6
თავი II	
საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია და თავისებურებები ევროპაში XVI ს-ხა და XVII ს-ის დამდეგს	
2.1. ევროპის პოლიტიკური რუსა XVI ს-ში	15
2.2. საერთაშორისო ურთიერთობების პერიოდიზაცია XVI–XVIII ს-ში და ევროპის სახელმწიფოების ძირითადი საგარეო პოლიტიკური კურსი	18
2.3. საერთაშორისო ურთიერთობების ეფოლუცია და თავისებურებები ახალ პერიოდში	21
თავი III	
საერთაშორისო ურთიერთობათა ვესტფალიის სისტემის ფორმირება. ოცდაათწლიანი ომი და მისი შედეგები	
3.1. პაბსბურგების გაძლიერება და საერთაშორისო წინააღმდეგობების ზრდა ევროპაში XVII ს-ის დასაწყისისათვის	26
3.2. ევროპის სახელმწიფოების პოზიციები ოცდაათწლიანი ომის წინ	29

3.3. ოცდაათწლიანი ომი და ვესტფალიის ზავი.....	36
---	----

## ნავილი II

საერთაშორისო ურთიერთობების ვესტფალიის სისტემა (XVII ს-ის 50-იანი წლები – XVIII-XIX სს. მიჯნა).....	45
--	----

## თავი IV

საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მოთა- მაშები და მათი ქცევის სპეციფიკა მსოფლიო არენაზე
---

4.1. ცვლილებები ევროპულ საერთაშორისო პოლ- იტიკაში.....	45
4.2. მერკანტელიზმი და ევროპული სახელმწიფო- ების საგარეო პოლიტიკა.....	54
4.3 საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მო- თამაშები ევროპაში.....	59

## თავი V

საერთაშორისო ურთიერთობები ევროპაში XVII ს- ის მეორე ნახევარსა და XVIII ს-ის დამდეგს
--

5.1. წინააღმდეგობები ევროპულ პოლიტიკურ ერთე- ულებს შორის და მათი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე.....	61
5.2. ევროპის პოლიტიკის ძირითადი მოთამაშების სტატუსი და რესურსები საფრანგეთის ექსპანსიო- ნისტური პოლიტიკის პირობებში.....	65
5.3. საფრანგეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკა XVII საუკუნის II ნახევარში და სამხედრო-პოლ- იტიკურ ძალთა კონფიგურაცია ევროპაში.....	71
5.4. ჩრდილოეთის დიდი ომი და მისი შედეგები.....	92

5.5. ესპანეთ-ავსტრიის დაპირისპირება და ოთხთა კავშირის შექმნა ევროპაში.....	98
<b>თავი VI</b>	
საერთაშორისო ურთიერთობები ევროპაში XVIII საუკუნის 20-80-იან წლებში	
6.1. ევროპის პოლიტიკური რუკა და წამყვანი სახე- ლმწიფოები.....	101
6.2. ევროპული საერთაშორისო პოლიტიკის თავის- ებურებები.....	103
6.3. „პოლონეთის მემკვიდრეობის“ საკითხი და ევრ- ოპის სახელმწიფოების პოზიციები (1733-1738).....	107
6.4. „ავსტრიის მემკვიდრეობის“ საკითხი და მისი გავლენა ევროპის საერთაშორისო ურთიერთობე- ბზე (1740-1748).....	110
6.5. შვიდწლიანი ომი და მისი გავლენა საერთაშ- ორისო ურთიერთობების სისტემის სტრუქტურულ ხასიათზე.....	122
6.6. ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა საზღვაო და კოლონიური ჰეგემონობისათვის.....	129
6.7. რუსეთ-თურქეთის ომები და ევროპული სახელ- მწიფოების პოზიციები.....	137
6.8. პოლონეთის საკითხი საერთაშორიო ურთიერ- თობებში.....	147
6.9. ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა.....	150
<b>თავი VII</b>	
საერთაშორისო ურთიერთობები XVIII ს-ის ბოლოს XIX ს-ის დასაწყისში	
7.1. საერთაშორისო ურთიერთობების თავისებურე- ბები XVIII ს-ის ბოლოს და XIX ს-ის დამდეგს.....	161

7.2. საფრანგეთის რევოლუციის გავლენა საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაზე.....	164
7.3 „ნაპოლეონის ომების” მსვლელობა და ხასიათი, მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე – უდღეური ტილზიტის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა.....	176
7.4. პოლონეთის საკითხი რუსულ-ფრანგულ ურთიერთობებში.....	192
7.5. ნაპოლეონის თავდასხმა რუსეთზე, პირველი სერიოზული წარუმატებლობა და მექქვე ანტიფრანგული კოალიციის ჩამოყალიბება.....	196
7.6. საერთაშორისო ურთიერთობათა ვესტფალის სისტემის დამსხვრევა.....	200
 რეზიუმე რუსულ ენაზე.....	203
რეზიუმე ინგლისურ ენაზე.....	206
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....	209